

თის მოაზროვნეთა (თომა აქვინელი, გროციუსი, მონტესკიე . . .) დაინტერესება უსაზღვრო იყო და არც ახლა ჩამქრალი.

ციცერონის შემდეგ უკვე ქრისტიანული სამართალი განვითარდა.

ქრისტიანული სამართალი.

ქრისტიანული შეხედულება რომაული ცხოვრების წესს სამარცხვინო ბოძზე აკრავდა. რომის ღაცემა იოანეს გამოცხადებაშია ნაწინასწარმეტყველები.

„დაემხო, დაემხო დიდი ბაბილონი, განდა ეშმაკთა სამკვიდროდ და ყოველი არაწმიდა სულის თავშესაფრად და ყოველი არაწმიდა და ბილწი ფრინველის თავშესაფრად.“

„ვინაიდან, მისი გარყვნილების მძვინვარე ღვინისაგან სვა ყველა ერმა. დედამიწის მეფეები მეძაბოდნენ მასთან და დედამიწის ვაჭრები მისი ფუფუნების ძალისაგან გამდიდრდნენ“ (გამოცხადება 18. 2, 3).

რომი „დემოკრატიული“ სამართლიდან (დემოკრატიის ბუნებრივი სისუსტის გამო) ტირანიაში გადაეცა.

განსხვავება მდიდართა და ღარიბთა შორის უმკვეთრესი გახდა. ასეთ უსამართლობას ებრძოდა ქრისტიანობა.

„ნეტარნი ხართ მშვიდნი ამჟამად, ვინაიდან გაძლებით; . . .“ (ლუკა 6. 21).

„მაგრამ ვაი თქვენ, მდიდარნი, რადგან უკვე მიიღეთ თქვენი ნუგეში.“ (ლუკა 6.24.)

ქრისტიანობაში დევს ბუნებრივი სამართლის ძირითადი პრინციპი – **„ვინაიდან როგორი განსჯითაც განსჯით, იმნაირითვე განისჯებით, და რომელი საწყაულითაც მიუწყავთ, იმავეთი მოგეწყვით თქვენ“.** (მათე 7.2.)

ქრისტიანული სამართლის ისტორიაში ავგუსტინეს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

ავრელიუს ავგუსტინე (354 – 430 წწ.). მან ქრისტიანობა 387წ. მიიღო. კარგად ერკვეოდა პლატონის ფილოსოფიასა და ნეოპლატონისტურ მიმართულებებში და ციცირონის იდეებს იზიარებდა. იყო ჰიპონის ეპისკოპოსი (ჩრდ. აფრიკა). თავისი პოლიტიკურ-სამართლებრივი შეხედულებები გადმოცემული აქვს ძირითად შრომებში – „ღვთის ქალაქისათვის“ და „თავისუფალ ნებაზე“. ქრისტიანული სამართლის ავგუსტინესეული აღქმა მეტად საინტერესოა. ადამიანთა ისტორიაზე მისი შეხედულება ბიბლიას ეყრდნობა. შესაბამისად, ყველა სოციალური, სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი სისტემა ადამიანის ცოდვის შედეგია, ანუ ადამიანი უცოდველი რომ ყოფილიყო, მას არავითარი სახელმწიფო არ დასჭირდებოდა. ღმერთმა ადამიანს მიანიჭა თავისუფლება, რათა ღვთაებრივად ან ადამიანურად ცხოვრება აერჩია.

„იმით კი არ განდა ადამიანი ეშმაკის მსგავსი, რომ მას სხეული აქვს (ეშმაკს სხეული არა აქვს) არამედ იმით, რომ ცხოვრობს თავისი ნებით, თავისებურად ეი ადამიანურად მაშასადამე, როცა ადამიანი ადამიანურად ცხოვრობს და არა ღვთიურად, მაშინ ემსგავსება ის ეშმაკს.“

ამასთანავე ის მდგომარეობა, რომლის დროსაც ადამიანს შეუძლია იცხოვროს არა „ადამიანურად“, არამედ „ღვთიურად“, მხოლოდ ღვთის მაღლით მიიღწევა და ეს ზევიდან მხოლოდ „რჩეულთ“ მიეცემა. მიწიერი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ცხოვრების ცოდვა „ადამიანის ადამიანზე“ ბატონობაში მქლავდება. შედეგად სახეზე გვაქვს მბრძანებელი და მორჩილი, მბრძანებელი და მონა.

„ცოდვა მონობის პირველადი მიზეზია, რომლის გამოც ადამიანი ადამიანს ემორჩილება და ეს ღვთის სამართლით ხდება, რომელსაც უსამართლობა არ ანასიათებს. ის განსხვავებულ სასჯელს ანაწილებს იმისდა მიხედვით, ვის როგორი ცოდვა აწევს“.

ბოროტების მიზეზი თავისუფალ ნებაში, ჩვენს არჩევანში დევს. **„ბოროტება ჰქვია იმას, რასაც ადამიანი მოიმოქმედებს და იმას, რასაც ადამიანი ითმენს. პირველი ცოდვაა, მეორე –**

სასჯელი . . . ადამიანი მოიმოქმედებს ბოროტებას, რომელიც სურს და ითმენს ბოროტებას, რომელიც არ სურს“.

აქედან, ნათლად ჩანს, რომ ავგუსტინეს აზრით, ღმერთი ბოროტებაზე პასუხს არ აგებს.

ავგუსტინეს შრომებში ვხვდებით შემდეგ გააზრებას: რომის იმპერიის მაგივრად (რომელიც განსხვავებულ ხალხებს, ერებს აერთიანებს), უკეთესია წარმოიშვას მრავალი, ზომით მცირე „**სახალხო მმართველობა, რომელიც მშვიდობიანი მეზობლობით, განსხვავებული ოჯახებით, ერთმანეთის გვერდით იცხოვრებენ“.**

მარადისობის კანონი, როგორც ღვთაებრივი გონისა და ნების გამოვლინება, განსაზღვრავს ბუნებრივ წესრიგს და, შესაბამისად – ბუნებრივ სამართალს. ბუნებრივი სამართალი ღვთიურ ხასიათს ატარებს.

„ვინ, თუ არა ღმერთმა ადამიანთა გულში ჩაწერა ბუნებრივი სამართალი“.

ავგუსტინე ადამიანთა მმართველობას აკრიტიკებს, მაგრამ იმავდროულად აღიარებს ცოდვილებზე „რჩეულთა“ მმართველობას.

ჩვენ მიუვახლოვდით ისტორიის იმ პერიოდს, რასაც **რენესანსად** მოიხსენიებენ. რენესანსის ეპოქაში ჩამოყალიბებულ იდეალისტურ შეხედულებას – **ანთროპოცენტრიზმს** (რომლის მიხედვით ადამიანი სამყაროს ცენტრი, მიზანია) და თანაც არისტოკრატიული სახით განვითარებულს, არ შეეძლო ჰუმანიზმის, პიროვნების ფასეულობის, მისი თავისუფლების უფლების დახვეწაში უდიდესი წვლილი არ შეეტანა. ჰუმანიზმის ეს პრინციპები კულტურასა და ზოგადად კაცობრიობის განვითარების გააზრებაში გადატრიალებას ახდენენ. ამ გადატრიალების ერთ-ერთი ფორმაა სქოლასტიკის კრიტიკა, დაცინვა. იწყება ახალი ზნეობრივი იდეალების ცხოვრებაში დანერგვა. ანუ უარყოფილია ასკეტიზმი, მთავარია ადამიანის კეთილშობილება, ჭეშმარიტი კეთილშობილება. ეს საკითხი **დანტე ალიგიერმა** (1265-1321წწ) წამოაყენა.

ადამიანის კეთილშობილება, არც მისი წარმოშობითა თუ დაგროვილი ქონებით, არც სხვისი განდიდების ნიჭით, თუნდაც ეს ღირება ღმერთს ეკუთვნოდეს, არ განისაზღვრება, არამედ მისი სულის სიძლიერით გამოიხატება. ეს სიძლიერე კი რეალობაში სრულყოფისაკენ მისწრაფებითა და ხარისხით ვლინდება. ეს, თუნდაც მეცნიერებაში, ხელოვნებაში, მეწარმეობაში, სიყვარულში, ცხოვრების ყოველ წვრილმანსა თუ მსხვილმან საქმიანობაში გამოვლენილი ჟინი და სწრაფვაა.

ტრადიციული ქრისტიანული ეთიკა ასკეტურ გმირობას, ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებების დათრგუნვას მოითხოვდა. ჩნდება მოსაზრება – „**. . . თუ მე შემძლია სიძლიერეში გაურყენელი ცხოვრება, რატომ გავწირო თავი სიღატაკისათვის“** (ლ. ვალა. 1405-1457წწ).

ჰუმანიზტები მიიჩნევენ, რომ ადამიანები ერთმანეთისათვის სიხარულის, სიკეთის წყარო უნდა გამხდარიყვნენ. ამის საფუძველი კი სიყვარული და მეგობრობაა. სახელმწიფო სწორედ ამას უნდა ემსახურებოდეს. და ხდება საოცრება, სწორედ ამ ჰუმანიზტურ ეპოქაში ჩნდება **ნიკოლო დე მაკიაველის** (1469-1527წწ) ნაშრომი „**მთავარი**“. არსებობს მოსაზრება, რომ ეს შრომა მან თავისი ქვეყნის დაქუცმაცებული მდგომარეობის გამო დაწერა, ანუ – რა დროს ჰუმანიზმია, თუ ძმა ხარ, ქვეყანა თავზე გვექცევა – პრინციპიდან გამომდინარე. სამშობლოს გადარჩენის მიზნისათვის, თურმე ბარბაროსული მეთოდებიც დასაშვებია (სანამ სამშობლო დაღუპვამდე არ მივა, თავს არავინ იწუნებს). აქედან, მაკიაველის ლოზუნგი: – **მიზანი ამართლებს საშუალებას.**

სახელმწიფოს კონცეფციისა და სამართლის ისტორიაში ძალიან ცოტანი თუ მოიძებნებიან ისეთნი, რომლებმაც აზრთა შეხლა-შემოხლა, მძაფრი კამათი, მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ისეთი დაპირისპირება გამოიწვია, როგორც იმ პოლიტიკურმა იდეებმა, რომელიც იტალიელმა მოაზროვნე ნიკოლო დე მაკიაველმა წამოაყენა.

იმ ეპოქისათვის იგი ერთობ განათლებული ადამიანი, ანტიკური ლიტერატურის დიდი მცოდნე, დიპლომატი და პოლიტიკოსი გახლდათ (14 წელი ფლორენციის რესპუბლიკის მდივნის პოსტი ეკავა). პოლიტიკურ-სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში ნიკოლო დე მაკიაველი შევიდა, როგორც ავტორი ცნობილი შრომებისა: „მთავარი“ (1513წ), „ტიტუს ლივიუსის პირველი დეკადის განხილვა“ (1519წ), „ფლორენციის ისტორია“ (1532წ) და სხვ.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ერთი საინტერესო ფაქტი. მაკიაველის შემოქმედება თავისი არსით, საკმაოდ წინააღმდეგობრივია. ამ ფენომენის ასახსნელად მრავალი ნაშრომი და მოსაზრება შეიქმნა. ერთნი ამას თვით პიროვნების ხასიათით ხსნიან, მეორენი – იმ ეპოქის დრამატულობით, რომელშიც მაკიაველს უწევდა მოღვაწეობა.

ისეთი ანალიტიკური აზროვნების ადამიანისათვის, როგორც იყო ნიკოლო მაკიაველი, მიზანი, პირადი კრედიტის უმაღლეს ფასეულობას წარმოადგენდა, რომ გამორიცხულია ვინმეს მასზე გავლენა მოეხდინა. მის იდეალებს ვერც იმ ეპოქის დრამატულობა, ვერც ქვეყნის შიგა დამანგრეველი ომები, პატარა ტირანების თავგასულობა, ეკლესიის მიერ საერო საქმეებში ჩარევა, ვერც უცხოელი დამპყრობლები შეარყევდნენ.

მაკიაველი რესპუბლიკური წყობისა და ცალკეული დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ სიმპათიით იყო განწყობილი. ეს ნათლად ჩანს შრომებში „ტიტუს ლივიუსის პირველი დეკადის განხილვა“, „ფლორენციის ისტორია“ და სხვ, რაც მის უდიდეს პატრიოტიზმზე მეტყველებს.

რატომღაც, ბელის ირონიად მიიჩნევენ, რომ მსოფლიო პოლიტიკურ ისტორიაში ნიკოლო მაკიაველს პოპულარობა მისმა ნაშრომმა – „მთავარი“ მოუტანა, სადაც რესპუბლიკურ-დემოკრატიული, მოქალაქეობრივ-ჰუმანისტური მოტივები (თუ არის საერთოდ) მინიმუმამდეა შემცირებული; და ეს გასაგებია, რადგან ეს ნაშრომი დემოკრატიულ-რესპუბლიკური ფასეულობის ან სამართლისა და ჰუმანიზმის აპოლოგიის მიზნით არ შექმნილა.

ამ ნაშრომის ანალიზს მივყავართ დასკვნამდე – ყოველივე ეს, გამოუვალი მდგომარეობიდან გამომდინარე, მმართველის საჭირო პორტრეტი ან მისი ქმედების ინსტრუქცია არ არის. არა, მისი აზრით, ეს მმართველის საშუალებით სახელმწიფოს არსის გამომჟღავნებაა.

მისთვის საერთოდ გამორიცხულია თეოლოგია. რელიგიისადმი ის ინდიფერენტულია. ისტორიული გამოცდილება, აი რა არის მისთვის მთავარი.

მაკიაველი მანამდე ცნობილ, ანტიკური და შუასაუკუნეების ეპოქების დაუწერელ კანონთა პოსტულირებას ახდენს: პოლიტიკური მოვლენები, სახელმწიფოებრივი ცვლილებები, სახელმწიფო ფორმაციის ცვლილება არა ღვთის ნებით, არა ადამიანთა ფანტაზიებით, არამედ თავისთავად ხდება. ასეთმა გააზრებამ მისი არა მარტო თეოლოგიისაგან, არამედ ეთიკისგან დაშორებაც გამოიწვია.

მისი აზრით, აქ ეთიკის ადგილი არ არის. პოლიტიკური საკითხების მორალური კრიტერიუმების ხედვის კუთხიდან გააზრება, განხილვა არარეალურია. პოლიტიკური ბატონობის ტექნოლოგია თავისი არსით თავიდანვე ამორალურ მოვლენათა სფეროს განეკუთვნება. თუ ეს ასეა, მაშინ როგორ შევინარჩუნოთ ძალაუფლება და როგორ ვმართოთ სახელმწიფო? რა არის სახელმწიფოს ფუნდამენტი? . . . – რა და „კარგი კანონები და კარგი არმია“. „იქ, სადაც არაა კარგი არმია, არაა კარგი კანონები და სადაც კარგი არმიაა, იქ კარგი კანონებია“.

მაკიაველის ამ ნაშრომში სამართალზე, ზნეობასა და რაღაც მის მსგავსებზე საუბარიც ზედმეტია.

„თუ მმართველს სურს შეინარჩუნოს ძალაუფლება, მან უნდა ისწავლოს როგორ დაიხიოს, დასცილდეს სიკეთეს“.

„მიცემული სიტყვის გადათქმა ცოდვა არაა“. მმართველი ძალაუფლების განდიდებას, ქებას უნდა ცდილობდეს.

„გინდათ შეინარჩუნოთ ძალაუფლება – მიმართეთ ბოროტებას“.

მან შემოიღო სიტყვა, ტერმინი – სახელმწიფო (სტატო). მაკიაველის აზრით, დასაშვებია სახელმწიფოს მხოლოდ ერთპიროვნული მართვა. ჩინოვნიკები და თანამდებობის პირები მხოლოდ ერთ მმართველს ცნობენ და მხოლოდ მის ნებას ასრულებენ. იქ საერთოდ არაა საუბარი ხალხზე, როგორც უმაღლესი ძალაუფლების წყაროზე; არავითარი უფლებები. პოლიტიკური კუთხით ხალხი პასიური, მორჩილი მასაა. მმართველმა უნდა იცოდეს, რომ **ამქვეყნად არაფერია, გარდა სისაძაგლისა**. ამიტომ მან უნდა შეიგნოს, რომ ხალხი სულაც არაა დაინტერესებული, ჰქონდეს სამართალი და უფლებები; ეს მისთვის ზედმეტია. მას აინტერესებს მხოლოდ ერთი რამ – **შენაჩუნოს ის მცირედი, რაც აქვს**. ამის სანაცვლოდ ის დიდი სიამოვნებით თმობს თავისუფლებას, ღირსებას. ხალხს უნდა ეშინოდეს მმართველის; მისგან უნდა ელოდოს ბოროტებას. მმართველმა მცირე პორციებით, დიდი პაუზებით უნდა გასცეს უმცირესი სიკეთე, მხოლოდ ამ შემთხვევაში აღიქმება ხალხისაგან მისი ქმედების შედეგი, როგორც უდიდესი ბედნიერება და ეს მათ დიდხანს და კარგად დაამახსოვრდებათ. **რაც შეეხება დამცირებას, ის პირიქით, ხალხს ერთბაშად და დიდი სიმძლავრით უნდა დაატყუროს თავს.**

მაკიაველი ვალდებულებას, ანუ, იმას, თუ რა უნდა გააკეთოს მმართველმა ხალხის ან არისტოკრატის მიმართ მაინც, თითქმის არ ეხება. მისი აზრით, **არისტოკრატია პატივმოყვარეა, ხალხი – თავნება**. მმართველის წყალობა მიმართული უნდა იყოს მხოლოდ სამხედროებისა და პოლიციისადმი. საერთოდ არაა საუბარი იმ განათლებულ ფენაზე, რომელიც ყველა დროსა და სივრცეში თავისუფლების და სამართლის, სამართლიანობის გარანტად ითვლება. ეს შემთხვევითი არაა, რადგან ხალხის მართვა მხოლოდ ბრძანებით ხდება. ხალხი სხვაგვარ მართვას არ ცნობს.

მართვის ორი გზა არსებობს. პირველი – ხალხის მხრიდან სიყვარული, მეორე – შიში. რომელია ამ ორიდან საიმედო და ეფექტური? თვითონვე პასუხობს: – რა თქმა უნდა, კარგია, როცა არის ორივე ერთად, მაგრამ სიყვარული და შიში მაინცდამაინც ვერ ეთვისება ერთმანეთს, ამიტომ, თუ არჩევაზე მიდგა საქმე, მაშინ ულაპარაკოდ შიშია ასარჩევი, ის კი დასჯის ეფექტური მეთოდებით უნდა გამყარდეს, რომელსაც ვერაფერს გაექცევა. მაკიაველისათვის „ეთიკური“ და „პოლიტიკური“ რადიკალურად განსხვავებული ცნებებია.

ნაშრომში ცალსახადაა წარმოდგენილი მისი ძირითადი აქსიომა: ადამიანები ასოციალურნი, ანტისაზოგადოებრივი ბუნებისანი არიან. ეს ასოციალურობა კი ადამიანთა არსის გათახსნილებლობიდან გამომდინარეობს. ისინი, არც მეტი არც ნაკლები, უბრალოდ, ეგოისტები და ბოროტები არიან. და საერთოდ ადამიანები არიან **„უმადურნი და არამდგრადნი, პირფერნი და მატყუარები, გაურბიან სიძნელებებს, გამორჩენის გარდა არაფერი აინტერესებთ“**.

თავისთავად ცხადია, რომ მმართველი სასამართლოზე, კანონმდებლობაზე უფრო მაღლა უნდა იდგეს. შესაბამისად, პასუხისმგებლობას არ უნდა შეუშინდეს და დასჯის უკიდურესად მკაცრი ზომები უნდა შეარჩიოს. ყველა, ვინც მას სახელმწიფო წყობის უკმაყოფილოდ მოეჩვენება, ტოტალურად უნდა გაანადგუროს.

მაკიაველისათვის მმართველის ასეთი პროტოტიპი იყო რომის პაპის ალექსანდრე VI-ის შვილი, **ცეზარე ბორჯია** (ჩეზარე ბორჯა). (1476 – 1507წწ), რომელიც ძალაუფლების მოსაპოვებლად მოსყიდვას, ღალატს, მკვლელობას არ თაკილობდა. ბორჯია ბოროტმოქმედი და საღისეობრივი მიდრეკილებების მქონე მმართველი იყო. დაუკვირდით, ნაშრომი „მთავარი“ გამოიცა 1513 წ. ანუ ბორჯიას სიკვდილიდან 6 წლის შემდეგ. ე.ი ბორჯია, როგორც იტალიის მმართველი, მაკიაველისათვის საშიში აღარ იყო. შესაბამისად, შიში ან ანგარება გამორიცხულია. მოგვიანებით მაკიაველის მიერ იქმნება შრომები, რომლებშიც ისეთი რადიკალიზმი, როგორიცაა „მთავარში“, აღარ ჩანს. აქ თავისთავად ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი – ეს შრომა პაროდია ხომ არაა ჩეზარე ბორჯიას მართველობაზე? თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ ტოტალიტარული სახელმწიფოების აპოლოგეტების შრომებს ეს პაროდია დაედო საფუძვლად.

XVI საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში ანტიფეოდალური საზოგადოებრივი მოძრაობა იწყება. ამ რეფორმაციის მომხრეები გაყოფილნი იყვნენ ორ ბანაკად. ერთში თავი მოიყარა უმდაბლესმა აზნაურობამ, ბიურგერებმა (ქალაქის მცხოვრებნი) და თავადთა ნაწილმა, რომელთა მიზანი საეკლესიო ქონების კონფისკაციით გამდიდრება იყო. იმავედროულად, ისინი შესაბამის მომენტს ეძებდნენ, რათა წმინდა რომის მეორე იმპერიისაგან ნაწილობრივი თავისუფლებისათვის ან სრული დამოუკიდებლობისათვის მიეღწიათ. მათი საბოლოო მიზანი ზომიერი რეფორმის ჩატარება იყო. რეფორმატორების მეორე ბანაკში ძირითადად გაერთიანდნენ გლეხები და პლებეები. მათი მიზნები საკმაოდ ამბიციური იყო – სოციალური სამართლიანობის ლოზუნგით სამყაროს რევოლუციური გარდაქმნა. ცხადია, მათი პროგრამები განსხვავებული იყო, მაგრამ მათ ჰქონდათ საერთო – ყველა რეფორმატორი აღიარებდა წმინდა წერილს და კათოლიკურ ეკლესიას უარყოფდა. მათთვის მთავარი იყო რწმენა და მათი აზრით ამისთვის ღმერთსა და ხალხს შორის შუამავალი (სამღვდელოება) სულაც არ იყო საჭირო.

ბიურგერების ბანაკში გერმანელი თეოლოგის **მარტინ ლუთერის** ფიგურა (1483-1546წწ) გამოიკვეთა. სწორედ მან ჩამოაყალიბა რელიგიურ-პოლიტიკური ლოზუნგები, რაც ორივე ბანაკისათვის მისაღები აღმოჩნდა. ყველა რეფორმატორი მის გარშემო გაერთიანდა. ამ ლოზუნგების არსი მდგომარეობდა შემდეგში: ხსნა შესაძლებელია მხოლოდ რწმენით. ყველა მორწმუნე მხოლოდ ღვთის წინაშეა პასუხისმგებელი. ყველა საკუთარი თავის მღვდელია. ადამიანი მხოლოდ ღვთის წინაშეა (პაპიდან დაწყებული გლეხით გათავებული) პასუხისმგებელი. ყველა მოკვდავი ღმერთთან შედარებით აბსოლუტური არარაობაა. ადამიანთაგან უპირატესობა არავის აქვს. ამრიგად, თანასწორობის პრინციპი იბადება. მეტად საინტერესოა ლუთერის თვალსაზრისი – **თანასწორობა ბუნებრივი სამართლით მიიღწევა, ხოლო თვით ბუნებრივი სამართალი, ღვთიური სამართლისაგან განსხვავებულია.**

მისი თეოლოგიური განსწავლულობის მიუხედავად, ბუნებრივი სამართალი ლუთერისთვის, როგორც აღვნიშნეთ, ღვთიური სამართლისაგან განსხვავებული, თვისობრივად სხვა ფენომენია (აღბათ იმიტომ, რომ ადამიანი ღვთიურს ბოლომდე ვერ სწვდება). შესაბამისად, ადამიანთა გარეგანი ქცევა, ქონებრივი და საგნობრივი არეალი ბუნებრივმა სამართალმა უნდა მართოს. ხოლო, რაც შეეხება სულის თავისუფლებას, ადამიანის შინაგანი სამყარო სახელმწიფოს კანონმდებლობის მიღმა იმყოფება. რათა ლუთერის სახელმწიფო კონცეფციაში გავერკვეთ, მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ მისი ბუნებრივი სამართლის საფუძველს – პრაქტიკული მიზანშეწონილობა, რეალური ინტერესები. რეალური ინტერესი კი მოითხოვს:

მმართველმა ძალაუფლება პრივილეგიად კი არ უნდა აღიქვას, არამედ ტვირთად, რომელიც მას ღმერთმა დააკისრა.

და საერთოდ, ქრისტიანი „მმართველი თავს უნდა მიიჩნევდეს ხალხის მსახურად და არა ხალხის ბატონად.“

ეს, მართლაც, რევოლუციური აზრი იყო. ლუთერის აზრით, სამღვდელოება სახელმწიფოს უნდა ემსახურებოდეს. იბადება სახელმწიფოს კულტი.

აქ გვერდს ვერ ავუვლით მეორე რეფორმატორს – **ჟან კალვინს** (1509-1564წწ). იგი შვეიცარიაში ცხოვრობდა და თეოლოგიური ტრაქტატი „ქრისტიანული რწმენის სახელმძღვანელო“ (განაწესი) იქ გამოაქვეყნა. მისი აზრით, ღმერთმა წინასწარ მკაცრად განსაზღვრა, რომ ადამიანების ერთი ნაწილი ხსნისა და ნეტარებისთვისაა გაჩენილი, დანარჩენი კი – დაღუპვისათვის. ადამიანები უძლურნი არიან შეცვალონ ღვთის ნება, მაგრამ თუ დაუკვირდებიან, შეუძლიათ მიხვდნენ, ამ ცოდვილ მიწაზე მათი ცხოვრება როგორ მიმდინარეობს. კალვინის აზრით, თუ ადამიანმა არსებულ რეალობაში შექმნა ოჯახი, ააშენა სახლი, უზრუნველყო შვილები და ქონებაც დააგროვა, ის ღვთის კეთილგანწყობით სარგებლობს, მაშასადამე, ღვთის რჩეულია. აქედან იბადება შრომის კულტი, რამაც ევროპაში და შემდგომ აშშ-ში წარმოება განავითარა.

კალვინი მმართველებისგან აბსოლუტურ პროფესიონალიზმს, მაქსიმალურ მომჭირნეობას, ჰედონიზმის აბსოლუტურ უარყოფას მოითხოვდა. შესაბამისად, ის კეთილშობილურ წარმოშობას, ფეოდალურ პრივილეგიებს აუცილებელ, მნიშვნელოვან ატრიბუტად არ მიიჩნევდა, რადგან გამოჩენულ ადამიანად ჩამოყალიბება და ადამიანის გადარჩენა ამით არაა განპირობებული. მნიშვნელოვანია ერთი რამ – **მან რელიგიური სპეციფიკის საშუალებებით შეძლო შეექმნა ის მძლავრი იმპულსი, რამაც ის სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი ატმოსფერო ჩამოაყალიბა, რასაც დღეს დასავლეთ ევროპაში ვხედავთ.**

კალვინი ეკლესიის მოწყობის რეფორმას ქადაგებდა. ეკლესიის მრევლს სათავეში ჩაუდგა პრესვიტერი (თითქმის მამასახლისი), რომელსაც ირჩევდნენ. პრესვიტერებს სამღვდლოებითი ჩინი არ უნდა ჰქონოდათ. ისინი მღვდლებთან ერთად კონსისტორიას (ეკლესიურ-ადმინისტრაციული ორგანო, ლათ. – შეკრების, საბჭოს ადგილი) ქმნიდნენ. ასეთი რეფორმის იდეიდან იბადება და შემდეგ ყალიბდება ის კონცეპტუალური ბაზა, რომელსაც თანამედროვე რესპუბლიკურ-დემოკრატიული პროგრამებიც კი ეყრდნობა. კალვინი, ერთი მხრივ, ხელისუფლებისადმი მორჩილებას ემხრობა; თუმცა, იგი დიქტატურის შემთხვევაში, ყველა ლეგალური საშუალებების ამოწურვის შემდეგ, წინააღმდეგობასა და დიქტატორის ჩამოგდების შესაძლებლობასაც აღიარებს.

მმართველობის „ყველაზე ცუდ“ ფორმად ის მიიჩნევდა დემოკრატias. კალვინი ხელმძღვანელობდა ჟენევის კონსისტორიას, სადაც თავი გამოამჟღავნა, როგორც მკაცრმა მმართველმა. მან მიღებული ნორმების მცირე დარღვევისათვისაც კი მკაცრი სასჯელი დააწესა.

კალვინის ერთგული მიმდევრები მოსახლეობის ყოველდღიური ქცევის წესსაც კი აკონტროლებდნენ; დაუკითხავად შედიოდნენ სახლებში და სამზარეულოს მენიუსა და ადამიანთა ჩაცმულობას ამოწმებდნენ. პირად ცხოვრებაში ამგვარმა უკიდურესმა ჩარევამ მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია და კალვინი გააძევეს. თუმცა, მალევე კალვინს უკან დაბრუნება სთხოვეს, რადგან მისი წასვლის შემდგომ ქვეყანაში აღვირახსნილობამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. დაბრუნებულმა კალვინმა კვლავ წესრიგი დაამყარა.

დასავლეთ ევროპაში პირველი ბურჟუაზიული რევოლუციები კალვინისტურ იდეოლოგიაზე დაყრდნობით განვითარდა, რის შედეგადაც ნიდერლანდებში ხდება რევოლუცია და მყარდება რესპუბლიკა. ასევე წარმოიქმნა რესპუბლიკური პარტიები ინგლისსა და შოტლანდიაში.

განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს ისეთი, არც თუ ისე დიდი სახელმწიფოების წარმოქმნა-განვითარება, როგორცაა მაგ., ჰოლანდია. ის პირველი ქვეყანაა ევროპაში, რომელმაც ხანგრძლივი ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლით ფეოდალურ-მონარქიულ ესპანეთს დააღწია თავი (XVI–XVII სს. ზღვარზე) და პირდაპირ ბურჟუაზიულ რესპუბლიკად ჩამოყალიბდა.

ჰოლანდიაში რესპუბლიკელებსა და ორანჟისტებს (ორანსკის სასახლის კარის წევრებისა და მისი გვარის მიმდევრები. ამ სასახლის წარმომადგენლები მემკვიდრეობით ინარჩუნებდნენ შტატგალტერის – სახელმწიფოს მთავრის თანამდებობას) შორის ბრძოლა XVII საუკუნემდე მიმდინარეობდა. ჰოლანდიაში ძირითად რელიგიას კალვინიზმი წარმოადგენდა. ეს იყო ის მთავარი იდეოლოგიური იარაღი, რამაც ჰოლანდიელებს ესპანელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში გაამარჯვებინა. კალვინიზმს მხარს უჭერდა არა მარტო ელიტა, არამედ ხალხის დიდი ნაწილიც. კალვინისტური ეკლესია ორანჟისტებთან ერთად ილაშქრებდა რესპუბლიკის წინააღმდეგ (მას აშინებდა აზრის თავისუფლება, შემწყნარებლობა). ამ პერიოდში გამოიკვეთა პოლიტიკურ-სამართლებრივი იდეოლოგია, რომელშიც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს დიდმა ჰოლანდიელმა მოაზროვნეებმა **ჰუგო გროციუსმა და ბარუხ სპინოზამ.**

ჰუგო დე გროტ გროციუსი (1583 - 1645წწ) ენციკლოპედიური განათლების მქონე ადამიანი იყო. მას სახელმწიფოსა და სამართალზე 90-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი აქვს შექმნილი. მისი აზრით, იურისპრუდენციის საგანია სამართალი და სამართლიანობის საკითხები, ხოლო პოლიტიკური მეცნიერებისა კი – მიზანშეწონილობა და სარგებელი.

გროციუსი ცდილობს იურისპრუდენციას „მეცნიერული ფორმა“ მიანიჭოს, ამიტომ გვირჩევს, მკაცრად გავმიჯნოთ ის, „რაც წარმოიშვა დადგენილების საფუძველზე, იმისაგან, რაც თვით ბუნებისაგან გამომდინარეობს“, რადგან მეცნიერული ფორმა შეიძლება ვეძიოთ მხოლოდ იმაში, რაც ბუნებიდან გამომდინარეობს (ბუნებრივი სამართალი).

ყოველივე ის, რაც დადგენილებით გამომდინარეობს – დროში ცვალებადია, ადგილისა და სივრცის მიხედვით განსხვავებულია და მეცნიერულ სისტემატიზაციას არ ექვემდებარება. შესაბამისად, გროციუსი გვირჩევს, იურისპრუდენციაში განვასხვაოთ „ბუნებრივი, უცვლელი ნაწილი“ და ის, „რისი საფუძველიც ადამიანის ნებაა“.

ამით მან ის თქვა, რასაც დღეს დიდი ინტერესით განიხილავენ. კერძოდ, აუცილებელია სამართლის სისტემაში მეცნიერული საფუძვლის და საწყისი პრინციპების მოძიება, რათა სისტემატიზაცია და თეორიული კანონმდებლობის შემუშავება შევძლოთ. თითქოს ამასვე მოითხოვდა არისტოტელე – სამართალი დაყოფილიყო ბუნებრივ და ნებით შექმნილად. თუმცა, არის მნიშვნელოვანი განსხვავება – გროციუსი ბუნებრივ სამართალს „სალი გონების განაწესად“ განიხილავს, რომელიც განსაზღვრავს, რა მიიჩნევა მორალურად და რა – ამორალურად. მარტივად რომ ვთქვათ, გროციუსს ბუნებრივი კანონზომიერება თავისებურად ესმის. მისთვის ბუნებრივი სამართალი დაშვებულისა და დაუშვებლის, აკრძალულის განსაზღვრის კრიტერიუმია, რასაც ვერც ხალხის და, თუ გნებავთ, ვერც ღმერთის ნება შეცვლის. ამ უკანასკნელი წინადადებით გროციუსი ათეისტური რელიგიის წარმომადგენლად გვევლინება.

ათეისტური რელიგიის მიმდევარნი თვლიან, რომ არის რაღაც საკითხები, მოვლენები, რომელიც ღმერთის პეროგატივაში არ ეტყევა. ამგვარად, ერთი მხრივ, ღმერთის არსებობას არ უარყოფენ, და მეორე მხრივ, ღმერთს გავლენის სფეროს შემოუსაზღვრავენ. რაც შეეხებათ თეისტური რელიგიის მიმდევრებს, მათი აზრით, ყველაფერს ღმერთი განკარგავს.

გროციუსის გააზრებით, ბუნებრივი სამართალი არის „სამართალი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით“. „ბუნებრივი სამართალი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანს შესთავაზოს ის, რაც მას უკვე ეკუთვნის და ამავე დროს, მას სხვათა მიმართ მოვალეობის აღსრულება დააკისროს“.

გამოდის, რომ ბუნებრივი სამართალი იმავდროულად არის სიმართლაც. რადგან ის არ მოიცავს ვიდაციის ინტერესს, სარგებელს ან ნებას. ის აკრიტიკებს კარნეადის (უტილიტარისტი) თეზისს – „სარგებლიანობა არის სიმართლისა და სამართლის დედა“. გროციუსის აზრით, „ბუნებრივი სამართლის დედაა თვით ადამიანის ბუნება, რომელიც ჩვენში ურთიერთობის ინტერესს აღვიძებს იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს ურთიერთობა საერთოდ არ გვჭირდება. შიგასახელმწიფოებრივი სამართლის დედა არის პასუხისმგებლობა, რომელსაც ურთიერთშეთანხმებით ვიღებთ. ეს უკანასკნელი ძალას ბუნებრივი სამართლისაგან იღებს, ამიტომ ბუნება შიგასახელმწიფოებრივი სამართლის პირველწყაროა“. სახელმწიფოებრივ ფორმებს (მონარქია, რესპუბლიკა) ის დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს, მთავარია ხალხის ნება გამოიხატოს.

„მმართველი, რომელიც ბოროტად იყენებს ძალაუფლებას, უნდა დაემხოს და დაისაჯოს“, მაგრამ სამოქალაქო ომი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეშვათ, რადგან „სამოქალაქო ომს ყველაზე ცუდი მმართველობაც კი სჯობს“.

თომას ჰობსი (1588-1679).

ამრიგად, უხსოვარი დროიდან ფილოსოფოსები და მოაზროვნენი ზნეობის წარმოშობის პირველწყაროს ზებუნებრივ სამყაროში, ანუ ღვთიურში ეძებდნენ, რამაც ადამიანს ზნეობა დაანათლა. პლატონისა და სოკრატესათვის ზნეობის საფუძველი არის სიკეთის გააზრება, ცოდნა. მათი აზრით,

ადამიანში ზნეობა იმ უღიადესი, მარადიული კანონზომიერების სრულყოფილ ნაწილს გამოსახავს, რითაც მთელი სამყაროა გაუღენთილი.

ის თვით ბუნებაში, სამყაროში რომ არ ყოფილიყო, მაშინ ვერც ადამიანში გამოძლეავენდებოდა.

თუმცა, მრავლად არიან მოაზროვნენი, რომლებიც რაღაც მარადისობის კანონის ძიებით, ან იმ რეალური თუ ირეალური სამყაროს კვლევით, რომელიც აბსოლუტური გონითაა გაუღენთილი, თავს არ იწუხებენ. მათთვის ეს სისულელეა. მიიხედ-მიიხედეთ და მატერიალური სამყარო დაგანახებთ, რომ ყველაფერი ბოროტებითაა გაუღენთილი – ფიქრობენ ისინი. ასეთი გააზრებაც უხსოვარი დროიდან იწყება (გაიხსენეთ თუნდაც ზემოთ მოხსენიებული ზოგიერთი სოფისტი).

ასეთ მოაზროვნეთა რიცხვს ეკუთვნის ინგლისელი ფილოსოფოსი **თომას ჰობსი**. მან, მაკიაველის მიერ შემოთავაზებული, ადამიანის, როგორც ასოციალური არსების კონცეფცია, ასი წლის შემდეგ აიტაცა. მისი მოღვაწეობის პერიოდი 1640 წლის რევოლუციასა და 1649 წელს მეფის სიკვდილით დასჯას მოიცავს. ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე ის როიალისტურ წრეებთან იყო დაახლოებული, თუმცა შემკვიდრებითი მონარქიულობის კონცეფციას ბოლომდე არ იზიარებდა.

ჰობსი შემეცნების ემპირიულ თეორიას ეთანხმება (ასევე ფიქრობდნენ ბეკონი, ლოკი და სხვანი). ამ თეორიის თანახმად, ყოველგვარი ადამიანური ცოდნა ცდიდან გამომდინარეობს. მათთვის დეკარტესეული თანდაყოლილი იდეები არ არსებობს. მათთვის ადამიანის სული ცარიელი, სუფთა დაფაა, სადაც წარწერები მხოლოდ ცხოვრებისეული გამოცდილებით ჩნდება. შემეცნება გრძნობებით შემოდის. ასეთ გააზრებას ე.წ. **სენსუალიზმი** ეწოდება.

ჰობსი სახელმწიფოსა და სამართლის თავისებურ თეორიას ქმნის, რომლის საფუძველია მისი თავისებური, უარყოფითი შეხედულება ინდივიდზე. ჰობსის აზრით, თავდაპირველად ადამიანები ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობებით თანაბარნი იყვნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეულ მათგანს თანაბარი „უფლება ჰქონდა ყველაფერზე“. მისი აზრით, **ადამიანი მთელი არსით ეგოისტური არსებაა, ის გაუღენთილია სიზარბით, შიშით და პატივმოყვარეობით. ასეთივეა ყველა მის გარშემო, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.** შესაბამისად, ადამიანი მოშურნეთა, მოწინააღმდეგეთა, მტერთა გარემოცვაში იმყოფება. ყოველივე ეს ქმნის იმას, რომ **„ადამიანი ადამიანისათვის მგელია“**. ამას ფატალურ აუცილებლობასთან მივყავართ, რაც ნიშნავს – **„ყველას ომი, ყველას წინააღმდეგ“**. ცხადია, ასეთი ომის პირობებში ვიღაცის „უფლება ყველაფერზე“, ფაქტობრივად, არაფერზე უფლებას ნიშნავს. რა საოცარიც უნდა იყოს, ამ კომპარულ სისასტიკეს ჰობსი არც მეტი, არც ნაკლები, **„ადამიანის მოღვმის ბუნებრივ მდგომარეობას“** უწოდებს.

ღიას, ამ მეცნიერს ეჩვენება, რომ მან ამგვარი გააზრებით ადამიანის არსს მიაგნო, რითაც ყველა დროისა და ხალხის სოციალური ყოფის ბუნებრივი ფორმა გამოამჟღავნა. ჰობსის აზრით, ადამიანზე ბატონობენ არა მარტო ბუნების ის ძალები, რომლებიც მათში „ყველას ომს ყველას წინააღმდეგ“ აღვივებენ, არამედ სხვა თანდაყოლილი თვისებებიც; კერძოდ, ადამიანს ყველაზე რთული მდგომარეობიდან გამოსავლის მოძებნის უნარი აქვს; მას განვითარებული აქვს თვითგადარჩენის ინსტინქტი და თანდაყოლილი ბუნებრივი გონი. ბუნებრივი გონიდან იკვეთება ბუნებრივი კანონები (ჰობსისეული ბუნებრივი კანონზომიერება).

ჰობსისათვის მთავარია ბუნებრივი კანონი – **აუცილებელია მშვიდობის შენარჩუნებისკენ ვისწრაფოთ** (რათა არ ამოვხოცოთ ერთმანეთი). აქედან გამომდინარეობს მეორე ბუნებრივი კანონი: – **იმიტომ, რომ სიცოცხლე შევინარჩუნოთ, ყველამ უნდა დაეთმოთ ჩვენი უფლებები იმ დოზით, რასაც მშვიდობისა და თვითგადარჩენის ინტერესები ითხოვს.**

ცხადია, უფლებების დათმობაში იგულისხმება გარკვეულ ადამიანზე ან ადამიანთა ჯგუფზე ამ უფლებების ხელშეკრულებით გადაცემა. მეორე კანონიდან გამომდინარეობს მესამე – **ადამიანები ვალდებული არიან, შეასრულონ მათ მიერვე დადებული ხელშეკრულება.** სწორედ ამ მესამე ბუნებრივ კანონში არის სამართლის წყარო და საწყისი. აღნიშნული სამი მთავარი კანონის გარდა,

მან ჩამოაყალიბა კიდევ 16 მეორადი ბუნებრივი (მუდმივი და უცვლელი) კანონი, რომელთა საერთო აზრი შეიძლება ასე ჩამოაყალიბდეს:

– **ნუ ისურვებ სხვის შეჭმას, თუ არ გინდა, რომ შენ შეეჭმონ.**

შესაბამისად, ჰობსის კონცეფციის თანახმად, ხელშეკრულება აუცილებელი პირობაა, რათა ადამიანთა ურთიერთობაში მშვიდობა დამყარდეს. მაგრამ იმისათვის, რომ ეს იმპერატივად იქცეს, აუცილებელია ძალა. ამ ძალამ ჩვენი უფლებები მკაცრად უნდა შეზღუდოს. ის წყვეტს, რაა სამართლი და რა არ მიიჩნევა ასეთად. ცხადია, ეს ძალა არის სახელმწიფოს აბსოლუტური ძალაუფლება. ამ ძალის მქონეა სუვერენი. ის ფლობს უმაღლეს ძალაუფლებას, ხოლო სხვა დანარჩენი ქვეშევრდომნი უუფლებონი არიან.

ცხადია, მას შემდეგ, რაც ადამიანებმა საზოგადოებრივი ხელშეკრულება დადეს, მათ მმართველობის ფორმის შეცვლის, უმაღლესი ძალაუფლების ზემოქმედების არეალიდან თავდაღწევის შესაძლებლობა დაკარგეს. მათ სუვერენის გადაწყვეტილების მიმართ ყოველგვარი პროტესტის გამოხატვა აკრძალა. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ სუვერენი (უმაღლესი ხელისუფალი) თავისი ხალხის წინაშე არავითარი ხელშეკრულებით არაა პასუხისმგებელი.

ჰობსს სახელმწიფოს პოლიტიკური ფორმები დიდად არ აინტერესებს. მთავარია, ის ერთპიროვნული, აბსოლუტური ანუ ტოტალიტარული იყოს. სუვერენი კანონებს გამოსცემს; ადამიანთა შორის ნებისმიერ დავას წყვეტს; საკუთარი ნების შესაბამისად ომს აცხადებს და ზავს ხელს აწერს; ყველა თანამდებობის პირს მხოლოდ საკუთარი შეხედულებით ნიშნავს. ის ძალაუფლების მცირე ნაწილსაც არავის გადასცემს.

„გაუყოს ძალაუფლება სახელმწიფომ (სუვერენმა) ვილაცას – ეს სახელმწიფოს დანგრევია, რადგან ძალაუფლების დანაწევრება ნაწილების მიერ ერთმანეთის განადგურებას ნიშნავს“.

სუვერენს ქვეშევრდომების სიცოცხლესა თუ სიკვდილზე ერთპიროვნული მონოპოლიაც აქვს.

„სუვერენმა ნებისმიერი მიზეზით ქვეშევრდომის მიმართ რაც უნდა მოიმოქმედოს, ამის პირდაპირი გაგებით უსამართლოდ და უკანონოდ განხილვა არ შეიძლება“;

ქვეშევრდომს კი სუვერენის მიმართ არავითარი უფლებები არ გააჩნია. ჰობსი ხვდება იმას, რომ ასეთმა სისტემამ შეიძლება ხალხში უკმაყოფილება გამოიწვიოს, მაგრამ გვამშვიდებს:

„აბსოლუტურ ძალაუფლებაში არაფერია აუტანელი, შეიძლება შეიქმნას მხოლოდ უხერხულობა, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ადამიანთა განაწესი რაღაც უხერხულობის გარეშე არ შეიძლება იყოს. ეს უხერხულობა დამოკიდებულია ადამიანებზე და სუვერენი აქ არაფერ შუაშია“.

ქართულად ეს ნიშნავს, რომ თუ სახელმწიფო გდარცვავს, სიცოცხლეს გისწრაფებს, შეურაცხყოფას გაყენებს, აბსოლუტურად მორჩილი იყავი და არავითარ უხერხულობას არ იგრძნობ. ვლობია ასეთი მორჩილი იყო, ვიდრე დაიწყო „ომი ყველასი, ყველას წინააღმდეგ“. რა თქმა უნდა, ამბობს ჰობსი, სახელმწიფომ არა მარტო პოლიციური ფუნქცია უნდა შეასრულოს, არამედ ხალხის განათლებაზეც უნდა იზრუნოს.

მკითხველმა შეიძლება ამ კომპარის შემდეგ ამოისუნთქოს – თურმე ჰობსის სუვერენი ხალხის განათლებაზე მანც ზრუნავს. შეცდით. ჰობსის სახელმწიფოში განათლებას მხოლოდ ერთი ასპექტი აქვს – ხალხი იმ დონით უნდა განათლდეს, რომ შეიგრძნოს, თუ რა უსაზღვროა სუვერენის ძალაუფლება და მას ქვეშევრდომი რა მოწინებით უნდა დაემორჩილოს. ყველა სხვა განათლებას სახელმწიფოს ნგრევამდე მივყავართ.

რატომ? – გეტყვით – განათლება ბაღებს „მეამბოხე მეცნიერებს“. ისინი გაბედავენ და ჩაფიქრდებიან, „რაა სიკეთე, რა – ბოროტება, რაა სიმართლე, რა – უსამართლობა და შეიძლება ისე გათავსდნენ“, რომ ერთმანეთში დებატებიც დაიწყონ, გაბედონ და ცხოვრების წესიც თვითონ აირჩიონ, ანუ დაიწყონ გააზრება, რომელი ქმედებაა კარგი და რომელი – ცუდი. ამგვარ პოზიციას ჰობსი კატეგორიულად კრძალავს. მისთვის სიკეთისა და ბოროტების ერთადერთი საზომი სუვერენის მიერ დადგენილი სამოქალაქო კანონია. ერთადერთი მსაჯულია კანონმდებელი (მონარქი ან მის მიერ არჩეული ადამიანთა ჯგუფი). ანუ სიმართლეა მხოლოდ ის, რასაც გეტყვის მოსამართლე.

ვინც იმარჯვებს, მართალიც ისაა – ასე ესმის ჰობსს ზნეობა. თურმე, ადამიანს თანდაყოლილი სამართლიანობის გრძნობა, ზნეობა არ გააჩნია და მის გონებას საზოგადოების ცხოვრების წესების შემუშავების უნარი არა აქვს.

საოცარია, რომ უმრავლესობას დღესაც ასევე ესმის მმართველობის არსი.

ჰობსის აზრით, „მეამბოხე მეცნიერები“ ცრუ სწავლებას ბაღებენ, ამიტომ სასტიკად უნდა ვებრძოლოთ ამ ცრუ სწავლებებს. ის გრძნობს, რომ ხალხს მცირედი უფლება მაინც უნდა ჰქონდეს და ამბოხების უფლება შემოაქვს. თუმცა, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ სუვერენი ადამიანს თვითმკვლელობას, ან საკუთარი თავის ფიზიკურ დასახინრებას აიძულებს. ჰობსი სუვერენს ამგვარ იძულებით ზემოქმედებას არ ურჩევს, არა ამორალობის, არამედ ძალაუფლების დაკარგვის რისკის გამო.

გამოდის, რომ უკმაყოფილების გამოთქმა მხოლოდ მაშინ შეგიძლია, თუ საკუთარი ფეხის, ყურის . . . მოჭრას გიბრძანებენ და თუ ამას სახელმწიფო, ანუ ჯალათი აკეთებს, ამ შემთხვევაში, ამბოხების უფლება არა გაქვს.

ჰობსი საკუთარი თეზისების დასაცავად ცდილობს, „მეცნიერულ ანალიზს“ დაეყრდნოს. კერძოდ, ნაშრომში „ლევიათანი“ იგი თავდაპირველად სახელმწიფოს ადამიანის ორგანიზმს აღარებს. მაგ., სუვერენი არის სახელმწიფოს სული, საიდუმლო აგენტები სახელმწიფოს თვალები . . . **მორჩილება ჯანმრთელობაა, ამბოხი – ამ ორგანიზმის ავადმყოფობა.** თუმცა, მის შრომაში თანდათან პირველის გამომრიცხავი ანალოგიაც იკვეთება. თურმე, სახელმწიფო სხვადასხვა ზამბარებით, ბერკეტებით, ბორბლებით, თოკებით. . . შექმნილ – „მექანიკურ ადამიანს“ უნდა შევადაროთ. ამით კი ჰობსი საკუთარ თავს ეწინააღმდეგება.

ამრიგად, ჰობსისათვის სახელმწიფო ხან ორგანულია, ხან მისი გამომრიცხავი – მექანიკური, ხელოვნური. ის ამას გრძნობს და, ამ თითქმის გამოუვალ მიდგომარეობიდან მშვენივრად გამოდის. თურმე, ნუ იტყვი და, აქ არაერთი წინააღმდეგობა არ არსებობს, იმ უმარტივესი მიზეზით, რომ თვით ბუნება, სამყარო, მასში არსებული სულიერი თუ უსულო, ყველაფერი მექანიკაა, მექანიზმია. ჰობსი ამ მსჯელობით რელიგიასთან წინააღმდეგობაში შედის და ეს არცაა გასაკვირი, რადგან იმ დროს ინგლისში კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის ბრძოლა გამოთავყვანებამდე ღვიდა. შესაბამისად, იმ პერიოდში ფილოსოფიის რელიგიისგან გათავისუფლების მცდელობამ დიდი აქტუალობა შეიძინა. ადამიანებს ეთიკისა და ფილოსოფიის რელიგიისგან გამიჯვნა პროგრესულ ნაბიჯად მოეჩვენათ და ჰობსის შრომების პოპულარიზაციაც აქედან იწყება.

საზოგადოების, სახელმწიფოს და სამართლის პრობლემებისადმი ახალი, რაციონალური მიდგომა იკვეთება ჰოლანდიელი ფილოსოფოსის და პოლიტიკური მოაზროვნის **ბარუხ (ბენედიქტ) სპინოზას** შემოქმედებაში (1632-1677). მისი შეხედულებები ჩამოყალიბებულია შრომებში „საღვთისმეტყველო-პოლიტიკური ტრაქტატი“ (1670), „ეთიკა, დამტკიცებული გეომეტრიული მეთოდით“ (1675) და „პოლიტიკური ტრაქტატი“ (1677).

მისი აზრით, ბუნების რაციონალურად შემეცნებისათვის არსებობს ერთადერთი შესაბამისი, ადეკვატური – დედუქციურ-აქსიომატური მათემატიკური მეთოდი, რადგან ყველაფერი, რაც ბუნებაში ხდება ან აუცილებლობაა, ან ამ აუცილებლობიდან გამომდინარეობს. სპინოზა „შესამეცნებელ ობიექტებს“ ყოფს ორ ჯგუფად: – „ის, რომელიც კანონის საფუძველზე მტკიცებადია“ და ის, რაც

„არამტკიცებადია“ და მხოლოდ „მორალური ნდობით“ უნდა მივიღოთ. მაგ., ეკვლიდეს თეორემებს ყველა მტკიცებულების გარეშე სწვდება და შემდეგ ამტკიცებენ. ხოლო „სამართალს, განკარგულებებს და ადათს მე ვუწოდებ მისაწვდომს და ნათელს, მიუხედავად იმისა, რომ მათი მათემატიკურად მტკიცება შეუძლებელია“.

ბუნების კანონებს სპინოზა შემდეგნაირად ახასიათებს: „ღვთის გადაწყვეტილება, აღმოჩენილი ბუნებრივი სინათლით“. ე.ი აღმოჩენა ხდება ადამიანის გონებით და არა ღვთის ზემოთგონებით. ბუნების წესებით და კანონებით ხდება ყველაფერი, ესაა ბუნების „ქმედების ძალა და სიმძლავრე“. რადგან ადამიანი ბუნების ნაწილია, ამიტომ მასზე ყველა ბუნებრივი კანონზომიერება და აუცილებლობა ვრცელდება.

ბუნებრივი სამართალი კრძალავს მხოლოდ იმას, რაც არავის უნდა და რაც არავის შეუძლია. ამიტომ, ბუნებრივი სამართალი ადამიანები ერთმანეთის მტრები არიან. . . და ამ სიტყვებით სპინოზა ჰობსის უწვდის ხელს. ეტყობა, მასზე ჰობსის „ლევიათანმა“ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა. სპინოზასათვის ბუნებრივ მდგომარეობაში ყველა თანასწორია იმ აზრით, რომ მათ შესაძლებლობას, საკუთარი სურვილის მიხედვით ყველაფერზე უფლება ჰქონდეთ, ერთნაირი საფუძველი აქვს და არა აქვს მნიშვნელობა, ადამიანი ძლიერია თუ სუსტი, ჭკვიანი თუ სულები. თუმცა, ამ სურვილების აღსრულება დამოკიდებულია ამ სურვილთა ზომებსა და ადამიანთა ფაქტობრივ სიმძლავრეზე (გონებრივსა და ფიზიკურზე). იმ ბუნებრივ მდგომარეობაში, რომელშიც არ არსებობს ყველასათვის საერთო სამართალი, თვითშენარჩუნება, სურვილის აღსრულება და უსაფრთხო არსებობა გარანტირებული არ იქნება. ამიტომ, ადამიანებს თვით ბუნება და ბუნებრივი აუცილებლობა ასეთი ჩიხიდან გამოსვლის გზას კარნახობს და საერთო ხელშეკრულებისაკენ, ანუ სახელმწიფოს ჩამოყალიბებისაკენ მოუწოდებს. ადამიანი ორი სიკეთიდან ირჩევს უფრო უკეთესს და ორი უბედურებიდან უმცირესს. მისი აზრით, ესაა ის მუდმივი ჭეშმარიტება, რომელიც აღბეჭდილია ადამიანის ბუნებაზე და ეს ყველამ იცის. სპინოზას აზრით, ყველა არსებული პოლიტიკური სწავლების ავტორთა შეცდომა ისაა, რომ ისინი ადამიანს რეალურად კი არ აღიქვამენ, **„არამედ ისეთად – როგორც უნდათ რომ იყოს“.**

ამიტომ, თითოეულმა თავისი ძალა (უფლებები) საზოგადოებას უნდა გადასცეს და შემდეგ, ყოველი მათგანი სახელმწიფოს (ნებაყოფლობით, ან მკაცრი სასჯელის შიშით) უნდა დაემორჩილოს. თვით სახელმწიფო კი „არაა შეზღუდული არავითარი კანონით, პირიქით, უმაღლესი ხელისუფლება თავად ადგენს რაა სიკეთე, რა – ბოროტება, რაა სამართლიანობა და რა – არა. ყველა უნდა დაემორჩილოს მას ყველაფერში“.

სპინოზა აღიარებს, რომ ეს მხოლოდ თეორიული გააზრებაა და რეალურად თუნდაც იმიტომ არ აღსრულდება, რომ მთელი შენი სიმძლავრის (უფლებები) სხვისთვის გადაცემა და იმავდროულად ადამიანად დარჩენა შეუძლებელია. **თურმე, ჩვენში მაინც რჩება რაღაც ძალა და ეს აიძულებს ხელისუფლებას ჯანსაღ აზრს მოუხმოს, რაღაც ჩარჩოებში ჩაეჭიოს, მთლად არ გაგიჟდეს და საკუთარი გამოგონილი კანონები თავადვე არ დაარღვიოს.**

სახელმწიფომ ადამიანს ისეთი რამ არ უნდა მოსთხოვოს, რისი შესრულება, არც წახალისებით და არც სიკვდილის შიშით არავის შეუძლია (მაგ., მშობლების ან შვილების დახოცვა).

ე.ი. მაინც არსებობს ღვთის კანონები, რომელთაც სახელმწიფოს სასარგებლოდ ადამიანის ბუნებიდან ვერ აღმოგზვრი. რატომღაც, ამ საკითხზე ღრმად დაფიქრებას ჰობსიცა და სპინოზაც თავს არიდებდნენ?!

სპინოზას აზრით, ქვეშევრდომებს ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევის ან დაღვენილებებისა თუ კანონების შეცვლის უფლება არა აქვთ. არც სახელმწიფოს აქვს ხელშეკრულების

დარღვევის უფლება, რადგან საერთო შიში შეიძლება აღმოფხვრებაში გადაიზარდოს და ამ შემთხვევაში სპინოზა აღიარებს ადამიანთა ბუნებრივ უფლებას – აჯანყება მოაწყონ.

მთელი ეს გაუგებრობა იქიდან წარმოიშობა, რომ სპინოზა ღვთიურ სამართალს ბუნებრივ სამართალთან არ აიგივებს. დემოკრატიისადმი სიმპათიების მიუხედავად, ის მონარქიასა და არისტოკრატიულ მმართველობაშიც რაღაც სასიკეთოს ხედავს. ეს „სასიკეთო“ ასე შეიძლება გავიაზროთ: – რადგან ერთ ადამიანს (მონარქს) არ შეუძლია ათვისოსის ყველას მიერ გაცემული სიმძლავრე, უფლებები, ამიტომ ის ამ უფლებების ნაწილს მისთვის სასურველ ადამიანებს, ახლობლებს უწილადებს და რეალურად შენიღბულ არისტოკრატიულ მმართველობას ვიღებთ. ასეთი მდგომარეობა მაინცდამაინც არ მოსწონს სპინოზას. ამიტომ, მისი აზრით, უკეთესია, თუ მმართველის მრჩეველები სხვადასხვა სოციალური ფენებიდან შეირჩევიან. არისტოკრატიული მმართველობა მისაღებია იმ შემთხვევაში, თუ არისტოკრატების რიცხვი დიდია და ისინი სხვადასხვა ქალაქებში ცხოვრობენ (ფაქტობრივად ფედერალური მმართველობა).

ჯონ ლოკი (1632-1704). მოგეხსენებათ, 1688 წ. ინგლისში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა. მეფე ჯეიმს II სტიუარტი, რომელიც აბსოლუტურ მმართველობას ამკვიდრებდა, ქვეყნიდან გაიქცა. სამეფო ტახტი დაიკავა უილიამ ორანელმა. ის დაყაბულდა კონსტიტუციურ მონარქიას. არისტოკრატიასა და ბურჟუაზიას შორის კომპრომისი გამოიკვეთა. სწორედ ამ კომპრომისის იდეოლოგი გახლდათ ჯ. ლოკი. მან თავისი პოლიტიკურ-იურიდიული შეხედულებები ჩამოაყალიბა ნაშრომში „სახელმწიფოს მმართველობის ორი ტრაქტატი“ (1690). მის შრომებში ლიბერალიზმის დოქტრინა გამოიკვეთა. ცხადია, ეს დოქტრინა სახელმწიფოს წარმოშობის გააზრებით იწყება. თუმცა, მკაცრად რომ მივუდგეთ, ჯ. ლოკი სახელმწიფოს გენეზისს მთელი სპეციფიკით და კონკრეტულობით არ იხილავს. მას სახელმწიფოს ორგანიზაციული, ეთიკური და იურიდიული საფუძვლები აინტერესებს. ჰობსისგან განსხვავებით, ლოკი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოების წარმოქმნამდე არავითარი „ყველას ომი, ყველას წინააღმდეგ“ არ არსებობდა. უბრალოდ, მაშინ ადამიანები საკუთარი თავისა და ქონების განკარგვის უფლებას არავისგან იღებდნენ და არც ვინმეს ნებას ემორჩილებოდნენ; ბუნებრივი კანონზომიერება, და აქედან გამომდინარე, თანასწორობა ბატონობდა. თუმცა, სისტემა, რომელიც ბუნებრივ კანონებს მიუკერძოებლად აღასრულებდა, არ არსებობდა, რაც ადამიანთა უშფოთველ ცხოვრებას არღვევდა. ადამიანებმა იფიქრეს და გადაწყვიტეს ბუნებრივი კანონებისა და თანასწორობის დამკვიდრებისათვის პოლიტიკური სისტემა შეექმნათ. ლოკის ნააზრევში, ადამიანთა ნებით სახელმწიფოს შექმნა გამოიკვეთა; ამრიგად, ადამიანებმა საღი გონების კარნახით, სახელმწიფოსათვის გადასაცემ უფლება-მოვალეობათა მოცულობა ზუსტად განსაზღვრეს. ლოკისთვის მიუღებელია ადამიანთა ბუნებრივი უფლებების, ნების სახელმწიფოსათვის სრულად გადაცემა.

ადამიანს უფლება სიცოცხლესა და ცხოვრებაზე, ქონებაზე, თავისუფლებასა და თანასწორობაზე არასდროს გაუსხვისებია. ეს სახელმწიფოს მხრიდან ხელშეუხებელი ფასეულობებია და შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან მათი უგულებელყოფა დაუშვებელია.

ლოკმა ძალაუფლების დანაწევრება მკაცრად მოითხოვა, რითაც საკუთარ მასწავლებელს – ჰობსს – მკვეთრად დაუპირისპირდა. ლოკის შრომებში კონსტიტუციური სახელმწიფოს იდეოლოგია გამოიკვეთა. „**იქ, სადაც არ არის კანონი, არაა თავისუფლება**“ – ეს იდეა აიტაცა **შარლ მონტესკიემ**. მონტესკიე ლოკის შრომების გამოქვეყნებიდან ასი წლის შემდეგ ქმნის ნაშრომებს: „**ორი ტრაქტატი სახელმწიფოს მმართველობაზე**“, „**ადამიანისა და მოქალაქის დეკლარაცია**“, (რომელიც მოგვიანებით მიღებულ იქნა საფრანგეთის ეროვნული კრების მიერ 1789 წელს 26 აგვისტოს) და მის საფუძველზე გამოცხადდა:

– „**საზოგადოება, რომელშიც უფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილი არაა და ძალაუფლების გადანაწილება არ ხდება, კონსტიტუციას არ ფლობს**“.

ლოკი არ განიხილავს სახელმწიფოს კონკრეტულ ფორმას, მოწყობას. მისთვის მთავარია, სახელმწიფოში აბსოლუტური ძალაუფლების მქონე მმართველობა არ დამკვიდრდეს.

მთავარია იყოს „მმართველობის ისეთი სტრუქტურა“, რომელიც დაიცავს ბუნებრივ სამართალს და ინდივიდის თავისუფლებას, იმ კეთილდღეობას, რომელიც საყოველთაო იქნება. ირღვევა ეს მოთხოვნა, ირღვევა სახელმწიფო.

ამავე პერიოდის მოღვაწეა გერმანელი მეცნიერი **გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცი** (1646 -1716 წწ). მან სახელი საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში, განსაკუთრებით მათემატიკაში გაითქვა. ლაიბნიცმა ნიუტონისაგან დამოუკიდებლად დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვა, ანუ უმაღლესი მათემატიკა ჩამოაყალიბა. მის მიერ გამოგონილი გამოთვლელი მანქანა კომპიუტერული ტექნიკის განვითარების საფუძველია. სწორედ ლაიბნიცის აზროვნების ბაზაზე ჩაეყარა საფუძველი XX საუკუნეში განვითარებულ კიბერნეტიკის დარგს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ლაიბნიცი განათლებით იურისტი გახლდათ. მან განათლება ლაიფციგისა და იენის უნივერსიტეტებში მიიღო. 1666წ. მას მიენიჭა ფილოსოფიის მაგისტრის წოდება დისერტაციისათვის „კომბინატორული ხელოვნების შესახებ“. ჰერცოგ ჰანოვერის სასახლეში 1676 წ.-დან სიცოცხლის ბოლომდე საიდუმლო მრჩევლის მაღალი თანამდებობა ეკავა და სამართალს, პოლიტიკას, ეკონომიკასა და დიპლომატიურ საკითხებს განკარგავდა. ასეთივე თანამდებობები ეკავა ავსტრიის, ბრანდერბურგისა და რუსეთის სასახლეებში. მისი პოლიტიკურ-სამართლებრივი შეხედულებები ზოგადსამეცნიერო და მეტაფიზიკური საფუძვლებიდან გამომდინარეობს.

ღმრთისგან შექმნილი სამყარო საუკეთესოა ყველა შესაძლო სამყაროთაგან, რადგან მასში ღვთაებრივი ჰარმონია მეფობს. აქ ქმედითუნარიანობა და უსასრულო რაოდენობის მონადათა პროგრესული განვითარება სრულ ჰარმონიას ქმნის. (მონადა – ბერძ. ერთი, განუყოფელი – ლაიბნიცისათვის პირველადი სულიერი ელემენტი (სუბსტანცია), რომლისაგანაც იქმნება სამყარო). ლაიბნიცის მონადათა არსი ქმედებაა.

თითოეული მონადა აღქმის უნარს და სწრაფვას ამჟღავნებს. მონადები „სიცოცხლის საწყისნი“ არიან და მთელ ბუნებაში განიფინებიან. ისინი საკუთარ არსში მთელ კოსმოსს იღებენ და თითოეული მათგანი, როგორც „სამყაროს სარკე“, მიკროკოსმოსს წარმოადგენს. არაორგანულ სამყაროში მონადები სუბსტანციურ ფორმას ქმნიან. მონადა, რომელიც გრძობას ფლობს, სამშენველია. მონადა, რომელიც გონს ფლობს – სული. მთელი სამყარო არის მონადების უწყვეტი კიბე უმდაბლესი მონადიდან – გონიერი ადამიანის სულამდე.

უმაღლესი მონადაა ღმერთი – ყველა სხვა მონადების შემქმნელი, მარადიული ჭეშმარიტების საფუძველი, მსოფლიო ჰარმონიის შემოქმედი და სამყაროს სრულყოფილების გარანტი.

ლაიბნიცის რაციონალურ „თეოდიცეა“-ს მიხედვით (ღვთის გამართლება ამ ცოდვილ მიწაზე ბოროტების არსებობასთან მიმართებაში) ღმერთში იგულისხმება „ფილოსოფიური“ ღმერთი, რომლის ძირითადი ატრიბუტია გონი, არსი კი – წმინდა ქმედებაა. ღვთის მიერ შექმნილ სამყაროში ბოროტების არსებობას ლაიბნიცი ასე ხსნის:

„ბოროტება შესაძლებელია გავიანზროთ მეტაფიზიკურად, ფიზიკურად და მორალურად. მეტაფიზიკური აზრით, ბოროტება არის არასრულყოფილება. ფიზიკურად – ტანჯვა, მორალურად – ცოდვა.“

„რადგან ფიზიკური და მორალური ბოროტება არაა აუცილებელი (ტანჯვა და ცოდვა აუცილებლობას არ წარმოადგენს), მაშინ საკმარისია, რომ ის, მარადიული ჭეშმარიტებიდან გამომდინარე, უბრალოდ შესაძლებლობის სახით არსებობდეს. . . აი, ესაა ბოროტების დაშვების ღვთიური განსაზღვრება“. ღვთის მარადიული ჭეშმარიტების არეალში, სივრცეში, ღვთის გონის სიღრმეში „არსებობს

არა მარტო სიკეთის პირველსაწყისი ფორმა, არამედ ბოროტების საწყისიც“. ამრიგად, ბოროტების შესაძლებლობა რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა სიკეთე.

„ბოროტება სიკეთის აუცილებელი პირობაა, მაგრამ არა აუცილებლობის პრინციპიდან გამომდინარე, არამედ შესაბამისობის პრინციპიდან გამომდინარე. ჩემ მიერ დაშვებული განსაზღვრება ყოველთვის უნდა გავიგოთ, როგორც განზრახვა, წადილის თვალსაზრისით, და არა, როგორც იძულება. ბოროტი განზრახვა ახასიათებს და შეესაბამება არა ღმერთს, არამედ არასრულყოფილ და შეზღუდულ ქმნილებებს, რომლებიც საკუთარი ქმედებებით ბოროტებას ამკვიდრებენ. ასეთი უწესრიგობა, არასრულყოფილება, შეზღუდულობა საოცარი ძალით ააშკარავებს მთლიანის სილამაზეს (ბოროტების შედეგის ფონზე სიკეთე უფრო ნათლად ჩანს) ისევე, როგორც რაღაც გააზრებულად დაშვებული დისონანსი ჰარმონიას უფრო სრულყოფილად წარმოაჩენს“.

ზოგადად შეიძლება ვთქვათ: – გზა ყველა შესაძლო სამყაროდან საუკეთესო სამყაროში გადასასვლელად სიკეთეზე გადის. ღმერთს არ სურს მორალური და ფიზიკური ბოროტება. ფიზიკური ბოროტება საკადრისი სასჯელია დანაშაულისათვის, გაფრთხილებაა უფრო დიდი ბოროტების თავიდან ასაცილებლად. ბოროტებას სიკეთის დაფასებასა და შეცნობამდე ხშირად მივყავართ. ეტყობა, აქ ლაიბნიცი თავისსავე მსჯელობაში რაღაც შეუსაბამობას გრძნობს, ამიტომ მტკიცებულების გარეშე კატეგორიულად მოითხოვს – „**ნუ ჩაიდნებ ბოროტებას, რათა მიაღწიოთ სიკეთეს.**“

ადამიანის გონიერება მისი თავისუფლების ფესვია. ალბათ, ლაიბნიცის ეს გააზრება არისტოტელეს აზრს ეყრდნობა: თავისუფალია ქმედება, რომელიც, არა სპონტანურად, არამედ გააზრების შემდეგ იწყება.

ლაიბნიცის აზრით, ადამიანი, რომელიც ფლობს თავისუფალ ნებას და გონს, საკუთარ სამყაროში პატარა ღმერთით მოქმედებს. „**ადამიანი პატარა ღმერთია საკუთარ სამყაროში, ანუ მიკროკოსმოსში, რომელსაც მისთვის მანსაიათებელი მანერით მართავს, ქმნის საოცრებებს და მისი ეს ხელოვნება ხშირად ბუნების მიბაძვია.**“ თავისუფალი ნება სხვადასხვაგვარად მუდავნდება და ხშირად მას დიდ ცოდვებთანაც მივყავართ. ამ დროს ადამიანი ისჯება, თუმცა, ამ „მცირე სამყაროების“ (ადამიანის) ცოდვების გაცნობიერებას ღმერთი გასაოცარი ხელოვნებით, სამყაროს საილუმოებრივ მშვენიერებად გარდაქმნის. ეს, მართლაც, საოცრად საინტერესო აზრია.

მიწიერი მმართველების ძალაუფლებას ლაიბნიცი ღვთის ძალაუფლებას ადარებს, ანუ „**ხელისუფალმა ისე უნდა მართოს სახელმწიფო, როგორც ღმერთი მართავს მთელ სამყაროს, თუ სურს, რომ თავისი შრომით აყვავებული ქვეყნისაგან ნეტარება მიიღოს.**“ „**ადამიანთა კანონები – ესაა ღვთის კანონების ზღურბლი, რომელმაც ჩვენი ცდუნებანი უნდა შეაჩეროს. ამ კანონებმა სიკეთესთან უნდა გვაზიარონ და სიკეთე მოგვიტანონ.**“

ასეთი ღრმა და ლამაზი თეოლოგიური გააზრების მიუხედავად, ის მოულოდნელად აცხადებს, რომ სახელმწიფო ძალაუფლებისა და კანონმდებლობის საკითხები არა თეოლოგიის, არამედ იურისპრუდენციის პრეროგატივაა. არ ვიცი, ლაიბნიცი ამჩნევს თუ არა თავისივე ნააზრევის დისონანსს, მაგრამ მოგვიანებით აცხადებს, რომ თვით თეოლოგია თავისებური იურისპრუდენციააო (!!).

ღმერთმა შემინდოს თუ ვცდები, მაგრამ მგონია, რომ ათასმა ტალერმა, რომელიც რუსეთის იმპერატორმა – პეტრე პირველმა – ბატონ ლაიბნიცს წლიურ ხელფასად დაუნიშნა, მის აზროვნებაზე უდიდესი გავლენა იქონია. ფაქტია, რომ ლაიბნიცისათვის „პეტრეს რუსეთზე“ უკეთესი ქვეყანა არ არსებობს და თვით იმპერატორი პეტრე, თურმე ამ ცოდვილ მიწაზე ღვთის განსაზიარებაა. მისთვის მიუღებელია დემოკრატია და აღიარებს განათლებულ მონარქს.

ამავე დროს, ლაიბნიცი ერთმანეთისაგან გამიჯნავს ბუნებრივ და ხელოვნურ – პოზიტიურ სამართალს და მიიჩნევს, რომ პოზიტიური ბუნებრივი სამართლისაგან უნდა გამომდინარეობდეს.

ლაიბნიცის მათემატიკისადმი სიყვარული მეღავნდება ფრაზაში: – როცა სახელმწიფოებრივ საკითხებზე დავა იწყება, მონაწილეებმა სიტყვებით ჟონგლიორობა უნდა შეწყვიტონ და ერთმანეთს უთხრან: „მოდით დავთვალოთ“!

ლაიბნიცი ჰობსის შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევს, თუმცა აღიარებს, რომ ჰობსმა სუვერენის ძალაუფლების საკითხში ცოტა გადააჭარბაო. და თუ სუვერენის ქმედება აღვირახსნილ ტირანიაში გადადის, ლაიბნიცი ხალხს უკმაყოფილების გამოთქმის უფლებას უტოვებს.

მისი სიტყვებია – **„უბრალო ხალხი მართებულად იქცევა, თუ ღირსეული ცხოვრებისათვის უშიშრად დაარღვევს საკუთარ უწყინარ ცხოვრებას და აღშფოთების გრძობას, სინანულს და სხვა სულიერ განცდებს დაემორჩილება“**. ლაიბნიცმა ევროპული აზრის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

ქრონოლოგიურად, ჩვენ ევროპელ განმანათლებლებს მივუახლოვდით.

მათ მთავარ სულისჩამდგმელ ლიდერად აღიარებულია ვოლტერი (ნამდვილი სახელი – ფრანსუა მარი არუე. 1694–1778). პოლიტიკურ-იურიდიული მეცნიერების განვითარებაში ვოლტერს, გოცოუსის, ჰობსის, ლოკის, მონტესკიეს და რუსოს მსგავსად, მნიშვნელოვანი კვალი არ დაუტოვებია. ვოლტერს საკუთარი შეხედულებები პოლიტიკურ-სამართლებრივ საკითხებზე სისტემური სახით არა აქვს ჩამოყალიბებული. მისი მოსაზრებანი ამ მიმართულებით მთელ მის შემოქმედებაში ფრაგმენტული სახითაა გაბნეული. იგი მანამდე არსებულ სოციალურ, პოლიტიკურ, იურიდიულ, იდეოლოგიურ თეორიებს მკაცრად აკრიტიკებს და დასცინის. ამავე დროს, ის თავისუფლების, ჰუმანიზმის, შემწყნარებლობის აპოლოგეტია. მისი ძირითადი სამიზნეა გაუნათლებლობა, ცრურწმენა, გონებაზე ზეწოლა. და რა თქმა უნდა, ყველაფერში დამნაშავეა ეკლესია, კათოლიციზმი. ვოლტერი ღმერთსაც გადასწვდა, მღვდლებზე აღარაფერს ვამბობთ. . . მისთვის ღმერთი არის ტირანი. უნდა აღინიშნოს, რომ ამავე დროს ვოლტერი რელიგიას და რელიგიურობას არ უარყოფს. აქედან, მისი ცნობილი გამოთქმა **„ღმერთი რომ არ ყოფილიყო, ის უნდა გამოგვეკონა“**. რელიგია, ვოლტერის გაგებით მასებისათვის აუცილებელი აღვირია.

მნელა, ეჭვი შეიტანო ვოლტერის დემოკრატიისადმი ცინიკურ დამოკიდებულებაში. მისი პრინციპები, განმანათლებლობის იდეა **„არ ენება მკერავებსა და მეწაღებს“** – ამბობს იგი.

დამაფიქრებელია ერთი რამ – ადამიანი, რომელიც უდიდეს მოაზროვნედ ითვლება, ვისთვისაც განათლება, ინტელექტი, აზროვნების უნარი ყველაფერია, სერიოზულად აცხადებს: – **„თუ მასები დაიწყებენ ფიქრს, ყველაფერი დაიღუპება“**.

რა გასაკვირიც უნდა იყოს, ვოლტერი იმავდროულად აღიარებს და პატივს სცემს ბუნებრივ სამართალს, თავისუფლებას და თანასწორობას. მისთვის თავისუფლება უპირველესად პიროვნების თავისუფლებით შემოიფარგლება. იმავდროულად, **„თავისუფლება იმაში მდგომარეობს, რომ ის კანონზე იყოს დამოკიდებული“**. აქედან აღმოცენდა გამოთქმა – **„კანონის ბატონობა“**. იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამს **პიროვნების სინდისის თავისუფლებას**. პოლიტიკურ-სამართლებრივ ისტორიაში ხშირად ადვილი აქვს დაპირისპირებას თავისუფლებისა და თანასწორობის საკითხის განხილვისას. ერთნი აღიარებენ მხოლოდ თავისუფლებას, მეორენი კი – მხოლოდ თანასწორობას. ვოლტერი პირიქით აცხადებს: **„იყო თავისუფალი, გარშემო მხოლოდ თანატოლები გყავდეს, ესაა ჭეშმარიტი ცხოვრება, ადამიანის ბუნებრივი ცხოვრება“**. გაუგებარია, რა ეშველებათ დანარჩენებს, ვინც ბატონ ვოლტერზე უფრო მაღლა ან დაბლა ღვანან (შეიძლება ვოლტერი დარწმუნებული იყო, რომ მასზე მაღლა არავინაა). ის არ აღიარებს არისტოკრატიას, ებრძვის პრივილეგიებს და მომხრეა აბსოლუტიზმის, ოღონდ განათლებული აბსოლუტიზმის. **„ყველაზე დიდი ბედნიერებაა, როცა ხელმწიფე ფილოსოფოსია“**. მიუხედავად ამისა, მიესალმება ინგლისში დამყარებულ კონსტიტუციურ-მონარქიულ მმართველობას. ანუ, როგორც უნდა ისე ჭრის და კერავს. რას იზამთ, ის ვოლტერია.

ჟან ჟაკ რუსო (1712-1778) ერთ-ერთი ორიგინალური მოაზროვნეა. მისი საზოგადოებრივი და პოლიტიკურ-სამართლებრივი შეხედულებები გამოიკვეთა შრომებში: „მსჯელობა საკითხზე: შეუწყო თუ არა ხელი მეცნიერებისა და ხელოვნების აღორძინებამ ზნეობის დახვეწას?“ (1750), „ადამიანთა შორის წარმოშობილ და უთანასწორობის ძირითად საფუძვლებზე მსჯელობა“ (1754), „პოლიტიკურ ეკონომიკაზე“ (1755), „საზოგადოებრივ ხელშეკრულებაზე, ანუ პოლიტიკური სამართლის პრინციპები“ (1762).

ჟან ჟაკ რუსოს ორიგინალური აზროვნება ჰობსის მიერ დამკვიდრებულ ადამიანთა ბუნებრივი მდგომარეობის ჰიპოთეზას ეფუძნება. „ბუნებრივ მდგომარეობაში არ არსებობს კერძო საკუთრება, ყველა თავისუფალია და თანასწორი. კერძო საკუთრების გაჩენისთანავე იწყება ბრძოლა მდიდრებსა და ღარიბებს შორის. ამ მდგომარეობიდან გამოსვლა ინსპირირებული იყო მდიდრების „ეშმაკური“ (თაღლითური) მტკიცებულებებითა და შეთანხმებით ისეთი სახელმწიფო ძალაუფლებისა და კანონმდებლობის შექმნის შესახებ, რომლითაც, თითქოს ყველას სასიცოცხლო ინტერესები დაკმაყოფილდებოდა. ამით „სუსტებს ახალი სიძმიძე დააწვით და ძლიერებს ახალი ძალა შეემატათ, განადგურდა ბუნებრივი თავისუფლება, საძუძამოდ დადგინდა საკუთრების და უთანასწორობის კანონი და განზორციელდა ეშმაკური უზურპაცია; მდიდართა უფლებები ხელშეუხებელი გახდა და ერთი მუჟა პატივმოყვარე სუბიექტების გამო ადამიანთა მოდგმა განწირულ იქნა მონობის, სიღარიბისა და დამამცირებელი შრომისათვის“. ანუ, უბრალოდ რომ ვთქვათ, დაიწყო დესპოტიზმი, რომლის მიხედვით, დესპოტის წინაშე ყველა თანაბრად უფლებო და მონაა. აქედან გამომდინარე, რუსო თავის „პოლიტიკური ორგანიზმის შექმნის კონცეფციას ავითარებს. ეს არის „ხელშეკრულება ხალხსა და ხელისუფლებას შორის“. მისი აზრით: საზოგადოებრივი ხელშეკრულებით სახელმწიფოს შექმნა და ბუნებრივი მდგომარეობიდან სამოქალაქოზე გადასვლა გონივრული გააზრების, სამართლიანობისა და სამართლის ხედვის კუთხიდან მისაღებაა. ჩვენი აზრით, რუსოს მსჯელობა წინააღმდეგობრივია; ერთი მხრივ, ის ამტკიცებს, რომ სამართლიანობის ხედვის კუთხიდან გამომდინარე, ხელშეკრულებით შექმნილი სახელმწიფო გამართლებულია, ხელშეკრულებითი თეორია სახელმწიფოს შექმნის საფუძველია; მეორე მხრივ, ხელშეკრულებითმა თეორიამ გამოიწვია, საკუთრებისა და უთანასწორობის დამკვიდრება.

მისი ნაშრომის – „საზოგადოებრივი ხელშეკრულების შესახებ . . .“ – პირველი წინადადება – „ადამიანი იბადება თავისუფალ არსებად, მაგრამ ის ყოველმხრივ შებოჭილია“ – რუსოს შემოქმედების ორიენტირად იქცა. ამიტომ, რუსოს აზრით, „ოქროს საუკუნისაკენ“, ბუნებრივი მდგომარეობისაკენ, თავისუფლებისა და თანასწორობისაკენ უნდა მოიძებნოს გზები. საჭიროა ახალი ფორმის მოძებნა, რათა ხალხი სახელმწიფოს შექმნამდე არსებულ მდგომარეობას დაუბრუნდეს.

საოცარი ისაა, რომ აბსოლუტური მონარქიის მიმდევრები ასეთივე ლოგიკით, პირიქით ამტკიცებენ, რომ მონარქთან მიმართებაში ადამიანები ყოველგვარი უფლებების გარეშე იბადებიან.

უფრო სინტერესოა რუსოს მიერ შემდეგ განვითარებული ლოგიკა – „... მანამ, სანამ ხალხი იბულებულია მორჩილებაში იყოს და მორჩილებაშია, კარგად იქცევა, მაგრამ როგორც კი მას შესაძლებლობა ეძლევა მოიშოროს ბორკილები, თავისუფლდება მისგან და ამ ქმედებით უფრო უკეთესად იქცევა. ხალხი თავისუფლებას იმავე უფლებებით იბრუნებს, რა უფლებითაც წაერთვა ის. ხალხს აქვს თავისუფლების დაბრუნების უფლება, რადგან მისთვის უფლებების წართმევის რაიმე საფუძველი არ არსებობდა“.

აქ, თითქოს გასაკვირი და დამაფიქრებელი არაფერია, იმის გარდა, რომ ფაქტობრივად ეს ძალადობრივი, რევოლუციური გზით ქმედების გამართლებაა და არა ბოროტების თავიდან აცილების

გააზრება, იმ გზის მოძებნა, რომ რევოლუციები და სისხლის ღვრა აღარ დაგვჭირდეს. ძალადობა, რუსოს აზრით, არც ბუნებრივ, არც პოზიტიურ სამართალს არ ქმნის.

ჩვენი აზრით, რუსოს ამ მსჯელობით დიდი უმსგავსოებაა შენიღბული. დაუკვირდით, მისი აზრით, ძალისმიერი ქმედება არც ცუდია და არც – კარგი. აქ ეთიკა არაფერ შუაშია, რადგან ძალა ძალაა და სხვა არაფერი.

ძალადობა არც სიკეთეა და არც ბოროტება, ის უბრალოდ ძალადობაა.

რუსო კანონიერი ძალაუფლების საფუძველს ადამიანთა შეთანხმებაში ხედავს (ხელშეკრულებითი თეორია). თუმცა, იმავდროულად, აღნიშნავს, რომ ამ შეთანხმებას აქვს სისუსტე – **„არასწორი მმართველობისას ეს თანაბრობა მხოლოდ მოჩვენებითია და მცდარი. ის მხოლოდ ღარიბთა სიღარიბეში დატოვებასა და მდიდართა მითვისებულის შენარჩუნებას ემსახურება“**.

რუსო ეთანხმება მაკიაველს იმაში, რომ პარტიები განსხვავებული აზრის მქონე ორგანიზაციებია და მათი ქიშპობით სახელმწიფო ინგრევა. აქედან გამომდინარე, სუვერენის ძალაუფლება საკუთარი კანონმდებლობით არ უნდა იყოს შებოჭილი, რათა ეს ქიშპობა მოისპოს. სუვერენის ძალაუფლება არ ნაწევრდება და არ გასხვისდება. „სახელმწიფო ცოცხლობს არა კანონებით, არამედ საკანონმდებლო ძალაუფლებით“. ეს დოქტრინები ყველა ჯიშის რევოლუციონრებმა, განსაკუთრებით იაკობინელებმა აიტაცეს და განავითარეს.

რათა ტრიუმფირატი – **დიდრო, რუსო, ვოლტერი** არ დაირღვეს, მოდით, **დენი დიდროც** ვახსენოთ.

დენი დიდრო (1713–1784). მას პოლიტიკურ-სამართლებრივ ისტორიაში განსაკუთრებული ორიგინალობით გამორჩეული ნაშრომები არ შეუქმნია, თუმცა, რათა უფრო ნათელი გახდეს, განმანათლებლობის პერიოდის სულიწმინდემელთა არსი, ამ საინტერესო მოაზროვნის ადამიანური პორტრეტის წარმოდგენა ზედმეტი არ იქნება.

დიდრო შამპანის პროვინციაში დაიბადა. მამამისი ენერგიული, აქტიური პიროვნება იყო. მას ლითონის იარაღის საწარმო ჰქონდა. მისი გვარი ამ საქმიანობას 200 წელი მისდევდა. ცხადია, მას სურდა, შეეღწაწა წინაპართა საქმიანობა გაეგრძელებინა, მაგრამ შეიღწაწა ორატორული ნიჭი შეამჩნია და იეზუიტების სკოლაში მიიბარა. დენი გაკვეთილებს აცდენდა, სკოლიდან გამოიქცა და მამასთან დაბრუნდა. მაშინ მამამ საწარმოში მუშაობა შესთავაზა. დენიმ რამდენიმე დღე იმუშავა და თავისი პირველი „ფილოსოფიური“ დასკვნა გამოიტანა – მუშაობას ისევე სწავლა სჯობს – და იეზუიტების სკოლაში დაბრუნდა. თუმცა, ცოტა ხნის შემდეგ, ის საპირისპირო დასკვნამდე მივიდა და ისევე მამასთან გამოიქცა. მამამისმა ის პარიზში იურისტს მიიბარა, რათა დიდრო იურისპრუდენციით დაეინტერესებინა. დიდრო, ხასიათიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, დიდხანს ვერც იქ გაჩერდა. მამამისს განუცხადა, რომ ერჩია მუდმივად ესწავლა, ვიდრე ემუშავა. მამამ მისი „ღრმა ფილოსოფიური დასკვნა“ ვერ გაიგო და დახმარება შეუწყვიტა. დიდრო ვალებს იღებდა და შემდეგ კრედიტორებს ემალეობდა. ხშირად, ის ფულს თაღლითობითაც შოულობდა. ფეხშიშველი დენი კარმელიტებთან (მონასტრებში ბერებთან) მიდიოდა და გასხვივონებული სახით უხსნიდა მათ, რომ მან მთელი ცხოვრების ღვთისმსახურებისთვის შეწირვა გადაწყვიტა. მონასტერში აღფრთოვანებულნი ხვდებოდნენ ძლიერი, მაღალი, საკმაოდ სიმპათიური ახალგაზრდის ამ „კეთილშობილურ“ განზრახვას. უცებ, ის აზრს იცვლიდა და ბერებს არწმუნებდა, რომ ღვთისკენ ამ ნაბიჯს ის მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ გადადგამდა. კარმელიტების კითხვაზე, რა უშლის მას ხელს ღვთის სამსახურს დღესვე შეუდგეს, დიდრო თავდახრილი პასუხობდა: – მე ნახევარი წელი უნდა ვიმშრომო, რათა ვალები გადავიხადო და შემდეგ, სუფთა სინდისით ღვთის მიერ ნაჩვენებ გზას შევუდგები. რა თქმა უნდა, ასეთი „პატიოსნება“ დიდ გავლენას ახდენდა ბერებზე და ისინი სასწრაფოდ იღებდნენ გადაწყვეტილებას, რომ მისი ვალი დაეფარათ, რათა ის ეკლესიურ ცხოვრებას მომდევნო დღიდანვე შესდგომოდა. დიდრო თანხმდებოდა და ფულის მიღებისთანავე ივიწყებდა ბერებსაც და მონასტერსაც, ღვთის გზაზე ხომ – ლაპარაკიც ზედმეტი. დიდრომ მზითვის გამო მოიყვანა ცოლი და მეუღლის დანაზოგი მეგობრებთან ქეიფსა და

ქალებში დროსტარებას შესწირა. დიდრო ასეთი „მორალური“ ქმედებების გამო ციხეშიც ხვდებოდა. ის საოცრად მხიარული და კომუნიკაბელური პიროვნება გახლდათ. მან სცადა შეექმნა ფილოსოფიური ტრაქტატები, რომანები. მოგვიანებით, მისმა ბიოგრაფებმა ასე შეაფასეს მისი შემოქმედება – **„მახვილგონიერულობის, უსირცხვილობის, ქედმაღლობის, საღი აზრის, უაზრობისა და ქვენაგრძობების ნაზავი“**.

ერთხელ, დიდროს შესთავაზეს – საქმე მაინც არაფერი გაქვს და ჩემბერსის ენციკლოპედიას (რეალურად ეს ტექნიკური ცნობარი იყო) ხომ არ თარგმნიდი ინგლისურიდან ფრანგულადო. დიდრომ გამოძეგმელს უკეთესი ენციკლოპედიის შექმნა შესთავაზა. წინადადება მიღებულ იქნა. დიდრო ამ პერიოდში კიდევ ერთხელ მოხვდა ციხეში. მან საკანში საკუთარი ენციკლოპედიის გეგმა შექმნა და როდესაც გაათავისუფლეს, ამ საქმით დააინტერესა ვოლტერი, მონტესკიე, დალამბერი და მოგვიანებით – რუსო. ერთი წლის შემდეგ მზად იყო XVIII საუკუნის ყველაზე ცნობილი წიგნი – **„ენციკლოპედია, ანუ მეცნიერების, ხელოვნების და ხელოსნობის განმარტებითი ლექსიკონი“**.

ენციკლოპედია იმდროისათვის არნახული ტირაჟით გამოიცა, მაგრამ პოლიტიკური და ფილოსოფიური სტატიების გამო აიკრძალა. ამან უფრო დააინტერესა ფრანგული საზოგადოება. დიდროს თხოვნით, მისმა ნაცნობმა ქალბატონებმა ლუდოვიკო XV-ს კარზე ვახშობისას, მეფის თანდასწრებით იკითხეს – ნეტავ რისგან მზადდება დენთიო. კითხვას ვერაფერ უპასუხა. მაშინ გაიხსენეს აკრძალული ენციკლოპედია და საჭირო პასუხიც მიიღეს. მაღამ პომპადური დაინტერესდა: როგორ მზადდება კოსმეტკა? პასუხი ისევ ენციკლოპედიაში იპოვეს. „რა ბრწყინვალე წიგნია!“ ალფრთოვანებით წამოიძახა ფავორიტმა ბანოვანმა. ერთმა მარკიზმა ენციკლოპედია გადაფურცლა და წინასწარ ქალბატონების მიერ დარიგებულმა, ხმამაღლა, მეფის გასაგონად მომზადებული ფრაზა წარმოთქვა: **„წამართვით მთელი ქონება, მაგრამ დამიტოვეთ ენციკლოპედია“**. ყველა ლუი XV-ს მიაშტერდა. მეფემ დარცხვენით განაცხადა, რომ ის შეცდომაში შეიყვანეს, თორემ ამისთანა ფასეულობას არავითარ შემთხვევაში არ აკრძალავდა. შედეგი გასაგებია.

ჩემი აზრით, ზევით აღწერილი ბიოგრაფიული პასაჟების მიუხედავად, დიდრო ბრწყინვალე მოაზროვნეა და მის მეგობრებს რუსოსა და ვოლტერს არაფრით ჩამოუვარდება.

შარლ ლუი მონტესკიე (1689–1755) – ფრანგული განმანათლებლობის პერიოდის ერთ-ერთი თვალსაჩინო იურისტი და პოლიტიკური მოღვაწე. მისი ძირითადი შრომებია „სპარსული წერილები“ (1721), „რომის დიდების და დაცემის მიზეზების გააზრება“ (1734) და მისი ოცწლიანი შრომა – „კანონთა სული“ (1748).

მონტესკიე სოციუმში ბედსა და შემთხვევითობას უარყოფს. **არსებობს ობიექტური, ზოგადი კანონზომიერება, რომელიც განსაზღვრავს „ხალხის სულს“ და მის სახელმწიფოებრივ და სამართლებრივ ცხოვრებას აყალიბებს.**

ცხადია, მისი წიგნი „კანონთა სული“ იმდროინდელი სახელმწიფოს მესვეურთა „აკრძალულ ინდექსთა სიაში“ ხვდება, რადგან მასში, მონტესკიესათვის უმაღლესი ფასეულობა – პოლიტიკური თავისუფლება იკვეთება. პოლიტიკური თავისუფლების აუცილებელი პირობა კი სამართლიანი კანონები და სახელმწიფოს შესაბამისი ორგანიზებაა. ამ ნაშრომში მონტესკიე სოციუმის განვითარების საფუძვლად კანონზომიერების შესაბამისი სამართლიანი კანონების დამკვიდრებას მიიჩნევს. ის ადამიანის ბუნებრივ გონიერებას ეყრდნობა.

„მე დავიწყე ადამიანთა შესწავლა და მივხვდი, რომ მათი უსასრულო კანონები და ადათები მხოლოდ მათი ფანტაზიებიდან არ გამომდინარეობს. დავადგინე ზოგადი საწყისი და დავინახე, რომ თითოეული ხალხის ისტორია თვით ამ ხალხისაგან გამომდინარეობს, როგორც შედეგი, და ყოველი კონკრეტული კანონი სხვა კანონებთანაა დაკავშირებული, ან სხვა, უფრო ზოგად კანონზეა დამოკიდებული.“

ამა თუ იმ ურთიერთობაში კანონზომიერი წესები ნიშნავს გონივრულსა და აუცილებელს, რომელიც შემთხვევით, თვითნებურს და ფატალურს წინ აღუდგება.

ადამიანთა ურთიერთობებში გონივრულისა და აუცილებლობის თანაარსებობა კანონით განისაზღვრება. კანონი, როგორც ზოგადი ცნება მოიცავს, როგორც ფიზიკურ სამყაროში მოქმედ, უცვლელ კანონებს, ასევე ცვლად კანონებს, რომლებიც გონიერ არსებათა სამყაროში მოქმედებენ.

ბუნების კანონები, ადამიანთან მიმართებაში, „ჩვენი არსის წყობიდან გამომდინარეობს. ესაა ჩვენი სწრაფვა მშვიდობისაკენ, ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ, ვიცხოვროთ საზოგადოებრივი ცხოვრებით ამ სიკეთის მისაღწევად“.

იმის მიუხედავად, რომ მრავალ საკითხში მონტესკიე ჰობსის თანამოაზრეა, ის ადამიანის არსის მისეულ გააზრებას მკაცრად აკრიტიკებს. ჰობსისგან განსხვავებით, რომელიც ადამიანს აგრესიულ და ბატონობის დაუძლეველი ფინის მქონე არსებად წარმოადგენს, მონტესკიე ადამიანს სუსტ არსებად განიხილავს და ამ სისუსტის დაძლევის ერთადერთ საშუალებად ურთიერთობაში თანასწორობასა და მშვიდობიანობას მიიჩნევს.

მონტესკიეს აზრით, სახელმწიფო ძალაუფლება ისეთი რთული სისტემაა, რომ შეუძლებელია ის თავიდანვე, ადამიანის საწყის ბუნებაში ჩადებულიყო. ძალაუფლება მას შემდეგ ჩნდება, როცა ადამიანი საზოგადოებას ქმნის და როცა საზოგადოებას უნარი შესწევს ის იღებდეს გაიზაროს, რომელსაც ცნებების – სახელმწიფო, ძალაუფლება – ჩამოყალიბებასთან მივყავართ. იწყება გაერთიანება და ყალიბდება ერთობის ნება. ადამიანური კანონები უკვე სამართლიანობის ობიექტურ კანონებსა და ურთიერთობებს მოიცავს. ჩნდება ის ფაქტორები, რომლებიც ქმნიან „**კანონთა სულს“**. **სული, რომელიც გონივრულობას, მართლზომიერებას და სამართლიანობას განსაზღვრავს**. მონტესკიემ თავის ნაშრომს ასეთი სახელი ამიტომ დაარქვა.

მისთვის მნიშვნელოვანია, რომ ყოველ ერს, ხალხს მისი ხასიათის შესატყვისი კანონები ჰქონდეს. იმის მიუხედავად, რომ ის დემოკრატიულ წყობას აშკარა უპირატესობას ანიჭებს, მანაც გამოთქვამს აზრს, რომ მთავარია ზომიერი მმართველობა, რომლის დეფიციტი შეიძლება დემოკრატიულ სისტემაშიც წარმოიშვას. ამიტომ, უმთავრესია ძალაუფლების დანაწევრება, „საჭიროა ისეთი მდგომარეობის შექმნა, რომ სხვადასხვა ძალამ ერთმანეთი შეაკავოს“, რათა ძალაუფლების ბოროტად გამოყენება არ მოხდეს. თუ მათ შორის დაპირისპირება, ურთიერთკონტროლი არაა – ყველაფერი იღუპება.

არსებობს მმართველობის ფორმები – რესპუბლიკა, მონარქია, რომელიც შესაძლოა დესპოტური ან არადესპოტური ფორმით გამოვლინდეს. ყოველ მათგანს თავისი ბუნება აქვს. მონტესკიესათვის ცხადია – დემოკრატიის შემთხვევაში ხალხი არის მონარქი, მხოლოდ კენჭისყრის ძალით. ხალხი კენჭისყრის საშუალებით საკუთარ ნებას გამოხატავს. ამდენად, **ეს, კენჭისყრის უფლების დამდგენი კანონები, დემოკრატიის საფუძველია**. მაგრამ ხალხს მართვა არ შეუძლია. შესაბამისად, ხალხი ირჩევს მმართველებს და აკონტროლებს მათ. მონტესკიე განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობს საარჩევნო ბიულეტენების დარიგებისა და დათვლის ფორმებს. **ხალხი კანონმდებლის ფუნქციას იღებს და ეს არის დემოკრატიის მთავარი პრინციპი**. თუმცა, აუცილებელია სენატიც, რომელიც კანონის ქმედუნარიანობას ამოწმებს და მხოლოდ ამის შემდეგ შედის კანონი ძალაში.

ალბათ, მონტესკიე რომისა და ათენის გამოცდილებას ეყრდნობა, სადაც სენატის გადაწყვეტილებას კანონის ძალა მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში ჰქონდა (აპრობაციას გადიოდა) და მუდმივმოქმედ კანონად მხოლოდ ხალხის ნებით გარდაიქმნებოდა.

მონტესკიე კანონის სიტყვიერ ფორმულირებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. სიტყვები უნდა იყოს ერთმნიშვნელოვანი; კანონის წაკითხვისას ყველას ერთი აზრი უნდა გამოჰქონდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონის ბუნდოვანებას ანგარებიანი მმართველი ბოროტად გამოიყენებს.

მონტესკიეს „კანონთა სულ“-ში ძალაუფლების დაყოფის მკაცრი მოთხოვნა შემდგომ პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორიების განვითარებას დაედო საფუძვლად.

იაკობინელები. ფრანგული რევოლუციის შემდეგ წარმოიშვა ე.წ. იაკობინელების „ორდენი“. მისი დაარსების ადგილი წმ. იაკობის ეკლესია იყო, სადაც რევოლუციონერმა დეპუტატებმა კლუბი ჩამოაყალიბეს. აქედან მათი სახელწოდება. მათ აზროვნებაში გამოიკვეთა ორი რადიკალური განწყობა – შიში და იმედი. იაკობინელებს ეშინოდათ, რომ რევოლუცია შეიძლება მტერმა გაანადგუროს. მათ ყველგან მტერი, შეთქმულება ელანდებოდათ და ეს შიში ძალადობისკენ უბიძგებდათ. შეთქმულები-სგან თავდაცვა მხოლოდ ტერორითაა შესაძლებელი და იწყება არასაიმედო პირთა და რევოლუციის მოწინააღმდეგეთა მიმართ ტერორი. ნებისმიერი შეიძლება მოიაზრებოდეს შეთქმულთა რიგებში და შესაბამისად, განადგურებისაგან დაცული არავინაა.

ყოველივე ამან **ჟან პოლ მარატის (1743-1793)** და **მაქსიმილიან რობესპიერის (1758-1794)** პოლიტიკურ-იურიდიული შეხედულებების ჩამოყალიბება განაპირობა.

მარატის იდეების არსი აისახა მის პამფლეტში „მონობის ბორკილები“ (1774) და „სისხლის სამართლის კანონმდებლობის ჭრილში“ (1780) ამ ნაწარმოებთა ძირითადი თემა დესპოტიზმია. მისი აზრით, „ძალაუფლების სიყვარულის ყოვლისმომცველი ბუნებრიობა თანდაყოლილი აქვს ადამიანის გულს, რომელიც ყველა შემთხვევაში პირველობისაკენ მიილტვის. აი, ძალაუფლების ძირითადი საწყისი, იმ ბოროტების საწყისი, რომელსაც ძალაუფლების მცველები სჩადიან. აი, ხალხთა შორის მონობის საფუძველი“.

ამ დეფინიციის მიუხედავად, მარატი სახელმწიფოს წარმოქმნის ძალადობრივ თეორიას აღიარებს და, იმავდროულად, ის ხელშეკრულებით თეორიას ემხრობა. მან რევოლუციის იდეოლოგიების მონტესკიესა და რუსოს წინააღმდეგ წასვლა ვერ გაბედა. ის თავადაც გრძნობს ამ დისონანსს, მაგრამ ამ საკითხის გადააზრებას ჯიუტად არიდებს თავს. მარატს ეს ალოგიკურობა არ აწუხებს. მისი აზრით, ძალადობრივი თეორიიდან გამომდინარე, **დიქტატურის დანიშნულებაა „მოსპოს მოლატეები და შეთქმულები“. ვინ არიან ისინი? – ყველა, ვინც მათ პარტიას არ ეკუთვნის.** ამ „წმინდა“ მოვალეობას დიქტატურა რევოლუციური ტერორის მეთოდით ასრულებს. ჯერ უნდა გამოუმუღავნდეს მათი ზრახვები და მერე დაისჯონ. მართალია, ლეგალური ხერხების გამოყენებითაც შეიძლებოდა ამის მიღწევა, მაგრამ მან გადამწყვეტი სიტყვა ამ საკითხის მოგვარებაში მაინც გილიოტინას და თოკს მიაკუთვნა.

მარატი ასეთ მიდგომას შემდეგნაირად ამართლებს: „**არავის ეზიზნება დაღვრილი სისხლი ისე, როგორც მე, მაგრამ იმისათვის, რომ ხელი შევუშალო სისხლის ნაკადებს, მე მოვითხოვ, დაგვაროთ რამდენიმე წვეთი**“. დროებითი „თავისუფლების დესპოტიზმი“ მოსპობს მეფეთა დესპოტიზმს.

„დროულად მოკვეთილი რამდენიმე თავი დიდხანს შეაკავებს ხალხის მტრებს და დიად ნაციას სილატაკის უბედურებისაგან და ომის საშინელებისაგან მთელი ასწლეულობით გაათავისუფლებს“.

ცხადია, მარატზე ჰობსის მსოფლმხედველობამ დიდი გავლენა მოახდინა. მარატს ჩამოუყალიბდა ჰობსისაგან არაფრით განსხვავებული აზრი – ადამიანი გაათხსირებული არსებაა, ამიტომ საზოგადოების შესაქმნელად დესპოტიზმის ფორმას, პრაქტიკულად ვერ ავცდებით.

რაც შეეხება **მაქსიმილიან რობესპიერს (1758-1794)**, მას მარატივით სქელტანიანი შრომები არ შეუთხზავს, თუმცა მისი აქტიურობა ნამდვილად შესაშურია. მარტო 1789-1794 წწ-ში იგი **600 მოხსენებით წარსდგა საზოგადოების წინაშე.** მათ შორის საქვეყნოდ ცნობილია მისი მოხსენება „კონსტიტუციაზე“ (10 მაისი 1793.) „რევოლუციური მმართველობის პრინციპებზე“ (25 დეკემბერი 1793.) „პოლიტიკური მორალის პრინციპებზე“ (5 თებერვალი 1794) და ა.შ. მისი სოციალური

პროექტები ორიგინალობით არ გამოირჩევა. მისი აზროვნება რუსოსა და მონტესკიეს თვალსაზრისს, განსაკუთრებით, რუსოს პოზიციას ეყრდნობა.

მას მიაჩნია, რომ პოლიტიკის ფუნდამენტია:

1. მოქალაქის ბუნებრივი უფლებების დაცვა და მისი ყველა შესაძლებლობის, ნიჭის განვითარება.
2. თითოეულის მონაწილეობის უფლება საკანონმდებლო ხელისუფლებასა და მმართველობაში, რადგან ბუნებრივი სამართლით ყველა თანაბარია და თავისუფალი.
3. ხალხი ნებისმიერ სიტუაციაში უფლებამოსილია თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი.

„თუ საზოგადოების ერთი წევრი ჩაგვრას განიცდის, მაშინ სახეზეა მთელი საზოგადოების ჩაგვრა. თუ საზოგადოება განიცდის ჩაგვრას, მაშინ სახეზე გვაქვს თითოეული წევრის ჩაგვრა“.

აქ, რობესპიერი რაიმე მიუღებელ აზროვნებას არ ავლენს, პირიქით, ის 1793 წლამდე დიქტატურის წინააღმდეგ გამოდის – **„გამოვუტანოთ სასიკვდილო განაჩენი ყველას, ვინც შემოგვთავაზებს დიქტატურას, ტრიუმვირატს ან ძალაუფლების სხვა ტიპს, რომელიც ფრანგული რესპუბლიკის მიერ შექმნილი თავისუფლების რეჟიმის წინააღმდეგ იქნება მიმართული“.**

მოულოდნელად მისი შეხედულებები რადიკალურად იცვლება. რობესპიერი ამას ადვილად ხსნის: „კონსტიტუციური ხომალდი“ შენდება იმ გაანგარიშებით, რომ მას ცურვა „წყნარ ზღვაში“ მოუწევს. მაგრამ სულ სხვაა, როცა ღელვაა, ანუ რევოლუციაა და არსებობენ **„თავისუფლების მტრები“**. ვინ არიან ისინი? – ყველა ჯურის შეთქმულნი, რომლებიც რევოლუციის მოთხოვნებს ეწინააღმდეგებიან, მაგრამ არა მხოლოდ ისინი. კონტრრევოლუციონრებად უნდა შეირაცხონ **„უზნეონი“**, **„არაკეთილგონიერნი“**, **„გამხრწნელები“** **„თავისუფლების მტრები“**. მათ – მხოლოდ სიკვდილი! ამისთვის ხელისუფლება უნდა მოქმედებდეს საკმაოდ აქტიურად და, რაც მთავარია, უფრო თავისუფალი უნდა იყოს თავის ქმედებებში“.

აქ უარყოფილია ის, რისთვისაც რობესპიერი და მისი თანამოაზრენი იბრძოდნენ – ადამიანთა უფლებები. თურმე, ხალხთა სუვერენიტეტი ხელისუფლებას ზღუდავს. იწყება ტერორის აპოლოგია, ტერორის „სამართლით“ ქმედება სიკეთედ ინათლება.

რა გასაკვირიც უნდა იყოს, მარატი ამაში **„დემოკრატიის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე შედეგს“** ხელდავს.

ადამ სმიტი (1723–1790) – მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი, კლასიკური პოლიტეკონომიკის ფუძემდებელი. მისი მნიშვნელოვანი ნაშრომებია: „ზნეობრივ გრძნობათა თეორია“ (1759), საყოველთაოდ ცნობილი შრომა „ხალხთა სიმდიდრის მიზეზებისა და ბუნების კვლევა“ (1776) და „ლექციები იურისპრუდენციაზე“, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1978 წელს. ის ხელისუფლებასა და სამართლის საკითხებზე მნიშვნელოვანი გააზრების ავტორია. თუმცა, საზოგადოებაში მეტი ინტერესი მისმა პოლიტეკონომიკურმა თეორიებმა გამოიწვია და სხვა ნაშრომთა პოპულარობა მკვეთრად დაჩრდილა. მისი მსოფლმხედველობის მთავარი ძარღვი განმანათლებელი რაციონალიზმია. რაციონალიზმს ის ბუნების, ანუ გონივრულ კანონზომიერებად განიხილავს. გონება ბუნების კანონზომიერებას აღიქვამს და ეთანხმება. ადამიანის ბუნების შესახებ მისი პოლიტიკურ-იურიდიული გააზრებებიც მისივე კონცეფციიდან გამომდინარეობს. სმიტს ადამიანის ბუნების არსის ხუთი მახასიათებელი შემოაქვს:

1. ადამიანის სისუსტე – მისი სხეული, ქონება, რეპუტაცია ბადებს მის ინტერესს, შექმნას სახელმწიფო. იბადება ამ ინტერესების დამცავი სისტემა – სამართალი.
2. სოციალურობა – ამ ტერმინში იგი ადამიანის სოციალურობას, ადამიანთა ურთიერთობების ფასეულობათა შემეცნება-გათავისებას ხელდავს.
3. ადამიანთა ბუნების კარდინალური მახასიათებელი – საკუთარი ინტერესები და თავმოყვარეობის შეგრძნება სოციუმისათვის პოზიტიურ შედეგში გამოისახება.

4. ადამიანის ინტელექტუალური და ფიზიკური შეზღუდულობა – ადამიანი არაა ბუნების იდეალური ქმნილება. მის მიერ თვითშემეცნებაში დაშვებული შეცდომები, გარემოს შეფასება, ამბიციურობა, ხშირად ვნებების ზეობა გონებაზე . . . მის არასრულფასოვნებას ამჟღავნებს.

5. თითოეული ინდივიდის უნიკალურობა – აქედან გამომდინარე, მათი არაერთგვაროვნება, ფაქტობრივად მათი უთანაბრობა ნიჭით და ქონებრივი პოტენციალით, რაც მათ შორის წინააღმდეგობას ბადებს. ეს წინააღმდეგობა იწვევს სამართლის შემოღების აუცილებლობას. ჩნდება სამართალი, რომელიც უფრო ზოგადი რეგულირების მქონე სისტემასთან – მორალთან ერთად ფუნქციონირებს (**საიდან განჩნდა მორალი, ამაზე სმიტი დუმს**). ორივე ერთად (სამართალი და მორალი) ადგენს ქმედების ნორმებს. საკუთარ თავში ორივე წახალისებისა და დასჯის მეთოდებს მოიცავს.

ჰარმონიულობის დამკვიდრებისათვის შეიქმნა სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონები, რომელთა პრინციპების საფუძველია **„ბუნებრივი იურისპრუდენცია, შესაძლოა ყველაზე მნიშვნელოვანი მეცნიერება არსებულ მეცნიერებათა შორის“**.

თავს უფლებას ვერ მივცემთ, არ წარმოვიდგინოთ ადამ სმიტის პოლიტიკურ-ეკონომიკური გააზრებები.

ეკონომიკა – ბერძნული სიტყვაა და მეურნეობის მართვას ნიშნავს.

პოლიტიკა – სახელმწიფოს მართვის ხელოვნებას.

შესაბამისად, პოლიტეკონომია არის სახელმწიფოს სრული მართვა.

ადამ სმიტამდე მრავალი ფილოსოფოსი ცდილობდა აეხსნა – რატომაა ზოგიერთი ქვეყანა მდიდარი, ზოგიერთი კი – სიღატაკეში იხრჩობა.

ნათლად ჩანს, რომ მდიდარ ქვეყნებში ფულის დიდი რაოდენობა ტრიალებს. ქვეყანაში ფულის რაოდენობა იზრდება, თუ ქვეყანა პროდუქციას ექსპორტისათვის აწარმოებს, ანუ სხვა ქვეყნებში ყიდის. თუ წარმოებული პროდუქტი მხოლოდ საკუთარ ქვეყანაში იყიდება, მაშინ ფული ხელიდან ხელში გადადის და ქვეყანაში მისი რაოდენობა არ მატულობს. შესაბამისად,

თუ გინდათ თქვენი ქვეყანა გამდიდრდეს, აუცილებელია, გაზარდოთ ექსპორტი და შეამციროთ იმპორტი (მეტი პროდუქტი გაიყიდოს საზღვარგარეთ და ნაკლები პროდუქტი შემოვიდეს).

ვინც ამ მოსაზრებას იზიარებს, მათ **მერკანტილისტები** ეწოდებათ (იტალიურად მერკანტი – ვაჭარი). ისინი ითხოვდნენ, რომ მმართველები ქვეყნის ეკონომიკაში ჩარეულიყვნენ. მაგ., იმ დროს ინგლისის დედოფალმა ელისაბედმა დააწესა კვირაში ორი, ე.წ. თევზის დღე, როცა ხორცის გაყიდვა იკრძალებოდა. გასაგებია, რომ ამ დროს ინგლისურ თევზზე მოთხოვნა მატულობდა. ეს კიდევ არაფერი, დედოფალმა ინგლისურ შალზე მოთხოვნილების გასაზრდელად ბრძანა, რომ მკვდრების დამარხვა მხოლოდ შალის ტანსაცმლით შეიძლება.

სხვა მეცნიერები თვლიდნენ, რომ მიწა, ანუ მიწაზე მოყვანილი პროდუქტი ქმნის სიმდიდრეს და ითხოვდნენ გლეხების წახალისებას. მათ **ფიზიოკრატები** (ბუნებაზე ძალაუფალნი) ეწოდათ. მერკანტილისტები და ფიზიოკრატები მიუახლოვდნენ, მაგრამ ვერ აღმოაჩინეს ის, რაც შეძლო ადამ სმიტმა. იგი მივიდა დასკვნამდე:

– სიმდიდრის საფუძველია შრომა. თუ ადამიანი შრომობს და მისი შრომა მხოლოდ არსებობას აკმაყოფილებს, მაშინ სიმდიდრე არ იქმნება. ადამიანი უნდა მიხვდეს, რომ მან არ უნდა აკეთოს ყველაფერი რაც სჭირდება, არამედ აკეთოს ის, რაც ყველაზე კარგად გამოისის.

ანუ პური ხაბაზმა უნდა გამოაცხოს და მან ენერგია საკუთარი ღობის შეკეთებაზე ან შეღებვაზე არ უნდა დახარჯოს. მან მთელი ენერგია პურის ცხობის კულტურის ამალგებას უნდა მოახმაროს. მაშინ ის შეძლებს შესაღებად პროფესიონალი მღებავის დაქირავებას. იწყება ის, რასაც შრომის დანაწევრება ჰქვია. მღებავსა და ხაბაზს შორის მორიგება ფულით ხდება. გამოდის, რომ ფული თა-

ვისთავად არაა სიმდიდრე. **ფული არის პროდუქტში ჩადებული შრომის, ენერჯის, სიმძლავრის საზომი.**

აქ უნდა წარმოგედგინოთ კიდევ ერთი, უაღრესად საინტერესო პიროვნება – **დავიდ რიკარდო (1772-1823)** ებრაელი ბანკირის შვილი. მას შეუყვარდა ქრისტიანი გოგონა. მამამ მისი ცოლად მოყვანა აუკრძალა. დავიდმა მამის თხოვნას ყური არ ათხოვა და არა მარტო ცოლად მოიყვანა ქრისტიანი, არამედ ქრისტიანდაც მონათლა. მამამ შვილზე უარი თქვა. რიკარდომ ბინებითა და პურით ვაჭრობა დაიწყო. 25 წლის ასაკში ის უკვე მილიონერია. ინგლისის პარლამენტში დეპუტატადაც აირჩიეს. საოცრება ის არის, რომ უმდიდრესი დავიდი ისრულებს ბავშვობის ოცნებას და მეცნიერულ მუშაობას იწყებს. იგი ეცნობა სმიტის თეორიას, აღფრთოვანებულია მისით და უკვე პოლიტეკონომიის ახალი კანონების აღმოჩენი თავად ხდება.

კერძოდ, საქონლის ფასი არა მარტო მასზე დახარჯული ფულით, ნედლეულით, ან მიწით (ქარხანა მიწაზე დგას, ვენახი მიწაზე იზრდება) იზომება, არამედ შრომის იარაღითაც. ამის გარდა მან აღმოაჩინა, რომ პროდუქტის ფასს ბაზარზე ამ პროდუქტზე მოთხოვნილებაც განსაზღვრავს. მაგ., ასეთია დიდი მხატვრის ნამუშევარი, ძვირფასი ღვინო. . . აქ ნათლად ჩანს, რომ მათი ფასი უფრო მეტია, ვიდრე მასზე დახარჯული შრომა. აქ საქმე გვაქვს ექსკლუზიურობასთან (ამას ჰქვია საბაზრო ფასი).

იმისათვის, რომ ზედაპირულად მაინც მიმოვიხილოთ ეკონომიკის ისტორიის თემა, გავეცნოთ სიმდიდრის დაგროვების კიდევ ერთ მიმართულებას **მაიერ-ანშელმ როტშილდის (1743-1812)** მაგალითზე. უფრო მართებულად – როტშილდების ოჯახის მაგალითზე. მაიერ-ანშელმმა ბავშვობიდან დაიწყო კრედიტების გაცემა. ის სკოლაში ეკონომიას აკეთებდა საკუთარ საუზმეზე და ასეთი გზით დაგროვილ ფულს სარგებლით ასესხებდა. მან მოგვიანებით უარი თქვა რაბინის (ებრაელთა სასულირო პირი) კარიერაზე და საბანკო საქმეს მოჰკიდა ხელი. მოგვიანებით, როცა ევროპაში რევოლუციები ბობოქრობდა, როტშილდთა ოჯახი გააზრებულ რისკზე მიდიოდა და მდიდრდებოდა. მაგალითად, ნაპოლეონის ომების დროს ერთ-ერთმა როტშილდმა გამოიყენა მტრელების ფოსტა და კონკურენტ ბანკებზე ორი დღით ადრე შეიტყო ვატერლოოს ველზე ნაპოლეონის დამარცხება. შესაბამისად, ლონდონის ბირჟაზე ის აქციები შეისყიდა, რასაც ნაპოლეონის მარცხის შემთხვევაში დიდი თანხების მოტანა შეეძლო. როტშილდებს ეკონომიკურ სივრცეში ჯამუშებია და ექსპერტების მთელი ქსელი ჰქონდათ. ამიტომ უშეცდომოდ ყიდულობდნენ და ყიდდნენ აქციებს. მათ აქციებით ვაჭრობას კონკურენტები დიდი ყურადღებით აკვირდებოდნენ და ცდილობდნენ იგივე აქციები შეეძინათ. როტშილდებმა ესეც თავის სასარგებლოდ გამოიყენეს. როცა თავისი საინფორმაციო წყაროებიდან გაიგეს, რომ მთელი რიგი კომპანიების აქციების ფასი უნდა გაზრდილიყო, მათ კი არ შეიძინეს ეს აქციები, არამედ პირიქით, დაიწყეს მათი გაყიდვა. კონკურენტებმა ეს რომ გაიგეს, როტშილდების მაგალითზე სასწრაფოდ დაიწყეს ასევე დაბალ ფასებში ამ აქციების გაყიდვა. უკანასკნელ წამს როტშილდებმა სრულად შეიძინეს ყველა აქცია და გასაგებია, რა მოგება ნახეს.

იმანუელ კანტი (1724–1804) გენიალური ფილოსოფოსი. ის ცდილობს შემეცნებისათვის ყველაზე რთული ასპექტი – მეცნიერული და ფილოსოფიური ცოდნის შესაძლებლობანი ახსნას.

სამყაროს შემეცნების საკითხზე ევროპულ აზროვნებაში ორი ურთიერთდაპირისპირებული აზროვნება გამოიკვეთა. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ ცოდნის წყარო გრძნობადი აღქმაა, მარტივად რომ ვთქვათ, მოვლენასა თუ საგანზე ცოდნა გროვდება აღქმით, სმენით, მხედველობით. . . ანუ დაკვირვებით (ემპირია – სამყაროზე დაკვირვება). ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ადამიანის აზროვნება, მეცნიერული აბსტრაქცია, მოვლენასა თუ საგანზე ბევრს ვერაფერს გვაძლევს. ამ ფილოსოფიურ სწავლებას ემპირიზმი ეწოდა.

ამ მიმართულებით შესაშური ენერჯიულობა გამოიჩინა ჰიუმმა, რომელმაც ემპირიზმი სკეპტიციზმამდე დაიყვანა. განსხვავებული შეხედულებაც არსებობს და ამ მიმართულების მიმდევარნი თვლიან, რომ ჩვენი გონება ცოდნის წყარო და ყველაფრის განმსაზღვრელია; დაკვირვებით, ცდებით და მიღებული შედეგების განზოგადებით ჭეშმარიტ ცოდნას ვერ მივიღებთ. ამ მიმართულებას რაციონალიზმი ეწოდა. აქ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ლაიბნიც-ვოლფის მეტაფიზიკის სახელით

ცნობილმა რაციონალიზმმა. სამწუხაროდ, ის ხელოვნური, არასიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. ამრიგად, მდგომარეობა ჩიხში შევიდა.

სწორედ ამ დროს, ევროპულ აზროვნებას მხსნელად კანტის გენია მოეწვინა. ის ემპირიზმისა და რაციონალიზმის დადებითი მხარეების გაერთიანებას ცდილობდა.

კანტი მიიჩნევს, რომ ფილოსოფიის მთავარი ამოცანაა პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს: 1. რა შემიძლია ვიცოდე; 2. რა უნდა ვაკეთო; 3. რისი იმედი შეიძლება მქონდეს.

კანტმა ამ კითხვათა შესაბამისად სამი მეცნიერული მიმართულება განავითარა.

1. შემეცნების თეორია, მეცნიერება – თეორიულ მეცნიერებათა შესაძლებლობისა და საზღვრების შესახებ;

2. ეთიკა – ადამიანის ქცევის მორალური წესების, ქმედებების შესახებ ზნეობრივი კანონების მეცნიერება;

3. ესთეტიკა, რომელმაც ადამიანზე ხელოვნების ზემოქმედების საყოველთაო და აუცილებელი პრინციპები უნდა დააფუძნოს;

კანტმა სამყარო ორ – „ნოუმენებისა“ და „ფენომენების“ – სფეროდ დაყო. ადამიანს მხოლოდ ფენომენური სამყაროს ე.ი. მოვლენათა სამყაროს შემეცნება ძალუძს; რაც შეეხება „ნოუმენების სამყაროს“, ანუ „საგანი თავისთავში“, რომელიც მოვლენათა არსი და საფუძველია, ადამიანისათვის პრინციპულად შეუძლებელია მისი შემეცნება. ასეთია მაგალითად „ღმერთი“, „სული“, „თავისუფლება“. . . , რომლებიც მეცნიერული კვლევის საგნები არ შეიძლება იყოს. მათ შესახებ მსჯელობა მხოლოდ რწმენით შეიძლება. სწორედ ამიტომ კანტს უნდა შემოესაზღვრა ცოდნის ფარგლები, რათა რწმენისთვის ადგილი დაეთმო.

კანტის ფილოსოფიის სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ მან სუბიექტის შემეცნებითი აქტივობა გამოყო. ხშირად კანტს იდეალიზმიდან გადახვევას და აგნოსტიციზმს მიაწერენ. ის უარყოფდა იდეალიზმს იმ აზრით, რომ სამყაროს არსებობის ადამიანის იდეაზე დამოკიდებულებას არ აღიარებდა. თუმცა, ის მიიჩნევდა, რომ ადამიანები სამყაროს იდეების საშუალებით, ე.ი. პრინციპებით და კანონზომიერებით შეიცნობენ.

ჩვენი აზრით, ასეთი მსჯელობის მიუხედავად, არ შეიძლება კანტს აგნოსტიციზმი დავაბრალოთ. როგორც აღვნიშნეთ, საგნებს, რომლებსაც ვერ შევიმეცნებთ, ის უწოდებს – საგანს თავისთავში. თუმცა, თუ კანტის შემოქმედებას სიღრმისეულად გავიაზრებთ, გვიჩნდება იმედი, რომ ეს საგნები ჯერჯერობით შეუცნობელი არიან, თუმცა, პრინციპში, მათი შეცნობის შესაძლებლობაც არსებობს და ეს, პირველ რიგში, აპრიორული პრინციპებით ხორციელდება.

კანტის ფილოსოფიურ სისტემას ხშირად კრიტიკულ იდეალიზმსაც უწოდებენ. ტერმინი „კრიტიკა“ ხშირად ფიგურირებს მის შრომებში, მაგ., „წმინდა გონების კრიტიკა“, „მსჯელობის უნარის კრიტიკა“, „პრაქტიკული გონის კრიტიკა“. აქ სიტყვა კრიტიკა ჩვეული აზრით არ უნდა გავიგოთ. ის ამ სიტყვაში მსჯელობის, გონის შესაძლებლობის ზღვრის ძიებას გულისხმობს.

გონი, გონიერულობა სამყაროს აღქმადი მრავალფეროვნების დალაგების, ერთიან ცნებაში მოქცევის ფუნქციას ასრულებს. თუმცა, ადამიანის დამოკიდებულება სამყაროს ფასეულობებთან გონით არ რეალიზდება. ის განსჯის უნარით აღსრულდება. ამჯერად საქმე გვაქვს უკვე არა შემეცნებასთან, არამედ შეფასებასთან.

განსჯის უნარი სამყაროს ხილული მოვლენების სრულად აღქმის საშუალებას გვაძლევს. მსჯელობის უნარით ვითარდება ესთეტიკური გემოვნება, თუმცა, მსჯელობის უნარს საკუთარი ესთეტიკური ზღვარი აქვს.

როგორც განსჯას, ასევე შეფასებას, საბოლოო მიზანი, ორიენტირი სჭირდება, რომელმაც ადამიანის ქმედების მიმართულება უნდა განსაზღვროს. მიზნის შემუშავება გონის პრეროგატივაა. **გონიერული გადაწყვეტილების მიღების ნება პრაქტიკულ გონს აქვს.** გონის რელიგია – ესაა

წმინდა სიკეთის, საკუთარი მორალური მდგრადობის რწმენა. ღმერთი აბსოლუტური ზნეობრივი კანონია.

პრაქტიკულ გონს აბსოლუტური, საყოველთაო და აუცილებელი ზნეობრივი კანონის – **კატეგორიული იმპერატივის** – წვდომის უნარი ეხსნება. ღრმად გასააზრებელია კანტის „კატეგორიული იმპერატივი“ (ლათ. მბრძანებელი. ე.ი. კატეგორიული მოთხოვნა). მისთვის „კატეგორიული იმპერატივი“ საერთო, აუცილებელი ზნეობრივი კანონია, რომელსაც ნებისმიერი ადამიანი, მისი წარმოშობის, სოციალური მდგომარეობის, . . . მიუხედავად უნდა დაემორჩილოს.

ვცადოთ, კატეგორიული იმპერატივი შეძლებისდაგვარად ავხსნათ. ადამიანი არის ზნეობის აღმქმელი სუბიექტი და ის ამ თვისებითაა განსხვავებული, გამორჩეული. ქმედებისას ადამიანი ვალდებულია ზნეობრივი კანონებით იხელმძღვანელოს. ეს კანონები აპრიორულია, ნებისმიერი სახის ზემოქმედების მიუხედავად, გარეგან გავლენას არ განიცდის და ამიტომ, ის უპირობოდ (კატეგორულად) მისაღებია. აქედან, მისი დასახელება – „**კატეგორიული იმპერატივი**“. იგი არაა დაკავშირებული კონკრეტულ საგანთან, რეალურ ემპირიულ მოვლენასთან. თუ ინდივიდი „პრაქტიკულ გონს“ ეყრდნობა, მაშინ „კატეგორიული იმპერატივის“ აღსრულება შესაძლებელია. „პრაქტიკული გონი“ მოიცავს ეთიკისა და სამართლის სფეროებს.

“**მოიქეცი ისე, რომ შენი ნების მაქსიმას (უმაღლეს პრინციპს) მუდამ ჰქონდეს საყოველთაო კანონმდებლობის ძალა (ადამიანის ზნეობა არსებითად განისაზღვრება მისი ყოველდღიურობიდან ინტელექტუალურ-ზოგადსაკაცობრიო პრინციპებამდე ამაღლებით). ჩვენი საქციელი საყოველთაო კანონმდებლობის ნორმად უნდა გამოდგეს**“.

ადამიანი, რომელიც აღიარებს და იცავს კატეგორიულ იმპერატივს, ჭეშმარიტად თავისუფალია და მოყვასის სიყვარულის აღსრულებით ის თავისუფლებას არ კარგავს.

კატეგორიული იმპერატივის მიმდევარი ადამიანი მორალური პასუხისმგებლობისაგან თავისუფალი არაა. თუმცა, ამავე დროს ის თავისუფალია, რადგან მორალის აბსოლუტური აპრიორული ნორმები თვითონ მას, როგორც სუბიექტს ახასიათებს (მას აღარ სჭირდება მორალისგან გაქცევა). დაქვეითებული აზროვნების მქონე ადამიანს კი ეჩვენება, რომ მას მორალი ბოჭავს.

ღრმად დასაფიქრებელია კანტის სიტყვები;

„**რაც უფრო მეტად ვფიქრობ, მით უფრო ავსებს ჩემს სულს ახალი საოცრებითა და მზარდი აღფრთოვანებით ორი რამ: ჩემს ზევით ვარსკვლავიანი ცა და ზნეობრივი კანონი ჩემში.**“

კანტის გააზრების ქვაკუთხედი ბუნებრივი სამართალია და მისი პოლიტიკურ-იურიდიული თვალსაზრისი შემდეგ შრომებშია მოცემული: „საყოველთაო ისტორიის იდეა, საყოველთაო-სამოქალაქო ჭრილში“ (1784), „საყოველთაო მშვიდობისათვის (1795)“, „სამართლის სწავლების მეტაფიზიკური საწყისი“ (1797). ამ შრომებში იკვეთება მისი ძირითადი პრინციპი – **თითოეული პირი სრულყოფილ ღირსებას, აბსოლუტურ ფასეულობას ფლობს. არ შეიძლება ადამიანი ვიღაცის გეგმის განხორციელების იარაღი იყოს, თუნდაც ეს გეგმა უკეთილშობილეს მიზანს ემსახურებოდეს.**

კანტს მშვენივრად ესმის, თუ რა რთულია სამართლის გააზრების პრობლემა.

„**კითხვა – რა არის სამართალი, ისეთივე სირთულეს წარმოადგენს იურისპრუდენციისათვის, როგორც ლოგიკისათვის კითხვა, რა არის ჭეშმარიტება. რა თქმა უნდა, იურისტს შეუძლია გვიპასუხოს, რომ ის ეთანხმება სამართალს, ე.ი. იმას, რასაც მოითხოვს სამართალი მოცემულ დროს და მოცემულ სივრცეში; თუმცა, როცა საკითხი კანონის სამართლიანობას ეხება, როცა მისგან იმ ზოგადი კრიტერიუმების დადგენა მოითხოვება, რითაც შესაძლებელი გახდება სიმართლე არასიმართლისაგან გავარჩიოთ – იურისტი უძლურია; და ამას ის**

ვერასდროს შეძლებს, თუ ამ ემპირიულ საწყისს დროებით გვერდზე არ გადადებს და მსჯელობის წყაროს ძებნას მხოლოდ აზრში, გონში არ დაიწყებს“.

კანტიანის გონი არის ადამიანის მორალური ქცევის პრინციპებისა და წესების შექმნის უნარი (ნებისყოფა), რომელიც მასში შინაგანი, აბრიორული ნაპერწკლის სახით, ხასიათით არის ჩადებული.

გონი სონტანურად ქმნის საკუთარი გააზრების წესრიგს – განსაზღვრული იდეების სამყაროს და ამასთან, ცდილობს ამ იდეებთან შეთანხმოს რეალური პირობები და შესაბამისად იმოქმედოს. მისი ყოფის მორალური კანონები მასშივეა. ეს ავტონომიური, შინაგანად დაბადებული თვითშეზღუდვა ამავე დროს მაქსიმალურ, უმაღლეს თავისუფლებას მოიცავს. პიროვნება საკუთარ თავნებობას ნების თვითკონტროლით ზღუდავს. საზოგადოებაც, როგორც მთელი, ტოტალური ბატონობის სურვილს იზღუდავს, და ამავე დროს, საზოგადოების თავისუფლების ხარისხი არ მცირდება, არ ქრება.

თავისუფლების ატრიბუტი პიროვნების იმანენტურია (მისი ბუნებიდან გამომდინარე მახასიათებელი, თანდაყოლილი თვისება).

ესაა ადამიანის უნარი, თვითონ განსაზღვროს მიზანი და მიზნის შესაბამისად მოქმედების ვერსიებიც თავად შეარჩიოს, რაც ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა. ინდივიდი კანტიანის გონის არსება, რომელსაც პრინციპში, შეუძლია გახედეს „საკუთარი თავის მბრძანებელი“ და შესაბამისად, რათა ესა თუ ის ფასეულობა და ნორმატიული არჩევანი აღასრულოს, გარედან მზრუნველობას არ საჭიროებს.

პრობლემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ უმრავლესობა ინდივიდუალურ თავისუფლებას მხოლოდ „კატეგორიული იმპერატივის“ აღსრულებისათვის არ იყენებს, რის გამოც უმეტეს შემთხვევაში თავისუფლება თავნებობაში გადაიზრდება. აქედან გამომდინარე, კანტი სამართლის განმარტებასთან მიღის – პირობათა ნაკრები (ერთობლიობა), რომელიც ზღუდავს ერთის თავნებობას მეორის მიმართ, თავისუფლების ზოგადი, ობიექტური კანონის მეშვეობით არის სამართალი.

ამრიგად, ერთი პიროვნების უფლება იქ თავდება, სადაც მეორის უფლება იწყება.

შესაბამისად, სამართალი ადამიანთა ქცევის გარეგნულ ფორმას არეგულირებს. მას სუბიექტური მოტივები არ აინტერესებს, აზრთა წყობა – ეს მორალის საქმეა. ადამიანს სამართლით შეიძლება მხოლოდ რაიმე აიძულო, მაგრამ არავისა აქვს უფლება დაუდგინოს მას განაწესი, რისთვის უნდა იცხოვროს, რაში უნდა ხედავდეს პირად ბედნიერებას და სიკეთეს და რაში – უბედურებას. მით უმეტეს არავისა აქვს უფლება ვინმეს ამ განაწესის აღსრულება მუქარით აიძულოს.

სამართლის ჭეშმარიტი როლი სოციუმში ადამიანის თავისუფლების რეალიზაციის გარანტიად მორალის ქცევასა.

ეს სამართლის მორალური დასაბუთების კანტისეული იდეაა. ცხადია, იმისათვის, რომ სამართალი აღსრულდეს, ძალაა საჭირო. სწორედ ეს ძალაა სახელმწიფო – იძულების საწყისის მომცველი სისტემა. ამრიგად, **მორალის ამოქმედებამ მოითხოვა სამართალი, სამართალმა – სახელმწიფო, ანუ კანტის სწავლებაში, ესაა გზა ეთიკიდან და სამართლიდან – სახელმწიფომდე.**

კანტი სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობას ადამიანის, ჯგუფის, საზოგადოების პრაქტიკულ მოთხოვნილებებთან არ აკავშირებს. სახელმწიფოს არსებობის აუცილებლობა დაკავშირებულია ისეთ კატეგორიებთან, როგორიცაა გააზრება, შემეცნებადი სამყარო. სახელმწიფო არა მოქალაქეთა მატერიალური უზრუნველყოფის, არამედ მორალის გარანტი უნდა იყოს. **მთავარია სახელმწიფომ დაამკვიდროს სამართალი, ზნეობა და ხალხი თავის სიმდიდრეს თვითონ შექმნის.**

სახელმწიფოს წარმოქმნის კანტისეული გააზრება, თითქოს რუსოს ხელშეკრულებით თეორიას ეხმიანება, მაგრამ არის მნიშვნელოვანი დამატებაც. **კანტის აზრით, საზოგადოებრივი ხელშეკრულება მორალურად განვითარებულმა ადამიანებმა უნდა დადონ.** ეს ძალიან მნიშვნელოვანი განსხვავებაა. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებას არა აქვს უფლება ადამიანებს ისე მოექცეს,

თითქოს მათ მორალური კანონები არ ესმით და შესაბამისად, ქმედების მართებული გზის არჩევა არ შეუძლიათ. კანტი ხელისუფლებას, როგორც ხალხის აღმზრდელს, კატეგორიულად უარყოფს. ხელისუფლება არ უნდა გამოვიდეს მამის როლში, არ უნდა მოექცეს ხალხს, როგორც ონავარ, ცუდს შვილებს. „**მამობრივი მართვა, რომლის დროსაც ქვეშევრდომები განიხილებიან, როგორც არასრულწლოვანნი** (აქ ჩანს მისი უარყოფითი დამოკიდებულება სახელმწიფოს შექმნის პატრიარქალურ თეორიასთან), **რომელთაც არ შეუძლიათ გაარჩიონ, რა არის მათთვის რეალურად სასარგებლო ან უსარგებლო . . . ასეთი მიმართელობა არის უდიდესი დესპოტიზმი**“.

კანტი ხელშეკრულებით თეორიას კატეგორიულ იმპერატივთან შესაბამისობაში განიხილავს. ხალხმა სახელმწიფოს შექმნისას უარი თქვა გარეგან თავისუფლებაზე და ამ ხელშეკრულების მიღებისთანავე ისევ მოიპოვა თავისუფლება, უკვე როგორც არა ერთმა ინდივიდმა, არამედ, როგორც საზოგადოების წევრმა; ანუ ქრება თავნებობა და უწესრიგობა, და სამართლის არეალში ჭეშმარიტი თავისუფლება (უწესრიგობიდან – წესრიგისაკენ) იბადება. ეს პირდაპირ კრიტიკას, აზრთა გამოთქმის თავისუფლებას ნიშნავს.

„სახელმწიფოს მოქალაქეებს თვით მონარქის ნებართვით (თუ ეს მონარქი გონიერია) უნდა ჰქონდეთ უფლება, ღიად გამოთქვან საკუთარი აზრი იმის შესახებ, თუ მათ მონარქის რომელი განკარგულება ეჩვენებათ უსამართლოდ საზოგადოებასთან მიმართებაში“.

კანტი სამართლის სამ კატეგორიას განიხილავს:

1. ბუნებითი სამართალი, რომლის წყარო აპრიორული პრინციპებია.
2. პოზიტიური სამართალი, რომლის წყარო კანონმდებლის ნებაა.
3. სამართლიანობა, რომელიც არ განიხილება კანონის ჭრილში, ამიტომ არაა იძულებითი.

“როცა სამართლიანობა ქრება, მაშინ აღარაფერი რჩება ისეთი, რომ ადამიანის სიცოცხლეს ღირებულება მისცეს.“ – ეს კანტის სიმაღლიდან დანახული კიდევ ერთი ბრწყინვალე აზრია.

ბუნებითი სამართალი, თავის მხრივ, იმლება ორ შტოდ: კერძო და საზოგადოებრივ სამართლად. პირველი ინდივიდების, როგორც მესაკუთრეების ურთიერთობას არეგულირებს. მეორე ადამიანთა შორის ურთიერთდამოკიდებულებას განსაზღვრავს, რომლებიც, კავშირით არიან გაერთიანებულნი, როგორც პოლიტიკური მთლიანობის (სახელმწიფო) წევრები.

ერთი მხრივ, კანტი ეთანხმება ლოზუნგს – თავისუფლება, თანასწორობა, დამოუკიდებლობა, თუმცა, იქვე გვარწმუნებს, რომ ამაში ფართო დემოკრატიას არ გულისხმობს. იგი მოითხოვს ყველა მოქალაქის დაყოფას აქტიურებად და პასიურებად (რომელთაც არა აქვთ ამომრჩევლის უფლება), ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც საარსებო საშუალებას სხვათა განკარგულების შესრულებით შოულობენ (დაქვეითებული, ვიღაცაზე დამოკიდებული საზოგადოება).

კანტზე, ისევე როგორც სოკრატეზე, შეიძლება ვთქვათ, რომ ის არა მარტო ფილოსოფოსი იყო, ამ სიტყვის ჩვეული გაგებით, არამედ ის იყო ბრძენი, რომელიც ამ სამყაროში და ამ სამყაროსათვის ცხოვრობდა. ვიმეორებთ – მან თვითონ შეაფასა თავისი ქმედება იმით, რომ განაცხადა: – **ორი რამ ავსებს ჩემს სულს საკვირველებით: ვარსკვლავებით მოჭვდილი ცა ჩემს ზემოთ და მორალური კანონი ჩემში.** ეს ფრაზა მისი საფლავის ეპიტაფიად იქცა. კანტის პრინციპია ზნეობრივი ცხოვრება და მხოლოდ ეს მიაჩნია ღვთის ჭეშმარიტ მსახურებად.

„**ზნეობრივი ცხოვრების გარდა, რაც უნდა მოიმოქმედოს ადამიანმა ღვთის გულისათვის, არის უბრალოდ ცრურწმენა და ცრუსამსახური**“.

თუ რომელიმე ფილოსოფოსზე შეიძლება ითქვას, რომ მისთვის რელიგია იყო მორალი და მორალი – რელიგია, მაშინ ეს ფილოსოფოსი კანტია. მას შეეძლო სრული რწმენით განეცხადებინა, რომ მისი სწავლება წმინდა გონების რელიგიაა.

გეორგ ვილჰელმ ჰეგელი (1770-1831), გენიალური მოაზროვნე. მისი შემოქმედება ცალკე ეპოქა არა მარტო ფილოსოფიის, არამედ პოლიტიკურ-სამართლებრივ ისტორიაშიც. პოლიტიკურ-სამართლებრივი კუთხით საინტერესოა მისი შრომები – „გერმანიის კონსტიტუცია“, „ბუნებრივი სამართლის კვლევის მეცნიერული მეთოდები, მისი ადგილი პრაქტიკულ ფილოსოფიასა და მისი ურთიერთობა პოზიტიური სამართლის მეცნიერებასთან“,

„სულის ფენომენოლოგია“ (1807), „ვიუტენბერგის სამეფოს საშუალო წოდების კრების ანგარიში“, „სულის ფილოსოფია“ (1831), „სამართლის ფილოსოფია (1820)“, „ისტორიის ფილოსოფია“ (1827) და ა. შ.

მისი სწავლება სახელმწიფოსა და სამართალზე სრული სახით გადმოცემულია ნაშრომში „სამართლის ფილოსოფია“ (1820). ის ჰეგელის მთელი ფილოსოფიური სისტემის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

ჰეგელისათვის დიალექტიკურად განვითარებადი სული სამ ძირითად საფეხურს გადის:

1. სუბიექტური სული (ანთროპოლოგია, ფენომენოლოგია, ფსიქოლოგია);
2. ობიექტური სული (სამართალი, მორალი, ზნეობა);
3. აბსოლუტური სული (ხელოვნება, რელიგია, ფილოსოფია).

აქ მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ ორ მომენტს:

1. ჰეგელის პოლიტიკურ-სამართლებრივი სწავლების საგანი (სამართალი, სახელმწიფო, საზოგადოება და ა.შ.) მიეკუთვნება ობიექტური სულის საფეხურს და წარმოადგენს ობიექტური სულის გარეგნულ აღმოჩენას, შექმნას, ანუ ობიექტივაციას.

2. ჰეგელის პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორია, მისი ფილოსოფიური სამართალი არის ობიექტური სულის ფილოსოფიური სწავლება, ე.ი. ობიექტური სულის ანალიზი აბსოლუტური სულის პოზიციიდან.

ფილოსოფიური სამართლის ძირითადი ამოცანაა – სახელმწიფოსა და სამართლის მეცნიერული შემეცნება, და არა ის, თუ როგორი უნდა იყოს სახელმწიფო ან სამართალი. ესაა მცდელობა „შეგვჭედოთ და ავსახოთ სახელმწიფო, როგორც რაღაც შინაგანად გონივრული“ და არავითარ შემთხვევაში ისეთი „სახელმწიფოს კონსტრუირების მცდელობა, როგორიც გვინდა, რომ იყოს“.

ჰეგელის ფილოსოფიის მთავარი იდეა – აზროვნება და ყოფა იგივეურია – გარდაისახა მის სახელმწიფოსა და სამართლის ფილოსოფიის თეზისში – სინამდვილისა და გონივრულობის იგივეობაში. აქედან მისი გამონათქვამი: „რაც გონივრულია, ის სინამდვილეა, და რაც სინამდვილეა, ის გონივრულია“.

იურისპრუდენციისაგან განსხვავებით, რომელიც სამართლის ნორმებს შეისწავლის (პოზიტიური სამართალი), სახელმწიფოსა და სამართლის ფილოსოფიური სწავლება მოწოდებულია შეწვდეს იმის არსს, რასაც სამართალი ეფუძვნება.

ობიექტური სულის სფეროში (არეალში) თავისუფლება, პირველად რეალიზდება, მჟღავნდება სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ფორმის სახით. სული თავისი სუბიექტურობის ფორმიდან გამოდის, ახდენს საკუთარი თავისუფლების ობიექტივაციას და შეიმეცნებს საკუთარი თავისუფლების გარეგან ფორმას – სულის ობიექტურობა შედის საკუთარ უფლებებში.

სამართლის ფილოსოფიაში ჰეგელი ნათელს ჰფენს ობიექტურად თავისუფალი სულის ფორმის აღმოჩენას, რომელიც ხორციელდება სამართალსა და სინამდვილის ცნებაში.

რადგან ჰეგელის მიხედვით ცნების რეალიზაცია სინამდვილეში არის იდეა; ამიტომ სამართლის ფილოსოფიის საგანია, სამართლის იდეა – ანუ სამართლის ცნებისა და მისი ყოფიერებაში განხორციელების ერთობა.

ჰეგელის ფილოსოფიაში სამართლის იდეა, რომელიც თავისუფლებაა, სახელმწიფოს და სამართლის სამყაროში იშლება. აქ ობიექტური სულის სფერო (არეალი) წარმოგვიდგება როგორც იდეალური პოლიტიკურ-სამართლებრივი რეალობა.

ჰეგელის ობიექტური იდეალიზმის ფილოსოფიაში წარმოდგენილია პოლიტიკურ-სამართლებრივი სამყაროს შემეცნება, როგორც მისი აზრობრივი შექმნა, წვდომა და გონის რეალურ სამყაროში გამოძვლავნება. ეს განიხილება, როგორც სამართლის ცნების რეალობაში დამკვიდრება. ესაა სამართლის ცნების კონკრეტიზაციის დიალექტიკური პროცესი, ანუ მოძრაობა, სვლა მისი აბსტრაქტული ფორმიდან უფრო და უფრო კონკრეტული საკენ. სამართლის ცნებში ჩაღრმავება, მასში შესვლა, გახსნა დაგვიანებს, რომ სამართლის აბსტრაქტული ფორმა არ შემდგარია, არანაღლია და ის უფრო და უფრო კონკრეტულ ფორმებში გამოძვლავნებით, გადასვლით ცდილობს „მოიხსნას“ ეს არასრულყოფილება.

ჰეგელისეული სამართალი გულისხმობს, რომ არსებული ყოფა თავისუფალი ნების განხორციელების შედეგია და ყოფიერებაში ხდება თავისუფლების სამყაროს რეალიზება.

ჰეგელისეული თავისუფლება წარმოადგენს ნების განსაზღვრების საფუძველსა და სუბსტანციას. აქ ჰეგელი გვესაუბრება განვითარებულ, გონივრულ თავისუფალ ნებაზე და არა ჩვენს უსუსურ, შეზღუდულ ნებაზე, რომელსაც თავისუფლების ნასახიც კი არ გააჩნია. თუ ჩავუღრმავდებით, მივხვდებით, რომ ჰეგელის ფილოსოფიაში აზროვნება და ნება არის არა ორი სხვადასხვა შესაძლებლობა, უნარი, არამედ – ორი საშუალება, მეთოდი – თეორიული და პრაქტიკული. ჰეგელის აზროვნება და ნება იგივეურია, ისევე როგორც თეორიული და ექსპერიმენტული ფიზიკა.

ჰეგელი სამართლის ფილოსოფიაში ცნება სამართალს ანიჭებს შემდეგ მნიშვნელობებს:

1. სამართალი, როგორც თავისუფლება (“სამართლის იდეა”);
2. სამართალი, როგორც თავისუფლების გარკვეული საფეხური და ფორმა (“განსაკუთრებული სამართალი”);
3. სამართალი, როგორც კანონი (პოზიტიური სამართალი).

უფრო ნათლად.

1. ობიექტური სულის საფეხურზე, იქ, სადაც ყოველგვარი განვითარება თავისუფლების იდეით განისაზღვრება, ცნება „თავისუფლება“ და „სამართალი“ ერთი და იგივე აზრს გამოხატავენ. ამგვარი თანხვედრისას, ამ საფეხურზე, ჰეგელის სამართლის ფილოსოფიას თამამად შეგვიძლია თავისუფლების ფილოსოფია ვუწოდოთ.

2. სამართლის სისტემის, როგორც თავისუფლების მოქმედების არეალს, სამეფოს ჰეგელი უწოდებს „განსაკუთრებულ სამართალს“. „განსაკუთრებული სამართლის“ იერარქია, ანუ მისი აბსტრაქტული ფორმიდან უფრო და უფრო კონკრეტული ფორმებისაკენ საფეხურებრივი სვლა მიმდინარეობს. და თითოეულ ამ საფეხურზე თავისუფლების იდეის თვითჩაღრმავება, და შესაბამისად, ცნება სამართლის კონკრეტიზაცია ხდება. ეს გვაძლევს არასრულყოფილ, შემოსაზღვრულ (ამ საფეხურის შესაბამის) რეალურ თავისუფლებას (თავისუფალ ნებას). სწორედ ეს არის „განსაკუთრებული სამართალი“. ეს დახასიათება მიესადაგება ისეთ ცნებებს, როგორიცაა აბსტრაქტული სამართალი, მორალი, ოჯახი, საზოგადოება, სახელმწიფო. ისტორიულად ამგვარ არასრულყოფილ „განსაკუთრებულ სამართალს“ გარემოცვაში ვიმყოფებით და ახლაც ვიმყოფებით. ქრონოლოგიურად წინა „განსაკუთრებული სამართალი“ მომდევნოსთან მიმართებაში დიალექტიკურად „იხსნება“, ის უფრო აბსტრაქტულია და შემდგომი „განსაკუთრებული სამართლის“ საფუძველს წარმოადგენს.

3. სამართალი, როგორც კანონი (პოზიტიური სამართალი), არის ერთი „განსაკუთრებულ სამართალთაგანი“. ჰეგელის აზრით, „ის (პოზიტიური სამართალი) არის სამართალი საკუთარ თავში, განთავსებული თავის ნაღდი ყოფის ობიექტურობაში, ე.ი განსაზღვრულია გონივრული შემეცნებისათვის, ისეთი, როგორიც არის სამართალი და ითვლება სამართლად, და ის ცნობილია როგორც კანონი: ამ განსაზღვრულობის გამო, სამართალი საერთოდ არის, პოზიტიური (მოქმედი) სამართალი“.

ის, რაც იყო სამართალი თავისთავში გარდაიქმნება კანონში. სამართალს საყოველთაო ფორმა ენიჭება, კანონმდებლობის გზით, ჭეშმარიტი განსაზღვრულობით. კანონმდებლობის საგანი შეიძლება იყოს ადამიანური ურთიერთობის გარეგანი მხარე, მაგრამ არა ადამიანთა შიგა სფეროები.

ჰეგელის „ბუნებით სამართალში“, სამართალსა და კანონს შორის განსხვავების პრობლემა განიხილება, როგორც განსხვავება ფილოსოფიურ (ბუნებით) სამართალსა და პოზიტიურ სამართალს (კანონს) შორის, ისე, როგორც ფილოსოფია განსხვავდება კანონისაგან. იმავდროულად, ჰეგელი ცდილობს მათ შორის დაპირისპირება გამორიცხოს სამართლებრივ ფილოსოფიაში. ამ დაპირისპირებას ის რაღაც დიდ გაუგებრობად მიიჩნევს. ჰეგელის სწავლებაში ნათლად ჩანს სამართლის მორალთან, ზნეობასთან შერევის მცდელობა.

ჰეგელი აღიარებს, რომ სამართლის შინაარსი შეიძლება დამახინჯდეს კანონმდებლობის დამკვიდრების პროცესში. შედეგად ვიღებთ იმას, რომ ყველაფერი, რაც მოცემულია კანონის ფორმაში, არაა სამართალი, რადგან მხოლოდ კანონზომიერი პოზიტიური სამართალია კანონიერი და სამართლებრივი.

ჰეგელის სამართლის ფილოსოფიაში საუბარია, არა სამართლისა და კანონის დაპირისპირებაზე, არამედ იმ განმარტებების დაპირისპირებაზე, რაც შეიძლება წარმოიშვას ერთი და იგივე სამართლის ცნების განსხვავებულ საფეხურებზე კონკრეტიზაციისას.

ცხადია, ისმის კითხვა – პოზიტიური სამართლის არეალში ხომ არსებობს ძალადობა, ტირანია? ამ კითხვაზე ჰეგელი შემდეგნაირად პასუხობს – „ის მდგომარეობა, რომ ძალადობა და ტირანია შეიძლება იყოს პოზიტიური სამართლის ელემენტი, რაც შემთხვევითობაა, არ შეესაბამება მის ბუნებას“.

აი ასე, არც მეტი, არც ნაკლები, ტირანია შემთხვევითობაა. გამოდის, რომ ადამიანთა ისტორია შემთხვევითობაა, რადგან მთელი კაცობრიობის ისტორია ტირანიის აღწერის ისტორიაა. ჰეგელის მოსაზრებით, იქამდე ვიქნებით ამ შემთხვევითობაში, სანამ არ გავიაზრებთ იმ კანონზომიერებას, რომელშიც სამართალი გვეკლინება სამართლად.

თავისი ბუნებით კი პოზიტიური სამართალი, როგორც თავად სამართლის ცნების საფეხური – გონივრულია.

ჰეგელი აღიარებს მონტესკიეს დამსახურებას, რაც პოზიტიური სამართლიდან ისტორიული ელემენტის გამოყოფა-დანახვაში გამოიხატება. ამის მიუხედავად, ჰეგელიც ამტკიცებს, რომ კანონებში აღიწერება ხალხის ნაციონალური ხასიათი, მისი ისტორია, განვითარების ღონე, ცხოვრების ბუნებრივი პირობები. ამავე დროს, ჰეგელი აღნიშნავს, რომ წმინდა ისტორიული კვლევა არის ისტორიათა შედარებით მიღწეული შემეცნება და ის განსხვავდება ფილოსოფიური შემეცნების შესაძლებლობისგან, მეთოდისაგან. ისტორიული მასალა, რომელიც თავისთავად არაა ფილოსოფიურად გონივრული, ჰეგელის აზროვნებაში (კონცეფციაში) ფილოსოფიურ მნიშვნელობას მხოლოდ მაშინ იღებს, როცა ისტორია ფილოსოფიური ცნების განვითარების წყაროს წარმოადგენს.

ჰეგელის სწავლებაში სამართლის ცნების განვითარების სამი ძირითადი საფეხური გამოიყოფა; იმდენად რამდენადაც, მისთვის თავისუფალი ნების სამი მთავარი ფორმა – აბსტრაქტული სამართალი, მორალი და ზნეობა – არსებობს.

აბსტრაქტული სამართლის სწავლება მოიცავს საკუთრების, ხელშეკრულების და არასიმართლის პრობლემატიკას. აბსტრაქტული სამართალი არის სამართლის ცნების აბსტრაქტულიდან კონკრეტულიაკენ სვლის პირველი საფეხური. ესაა აბსტრაქტულად თავისუფალი პიროვნების სამართალი. აბსტრაქტული სამართალი ზოგადი სამართლის საფუძველია. ჰეგელისათვის აბსტრაქტულად თავისუფალ ადამიანში (პიროვნებაში) იგულისხმება ადამიანის (პიროვნების) სამართალუნარიანობა. აბსტრაქტული სამართალი არის ყველა მომდევნო, უფრო კონკრეტული სამართლისა და თავისუფლების განსაზღვრის საშუალება. ამ სტადიაზე პოზიტიურ კანონს ჯერ

კიდევ არ აღმოუჩენია საკუთარი თავი. მისი ექვივალენტი ამ ეტაპზე არის გამოთქმა: „იყავ პირი (სახე) და პატივი ეცი სხვებს, როგორც პირებს (სახეებს).“

პიროვნება საკუთარი თავისუფლების რეალიზაციას უპირველესად კერძო საკუთრების სამართალში შეიგრძნობს. ცხადია, ადამიანები სამართლებრივად, უფლებრივად თანაბარნი არიან კერძო საკუთრების ქონაში, თუმცა, საკუთრების რაოდენობრივად განმსაზღვრელი სამართალი არ არსებობს.

კერძო საკუთრების მფლობელ ადამიანთა შორის დაპირისპირებისას წარმოიშობა ხელშეკრულება, რასაც ჰეგელი გონივრულობის რეალიზაციის ერთერთ აუცილებელ მომენტად განიხილავს. მისი აზრით, ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს რაიმე ისეთი ერთეული გარეგანი საგანი, რომლის გასხვისებაც შესაძლებელია. ამიტომ ჰეგელისათვის მიუღებელია კანტის აზრი ქორწინებაზე, როგორც ხელშეკრულებაზე. ცხადია, მისთვის მითუმეტეს მიუღებელია სახელმწიფოთა შექმნისა და ჩამოყალიბების ხელშეკრულებითი თეორია.

ხელშეკრულება ცალკეულ ადამიანთა თავისუფალი არჩევანისაგან გამომდინარეობს.

„სახელმწიფოს შექმნის ხელშეკრულების აღრევამ კერძო საკუთრების მარეგულირებელ ხელშეკრულებასთან, ხელშეკრულებითი სამართლის სამოქმედო არეალის გაურკვევლობამ, ადამიანთა ცხოვრებაში უდიდეს არეულობასთან მიგვიყვანა.“

აბსტრაქტული სამართლის სწავლების მომდევნო ეტაპად ითვლება ჰეგელის შეხედულება არასამართალზე (გულუბეყრილო არასამართალი, ტყუილი, იძულება და დანაშაული). დანაშაული – ესაა სამართლის შეგნებული დარღვევა. ამიტომ სასჯელი არის როგორც დარღვეული სამართლის აღდგენის საშუალება, ასევე დამნაშავეს სამართალი (უფლება), რომელიც უკვე ჩადებულია თავისუფალი ადამიანის (დამნაშავეს), ქმედებაში, ნამოქმედარში.

ჰეგელის სქემის მიხედვით, დანაშაულის სასჯელით მოხსნას, მივყავართ მორალისა და სამართლის ცნების კონკრეტიზაციასთან. როცა აბსტრაქტული სამართლის სუბიექტი ხდება თავისუფალი ნების სუბიექტი, ის პირველად ითავისებს, აღიქვამს სუბიექტის დამახასიათებელი მოტივებისა და ქმედების მნიშვნელობას. ამრიგად, შედგა სუბიექტის თვითგამორკვევის აქტი.

სუბიექტური თავისუფლების არსი თვით სუბიექტის თვითგამორკვევაში დევს. სუბიექტური სული ობიექტივაციას მხოლოდ ქმედებაში, კანონის ქმედების სფეროებში (პოზიტიურ სამართალს) აღწევს.

მორალური ნება თავისთავად არადასჯადია. აბსტრაქტული სამართალი და მორალი სუბიექტური სულის ორი მომენტი, რომელიც კონკრეტდება ზნეობრიობაში, როდესაც თავისუფლების ცნება ობიექტურდება რეალობაში: ოჯახის, სამოქალაქო საზოგადოების და სახელმწიფოს სახით. ჰეგელისათვის სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სამოქალაქო საზოგადოება – ესაა ცალკეული ადამიანების კერძო მიზნებისა და ინტერესების რეალიზაციის სფერო. სამართლის განვითარების ხედვის კუთხიდან სამოქალაქო საზოგადოების ცნების გააზრება აუცილებელი ეტაპია, რადგან აქ განსაკუთრებული (კერძო) და საყოველთაოს ურთიერთკავშირები და ურთიერთგანსაზღვრულობა დემონსტრირდება.

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ ჰეგელის იდეის განვითარება ითვალისწინებს ერთობის მიღწევას. ამ ერთობის არეალში ერთი არსის ორი მომენტი – კერძო და საყოველთაო, კერძო პირის და საყოველთაო თავისუფლება – აღიარებული და გაშლილია მთელი სიმძლავრით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვაქვს განუვითარებელ სახელმწიფოსთან; სადაც ადამიანის განსაკუთრებული დამოუკიდებელი თავისუფალი განვითარება, არა მარტო სარწმუნოების, ტრადიციების, ადათ-წესების, ზნეობის, არამედ ქვეყნის დაღუპვის წინა პირობადაც აღიქმება. ჰეგელის სქემით, სამოქალაქო საზოგადოების საფუძვრზე, ჯერ კიდევ არაა მიღწეული ნამდვილი თავისუფლება. კერძო ინტერესების დაპირისპირების სტიქია შეზღუდულია არსებული საყოველთაო ძალაუფლებით, გარეგანი და შემთხვევითი, გაუაზრებელი სახით და არა გონივრულობით. ამ ეტაპზე სამოქალაქო

საზოგადოება არის ანტაგონისტური საზოგადოება. ჰეგელის აზრით, რა მდიდარიც უნდა იყოს ასეთი საზოგადოება, სამწუხაროდ, მას არ შეუძლია საზოგადოების პაუპერიზოვან (ლატაკ) ნაწილში სილატაკე შეამციროს, დაქვეითებული მდგომარეობა აამაღლოს და კრიმინალური სისტემა ეფექტურად აღაგმოს. ჰეგელის ანალიზში ნათლად ჩანს, რომ ამგვარ სამოქალაქო საზოგადოებას სიღარიბის და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების აღმოფხვრის ძალა არ შესწევს.

შესაბამისად, ასეთი არათავისუფალი სახელმწიფო საკუთარი შიგა პრობლემების მოგვარებას საზღვრების ძალადობრივი გაფართოვებით, სხვათა კოლონიზირებით, არაჯანსაღი პოლიტიკითა და საგარეო ვაჭრობის მეშვეობით ცდილობს. ჰეგელი პოზიტიურ სამართალს, მართლმსაჯულებას და პოლიციურ სისტემას სამოქალაქო საზოგადოებასთან მიმართებაში განიხილავს და არა სახელმწიფოსთან მიმართებაში; რაც იმას მიგვანიშნებს, რომ ჰეგელი სამოქალაქო საზოგადოებას სოციალურ-პოლიტიკური ელფერით განიხილავს. მართლაც, სამოქალაქო საზოგადოების მოქმედების სფეროში რეალურად ფუნქციონირებს კერძო საკუთრება, რომელსაც კანონის, სასამართლოსა და პოლიციის მხრიდან დაცვა სჭირდება. ჰეგელი კანონის, სამართალწარმოების და ნაფიც მსაჯულთა საჯაროობის, გამჭვირვალობის აუცილებლობასა და პოლიციის ყოვლისშემძლეობის და მისი კერძო საქმეებში ჩარევის დამლუპველობაზე ამახვილებს ყურადღებას; თუმცა, თუ როგორ უნდა მოვაგვაროთ ეს ყველაფერი, სამწუხაროდ, ის ვერაფერს, ან არაფერს გვეუბნება. სამოქალაქო საზოგადოების უმაღლესი ინტერესები, რომელიც კანონმდებლობის სამართლისა და პოლიციური სისტემის დაცვის ქვეშ იმყოფება, განვითარების თეორიის ლოგიკის თანახმად, გადის საკუთარი სფეროს საზღვრებიდან და სახელმწიფოს სფეროში, არეალში შედის.

ამ ანალიზს ჰეგელი მიჰყავს საინტერესო ფრაზასთან – **საზოგადოება და სახელმწიფო ისე შეესაბამება ერთმანეთს, როგორც გონიერულობა და გონი.** ჰეგელისათვის საზოგადოება არის „გარეგანი სახელმწიფო“, ანუ „სახელმწიფო, როგორც ცხადი, სავალდებულო და განსჯის შედეგი“. ნამდვილი სახელმწიფო კი არის – გონიერული. განვითარებული საზოგადოება სახელმწიფოს საფუძველია. სახელმწიფოში საბოლოოდ მიიღწევა განსაკუთრებულისა (კერძოსა) და საყოველთაოს იგივეობა; ხდება ზნეობის ობიექტივაცია, მიიღწევა ზნეობის სინამდვილესთან ორგანული ერთობა. ზნეობა და სინამდვილე იგივეური ხდება.

ჰეგელის აზრით, სამოქალაქო საზოგადოება ესაა მოთხოვნილებათა შრომით დაკმაყოფილების სისტემა, რომელიც კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას და ადამიანთა ფორმალურ თანასწორობას ეყრდნობა. ჰეგელი ანალიზებს შრომის როლს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების სისტემაში; ასევე განიხილავს სოციალურ-ეკონომიურ დაპირისპირებას, სიმდიდრისა და სიღატაკის პოლარიზაციას, საზოგადოების კერძო საკუთრებრივ ხასიათს, კანონმდებლობის, სასამართლოსა და საჯარო ხელისუფლების როლს კერძო საკუთრების დაცვაში და ა.შ. თუმცა, თუ რა უნდა გავაკეთოთ, რომ ადამიანურად ვიცხოვროთ, ჰეგელი რატომღაც არ აკონკრეტებს. ჰეგელი განსაკუთრებით მკაცრად უდგება ისეთ საკითხებს, როგორცაა თანაფარდობა და ურთიერთკავშირები, კანონზომიერი ქმედებები სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ სფეროებში, სამოქალაქო საზოგადოებასა და პოლიციურ სახელმწიფოში. ის დიალექტიკურად განიხილავს ამ კავშირებსა და მათ თანაფარდობას.

რადგანაც იდეა ჰეგელისათვის რეალურ ყოფაში განხორციელებული ცნებაა. შესაბამისად მისთვის გონის, თავისუფლებისა და სამართლის განხორციელებული იდეა არის სახელმწიფო.

„სახელმწიფო ეს არის ღმერთის სვლა სამყაროში, რომლის საფუძველია გონის ძალაუფლება, რომელიც საკუთარ თავს ახორციელებს როგორც ნებას.“

ცხადია, ჰეგელი აღიარებს უვარგისი სახელმწიფოს არსებობის შესაძლებლობას, მაგრამ ასეთი სახელმწიფო მისი ფილოსოფიური განსჯის არეალში არ შედის.

ჰეგელის აზრით, სამართლებრივი სინამდვილე არის სახელმწიფოს იდეა. მის იერარქიულ სისტემაში სახელმწიფო წარმოგვიდგება როგორც კონკრეტული სამართლი, ანუ სამართლებრივი

სახელმწიფო. აქედან შეიძლება მივხვდეთ, რომ მოცემულ კონკრეტულ საფეხურზე ჰეგელისეული თავისუფლება, სამართლებრივი სახელმწიფოს მიღწევადობას ნიშნავს.

ჰეგელი სახელმწიფოს განიხილავს როგორც სამი განსხვავებული სახელმწიფოს სინთეზს:

პირველი – ანტიკური, პლატონისა და არისტოტელეს მიერ გააზრებული სახელმწიფო, როგორც სუბსტანციური და მთლიანად ზნეობრივი ორგანიზმი (პოლისის პირველადობა ინდივიდზე . . .);

მეორე – ისეთი სახელმწიფო, რომელშიც გათვალისწინებულია ისტორიული განვითარების შედეგები (ქრისტიანობა, რეფორმაცია . . .);

და მესამე – სახელმწიფო, რომელსაც ახასიათებს ფრანგული რევოლუციის იდეალები (ინდივიდუალური თავისუფლებისა და უფლებების აღიარება, კანონის წინაშე ყველას თანასწორობა . . .).

შესაბამისად ვიღებთ, რომ ჰეგელის სახელმწიფო არის გარკვეულ საფეხურზე, რაღაც ზნეობრივად, ეთკურად მთლიანი სისტემა. ასეთი სახელმწიფო არაა ინდივიდებისაგან, როგორც ატომებისაგან შემდგარი აგრეგატი, საკუთარი განცალკავებული უფლებებით. ის არის ცოცხალი ორგანიზმი და არა რაღაც მკვდარი ჰობსისეული მექანიზმი. ასეთ სახელმწიფოში, სისტემაში არ არის ერთი მხრივ ინდივიდის, მოქალაქისა და მეორე მხრივ, სახელმწიფოს უფლებებისა და თავისუფლებების დაპირისპირება, არამედ არის მათი ორგანულად ერთობლივი თავისუფლება. ასეთი სახელმწიფო, ანუ ორგანიზებული ერის თავისუფლება თავის თავში მოიცავს ცალკეული ინდივიდების თავისუფლებას.

ჰეგელის გონივრულ სახელმწიფოში ინდივიდების უფლებებისა და თავისუფლების დიალექტიკურად იერარქიული სისტემა, ინდივიდთა გაერთიანებები, საზოგადოება, სახელმწიფო და მისი ორგანოები ფუნქციონირებს, როგორც ორგანული პროცესი. აქ აბსტრაქტულის „მოხსნა“ კონკრეტულში ნიშნავს ცალკეული ორგანოს და ერთიანი ორგანიზმის ურთიერთდამორჩილებას და ეს ყველაფერი ატარებს სამართლებრივ ხასიათს.

ჰეგელის სამართლის ფილოსოფიაში წარმოდგენილი სახელმწიფოს არსის სხვადასხვა გააზრებები, როგორცაა: თავისუფლების იდეა, კონკრეტული და უმაღლესი სამართალი და ა.შ. არის სახელმწიფოს ერთიანი იდეის სხვადასხვა ასპექტები.

ჰეგელის სამართლის ფილოსოფიაში პოლისის მმართველობის ანტიკური გააზრება (პოლისი – სახელმწიფო, როგორც უმაღლესი და სრულყოფილი ურთიერთობის ფორმა) სინთეზირებულია „სამართლის ბატონობის“ დოქტრინასთან. ასეთი სინთეზის შედეგია ჰეგელის სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია.

ჰეგელის სახელმწიფო არის „სამართლის ბატონობის“ დოქტრინის სპეციფიკური ეტატიზებული ვარიანტი. ისევე როგორც არისტოტელესთან ურთიერთობებს, სიმართლესა და სამართალს მხოლოდ პოლისის ფორმა უზრუნველყოფს, ასევე ჰეგელთან თავისუფლება, სამართალი, სიმართლე ნამდვილია, ცოცხალია, ქმედითია მხოლოდ იმ სახელმწიფოში, რომელიც შეესაბამება თავის იდეას.

ამ იდეიდან გამომდინარე, ჰეგელის სამართლებრივი სახელმწიფოს ეტატიზებული ვერსია განსხვავებულია დემოკრატიული კონცეფციისაგან (ხალხის სუვერენიტეტი, უმრავლესობის ბატონობა უმცირესობაზე . . .). ასევე განსხვავდება ლიბერალიზმისაგან (ინდივიდუალიზმის პიროვნების თავისუფლების პრიორიტეტულობა . . .) და რა თქმა უნდა დესპოტურ, ტირანული მმართველობის ფორმებისაგან, სადაც ბატონობს ძალადობა და არა კონსტიტუცია, სამართალი, კანონი.

ჰეგელის აზრით, სახელმწიფო პლატონისა და არისტოტელეს წარმოდგენაში სუბსტანციურია, მაგრამ აკლია ინდივიდუალური თავისუფლება და სუბიექტური ნების მომენტი. რუსოს გააზრებაში, პირიქით, არ იკვეთება სახელმწიფოს სუბსტანციური ხედვა.

ჰეგელის სუბიექტური და ობიექტური ნების სინთეზი, სუბსტანციური და ინდივიდუალური საწყისი, გამომდინარეობს იქიდან, რომ სახელმწიფო, როგორც სუბსტანციური ზნეობრივი მთელი,

თავის შემადგენელი ელემენტებისთვის პირველადია, თავისთავად გონივრულია და საყოველთაო ნებაა. ეს სინთეზი ჰეგელის კონცეფციაში მთლიანად განხორციელებადია თუ სახელმწიფოს ემორჩილება სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა ობიექტი.

სახელმწიფოს იდეა ჰეგელის მიხედვით მყლავნდება სამგვარად:

1. როგორც ინდივიდუალური, უშუალო სინამდვილე სახელმწიფოს სახით (აქ საუბარია სახელმწიფო წყობაზე, შიდა სახელმწიფო სამართალზე).

2. როგორც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის საგარეო სამართალი.

3. როგორც სახელმწიფო (იდეა) მსოფლიო ისტორიაში.

ჰეგელისათვის სახელმწიფო, როგორც კონკრეტული თავისუფლების სინამდვილე არის ინდივიდუალური სახელმწიფო. ასეთ სახელმწიფოში ადგილი აქვს ძალაუფლების დანაწევრებას. ჰეგელი ეთანხმება თავის წინამორბედებს ლოკსა და მონტესკიეს იმაში, რომ ძალაუფლების დაყოფა თავისუფლების გარანტიაა, მაგრამ იმავდროულად მას სხვანაირად ესმის ხელისუფლების დანაწევრების ხასიათი, მნიშვნელობა, შემადგენლობა და ა. შ.

მისი აზრით, არსებული ხელისუფლების დაყოფის, ურთიერგამიჯვნის ასეთი გააზრება თავის თავში უკვე სიყალბეს შეიცავს, რადგან აქ არაა გათვალისწინებული ამ სახელისუფლებო შტოებს შორის მტრული დამოკიდებულება, ურთიერთსიძულვილი, ურთიერთშიში, წინააღმდეგობრივი ქმედებები. ჰეგელი ოცნებობს სახელმწიფო შტოებს შორის ისეთ ორგანულ ერთობაზე, რომლის დროსაც დანაწევრებულთა ძალაუფლება გამოდინარეობს ერთი მთლიანის სიმძლავრიდან და წარმოადგენენ ამ მთლიანი სიმძლავრის „მჩქეფარე ნაწილებს“. მხოლოდ მთლიანის ასეთი ბატონობისას იბადება სახელმწიფოს შიგა სუვერენიტეტი.

სახალხო სუვერენიტეტის დემოკრატიული იდეა ჰეგელისათვის უბრალოდ მიუღებელია. ის გვათავაზობს მემკვიდრეობითი კონსტიტუციური სუვერენიტეტის იდეას. მისი აზრით, სახელმწიფოებრივი საქმეები განისაზღვრება კანონებით, მონარქს კი რჩება ერთი რამ, დაეთანხმოს მას და წარმოთქვას სიტყვები „მე მსურს“ (რა საჭიროა ასეთი თეატრი? ნათლად ვერ ასაბუთებს).

ჰეგელი სასამართლო ხელისუფლებას განიხილავს, როგორც სამთავრობო ხელისუფლების შემადგენელ ნაწილს. სახელისუფლებო ძალაუფლების მთავარი ამოცანა და დანიშნულებაა არსებული კანონების აღსრულება. ხელისუფლების წევრები, ჩინოვნიკები, ჰეგელის აზრით, უნდა შეირჩეს ძირითადად „საშუალო ფენისგან“, უნდა გააჩნდეთ ინტელექტი და სამართლებრივი აზროვნება. ჰეგელი ითხოვს ჩინოვნიკების პერმანენტულ კონტროლს ზედა – სუვერენული ხელისუფლებისა და ქვედა – კორპორაციების, თემისა და გაერთიანებების მხრიდან.

საკანონმდებლო ხელისუფლების ამოცანაა განსაზღვროს და დაამკვიდროს საყოველთაო საკანონმდებლო კრება შედგება ორი პალატისაგან. ზედა პალატის ფორმირება მემკვიდრეობითი პრინციპით, მაიორატანულობის (ქონება უფროს შვილზე გადადის) საფუძველზე. რაც შეეხება დეპუტატთა პალატას, ის დანარჩენი საზოგადოებისაგან შედგება. დეპუტატებს წარმოადგენენ კორპორაციები, თემები, ამხანაგობები და ა.შ. აუცილებელია პალატებში საჯარო კამათი, ბეჭვდის თავისუფლება . . .

სახელმწიფოს იდეის უმაღლესი მომენტია სუვერენიტეტის იდეალურობა.

სახელმწიფოები ურთიერთობენ ერთმანეთთან, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი ინდივიდები.

სახელმწიფოს სუბსტანცია, მისი სუვერენიტეტი იდეალური მთელის ყველაფერზე აბსოლუტურ ძალაუფლებად გვეკლინება. ყველაფერში იგულისხმება – განსაკუთრებული და სასრული, ცალკეული ადამიანების სიცოცხლე, საკუთრება, ადამიანთა და მათი გაერთიანებების უფლებები. სუვერენიტეტის საკითხის განხილვისას საუბარია სახელმწიფოს სინამდვილეზე ანუ თავისუფალსა და ზნეობრივად მთელზე.

აქედან საინტერესო დასკვნა:

„ომის ეთიკური მომენტი, არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც აბსოლუტური ბოროტება და წმინდა გარეგანი შემთხვევითობა“. თუმცა, ჰეგელი ომზე მსჯელობისას ხაზს უსვამს, რომ მისი შეხედულებები ომის ეთიკურ და აუცილებელ მომენტებზე, მხოლოდ ფილოსოფიური იდეაა, და რეალური ომის ფენომენი უფრო კონკრეტულ განხილვას მოითხოვს.

სახელმწიფოთა შორის დამოკიდებულების სფეროს ჰეგელი განიხილავს, როგორც საგარეო სახელმწიფოებრივი სამართლის გამოვლენის არეალს. საერთაშორისო სამართალი, ჰეგელის მიხედვით, განსხვავდება შიგნით სახელმწიფოებრივი მოქმედი სამართლისაგან. საერთაშორისო სამართალი არის პირობითი, რაღაც ვალდებულებითი სამართალი (მე არ მომწონს რაღაც, მაგრამ ვალდებული ვარ ასე მოვიქცე). თუ როგორი იქნება, ან როგორ განვითარდება ასეთი პირობითი სამართლის ქმედითობა, დამოკიდებულია სხვადასხვა სახელმწიფოს განსხვავებულ სუვერენულ ნებაზე, ამიტომ ის არაა უმაღლესი სამართალი და სასამართლო ჩვეულებრივი გაგებით. იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფოები ერთმანეთის მიმართ ბუნებრივ დამოკიდებულებაში იმყოფებიან, ჰეგელი არ უარყოფს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს. შესაბამისად, სახელმწიფოთა შორის სამართალი და ხელშეკრულებითი ურთიერთობები უნდა არსებობდეს. სახელმწიფოებმა ერთმანეთი სუვერენულ და დამოუკიდებელ ერთეულებად უნდა ცნონ. არ ჩაერიონ ერთმანეთის შიგნით საქმეებში, პატივი უნდა სცენ ერთმანეთს და ა. შ. ცხადია, ეს მოითხოვს დადებული ხელშეკრულებების აღსრულებას. თუმცა, თუ არ აღსრულდა, რა უნდა მოვიმოქმედოთ, ბატონი ჰეგელი კონკრეტული ქმედების გეგმას არ იძლევა.

თუ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობისას მათი სუვერენული ნებები არაშეთანხმებადია, მაშინ ამ შეუთანხმებლობის გადაწყვეტა მხოლოდ ომითაა შესაძლებელი. ჰეგელი აქ მოითხოვს, რომ ომის დროსაც, ანუ უსამართლობისა და ძალადობის პირობებშიც, რაღაც პრინციპები უნდა მოქმედებდეს. მაგალითად სახელმწიფოთა ურთიერთცნობა აუცილებელია, რადგან ომი დროებით მოვლენაა და ყოველთვის არსებობს მშვიდობის შესაძლებლობა. ომის თემის განხილვისას ჰეგელი დარწმუნებულია, რომ დროთა ვითარებაში ომი უფრო ადამიანური გახდება. აქ გასაკვირია, როგორ შეიძლება ომი იყოს ადამიანური და თუ იქნება როგორ მოხერხდება ეს. ამაზეც ჰეგელი ნათელ პასუხს ვერ იძლევა.

ჰეგელი ეთანხმება შილერის აზრს – მსოფლიო ისტორია არის მსოფლიო სამართალი. ჰეგელის აზრით, ერთმანეთს უპირისპირდება სხვადასხვა სუვერენული ნებები და მათი ურთიერთობის დიალექტიკაში ერთვება საყოველთაო მსოფლიო სული, რომელიც ფლობს უმაღლეს სამართალს ცალკეული სახელმწიფოებთან მიმართებაში და განსჯის მათ. ჩვენც დავეთანხმებით შილერის აზრს და ჰეგელის მსჯელობას. მართლაც, მსოფლიო ისტორია მსოფლიო სამართალია. მსოფლიო ისტორიის, ანუ მსოფლიო სამართლის ჩვენს მიერ მრავალჯერადმა გაუაზრებლობამ, დარღვევამ მიგვიყვანა სასჯელამდე – კრწანისის მარცხამდე და თბილისის აოხრებამდე, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დაკარგვამდე და შემდეგ მკაცრი რეჟიმის კოლონიაში (სსრკ) 70 წლიან პატიმრობამდე. შემდეგ კი ციხის კედლების დანგრევით, შემთხვევით მიღებული თავისუფლების გაუაზრებლობით, გამოუყენებლობითა და უგუნურობით ჩვენ კვლავ ვარღვევთ მსოფლიო სამართალს და თუ ამას ვერ გავაიზრებთ, შესაძლებელია ამ სამართალმა უმაღლესი სასჯელი, სიკვდილი მოგვისაჯოს.

მსოფლიო ისტორია, როგორც თავისუფლების შემეცნება, არის სუვერენული სახელმწიფოს (ეთიკური სუბსტანციების) პროგრესის ისტორია, სახელმწიფოთა ფორმების პროგრესის ისტორია. ამ გააზრებებიდან გამომდინარე, ჰეგელი მსოფლიო ისტორიას რამოდენიმე მსოფლიო-ისტორიულ სამყაროდ წარმოგვიდგენს: აღმოსავლურ, ბერძნულ-რომანულ და გერმანულ. მათ შეესაბამება სახელმწიფოებრივი ფორმები – აღმოსავლური თეოკრატია, ანტიკური დემოკრატია და არისტოკრატია, თანამედროვე კონსტიტუციური მონარქია. „აღმოსავლეთმა იცოდა და იცის,

რომ თავისუფალი ერთია, ბერძნულ-რომაულმა იცის, რომ ზოგიერთი თავისუფალია, გერმანულმა სამყარომ კი იცის, რომ ყველა თავისუფალია“.

აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ ჰეგელი გერმანულ სამყაროში გულისხმობს ჩრდილო-დასავლეთ ევროპის ხალხებს. დანარჩენებს მსოფლიო ისტორიაში თავი არ აღმოვეჩინა და ეს ბედნიერება წინა გვაქვს.

ჰეგელს მკაცრად აკრიტიკებენ ეტატიზმში – სახელმწიფოს აღზევებას ინდივიდზე, საზოგადოებაზე და ა. შ. ამ კრიტიკაზე ჩვენ არ გავამახვილებთ ყურადღებას, მაგრამ საკუთარ აზრს გამოვთქვამთ.

ჰეგელი სახელმწიფოს განადიდებს, როგორც სამართლის იდეას (ე.ი. სინამდვილეს). ჰეგელის სახელმწიფო არის სამართლებრივი სახელმწიფო, ისეთი ორგანიზირებული თავისუფლება, სადაც იძულების აუცილებელ მექანიზმს, პოლიტიკური აპარატის ბატონობას სამართლით ლაგამი აქვს ამოღებული, ის მოქცეულია სამართლებრივ არხში, ვოლიერში და ფუნქციონირებს მხოლოდ სახელმწიფო სამართლებრივ ფორმებში.

ამრიგად, ჰეგელის სახელმწიფო რადიკალურად განსხვავდება სხვა ეტატიური სახელმწიფოებისაგან, სადაც სახელმწიფო სამართალზე მალლა დგას.

ჰეგელის ეტატიზმი არაფერი აქვს საერთო ტოტალიტარიზმთან, უფრო მეტიც, იგი მკვეთრად ეწინააღმდეგება მას.

ესაა ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ მიმართული ეტატიზმი.

ჰეგელი ეთანხმება გოეთეს – ხალხი შეიძლება მარწუნებში მოაქციოთ, მაგრამ მის გასრესას ვერასდროს შეძლებთ.

ჰეგელი მკაცრად ილაშქრებს ფილოსოფიის იმ მეთოდების წინააღმდეგ, რომელიც იდეას ადამიანის მხოლოდ სუბიექტური ქმედების ნაყოფად თვლის. ჰეგელის იდეა ნებისმიერი საგნის, ყველაფრის, მათ შორის ცნებების არსიცაა. იდეა არის, როგორც სუბიექტის, ასევე ობიექტის არსი და ამით ხდება სუბიექტსა და ობიექტს შორის დაპირისპირების გადალახვა. მის შემოქმედებაში იდეის ცვალებადობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰეგელისთვის იდეები „თვითმოძრავნი“ არიან. თითოეული ცალკეული იდეა გადადის თავის სხვაგვარ, სხვა იდეაში. ესაა – დიალექტიკური უარყოფა. თუზისი გადადის ახალ თუზისში, შემდეგ ისინი ერწყმიან ერთმანეთს ახალ ერთობაში. სინთეზირებული იდეა თავისთავში თუზისსა და ანტითუზისს მოიცავს (ჰეგელის ტრიადა „თუზისი, ანტითუზისი, სინთეზი“).

ჰეგელის აზრებია: **ყველა ჭეშმარიტი მსოფლიო ისტორიული მოვლენა ხდება ორჯერ: პირველად უდიდესი ტრაგედიის სახით, მეორედ – როგორც საცოდავი ფარსი.**

რელიგია ადამიანის შემეცნების საყოველთაო, საბოლოო და უმაღლესი სფეროა. ეს ის სფეროა, სადაც ადამიანი შედის, როგორც აბსოლუტური ჭეშმარიტების სფეროში.

– რწმენა იგივე ცოდნაა, მხოლოდ თავისებური ფორმით.

– ადამიანის ქმედება მის არსს ნათლად და ცხადად გამოსახავს, რასაც ადამიანი აკეთებს, ისეთივეა ის.

– ზნეობა ნებისყოფის გონებაა.

– ზნეობრიობა სილამაზის ფორმით უნდა გამოვლინდეს.

– ერთხელ მას უთხრეს, რომ მისი თეორია ფაქტებს არ ეთანხმება. „მით უარესი ფაქტებისათვის“ – უპასუხა ჰეგელმა.

ობიექტურობა მოითხოვს, ამ უდიდეს მოაზროვნეს იმ კუთხითაც შევხედოთ, რომელიც ჩვენთვის ნაკლებადაა ცნობილი. ჰეგელი, როგორც ბავარიის ერთ-ერთი გაზეთის რედაქტორი, ბავარიაში ფრანგების ბატონობას ამართლებდა. ეს პატრიოტიზმისადმი დაბალ ასტრალურობას, ანდა ნაპოლეონის პიროვნებით გადაჭარბებულ აღფრთოვანებას უნდა მივაწეროთ. ის ნაპოლეონს „სამყაროს

სულად“ მოიხსენიებს. როდესაც მისი ამხანაგები, პროფესორები ფრანგების წინააღმდეგ საბრძოლველად არმიაში ეწერებოდნენ, ის მათ ქმედებას ირონიით უყურებდა და ნიურნბერგში წყნარად, უშფოთველად ცხოვრობდა.

ჰეგელის მსგავს ადამიანებს ქონდრისკაცობა, მით უმეტეს, მლიქვნელობა არ უნდა ახასიათებდეთ. თუმცა, ისიც ცნობილია, რომ ხშირად მათთვის საკუთარი მიზნის აღსრულება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ არსებული პოლიტიკური ლიდერების მიმართ კომფორმიზმს ამჯობინებენ. მათ ეგოცენტრიზმი აიძულებს ხმამაღლა არ გამოთქვან ის სიმართლე, რასაც საკუთარი აზროვნების სიმაღლიდან ნათლად ხედავენ (ამის მაგალითები უხვადაა ჩვენს კლასიკოსებშიც, განსაკუთრებით ბოლშევიზმის პერიოდში).

მართლაც, დასაფიქრებელია, რატომ ჭრის ყალბ ფულს ის, ვინც მოგვიანებით დიოგენე ხდება. რატომ ზრდის არისტოტელე მაკედონელს. რატომ იღებს ქრთამს ფრენსის ბეკონი. გამოდის, რომ ისეთი ადამიანები, როგორცაა სოკრატე, ბრუნო, ვაჟა . . . – ადამიანთა შორის გამორჩეულნი, მართლაც, დღისით, მზისით ჩირაღდნით საძებარნი არიან.

ნუ გამკიცხავთ.

მე მაქვს უფლება ჰეგელს აზროვნების გმირი ვუწოდო, და ამავე დროს, მისი გადაჭარბებული ეგოცენტრიზმიც შევაძნო. ჰეგელი ის ფენომენია, რომლის განსჯა, შეფასება ურთულესი ამოცანაა.

მართლაც, ძნელია განვსაჯო ადამიანი, მით უმეტეს ჰეგელი, იმ დონიდან, სადაც მე ვდგავარ.

ამიტომ მრჩება ერთი გამოსავალი, როგორმე გავუგო მას.

ჰეგელის ფილოსოფია ემოციების მიმართ ინდიფერენტიზმითაა გამსჭვალული. მის შემოქმედებაში ეროტიზმისა და მისტიციზმისათვის ადგილი არ რჩება. ის საკუთარ შემოქმედების მიმართ ისეთივე ერთგულია, როგორც მოწესრიგებული მამრი, რომელიც მკაცრად იცავს ქორწინებით დაკისრებულ მოვალეობას და მისთვის სიწყნარის შენარჩუნება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ „გვერდზე გახედვა“, სხვა ქალით დაინტერესება, უბრალოდ გამორიცხულია. მისი მიზანია მხოლოდ შემეცნება. მისთვის ღმერთი მხოლოდ გონი, სულია და არა ემოცია, აღფრთოვანება. ჰეგელი კმაყოფილებას მხოლოდ შემეცნების პროცესით განიცდის, რაც მისი მცირე ასტრალურობის აშკარა გამოვლინებაა. მცდელობა შეარიგო იდეალი და სინამდვილე, რეალობა და ადამიანის ემოციურობის მნიშვნელოვნება უგულვებელყო, – ეს არის ჰეგელის ფილოსოფიის ზოგადი არსი.

ალბათ, მისი გენიალური გონება ყველაფრისაგან გათავისუფლებას ითხოვდა, რათა იმას შესწავლოდა, რისი წვდომაც ადამიანს ხელეწიფება. ამიტომაც მისი ფილოსოფია (მისი პოეზიისგან განსხვავებით) ყინულივით ცივი და სუფთა. ჰეგელის აზრით, სამყაროს არსი მხოლოდ ლოგიკის კანონებით განისაზღვრება. მაშ, ჩვენ რა ვქნათ, როგორ ვიცხოვროთ უემოციოდ, უსიყვარულოდ მკაცრი ლოგიკის სამყაროში?

საოცარია, მაგრამ ფაქტია – გიმნაზიაში სწავლისას მის დღიურში ერთი ჩანაწერიც კი არაა სიყვარულზე. მხოლოდ სტუდენტობისას ჩნდება პწკარები: „საინტერესო იყო შარშანდელი ზაფხული, მაგრამ წლეგანდელი უფრო საუკეთესო“. „V. A.!!! 1791წ. 7 ოქტომბერი. „

წინა ზაფხულს მან ღვინოს გაუგო გემო. შემდეგ ზაფხულს – ქალს. „V. A.!!!“ ნიშნავს „ვივატ ავეუსტა!!!“ ეს ქალის სახელია და არა – აგვისტოს თვე. ამის მიუხედავად, ჰეგელის პედანტობის ხარისხი უცვლელი რჩება: „ძნელია ქორწინების პირველ სემესტრში წიგნზე მუშაობა“, – წუხდა ის. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, ის თავლობის თვეს „პირველ სემესტრს“ უწოდებს.

მოგვიანებით კი პირად წერილში ჰეგელი ცოლს ეტრებახება, – ოფიციალტს ხურდა დაუტოვე, თუმცა შემძლო არც მიმეცაო. ეს მისთვის ისეთი მნიშვნელოვანი და უჩვეულო მოვლენა იყო, რომ ცოლს შეატყობინა.

პედანტობის პარალელურად, მასში ძალაუფლებისაკენ ლტოლვა ვითარდება. ჰეგელი ინტუიციით გრძნობს საკუთარ გენიალობას, რომელსაც სხვები არ აღიარებენ. მას, როგორც მშვიერ პრივატ-ლოცენტს, სამართლიანად მიაჩნდა, რომ საკუთარი შემოქმედების სახით უკვდავების პატენტი უკვე

ჯიბეში ელო. ის ორმოც წლამდე ყურადღების მიღმა, ჩრდილში აღმოჩნდა, რამაც ის გააღიზიანა და ეს ადამიანურად გასაგებია; თუმცა, რატომ გადადის წყენიდან კომპრომისზე და ორაზროვნებაზე, ეს მეტად დასაფიქრებელია.

მან დაიწყო სიტყვებითა და ფორმულირებით თამაში: „ყველაფერი, რაც სინამდვილეა – გონივრულია. ყველაფერი გონივრული – სინამდვილე“. ის ან მორჩილებისაკენ მოგვიწოდებს, ან ბოლომდე არ ხსნის საკუთარ აზრს და ამით დაგვცინის. და ალბათ, ეს დაცინვაც ადამიანის აზროვნების განვითარებისკენაა მიმართული. მას რომ დაემატებინა ამ ფორმულირებისათვის ქმედების არეალი – ბუნება, ყველაფერი შეიცვლებოდა. მართლაც, ბუნებაში სინამდვილე, რეალობა გონივრულია და ყველაფერი გონივრული – სინამდვილე. ხელოვნურში, გამოგონილ „რეალობაში“, მართლაც, ძნელი აღსაქმელია ეს აზრი. მაგ., დღევანდელ საქართველოში დამკვიდრებული გამოგონილი „ცხოვრება“, სინამდვილე შეუძლებელია იყოს გონივრული და ამას არ შეეღის ანდაზა – „რაც მოგივა დავითაო . . .“

ჰეგელს რაც გინდათ ის დააბრალეთ, მაგრამ არა უნამუსობა. მას ამ სისაძაგლეს მისი უსასტიკესი მტრებიც კი ვერ აბრალებდნენ.

ეჭვობა, სამართლიანობა ადამიანის ნიჭის მიმართ პატივისცემას მოითხოვს.

მიმაჩნია, რომ ჰეგელის გენიალური აზრები სამყაროს საიდუმლოს შესაცნობად, აღსაქმელად გადაღებული მკვეთრი, თამამი ნაბიჯია და ჰეგელს უდიდეს პატივს მივაგებ, რადგან მან ადამიანის გონების სიმაღლის წვდომის უნარი, გონების უსაზღვრო შესაძლებლობა ნათლად დამანახა.

მითიური გორგონა რასაც შეხედავდა, ყველაფერს აქვავებდა. ჰეგელის ფილოსოფია რასაც ენება ყველაფერს აცოცხლებს.

ყოფიერების თაობაზე მის მიერ გამოტანილ ვერდიქტს ისე ვიღებ, როგორც თეორხალათიანი, ნილაბაფარებული ქირურგის უემოციო დიაგნოზს და არა, როგორც მეგობრის რჩევას. თუმცა, დღეს ჩვენ ქირურგის ვერდიქტი უფრო გვჭირდება, ვიდრე სუფრასთან, ჭიქით ხელში, მეგობრული ღიმილიანი, თბილი, მაგრამ გაუაზრებელი რჩევა-დარიგება.

უნდა აღინიშნოს **არტურ შოპენჰაუერის (1788-1860)** დამოკიდებულება ჰეგელისადმი.

მისი აზრით, ჰეგელი კერპი, საშუალო აზროვნების ადამიანია. შეზღუდული გონების ადამიანებისათვის ის ხელოვანია, მაგრამ მისი ხელოვნება გერმანელი ხალხის მოტყუებაში გამოიხატება. ჰეგელმა გახრწნა და გამოათავყვანა ფილოსოფია. მისი ნაშრომი „სულის ფენომენოლოგია“ გონებაშეზღუდულის დაწერილია. მისი შემოქმედების 3/4 უაზრობა, 1/4 კი სულელური გამოხატონია.

შოპენჰაუერმა ბერლინის უნივერსიტეტში ლექციების ჩასატარებელი დრო ჰეგელის ლექციების დროს დაამთხვია და მერე აღშფოთებული იყო, რომ სტუდენტები ჰეგელის ლექციებს ესწრებოდნენ და მისას კი აცდენდნენ.

შოპენჰაუერს გარკვეული უცნაურობანი ახასიათებდა – ეჩვენებოდა, რომ მის წინააღმდეგ ყველა შეთქმულებას აწყობდა. უცხო ენებს ბრწყინვალედ ფლობდა. იგი ავტორია ტერმინისა „**პესიმიზმი**“. ცხოვრების მკაცრი რეჟიმი ჰქონდა. ყოველ საღამოს დაძინებისას იმ მცირე განძეულობას, რაც გააჩნდა, სპეციალურ სამალავში მალავდა და ლოგინში იარაღით იძინებდა. დილით ისევ გამოფენდა ნივთებს და მათი მზერით ტკბებოდა.

შოპენჰაუერის მთავარი შრომაა „**სამყარო, როგორც ნება და წარმოსახვა**“. ეს შრომა მან 30 წლისამ დაწერა. ეს ნაშრომი 800 ეგზემპლარად დაიბეჭდა; გაიყიდა 100 ცალი. მალაზიამ გადაინახა 50, დანარჩენი კი მაკულატურად ჩააბარა.

შოპენჰაუერი შემეცნების ორ წყაროს აღიარებს: გონებას და ჩვენს შინაგან, უშუალო შემეცნებას. გონებით ხდება მოვლენის შეცნობა, შესაბამისად, ის ჩვენი სუბიექტური წარმოდგენაა. ის არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობს გონება. გამოდის, რომ ობიექტი არ არსებობს სუბიექტის გარეშე, ისევე როგორც გონება არ არსებობს სამყაროში მიმდინარე მოვლენათა გარეშე. ასევე, არც სუბიექტი არსებობს ობიექტის გარეშე. შინაგანი ცნობიერებით ჩვენ ყოფიერებაში შევდივართ

და მოვლენათა საფუძველს, ანუ „საგანს თავისთავად“ შევიძინებთ. სწორედ ეს შინაგანი ცნობიერება გვაუწყებს, რომ ნება ყოველივეს საფუძველია. ნება ყოველგვარი სურვილის და მოქმედების პირველსაწყისია, ანუ ადამიანში პირველადია ნება (სული) და შემდეგ ამ ნების შესაბამისად ხდება შემეცნება. მაგალითად, მისთვის ადამიანის სხეული და სული (ნება) ერთი და იგივე საგნის ორი მხარეა. აქ ნება რეალურია და მისი რეალიზება – „ობიექტივაცია“ – სხეულია. ნება არსი და საფუძველია ყოველივე არსებულის, თვით უსულო საგნებისაც კი. „სამყაროს ბირთვი, ძირითადი სამყაროული პრინციპი, რომელიც სიცოცხლისაკენ მოუწოდებს საგანთა მთელ მრავალფეროვნებას, არის არაცნობიერი, ბრმა ნება“. ნება სამყაროში გადასვლისას თანდათან ცნობიერი ხდება. უმაღლესი, რასაც ნება წარმოშობს არის ინტელექტი. ინტელექტი ნების წარმოებული მეორადი ფუნქციაა. მთელ ბუნებაში, ყველა ორგანიზმში მოქმედებს ერთიანი, პირველადი ნება და ესაა ნება სიცოცხლისა. მსოფლიო ნება – აბსოლუტური, უსაგნო „სურვილია (ნდომა) სიცოცხლისა“. ეს ნება დაუსრულებელი, აულაგმავი სურვილია, რომელიც არასდროს კმაყოფილდება და ესაა წყარო ბოროტების, ტანჯვის. აქედან გამომდინარე, განსხვავებით ლაიბნიცისაგან, მისთვის არსებული სამყარო ყველაზე უარესია ყველა შესაძლო ვერსიათაგან. ყოველგვარი სწრაფვა დაუკმაყოფილებლობიდან მოდის და სანამ ამ სწრაფვის მიზანი არ იქნება მიღწეული, იგი ტანჯვად დარჩება. რაც უფრო სრულყოფილია ორგანიზმი, მით მეტია მასში ნება, სურვილი, მით მეტია ტანჯვაც. ამიტომ ყველაზე ტანჯული ადამიანია. მისი ფილოსოფია გაჟღერებულია პესიმიზმით. არა, ის არ გვთავაზობს თვითმკვლელობას. თვითმკვლელობა არაა გამოსავალი, რადგან თვითმკვლელობა სიცოცხლის უარყოფაა და არა სიცოცხლის სურვილის უარყოფა. ამიტომ რჩება ერთი – ასკეტიზმი, ანუ სიცოცხლის სურვილისა და ტკობის უარყოფა. აქ უნებურად გვანსენდება ბუდიზმი და ეს მსგავსება მართებულია, რადგან შოპენჰაუერისათვის ბუდიზმი უმაღლესი რელიგიაა.

მისი შრომების მთავარი აზრია – **ობიექტი არ არსებობს სუბიექტის გარეშე** – ამ აზრმა მატერიალიზმს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.

არავითარი რეალური სამყარო არ არსებობს. არის მხოლოდ ჩვენი აღქმა, წარმოდგენა სამყაროზე. სამყარო მხოლოდ ჩვენს ინტერპრეტაციაში არსებობს

თუ ინტელექტს გააქრობთ – სამყარო გაქრება.

მე ჭეშმარიტებას მიყვები და არა ღმერთს.

ვისაც უყვარს ჭეშმარიტება, ის ვერ იტანს ღმერთებს, ვერც – ერთს და ვერც – მრავალს. ცოდნა და რწმენა სასწორის ორი მხარეა. თუ ერთი მაღლა იწევს, მეორე ეშვება.

შენ შენგან უნდა გაიგო რაა ბუნება და არა ბუნებისაგან – ვინ ხარ შენ.

მე და ჩემი დრო ერთმანეთს არ შევესაბამებით – ეს შოპენჰაუერის აზრებია.

ედმუნდ ბიორკი (1729–1797). ბიორკი არის ირლანდიური წარმოშობის ინგლისელი ფილოსოფოსი, პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი. მისი მთავარი კონცეფციაა – ქრისტიანული სახელმწიფო. ის ღრმად და დარწმუნებული – **შემოქმედმა სახელმწიფო იმიტომ შექმნა, რომ ჩვენი ნატურის არსი უფრო სრულყოფილი გამხდარიყო.** მას ხელშეკრულებით თეორიაზე საკუთარი თვალსაზრისი აქვს. ბიორკი დასაშვებად მიიჩნევს, რომ საზოგადოება არის რაღაც ხელშეკრულებით, კონტრაქტით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფი. ამავე დროს, მისთვის ამ ხელშეკრულების განხილვა, როგორც თამბაქოთი მოვაჭრეთა შორის დადებული პარტნიორული შეთანხმებისა, მიუღებელია. სახელმწიფო ნამდვილად არ გახლავთ დროებითი შეთანხმების ნაყოფი, რომელიც შეიძლება რომელიმე მხარის კაპრიზით დაირღვეს. და თუ სახელმწიფო პარტნიორული ურთიერთობის შედეგია, მაშინ ის ცხოვრების განვითარების ყველა შესაძლო დონეზე მუდმივ ფასეულობებს ეყრდნობა. შესაბამისად, ეს პარტნიორობა ვრცელდება მომავალ თაობებზე, თანამედროვე საზოგადოებასა და წინაპრებზე, ვინც დიდი ხანია დატოვა ეს ცოდვილი მიწა. ესაა **„ქვედა ნატურის (ადამიანთა)**

კონტრაქტი უმაღლესთან. ხილული სამყაროს კონტრაქტი უხილავთან . . .“ ესაა საზოგადოების მარადიული კონტრაქტი. მართლაც, ბრწყინვალე აზრია.

ბიორკმა საკუთარი შეხედულებები ბუნებაზე, კანონებზე, ცხოვრებაზე ჩამოაყალიბა სტატიაში „უორენ ჰასტინგის იმპიჩმენტი“ (1794), სადაც ის ამტკიცებს, რომ ყველასათვის მხოლოდ ერთი კანონი არსებობს და ეს კანონი ყველაფერს მართავს. **ესაა ჩვენი შემოქმედის კანონი. დიან, ესაა „ჰუმანიზმის, მართლმსაჯულების, სამართლიანობის კანონი, ბუნების კანონი, ერებისა და სახელმწიფოს კანონი“.** ბიორკი უარყოფს ფრანგი რევოლუციონერებისა და მათი განმანათლებლების თვალსაზრისს თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის შესახებ, ადამიანის, როგორც მოქალაქის, ცხოვრებაში სამართლებრივი და მორალური პრინციპების როლის მნიშვნელობაზე.

რა არის თავისუფლება სიბრძნისა და ზნეობის გარეშე? – კითხულობს ის და იქვე პასუხობს: „არაფერი, გარდა ყველა შესაძლო ბოროტებათა შორის ყველაზე უდიდესი ბოროტებისა“, რადგან, სიბრძნისა და ზნეობის გარეშე, თავისუფლება სულელური, ბოროტი და უაზროა. ადამიანებმა საკუთარი სამოქალაქო თავისუფლება, მადა, ვნებები იმ დროით უნდა შეზღუდონ, რასაც ზნეობა მოითხოვს.

მისი აზრი კონსტიტუციებსა და კანონებში ჩადებული პოლიტიკური ჩანაფიქრის განხორციელების შესახებ ასეთია: – **იმ შემთხვევაშიც კი, თუ პოლიტიკური ხელისუფლება ჩამოყალიბდება ისე, როგორც თქვენ გნებავთ, მისი აღსრულება თვით ძალაუფლების მქონე პირთა ნებაზე იქნება დამოკიდებული. კანონის სარგებლიანობა და პოტენცია დამოკიდებულია იმ მინისტრებზე, რომლებმაც ის უნდა აღასრულონ და ნახავთ, რომ ყველა სიკეთე ქალაქში დარჩება და „ცოცხალ, ქმედით, ეფექტურ კონსტიტუციას“ ვერ მიიღებთ.**

ბიორკის პამფლეტი (კრიტიკული ნაშრომი საზოგადოებრივ თემაზე) „თანამედროვე უთანხმოების მიზეზების გააზრება“ 1790 წელს გამოიცა. ეს ნაშრომი 5 შილინგი ღირდა, რაც იმ დროისათვის მცირე თანხას არ შეადგენდა. პამფლეტმა თანამედროვე ინგლისელებში ისეთი ინტერესი გამოიწვია, რომ ერთ წელიწადში ათჯერ გამოიცა.

უბრწყინვალესია ბიორკის პამფლეტის ლიტერატურული სტილი, რომელშიც მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-სამართლებრივი გააზრებების გარდა პოლიტიკური აფორიზმებიც მრავლადაა („ახალი კანონების შემოღება, ჯერ კიდევ არაა რეფორმა“ . . .).

აღსანიშნავია პამფლეტის ბოლო აბზაცი:

„მე ნაკლებად მსურს, რომ აქ მოცემული მსჯელობანი თავს მოგახვიოთ, როგორც ჩემი აზრები. ეს მხოლოდ ჩემი ხანგრძლივი დაკვირვების ნაყოფია, ყოველგვარი მიკერძობების გარეშე. ეს იმ ადამიანის სიტყვებია, რომელიც არასდროს ყოფილა ხელისუფალთა იარაღი ან გუნდრუკის მკმეველი ძლიერთა ამა ქვეყნისათა და მას არ სურს, რომ ვინმეს საკუთარი ცხოვრების არსზე არასწორი შეხედულება შეუქმნას. ეს იმ ადამიანის სიტყვებია, რომლის ყველა საჯარო ქმედება სხვისი თავისუფლების დაცვისკენ იყო მიმართული. მის გულში მხოლოდ ტირანიის მიმართ იყო ხანგრძლივი, მკვეთრი სიბრაზე. ეს იმ ადამიანის აზრია, რომელმაც თქვენი კეთილდღეობისათვის დრო არ დაიშურა, რათა პატიოსანი ადამიანებთან ერთად, ფართოდ გაღვივებული მზაგვრელობის დისკრედიტაციაში საკუთარი წვლილი შეეტანა“.

პურიტანული პერიოდი

ინგლისიდან გამოსული ჩრდილო ამერიკელი კოლონისტების ისტორიაში პოლიტიკური იდეების ორი მთავარი პერიოდი იკვეთება. პურიტანული – XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე და განმანათლებლური – XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედამდე.

იმის მიუხედავად, რომ პირველ კოლონისტებს განსხვავებული ინტერესები და სოციალური სტატუსი ჰქონდათ, თავდაპირველად საერთო სურვილი აერთიანებდათ – ამ კონტინენტზე „აღთქმული მიწა“ ეპოვათ და „ახალი იერუსალიმი“ აეშენებინათ. მათი უპირველესი მიზანი ქრისტიანულ ცნებებთან სრული შესაბამისობით ცხოვრება იყო, სურდათ საზრდო სუფთა სინდისითა და საკუთარი შრომით ეშოვათ. მოგვიანებით მაინც იწყება კონფლიქტი ინგლისური ეკლესიის მრევლსა და რადიკალურად განწყობილ პურიტანულ (ლათ. „წმინდა“, „ჰემმარიტი“) პროტესტანტებს შორის. კონფლიქტი რელიგიურ-იდეური გახლდათ. პურიტანები ინგლისურ ეკლესიას ადანაშაულებდნენ, რომელიც რომაულ-კათოლიკური მანკიერებისაგან ვერ გათავისუფლდა. მათი აზრით, ეს ეკლესიის მდიდრულ მორთვასა და ათი მცნების არც თუ ზედმიწევნით შესრულებაში გამოიხატებოდა.

კალვინის გავლენით, ზომიერი პურიტანები მორწმუნეთა ორ ნაწილს განიხილავდნენ – ღვთისაგან რჩეულნი და ღვთის რისხვისთვის განწირულები. რადიკალები კი თვლიდნენ, რომ ეკლესიის მრევლობა ხსნისაკენ გზას, წმინდანობისაკენ ნაბიჯს ნიშნავს. ამათგან ყველაზე რადიკალური ფრთა იყო „სეპარატისტები“, რომლებიც ისტორიას „ბილიგრიმი მამების“ სახელწოდებით შემორჩნენ. ღიახ ისინი, ვინც გემ „მეი ფლაუერ“-ზე 1620 წ. ხელშეკრულება დადო – „საზვიად და ურთიერთგაგებით შევძლოთ. . . სამოქალაქო და პოლიტიკურ ორგანიზმად გაერთიანება, რათა დავამკვიდროთ. . . საუკეთესო წესრიგი და უსაფრთხოება“. ამ შეთანხმების თანახმად, ახალ მიწაზე უნდა ყოფილიყო „სამართლიანი და ყველასთვის ერთნაირი კანონები, ორდონანსები (მეფის ბრძანება), აქტები, . . . შესაბამისი საერთო კეთილდღეობისა . . .“ ტექსტი ღიდი ხნის შემდეგ, 13 შტატის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პერიოდში გამოქვეყნდა. დამოუკიდებლობის და კონსტიტუციის მიღების შემდეგ, ისტორიკოსებმა ხელშეკრულება სახელმწიფოს შექმნის პირველწყაროდ აღიარეს. 22 დეკემბერი გემიდან პილიგრიმი მამების ჩამოსვლის დღედაა გამოცხადებული.

„აღთქმული მიწის“ ნიშნად იყო კოლონია მასაჩუსეტსის ყურე, ცენტრით – ბოსტონი. აქ იკვეთება ზომიერი პურიტანის, ჯონ უინტროპის (1588 - 1649) საინტერესო ფიგურა. მის მიერ წარმოთქმული სიტყვები და წირვები შევიდა მის „დღიურში“ (1630-1649წწ). ეს მასალები გამოიცა 1853 წელს სახელწოდებით „ახალი ინგლისის ისტორია 1630-1649“, რაც ამერიკის ჩამოყალიბების ისტორიის ერთ-ერთი, განსაკუთრებით ფასეული, დოკუმენტია. აქ ყურადღება გამახვილებულია „სახელმწიფო მართვაში ღვთიური ზნეობის დანერგვაზე“. დოკუმენტი „მმართველობაში უმაღლეს მომჭირნეობასა და გააზრებას“ მოითხოვდა. „ცოდნისა და რწმენის საწყისები ისეა დაბინძურებული, რომ ადამიანები ცდილობენ კოლო არ შეუძერეთ პირში და იმავდროულად აქლემს ყლაპავენ“. ის ნათლად ხელდავდა დემოკრატიის სისუსტეს და ამტკიცებდა, რომ სახალხო კოლექტივური ორგანოებისათვის სახელმწიფოებრივი საქმეებისა და სამართლის ფუნქციების გადაცემა საშიშია, რადგან „კარგები ყოველთვის აღმოჩნდებიან უმცირესობაში და ამ კარგებს შორის გონივრულები – ისევ უმცირესობაში“.

როჯერ უილიამსის (1603-1689) აზრით, „აუცილებელია საზოგადოებრივი პრინციპები გონივრულობას, სამართლიანობასა და მიზანშეწონილობასთან, ბუნების მოთხოვნებთან შეგთანხმდეთ.“

მასაჩუსეტსის თავისუფლების ქარტიაში ეს და ამ პერიოდის მრავალი მოსაზრება იკვეთება, ილექება. აქ, ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გარდა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აუცილებ-

ლობაც იკვეთება. იბადება დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომელიც თომას ჯეფერსონმა ბენჯამენ ფრანკლინისა და ჯონ ადამსის თანაავტორობით ჩამოაყალიბა. ის მიღებულ იქნა 13 შტატში. დეკლარაცია განმსჭვალულია ბუნებრივი და ადამიანის მარადიული უფლებების დაცვის ლოგიკითა და არგუმენტებით. დეკლარაციაში ლოკის ბუნებრივი კანონზომიერების, ადამიანის მარადიული უფლებების ტრიადა – „სიცოცხლე, თავისუფლება, საკუთრება“ – შეიცვალა ბრწყინვალე სიტყვებით:

„უფლება გახლენ ბედნიერი“.

ბენჯამენ ფრანკლინი (1706-1790) – განმანათლებელი და დიპლომატი. მსოფლიოში ცნობილია თავისი შრომებით ელექტრო-ფიზიკაში. მას საკუთარი ქვეყნის პროგრესის სწამდა – ამერიკა „შრომის ქვეყანა“, იქ არაა მკვეთრი პოლარიზაცია მდიდრებსა და ღარიბებს, ფუფუნებასა და ასკეტიზმს შორის. აქ ადამიანები „ბედნიერი ზომიერების“ მდგომარეობაში ცხოვრობენ. ფრანკლინი დარწმუნებული იყო, რომ მის სამშობლოში ევროპაში იგნორირებული მეცნიერული დარგის სრულყოფა მოხდებოდა. კერძოდ, დაიხვეწებოდა პოლიტიკურ-მეცნიერული სფერო, რომელშიც ხაზგასმით იქნებოდა აღნიშნული, რომ დემოკრატიის მიმართ გულუბრყვილობა დაუშვებელია. ასევე, არ შეიძლებოდა, განსაკუთრებით, ფრანგულ რევოლუციაზე იმედის დამყარება და იმის მოლოდინი, რომ ის დემოკრატიას დანერგავდა.

„თავისუფლების ცეცხლს არა მართო განწმენდა, არამედ ნგრევაც შეუძლია“. დემოკრატიული წყობის დროს, ბრბოს ხმაურში შეუძლებელია ფილოსოფიის ფაქიზი ხმის გაგება“.

პოლიტიკური კანონმდებლობის საკითხები ადამიანის ბუნებრივი სამართლისა და მორალური ფილოსოფიის პოზიციებიდან განიხილებოდა.

თომას ჯეფერსონი (1743-1826) – ფილოსოფოსი და სახელმწიფო მოღვაწე. მისი მთავარი შრომაა „ჩანაწერები ვირჯინიის შტატზე“ (1785), რომლის ძირითადი თემა ბუნებრივი სამართალია. ის თამამად ცვლის ჯონ ლოკის ბუნებრივ ტრიადას: „სიცოცხლე, თავისუფლება, საკუთრება“-ს ტრიადით – „სიცოცხლის უფლება, თავისუფლება, სწრაფვა ბედნიერებისაკენ“.

ჯეფერსონი დემოკრატიას სიფრთხილით უყურებს. ის მასში კორუფციის წყაროს ხედავს: „კორუფცია ამ ქვეყანაშიც და იქაც, საიდანაც ჩვენ ჩამოვედით, ჯერ ჩვენს ხელისუფლებას აცდუნებს და შემდეგ გავრცელდება ხალხის ძირითად მასაზე. ხელისუფლება იყიდის ხალხის ხმას და შემდეგ მას ფულის მთელი სისრულით დაბრუნებას აიძულებს. ადამიანთა არსი ერთნაირია ატლანტის ოკეანის ორივე ნაპირზე და მსგავსი მდგომარეობისას, იდენტური გავლენის ქვეშ აღმოჩნდება. დადგა დრო ვუფრთხილდეთ კორუფციასა და ტირანიას, სანამ ის ჩვენ არ დაგვიპყრობს“.

ჯეფერსონი აკრიტიკებს ჰობსის და ლოკის თეორიებს, რომლის თანახმად, საზოგადოების, სახელმწიფოს შექმნისას ადამიანებმა პირადი უფლებები უნდა დათმონ. ჯეფერსონის აზრით, საკუთარი ბედი ჩვენ უნდა ვმართოთ. ეს უფლება ადამიანებმა ბუნებისაგან მიიღეს. არსებობს უფლებათა მთელი რიგი, რომელთა ხელისუფლებისათვის გადაცემა უსარგებლო და უაზროა, რადგან ხელისუფლება ყოველთვის ადამიანთა უფლებების დარღვევისაკენ მიისწრაფვის. უმნიშვნელოვანესია ჯეფერსონის საბოლოო დასკვნა: – **საჭიროა შეიქმნას სახელმწიფოს მართვის ისეთი სისტემა, სადაც ტრადიციული, მდიდარი არისტოკრატია და სტატუსი ადგილს დაუთმობს ბუნებრივი ტრადიციისა და ნიჭის არისტოკრატიას.**

ალექსანდრე ჰამილტონი (1757–1804) ფართო ხედვისა და მასშტაბის პოლიტიკური მოღვაწე. ფედერალისტების ლიდერი. ფედერალური ხელისუფლების ძლიერ ცენტრალიზაციას ითხოვდა. ის ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ძალაუფალთა ეგოიზმის შემაკავებელი საპირწონე ძალის შექმნა სახელმწიფოს განვითარების გარანტია. **ხელისუფალთ საყოველთაო სიკეთისათვის თანამშრომლობა უნდა აიძულოს.** ამის გარეშე ნებისმიერი ქვეყნის კონსტიტუცია ცარიელ სიტყვებად გარ-

დაიქმნება. იმავდროულად, აღნიშნავს, რომ ბრბო არც მეტი, არც ნაკლები, ჩვეულებრივი მხეცია, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიო იმ ზომით, რომ სისტემა არ დაინგრეს. ჰამილტონი, ჯონ ჯეი და მედისონი ცნობილი სტატიის – „ფედერალისტები“-ს თანაავტორები არიან. მოგვიანებით ჰამილტონი ხდება ფინანსთა მინისტრი, ჯეი – უზენაესი სასამართლოს თავჯდომარე, მედისონი – ამერიკის შეერთებული შტატების მეოთხე პრეზიდენტი.

თომას ვუდრო ვილსონი. (1856-1924). მისი პოლიტიკური კარიერა არა იაფფასიანი პოლიტიკური გამოცდებით, არამედ პოლიტოლოგიის პროფესორის და პრისტონის უნივერსიტეტის პრეზიდენტის თანამდებობიდან იწყება. მეთოდოლოგიური აზროვნებისას ის ეყრდნობა ბიორკის შრომებს. სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო. ვილსონის აზრით, პოლიტიკური მეცნიერება რეალურ ცხოვრებას შეისწავლის, ამიტომ მისი მეთოდები საბუნებისმეტყველო მეცნიერების, განსაკუთრებით ფიზიკის მეთოდებს მაქსიმალურად უნდა მიუახლოვდეს.

სახელმწიფო მმართველს ხალხი ისეთ უფლებებს და მოვალეობებს ანიჭებს, რომლის გონივრული გამოყენება ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება. ამ შემთხვევაში, ქვეყნის მართვაში მმართველის (მაგ., პრეზიდენტის) კაბინეტის დეპარტამენტის ხელმძღვანელთა გავლენა შეუზღუდავი ხდება. საკმარისია, მან ეს ადამიანები ცნობილი პოლიტიკოსებისაგან და არა კვალიფიცირებული, ზნეობრივი თანამოქალაქეებისაგან შეარჩიოს, რომ იმთავითვე სახელმწიფოს რეგრესი იწყება.

მისი აზრით, წარმატებული ადმინისტრაციული რეფორმისათვის უპირველესად საზოგადოების განათლება და დარწმუნებაა აუცილებელი, რადგან ის ყოველთვის კონსერვატულად არის განწყობილი და ცრურწმენისაკენაა მიდრეკილი. შესაბამისად, ნებისმიერი რეფორმა აუჩქარებლად და კომპრომისებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს. ხალხი ერთი მიზნით, იდეით და ინტერესით ერთობას მხოლოდ განვითარებული კონსტიტუციონალიზმის პირობებში გრძნობს.

ვილსონი არის ერთადერთი პრეზიდენტი (და არა მარტო ამერიკის ისტორიაში), რომელმაც პოლიტიკური კარიერის დაწყებამდე თითქმის 30 წელი სახელმწიფო მართვის მეცნიერების შესწავლას მონაწილეობა. იმის მიუხედავად, რომ ვილსონის მმართველობის წლები პირველი მსოფლიო ომის პერიოდს ემთხვევა, მან მართვის საკუთარი კონცეფცია შექმნა და მისი დანერგვა-განხორციელება შესძლო. ამ დროს საერთაშორისო და აშშ-ს შიდა პრობლემები ურთულესი იყო. მისი პრეზიდენტობის პერიოდი ისტორიაში შევიდა სახელწოდებით „ახალი დემოკრატია“, რაც რუზველტის „ახალი კურსის“ პოლიტიკასთანაა დაკავშირებული. და ეს გასაკვირი არაა, რადგან რუზველტი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვილსონის ადმინისტრაციაში მოღვაწეობდა. ეს ორი პრეზიდენტი ერთმანეთს ჰგავს. ისინი ნაციის გადამრჩენელნი იყვნენ. იძულებითი რეფორმების რეალიზაციისას, ორივე წინასწარ, თეორიულად დათუშავენ, დასაბუთებულ პროგრამას ეყრდნობოდა. მათ ექსტრემალურ პირობებშიც კი თეორიულად გააზრებული გეგმები ჰქონდათ.

ოგიუსტ კონტი (1798–1857). იგი იმ პოზიტიური ფილოსოფიის ფუძემდებელი გახლავთ, რომელიც დღეს სოციოლოგიის სახელწოდებითაა ცნობილი. თავდაპირველად ოგიუსტ კონტმა სოციოლოგიას „სოციალური ფიზიკა“ უწოდა. ფიზიკა იმ აზრით, რომ დარწმუნებული იყო – **სოციუმი ბუნების კანონზომიერებას ემორჩილება. შესაბამისად, მეცნიერული მეთოდებით სოციალური პროცესების წინასწარი გააზრებაა შესაძლებელი.** ამ საკითხში მას წინამორბედები ჰყავდა. ესენი იყვნენ ტიურგო, კონდორსე და სენ სიმონი.

ტიურგო (1727–1781) თავის ნაშრომებში „ადამიანთა სულის თანმიმდევრული პროგრესის ორი განსჯა“ (1750) და „ადამიანთა სულის პროგრესის ისტორია“ ამტკიცებს, რომ საუკუნეები ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვითაა დაკავშირებული. მისთვის ადამიანი განვითარებადი არსებაა. შესაბამისად, თანამედროვე საზოგადოების მდგომარეობა წარსულის მდგომარეობასთან კავშირშია; იდეები წინაპრებიდან, დამწერლობით თუ ზეპირსიტყვიერად, შემდგომ თაობებს გადაეცემა; ცალკეუ-

ლი ადამიანების იდეები მასებში ვრცელდება და შემდგომ იხვეწება. ადამიანი ფიზიკურ მოვლენებს პირველ ეტაპზე ღმერთის ქმედებად განიხილავდა; მეორე ეტაპზე – არსობრივი ძალის ქმედებად; ხოლო განვითარების მესამე ეტაპზე კი – საგანთა შორის მექანიკურ ურთიერთობებად.

კონტმა ამაზე დაყრდნობით, ადამიანების შექმნებისა და განვითარების სამი მდგომარეობა განსაზღვრა: ჰეროიკული, მეტაფიზიკური და პოზიტიური. შესაბამისად, ტიურგომ სცადა საზოგადოების ცვალებადობის ზოგადი და კონკრეტული მიზეზები გამოეკვლია.

ოგიუსტ კონტთან უფრო ახლოს დგას **ჟან მარი ანტუან ნიკოლა მარკიზ დე კონდორსე** (1743–1794). მათემატიკოსი, ასტრონომი, საზოგადო მოღვაწე. ის შეიძლება ადამიანთა პოლიტიკის ისტორიის, როგორც ემპირიული მეცნიერების ფუძემდებლად მივიჩნიოთ.

კონდორსე ადამიანთა ისტორიას წინსვლით მოძრაობად განიხილავდა, რომლის ყოველი საფეხური ბუნებრივი კანონზომიერებით ერთმანეთთან მკაცრად დაკავშირებული და ეს კავშირი ფილოსოფიურ დაკვირვებას და გააზრებას ექვემდებარება. ფილოსოფიას თითოეულ ეპოქაში რაღაცის გაუმჯობესება და იმ ცვლილებების აღმოჩენა შეუძლია, რომელიც მთლიან საზოგადოებაზე ან მის ნაწილზე ახდენს გავლენას. კონდორსესათვის ადამიანთა ისტორია ადამიანის სულის კანონზომიერი განვითარებაა. აქედან ის აკეთებს დასკვნას:

– „ველარავინ გაბედავს დაყოს ადამიანები ორ განსხვავებულ რასად, რომელთაგან ერთს ენიჭება მართვის უფლება, მეორეს კი მხოლოდ მორჩილება. ერთი მოწოდებულია რათა მოატყუოს, მეორე – იყოს მოტყუებული“.

მაგრამ უთანასწორობა რეალურად არსებობს. იმისათვის, რომ შევასუსტოთ ეს უთანასწორობა, „სოციალური მშენებლობის ხელოვნების“ მეთოდი უნდა გამოვიყენოთ. ამ მეთოდის ამოცანაა: – „ყველასათვის ზოგადი უფლებებით სარგებლობა უზრუნველყოს, რომლის განხორციელებისთვის ადამიანები ბუნებით არიან მოწოდებულნი . . . „

ამ მიმართულებით **სენ სიმონის** დამსახურებაც უდავოა. 1813 წელს ის ქმნის შრომას „ადამიანის მეცნიერების ნარკვევი“; ამ ნაშრომით განსაზღვრა მეცნიერების დამკვიდრება, რომელიც „მკითხაობის მეცნიერებიდან“ ადამიანის შექმნებას, დაკვირვებასა და ანალიზს დაფუძნებულ მაღალი ხარისხის მეცნიერებაში გადაიყვანდა. პირველად სწორედ მან, და არა ოგიუსტ კონტმა, უწოდა ამ მეცნიერებას **სოციალური ფიზიკა**. შემდეგ კი მას კონტმა სოციოლოგია უწოდა. 1822 წელს სენ სიმონმა და ოგიუსტ კონტმა ერთობლივად შექმნეს ნაშრომი „საზოგადოების რეორგანიზაციისთვის აუცილებელი სამეცნიერო შრომათა გეგმა“. ამ ნაშრომში განვითარებულია იდეა, რომლის თანახმად, პოლიტიკა სოციალურ ფიზიკად უნდა განხილულიყო. სოციალური ფიზიკის მიზანი უნდა ყოფილიყო საზოგადოების პროგრესის ბუნებრივი და უცვლელი (აიზეკ ნიუტონის მიერ აღმოჩენილი მსოფლიო მიზიდულობის კანონის ანალოგიური) კანონების აღმოჩენა. კონტმაც აზროვნების მთელი ისტორია დაყო სამ: თეოლოგიურ, მეტაფიზიკურ და პოზიტიურ სტადიად.

ოგიუსტ კონტის მთავარი ნაშრომია „დადებითი ფილოსოფიის კურსი“ (ესაა ექვსტომეული, რომელიც გამოქვეყნდა 1830–1842წწ). აქ კონტმა ფილოსოფიის ყველა საგანთა არსის წვდომის მცდელობა უარყო. ფილოსოფიის მთავარ ამოცანად სოციუმში ამა თუ იმ მოვლენის მიმდინარეობა და არა ამ მოვლენათა ბუნების ახსნა აღიარა. სენ სიმონისაგან განსხვავებით, მან მორალური და პოლიტიკური კრიზისების (რევოლუციების) მთავარ წყაროდ **„გონებათა ღრმა უთანხმოება და საერთო იდეის არარსებობა“** გამოაცხადა.

ყველა ღრმის რეფორმაციის ძირითადი ფორმულებია – **„წესრიგი და პროგრესი“**, სოციალური სოლიდარიზმი, სოციოკრატია, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის იდეალი. ნორმალურ საზოგადოებაში მთავარი ინტეგრატორია ადამიანთა ფილოსოფია, ოჯახი და მამული. მისთვის პოზიტიური მორალი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სამართალი. ის არ არის ეგალიტარული (განმთავრებული), არ ათანაბრებს ადამიანებს. მკვეთრად გამიჯნავს ხალხს იმ სპეციალისტე-

ბისაგან, რომელთაც მმართველობის უნარი აქვთ. ამ სპეციალისტებმა უნდა ჩამოაყალიბონ მიზნები და ამოცანები, მისცენ მათ საზოგადოებისათვის მიმზიდველი სახე. საზოგადოება იღებს ამ მიზნებს, პუბლიცისტები ქმნიან საშუალებებს მათი რეალიზებისათვის, ხოლო მმართველები აღასრულებენ. მოქალაქე, რა თქმა უნდა, ხელისუფლებას ემორჩილება.

უცვლელი, ზნეობრივი და საზოგადოებრივი კანონებისადმი მორჩილება არ ზღუდავს ადამიანის თავისუფლებას. ყოველივე ეს მხოლოდ პატრიოტიზმით მიიღწევა. პატივმოყვარეობა კი ძირშივეა აღმოსაფხვრელი. ამ მოსაზრებას ეყრდნობა კონტის წარმოდგენა სამართალზე.

ფრიდრიხ ვილჰელმ ნიცშე (1844-1900) – ფილოსოფიისა და პოლიტიკურ-სამართლებრივ ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა.

შოპენჰაუერისაგან განსხვავებით, ნიცშესათვის ყველაფრის საფუძველია არა სიცოცხლისაკენ სწრაფვა (ნება), არამედ ძალაუფლებისაკენ სწრაფვა. მისთვის მთავარია ძლიერი პიროვნება, ისეთი, როგორცაა მისი წიგნის „ასე იტყოდა ზარატუსტრა“-ს გმირი. ზარატუსტრა მთებში, ჩვეულებრივ ადამიანებზე მაღლა, თავის უახლოეს მეგობრებთან – ბრძენ გველთან და ამაყ არწივთან – ერთად ცხოვრობს. ნიცშეს აზრით, რაც უფრო შორდება ადამიანი ბუნებას, მასში სიცოცხლის იმპულსი მით უფრო ქრება. ამრიგად, ადამიანი ავადმყოფობის პირდაპირი გამოვლინებაა. გამოსავალი ერთია – აღვზარდოთ ძლიერი ადამიანები, რომელთაც ნებისყოფადაქვეითებულ ხალხთა მასების გაძლიერების უნარი შესწევთ. ნიცშეს ლოზუნგია – „**იცხოვრე საშიში ცხოვრებით**“.

განვავითაროთ ეს აზრი და უცილობლად მივალთ დასკვნამდე:

საშიში ცხოვრება კი არაა საშიში, არამედ ცხოვრებაა საშიში.

სხვა სიტყვებით – ცხოვრებაში სითამამის ნუ გეშინიათ. ნუ გგონიათ, რომ მორჩილებით კმაყოფილებას მიაღწევთ (ბედნიერებაზე აღარაფერს ვამბობთ), **გეშინოდეთ არსებობაში ჩამარხული ცხოვრების, როცა დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებს შორის ტირის გარდა აღარაფერი რჩება. აი, ესაა საშიში!**

ნიცშე ბრწყინვალე ფილოლოგი და მუსიკალური იმპროვიზატორია. ის თავის ტკივილით იტანჯებოდა და მხედველობა ჰქონდა დაქვეითებული. მან ეს ტანჯვა, თითქოს ფილოსოფიურ ფორმაში გადააქცია, ფორმაში, სადაც ბრწყინვალე ლიტერატურული ესსეები, აფორიზმები, დეკლარაციები ერთი ამოსუნთქვით, მუსიკალურ რითმშია დაწერილი და ეს იმპროვიზაცია ხანდახან წინააღმდეგობრივადაც ყლერს. ამიტომ, ზოგიერთები მას დეკადენტად თვლიან, რომლის შემოქმედებამაც მისივე ინდივიდუალური პესიმიზმი, ამორალურობა, კრიზისული მდგომარეობის ესთეტიზმი აისახა. ნიცშეს ნიჰილისტადაც მოიაზრებენ, ანუ ადამიანად, რომელიც დამკვიდრებულ ფასეულობებს უარყოფს და იმავდროულად ახალს არაფერს გვთავაზობს. ზოგსაც მიაჩნია, რომ ნიცშეს შემოქმედება ფაშიზმის კულტივირებაა. მათი აზრით, ნიცშე ერთდროულად ნიჰილისტიცაა და ფაშისტიც (ეს, უბრალოდ რომ ვთქვათ, აბსურდია). ნიცშეს შესახებ გამოთქმული მოსაზრებები მკვეთრად გამოსახული ცალმხრივობითა და ურთიერთგამომრიცხავობით ხასიათდება, რაც იმას აღსტურებს, რომ ნიცშე მარტივად გასაგები ფილოსოფოსი არ ვახლავთ.

ნიცშე, როგორც ყველა ჭეშმარიტი ფილოსოფოსი, არსებული იდეალების გადაფასებითაა დაკავებული და ამას სხვებზე მკვეთრად და ნათლად ახორციელებს. ნიცშე აკრიტიკებს დამკვიდრებულ, ტრადიციული ხერხებით ძალაუფლებისაკენ სწრაფვას. ეს სწრაფვა მეცნიერულ შესწავლას არ ექვემდებარება, ის შეიძლება ადამიანმა გაიგოს, ან ვერ გაიგოს. მისი აზრით, ხშირად „სწრაფვა ჭეშმარიტებისაკენ“ არის „შემოქმედებისაკენ სწრაფვის“ უძლურობის გამოხატულება.

ნიცშეს თვალსაზრისით, ყველაფერი კვდება და ყველაფერი თავიდან იბადება. რაღაც მუდმივზე, კანონზომიერებაზე მხოლოდ ამგვარად შეიძლება ვილაპარაკოთ.

ღიან, ასეთია ნიცშე.

მისი შეხედულებები სახელმწიფოზე და სამართალზე, ძირითადად, გადმოცემულია შრომებში – „ბერძნული სახელმწიფო“ (1871), „სწრაფვა ძალაუფლებებისაკენ“ (1889), „ასე იტყოდა ზარატუსტრა“ (1883), „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“ (1886), „მორალის წარმოშობა“ (1887) და სხვა.

სახელმწიფო, სამართალი, პოლიტიკა მისთვის არის იარაღი, საშუალება, კულტურის ინსტიტუტები, რომელიც ნებისყოფისა და კოსმიური ბრძოლის ძალის გამჟღავნება, აღმოჩენა და დამკვიდრებაა.

ნიცშეს აზრით, „აღმატებული ცნება“ – ძალა, რისი მეშვეობითაც ჩვენმა ფიზიკოსებმა ღმერთი და სამყარო შექმნეს, შევსებას საჭიროებს: მასში უნდა შევიტანოთ რაღაც შინაგანი ნებისყოფა, რასაც მე „ძალაუფლებისაკენ სწრაფვას“ ვუწოდებ.

ამრიგად, ნიცშე ადამიანებს ძალაუფლებისაკენ გაუმაძღარი სწრაფვისკენ მოუწოდებს, რაც, მისი აზრით, შემოქმედებითი ინსტიტუტის გამომჟღავნების აუცილებელი პირობაა.

ძალაუფლებისაკენ სწრაფვა მისთვის აფექტის პრიმიტიული ფორმაა, კერძოდ, „ჯგუფის აფექტი“. ამ თვალთახედვით, მისი სწავლება ძალაუფლებისაკენ სწრაფვის ანატომიაა.

მას შემოაქვს „პრინციპული სიანზღენი“: მორალური ფასეულობის ნაცვლად – ნატურალისტური ფასეულობანი, მორალის ნატურალიზაცია; სოციოლოგიის მაგივრად – სახელმწიფოს ფორმის სწავლება; საზოგადოების მაგივრად – კულტურული კომპლექსი (მთელის თავის შემადგენელ ნაწილთან თანაფარდობა); „შემეცნების თეორიის“ ნაცვლად – აფექტებზე პერსპექტიული სწავლება; „მეტაფიზიკისა“ და რელიგიის მაგივრად – სწავლება მარადიულ წრებრუნებაზე.

ნიცშეს აზრით, ის ცვლილებები, რაც პროგრესად მიიჩნევა, განვითარების დონის ამალღების მაჩვენებელი არ არის, შესაბამისად, პროგრესის შესახებ წარმოდგენაც მცდარია.

ფასეულობა, მისი აზრით, ძალაუფლების ის უდიდესი რაოდენობაა, რომელიც ადამიანს შეუძლია აითვისოს. კაცობრიობა კი მხოლოდ საშუალებაა და არა მიზანი.

სოციალურ-პოლიტიკური ისტორია ძალაუფლებისაკენ ორი სახის სწრაფვას შორის არსებული ბრძოლაა: – ძლიერთა ნების (არისტოკრატია) და სუსტთა ნებისა (მასა, მონები, ბრბო, ნახირი).

არისტოკრატიული სწრაფვა ძალაუფლებისაკენ არის ამალღების ინსტიტუტი, სწრაფვა სიცოცხლისაკენ. მონური კი – დაცემის ინსტიტუტი, სწრაფვა სიკვდილისაკენ, არაფრისაკენ. ამალღებული კულტურა არისტოკრატიულია, „ბრბოს“ ბატონობა – კულტურის გადაგვარება, განადგურება, დეკადანსია. მორალი – მონების იარაღია არისტოკრატის წინააღმდეგ, ზნეობრივი მსჯელობა მბრძანებელთა წინააღმდეგ, ნახირის ბატონობის გამართლება უმაღლეს არსებებზე. და ადამიანთა ისტორია მცირე რაოდენობის არისტოკრატიაზე ბრბოს თანდათანობითი გამარჯვებაა, ანუ ჯანმრთელი სიცოცხლის საწყისის გადაგვარება, გამოფიტვაა. თუმცა, რაც წარსულში ერთხელ უკვე იყო, შესაძლებელია მომავალშიც მოხდეს – ესაა დაბრუნების იდეა. ეს ეხება არისტოკრატისაკაც. ნიცშე არისტოკრატის ბატონობის ისტორიაში (ინდოეთი, საბერძნეთი და ა.შ.) ახალი არისტოკრატის ნიმუშს ეძებს. გამოდის, რომ უმაღლესი კულტურა და მაღალი სახეობის ადამიანები დიდი რაოდენობით მონებს საჭიროებენ, რათა საარსებო შრომის აუცილებლობისაგან გაათავისუფლდნენ და ამალღებულზე იფიქრონ. აქედან იკვეთება სახელმწიფოს წარმოქმნის კონცეფცია. სახელმწიფო არის საშუალება, რათა წარმოიშვას და განვითარდეს პრივილეგირებული, კულტურული ადამიანი, რომელიც დანარჩენ მასაზე იბატონებს.

„რაც უნდა ძლიერი იყოს ერთ ადამიანში ურთიერთობისაკენ სწრაფვა, მხოლოდ სახელმწიფოს რკინის გირაგს შეუძლია გააერთიანოს ერთმანეთთან მასები, იმდენად, რომ საზოგადოების დაშლის ქიმიური რეაქცია დაიწყოს და მისი ახალი, პირამიდული ზედნაშენი წარმოიქმნას“.

ის არისტოკრატიული ესთეტიზმის გლობალურ პერსპექტივას ემხრობა. სახელმწიფოსადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, მისთვის კულტურა და გენია უფრო მაღლა დგას, ვიდრე სახელმწიფო და პოლიტიკა.

ის ელიტიზტა და არა ეტატიზტი. „სახელმწიფო არის ადამიანთა ურთიერთდაცვის ბრძნული ორგანიზაცია, თუ მას ზომასზე მეტად განვავითარებთ, მაშინ ის, საბოლოოდ, პიროვნებას დაასუსტებს და შესაძლოა ის გაანადგუროს კიდეც; ამრიგად, სახელმწიფოს პირველსაწყისს, მიზანს საფუძველი მოენგრევა“.

ის სახელმწიფოსა და პოლიტიკის კრიტიკით ხშირად გამოდის, რაც კულტურასა და სახელმწიფოს შორის ანტაგონიზმით აიხსნება.

ნიცშე ხოტბას ასხამს მანუს კანონებისდროინდელ არისტოკრატიულ-კასტურ წყობას. ის კასტური იდეალების ბიოლოგიურ დასაბუთებას ცდილობს. არსებობს სამი ფიზიოლოგიური ტიპი 1. გენიალური ადამიანები. 2. გენიათა იდეების აღმსრულებლებნი (მეფე, მეომრები, მოსამართლენი) 3. დანარჩენი ნაწილი.

კულტურის მდგრადობა მისთვის უფრო ფასეულია, ვიდრე თავისუფლება. მისთვის არსებობს ორი ტიპის სახელმწიფო – არისტოკრატიული და დემოკრატიული. პირველი – ესაა სათბური მაღალი კულტურისა და ძლიერი ჯიშის ადამიანებისათვის, მეორე კი – დაქვეითებული სახელმწიფო წყობა.

ნიცშეს ზარატუსტრა ლიბერალიზმისა და დემოკრატიული კონცეფციის წინააღმდეგ გამოდის. ის ბისმარკისეული კონსტრუქციის გერმანულ იმპერიასაც კი ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოდ განიხილავს. „იქ, სადაც თავდება სახელმწიფო, პირველად იწყება ის ადამიანი, რომელიც ზედმეტი არაა. . . ასე იტყოდა ზარატუსტრა“.

სამართალი.

ძალაუფლებისაკენ სწრაფვის ეს რეფლექსი, რაღაც მეორადი, წარმოებულა. **ადამიანები თანასწორნი არ არიან, ამიტომ სამართლებრივი სიმართლე ეყრდნობა პრინციპს: თუ ინდივიდი ძლიერი, არისტოკრატიული კლასის წარმომადგენელია, მაშინ სამართალს მისდამი სხვა მოთხოვნები აქვს, ბრბოსადმი – სხვა.**

ძლიერი გონების ადამიანს სხვა სამართლებრივი პირობები სჭირდება, რათა მთელი ერის გადამრჩენი პოტენციალი გამოამჟღავნოს, ბრბოს კი ეს არ ესმის. ბრბო ითხოვს – ისიც ჩემსავით დაქვეითებული გახდეს. . . და არ ესმის, რომ თუ ძლიერიც დაქვეითდება – ორივე დაიღუპება.

სამართალი ომისა და გამარჯვების შედეგია. ის იხსენებს და აქებს უძველეს „სამართლებრივ ინსტინქტს“ – „გამარჯვებულს ეკუთვნის დამარცხებული ცოლით, შვილებით, მთელი ქონებით, ძალა იძლევა პირველ სამართალს და არაა სამართალი, რომელიც თავის საფუძველში მითვისებას, უზურპაციას, ძალადობას არ შეიცავს.“

შესაბამისად, იკვეთება ბუნებრივი სამართლის, ნიცშეს აზრით, „ჭეშმარიტი“ სახე – ომისა და გამარჯვებულის სამართალი. აქედან გამომდინარეობს – თუ არსებობს აუცილებელი თავდაცვის უფლება, მაშინ უნდა არსებობდეს აუცილებელი აგრესიის უფლება. ომის შემდეგ აუცილებელია რაღაც შეთანხმება, რადგან „შეთანხმების გარეშე არაა სამართალი“. შეთანხმებასთან მივყავართ გონივრულობას, შიშსა და სიფრთხილეს. შეთანხმებით მიღწეული სამართლის შესაბამისად, ჩვენი ვალაა ჩვენზე სხვისი სამართლის ბატონობა ვცნოთ. ჩვენი სამართალი კი ჩვენი ძალის ის ნაწილია, რომელიც სხვებმა არა მარტო უნდა სცნონ, არამედ უნდა დაიცვან კიდეც. ნიცშე წინასწარმეტყველებს: მცირე პოლიტიკის დრო წავიდა, XX საუკუნე დიდი პოლიტიკის – მსოფლიო ბატონობისათვის არნახული ომებით ბრძოლის – ხანა იქნება. პოლიტიკის ცნების გარშემო დაიწყება სულიერი ომი და ყველა სიცრუეზე, სიყალბეზე აშენებული, დაფუძნებული პოლიტიკური სისტემა აფეთქდება. და ეს დიდი პოლიტიკა ჩემგან იწყება.

იგი ხშირად იყენებს სიტყვა „რასას“, მაგრამ მისთვის ტერმინი „რასა“ სოციალურ-პოლიტიკური ხასიათისაა და არა ნაციონალურ-ეთნიკური. ძლიერი რასა არისტოკრატიულია, სუსტი – დაქვეითებული.

ჰერაკლიტეს მსგავსად, ნიცმე ხშირად ომს არქმევს თვითდამკვიდრების პროცესში მომხდარ ნებისმიერ წინააღმდეგობას, ბრძოლას. ამიტომ, უარყოფს მშვიდობას და აქებს ომს – „შეგროვდით ომისათვის! (ზარატუსტრას სიტყვები) – გიყვარდით მშვიდობა, როგორც ახალი ომების საშუალება, მოკლე მშვიდობა დიდია, ვიდრე ხანგრძლივი . . . თქვენ ამბობთ, რომ კეთილი მიზანი ომსაც კი აბრწყინებს? მე კი გეუბნებით, რომ ომის სიკეთე ნებისმიერ მიზანს აბრწყინებს, ომმა და მამაცობამ უფრო დიდი საქმეები გააკეთა, ვიდრე მოყვასის სიყვარულმა“.

აქ ყურადღება უნდა გავამახვილოთ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე – იგი იმ ომის მომხრეა, რომელიც არისტოკრატიული კულტურის სამსახურში დგას და არა იმ კულტურისა, რომელიც ომს ემსახურება. ომის უარყოფითი მხარეა ის, რომ ომი გამარჯვებულს სულელად აქცევს, დამარცხებულს კი – გაბოროტებულად. დადებითი მხარე კი ისაა, რომ ორივე შემთხვევაში ის ადამიანებს აველურებს და ამით მათ უფრო ბუნებრივად აქცევს. ომის პერიოდი კულტურისათვის ზამთრის საღათას ძილის დროა, საიდანაც ადამიანი უფრო ძლიერი გამოდის, როგორც სიკეთისათვის, ასევე – ბოროტებისათვის.

საზოგადოებასა და სახელმწიფოს შესახებ ნიცმეს თვალსაზრისი ორიგინალობითა და სიმძაფრით გამოირჩევა. მკვეთრად გამოხატული რადიკალობიდან გამომდინარე, მისი სახელმწიფოს ჩამოყალიბება-განვითარების თეორიის გამოყენება ჩვენთვის მიუღებელია.

ის უარყოფს ყოველგვარ რეველუციას, როგორც კულტურისათვის საშიშ ფაქტორს.

„ამბობენა მონათა არსია. თქვენი არსი უნდა იყოს მორჩილება“.

„ყველას თანასწორობისას აღარავის დასჭირდება სიმართლე“, მაშ რა საჭიროა დემოკრატია.

„მხოლოდ ზეგინდელი დღე მეკუთვნის მე. ზოგიერთები იბადებიან სიკვდილის შემდეგ“.
ნიცმე გარდაიცვალა 1900 წელს.

დაიწყო XX საუკუნე.

იბადება ახალი პოლიტიკურ-სამართლებრივი მიმართულებები: ინტეგრაციული იურისპრუდენცია, იურიდიული ინსტიტუციონალიზმი, სამართლის სოციოლოგია, იურიდიული ეგზისტენციალიზმი და ა.შ.

იბადება ბუნებრივი და პოზიტიური სამართლის ახალი კონცეფციები. იწყება ახალი ბრძოლა სამართლის ამ ორ დაპირისპირებულ გააზრებას შორის.

უკიდურეს რადიკალიზმამდე მიდის ცნებები სამართალი და ფსევდოსამართალი, თავისუფლება – თავნებობა, ადამიანი – კოლექტივი, პიროვნება – საზოგადოება, ინდივიდი – სახელმწიფო. ყოველივე ამან სამართლის ჭეშმარიტი ფასეულობების დადგენა მოითხოვა. ბუნებრივი სამართლის რენესანსი, ახლებური დაბადება იწყება.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაბატონებული იყო პოზიტივიზმი. XX საუკუნეში მისი ბატონობა შეარყია ანტიპოზიტიურმა მიდგომამ, რამაც პოზიტიური მიმართულების მიმდევართა გააქტიურება გამოიწვია; მათ განაახლეს პოზიტიური სამართლისადმი ძველი მიდგომები და ხდება ტრანსფორმაცია; ჩამოყალიბდა ნეოპოზიტივიზმი; ძველი კონცეფციების ხელახალი გადააზრება მოხდა; გამოჩნდა რაღაც შუალედური პოზიციები, რომელთა დამცველები ცდილობდნენ შეეთანხმებინათ იუსნატურალიზმი და პოზიტივიზმი.

იბადება ნეოკანტიანური მიმართულება, რომელშიც დიდი წვლილი შეიტანა გერმანელმა იურისტმა **რუდოლფ შტამლერმა (1856-1938)**. კანტის გააზრებიდან გამომდინარე (არსებული და ვერარსი), ფორმალურისა და ფაქტობრივის თანაფარდობის საფუძველზე, შტამლერი სამართალს განიხილავს, „როგორც მარეგულირებელ ფორმას“. აქედან – **„ხალხის სოციალური ცხოვრების კანონზომიერება არის მისი იურიდიული ფორმების კანონზომიერება“**. „სამართალზე კერძო დაკვირვება დამოკიდებულია სამართლის ზოგად გააზრებაზე და არა – პირიქით“. „სამარ-

თალი უნდა ვცნოთ უმაღლეს ინსტანციად, რომელიც პასუხისმგებელია სოციალურ მეურნეობაზე (ეკონომიკაზე), რადგან ის სოციალური ცხოვრების მარეგულირებელ ფორმას ქმნის, სოციალური ცხოვრების ყველა შესაძლო მოვლენას განსაზღვრავს.“ სამართალში იგი კატეგორიულად გულისხმობს ბუნებრივ სამართალს, ცვლადი შინაარსით „და ეს ცვლადი შინაარსი, სამართლის ფორმალური მახასიათებელია (გონების აპრიორული მიზანდასახულობა)“.

შეიძლება დავასკვნათ – ბუნებრივი სამართლის ცვლად ხასიათში იგულისხმება ის, რომ ბუნებრივი სამართალი და მისი ცვლილება ყველა სოციალურ მოვლენას და, რა თქმა უნდა, მთლიანად საზოგადოების განვითარებას განსაზღვრავს. აქედან ბუნებრივი სამართლის აღორძინების მცდელობა იწყება. შტამლერმა შემოიტანა ტერმინი „მართალი სამართალი“, რამაც XX საუკუნის ფილოსოფიურ-სამართლებრივ აზროვნებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა; გააძლიერა პოზიტიური სამართლის კრიტიკა და პოზიტიური სამართლის საწინააღმდეგო, ახალ მიმართულებას ჩაუყარა საფუძველი.

გუსტავ რადბრუნი (1878-1949) იურიდიული ნეოკანტიანური მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენელია. ნაშრომში „კანონზედა სამართალი“ მან პოზიტივიზმის ფილოსოფიურ-სამართლებრივი კრიტიკა და „სამართლის იდეისა“ და კონცეფციის აღდგენის მოწოდება ჩამოაყალიბა. დასავლეთ ევროპაში რადბრუნის შემოქმედებამ ბუნებრივი სამართლის ომისშემდგომ აღორძინებაში დიდი წვლილი შეიტანა.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მის ნაშრომს „კანონიერი არასამართალი და კანონზედა სამართალი“ (1946). მისი აზრით, იურიდიული პოზიტივიზმი პასუხისმგებელი ყველა იმ საშინელებაზე, რაც ხდებოდა და რაც ხდება (ფაშიზმი, მარქსიზმი. . .). პოზიტივიზმმა გამოიწვია სამართლის გარყვანა, რადგან მან „რწმენით – კანონი კანონია, გერმანელი იურისტები განაიარაღა თავნება და დანაშაულებრივი არსის კანონის წინაშე“.

პოზიტიური სამართალი სცილდება სიმართლეს („სამართლის იდეას“), არ წარმოადგენს ჭეშმარიტ სამართალს, ამიტომ მის შესრულებაზე უარი უნდა განვაცხადოთ და „იურისტებს უნდა ეცოთ ვაჟკაცობა, უარყონ მისი სამართლებრივი ხასიათი“. აუცილებელია დაგუბრუნდეთ კანონზედა სამართლის იდეას. „სამართლის განახლებისთვის იურიდიულმა მეცნიერებამ ათასწლოვანი ანტიკური სიბრძნე, ქრისტიანული მორალი უნდა გაიხსენოს და მიხვდება, რომ არის უფრო მაღალი სამართალი, ვიდრე კანონი და ეს ბუნებრივი სამართალია; ესაა ღვთიური სამართალი, გააზრებული, გონივრული სამართალი, კანონზედა სამართალი, რომლის თანახმად, უსამართლო უსამართლოდ რჩება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას კანონის ფორმაში ჩამოასხამენ.“ ამ აზროვნებითაა გაჟღერებული მისი შრომა – „სამართლის განახლება“.

ყოველივე ეს მხოლოდ ბუნებრივი სამართლის რენესანსი არ არის, ეს ახლის ძიებაა. ესპანელი ნეოკანტიანელი ანდრეს ოლეროს სიტყვებით: – „ჭეშმარიტი სამართლის ფილოსოფია ფორმალური სამართლებრივი პრინციპების მუდმივი ძიებაა“. ფორმალისმში იგულისხმება დროში „კულტურული ფასეულობების“ (სიმართლის არსის განსაზღვრა, თავისუფლების, ადამიანის ძირითადი უფლებების, სამართლებრივი სახელმწიფოს . . .) შინაარსის ცვალებადობა.

საინტერესოა ფრანკფურტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორის ვოლფგანგ ნაუკეს აზრები. „სამართლის ფილოსოფიას სურს განავითაროს სწავლება მართებულ სამართალზე, სიმართლის სწავლებაზე. ეს რთული საქმეა. თითოეული ჩვენგანის ყოველდღიური ცხოვრება ამ სწავლების წარმატებაზეა დამოკიდებული.“

ფილოსოფიურ სამართალსა და სამართლის თეორიას, ასევე სოციოლოგიურ სამართალსა და პოლიტიკურ სამართალს შორის მძაფრი კონკურენციაა. „რაც მეტ ეჭვს შევიტანთ ფილოსოფიური სამართლის შესაძლებლობებში, მით ძლიერი ხდება პოლიტიკური სამართალი, სო-

ციოლოგიური სამართალი და სამართლის თეორია“, ანუ ის, რამაც კაცობრიობა ამ დღემდე მიიყვანა“.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ნეოჰეგელიანურ იურიდიულ მიმართულებას. ამ მიმართულების ძირითადი მიმდევრები გერმანელები არიან, რომლებიც ჰიტლერის რაიხს აღტაცებით შეხვდნენ. ისინი მაქსიმალურად ცდილობდნენ ჰეგელის იდეების ფალსიფიკაციას, რათა მათ მიერ ინტერპრეტირებული ჰეგელის ფილოსოფია ფაშიზმისათვის მიესადაგებინათ. ამიტომ ისინი ჩვენი ინტერესის სფეროს არ განეკუთვნებიან.

საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა იდეური კონფრონტაცია პოზიტივიზმსა და იუსნატურალიზმს შორის. ზოგიერთი ფილოსოფოსი კი მათ შორის კონსენსუსის მოძებნას ცდილობდა.

ახლა ამერიკელი **ჯერომ ჰოლის** სამართლის ფილოსოფიაზე შევჩერდეთ. მან შემოიტანა ცნება „ინტეგრაციული იურისპრუდენცია“. მისი აზრით, ბუნებრივი სამართალი შეიძლება აქსიოლოგიური (ფასეულობათა) მიდგომის ხარჯზე განახლდეს. სამართალში ფასეულობა იგივეა, რაც სამართლებრივი ნორმა. იგი, როგორც აღმზრდელი „ყალობებს ფსიქიკას და გარეგან ქცევებს“. ავტორის აზრით, მნიშვნელოვანია სამართლის ზნეობრივ კატეგორიად (თავისი არსით) ჩამოყალიბება, რასაც, როგორც აღვნიშნეთ, პლატონი და არისტოტელე ცდილობდნენ.

როგორც ცნობილია, უკანასკნელ ხანებში დასავლური „კანონი და წესრიგი“ კრიზისს განიცდიდა. ერთი მხრივ, ეს პრობლემა გლობალურია – მთელი მსოფლიოს პრობლემაა (და დასავლეთისაც, რადგან ის მსოფლიოს ნაწილია), მეორე მხრივ, სახეზეა ევროპული ტრადიციული სამართალშემეცნების კრიზისი. ამ ფონზე სამართალი პოლიტიკური ან ზნეობრივი კუთხით განიხილება. მათი აზრით, ინტეგრაციული (სინთეზირებული) იურისპრუდენცია პლატონის უნივერსალური ტოპოლოგიური სამართლის, არისტოტელეს პოლიტიკური ფორმის, ჰეგელის სამართლის კონსტრუქციული ფილოსოფიისა და კონტის პოზიტიური ფილოსოფიის გამაერთიანებელი უნდა გახდეს.

იურიდიული სოლიდარიზმი

ლეონ ბურჟუა (1851-1925) – სოლიდარიზმის თეორეტიკოსი, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი, საფრანგეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი. მისი შრომებია – „სოლიდარობა“ (1896) და „სოლიდარობის ფილოსოფია“ (1902). ბურჟუას სიტყვებით რომ ვთქვათ, სოლიდარობა იურიდიულ ფორმაში გამოიხატება, როგორც „წარმოსახვითი ხელშეკრულება“. მისი აზრი შემდეგშია – მაგ., მემკვიდრეობით მიღებული ქონება გავალდებულებს გადაიხადო ის ვალებიც, რომელიც ამ ქონებას მოჰყვა. ე.ი. კრედიტორსა და მემკვიდრეს შორის წარმოიშობა „წარმოსახვითი ხელშეკრულება“. ეს, მართლაც, წარმოსახვითია, რადგან მათ შორის ხელშეკრულება არასდროს დადებულია. ამ ლოგიკით საზოგადოების წევრები ერთმანეთთან ასეთი სახის ხელშეკრულებით არიან დაკავშირებულნი, ანუ „საკუთრება გავალდებულებს“. შენი ქონება მრავალი ჩვენნიანის შრომის ხარჯზეა შექმნილი, ამიტომ სოციალურად დაუცველ ფენებს ვალი გადაუხადე. ეს გააზრება გამოყენებულ იქნა ვაიმარის 1919 წ. კონსტიტუციაში და ბონის 1949 წ. კონსტიტუციაში (მაგ., დააბრუნე ჩვენი ვალი უფასო განათლების დანერგვა-განვითარებით).

ლეონ დიუგი (1859–1928) – სამართლის თეორეტიკოსი, კონსტიტუციონალისტი. იმის მიუხედავად, რომ მისი შემოქმედება სოციალურ-იურიდიულ, პოზიტიურ სამართალს ემსახურება, მაინც ბუნებრივი სამართლის გავლენის ქვეშ ექცევა. ის ძირითადად სოციოლოგიური პოზიტივიზმის ისეთ ავტორიტეტებს ეყრდნობა, როგორებიც არიან: სენ სიმონი, კონტი, სპენსერი; თანამედროვეებიდან – დიურკეიმი, რომლის აზრით, სამართალი სხვა არაფერია, თუ არა „სოციალური ფაქტორის პირდაპირი შედეგი“.

დიუგის აზრით, კოლექტიური მმართველობის ისეთი ფორმები, როგორიცაა რომაული, იაკობინური . . . თანდათან ქრება და მათ ადგილს ახალი სახელმწიფოებრივი წყობა იკავებს; და ის „უფრო პლასტიკური, ჰუმანური და რაც მთავარია, ინდივიდის ინტერესების ეფექტური დამცველია“. ასეთი სახელმწიფო უნდა დაეყრდნოს ორ ელემენტს:

პირველი ელემენტი – სოციალური ნორმების კონცეფცია, რომელიც „ურთიერთდამოკიდებულების ფაქტს ეყრდნობა“, რაც თავის მხრივ, მთელ კაცობრიობას და ასევე, ნებისმიერი სოციალური ჯგუფის წევრს აერთიანებს. სოციალური ნორმა ერთი და იგივე უნდა იყოს სუსტიისა და ძლიერი-სათვის, დიდისა და პატარისათვის, მმართველისა და მართულისათვის.

მეორე ელემენტი – სინდიკალური ფედერალიზმი. მისი აზრით, ესაა სოციალური ტენდენცია, რომლისკენაც საზოგადოება მიისწრაფვის. შესაბამისად, უნდა ველოდოთ კლასების ფედერალიზაციას – საზოგადოების გარკვეულ ჯგუფებად დაყოფას, რომელიც სინდიკატებში ორგანიზებულ ფორმას იღებს. ამრიგად, მიმდინარეობს საზოგადოების დეცენტრალიზაცია. დროთა განმავლობაში ფედერალიზმი შეერწყმება ცენტრალურ ხელისუფლებას, რომელიც კი არ ქრება, არამედ სიცოცხლისუნარიანობას ინარჩუნებს, ხასიათს იცვლის და მისი ძირითადი ფუნქცია კონტროლი და ზედამხედველობაა.

მარტივად რომ ვთქვათ, ქართულ სინამდვილეში ეს ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: გაჭირვებული ხალხი გაერთიანდება სინდიკატში და ალბათ, მას „უბედურთა სინდიკატი“ დაერქმევა. სუპერმარკეტებისა და მცირე სასტუმროების მფლობელებიც შექმნიან სინდიკატს, მილიონერებიც ასევე მოიქცებიან. ყველანი ერთად კი – ფედერაციას. ალბათ, სინდიკატები საკუთარ ლიდერებს ცენტრალურ ხელისუფლებაში წარგზავნიან. ისინი შეერევიან ხელისუფლებას და შერეული ხელისუფლების კომბინაცია კონტროლსა და ზედამხედველობას განახორციელებს.

მილიონერების ლიდერებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ის, რომ ხელისუფლებაში მოხვედრილი უბედურთა ლიდერები სიმართლისათვის თავს გაწირავენ, უბედურებასა და გაჭირვებას კბილებით ჩააფრინდებიან, მილიონერთა მიერ შეთავაზებულ ქრთამს არ აიღებენ და გაჭირვებულთა ინტერესებს დაიცავენ, ცოტა საეჭვოდ მიმაჩნია. ეტყობა ამაზე აღარ უფიქრია ბატონ ლეონს. ალბათ, მის სამშობლოში – საფრანგეთში შესაძლებელია გამოდგეს მმართველობის ასეთი ფორმა, მაგრამ აქ, ჩვენთან – რა მოგახსენოთ.

მაქს ვებერი (1864-1920) მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-სოციოლოგიური მოაზროვნე.

მაქს ვებერის ზოგადი გააზრება სახელმწიფოს არსზე მარტივი დებულებით იწყება – სახელმწიფო, ასე თუ ისე, ფიზიკურ ძალადობასთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, ის თანამედროვე სახელმწიფოს ისეთ ადამიანთა საზოგადოებად განიხილავს, რომელმაც ფიზიკური ძალის ლეგიტიმაცია მოცემული ტერიტორიის ფარგლებში მიითვისა. ყველა სხვა სოციალური ინსტიტუტი ძალას იმ ფარგლებში იყენებს, რის უფლებასაც სახელმწიფო ანიჭებს. ეს, რა თქმა უნდა, სოციალურ ცხოვრებაში რაღაც დაპირისპირებას ბადებს. ვებერი ვერ ხედავს ამ მდგომარეობიდან გამოსავალს და თვლის, რომ თანამედროვეობის მამოძრავებელი ძალა არა კაპიტალიზმი, არამედ – **სოციალური სამყაროს მზარდი რაციონალიზმია**. გამოდის, რომ რაციონალიზმი ის თეატრია, რომლის ერთ-ერთ სცენას კაპიტალიზმი წარმოადგენს. რაციონალიზაცია მართვის ნებისმიერი ვარიანტისათვის იმანენტურია (მახასიათებელი) და სამართლის ბატონობის იდეასთან თავისუფლად თანაარსებობს.

კაპიტალიზმისას, ყველგან შელწევადი რაციონალიზმი (ამ შემთხვევაში უფრო მართებული იქნებოდა სიტყვა რაციონალიზმი პრაგმატულობით შეგვეცვალა) ძალაუფლებას აძლიერებს და ადამიანთა სულიერებას აკნინებს. ის, ფაქტობრივად, სოციალურ ფენებს თანდაყოლილ ბუნებრივ რიტმთან აუცხოებს და ერთმანეთთან აპირისპირებს. რაციონალიზებულმა თანამედროვეობამ ტრადიციებს, ჩვევებს, გონიერულობას, პროგრესისა და თავისუფლების სასარგებლოდ, ომი გამოუცხადა. ცივილიზებული, გონიერი ადამიანი მისი კანონზომიერი ნაყოფია. თუმცა, ამაში არის რაღაც ნეგატიურიც. რაციონალური ადამიანი თავის გონიერულობას, პოტენციალს არა რთულად ამოსახსნელი ამოცანების, პრობლემების გადასაწყვეტად, არამედ ხეირის საძიებლად მიმართავს. რაციონალიზაცია სამი მთავარი პროცესების მეშვეობით დომინირებს.

1. კონტროლი სოციალური მიზნისათვის;
2. შესაბამისი პარამეტრების სისტემის მოწესრიგება;

3. ყოველდღიური წესების მეთოდოლოგიური გამართლება (მორალური, იურიდიული და ა.შ.).

ასეთი რაციონალიზაციიდან გამომდინარე, რომ ლოგიკურად გაუმართლებელი მეტაფიზიკურის ან მისტიკურის ადგილი, რაც ინდივიდს მეტ-ნაკლებად ახასიათებს, აღარ რჩება. შედეგად საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების სფეროებს შორის პოლარიზაცია ხდება. ამას ბიუროკრატიული სისტემა დაუმატებ, რომელიც საკუთარი ინტერესების საზოგადოებრივ ინტერესებად გადაქცევას ცდილობს. ამრიგად, ფორმალიზმში გადაზრდილ რაციონალიზმს ვიღებთ.

თანამედროვე რაციონალიზმის ნოვაცია – ყველა თანამედროვე გააზრება, პოლიტიკურ-სამართლებრივი საკითხები, **იუმისა** და **კანტისათვის** დამახასიათებელი კრიტიკის ჭრილში უნდა იქნას განხილული.

ჩვენს ცხოვრებაში რაციონალიზმი დომინირებს. ჩვენ მუდმივად გაანგარიშებით, გაანალიზებით უნდა ვიცხოვროთ. ვებერი სახელმწიფოს ლეგიტიმაციაზე ამხვილებს ყურადღებას. მისი აზრით, ადამიანთა გარკვეული ჯგუფი, საზოგადოება რომელიმე გუნდმა უნდა დაიმორჩილოს. ეს ან ტრადიციის, ჩვევის (ჩვევა – მუდმივად პატრონის ძიება) ანდა, მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, ამ გუნდისადმი ნდობის საფუძველზე ხდება. სახელმწიფოს ლეგიტიმაცია ავტორიტეტზე და ძალაუფლებაზე ძალა დგას. ამ დიქტომიურ (მთლიანის ორ-ორად პერმანენტული დანაწევრება) მოსაზრებას ვებერი ძალაუფლების სამი სახეობით ართულებს.

პირველი – ტრადიციული ძალაუფლება, რომელიც ავტორიტეტს ეყრდნობა.

მეორე – ქარიზმატული პიროვნება, რომლის სახელით ძალაუფლების რეალიზაცია ხდება.

მესამე – რაციონალურ-კანონიერი ხელისუფლება (დასავლეთში დღეს გავრცელებული ფორმა).

ვებერი სამართლებრივ მოძღვრებაში განასხვავებს ბუნებრივ და ღვთაებრივ სამართალს. ის „ბუნებრივი“ კრიტიკიუმის მნიშვნელოვნებას აღიარებს, თუმცა, აღნიშნავს, რომ ბუნებრივ სამართალში ღვთაებრიობის ზოგიერთი ელემენტი სამართალწარმოებას დაანგრევს. ამრიგად, ის პოზიტიური სამართლის მიმდევარია. ვებერის თვალსაზრისით, სამართალი ბატონობის მექანიზმია, რომელიც რაციონალიზმსა და ფორმალიზმს მოიცავს.

მისი პოლიტიკურ-სამართლებრივი გააზრებები გადმოცემულია შრომებში – „სოციოლოგიური სამართალი“ (დაუმთავრებელი ხელნაწერი), „პოლიტიკა, როგორც მისწრაფება და პროფესია“ (1918), „პარლამენტი და ხელისუფლება გერმანიის რეკონსტრუქციაში“ (1921) და სხვა.

XX საუკუნის დასაწყისში ზუსტი მეცნიერების, ტექნოლოგიური პროგრესისა და ზნეობის რეგრესის პირველი სიმპტომები მკვეთრად გამოვლინდა. განათლებულმა ადამიანებმა ამ დისჰარმონიის თანმდევი საშინელების დასაწყისი ნათლად დაინახეს და არც შემცდარან. XX – XXI საუკუნეებში გადატანილი ორი მსოფლიო და სხვადასხვა ლოკალური ომები, სწორედ, ზნეობასა და ტექნიკურ პროგრესს შორის შეუსაბამობის შედეგია. ესაა ასეული მილიონობით შეწირული სიცოცხლე. ამიტომ იყო, რომ უკვე XX საუკუნის დასაწყისში იურისპრუდენციაში პოზიტივიზმის მკაცრი კრიტიკა გაისმა. საღი აზრი ბუნებრივი სამართლის აღორძინებას ითხოვდა, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეძლებისდაგვარად ხორციელდება.

ჩვენი აზრით, იწყება პოზიტიური სამართლის ბატონობის ეპოქის დასასრულის დასაწყისი. ასეთი მიდგომა ძირითადად ტოტალიტარული სამართლის (მკვეთრად გამოსახული პოზიტიური სამართლის) წინააღმდეგაა მიმართული. იურიდიულ პოზიტივიზმს ბრალს სდებდნენ, რომ ის სამართლის ობიექტურ ფასეულობებს უარყოფდა და უსამართლობის დაკანონებას უწყობდა ხელს. იურისპრუდენციის თეოლოგიურმა მოსაზრებებმა მიმდინარე პროცესებში დიდი როლი შეასრულა.

განვიხილოთ ვაშინგტონის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორის, ფრანგი თეოლოგის – **ჟაკ მარიტენის** (1882-1973) ბუნებრივი სამართლის ნეოთომისტური (კათოლიკური) კონცეფცია. მარიტენის აზრით, მარადიული კანონის სახით ბუნებრივი სამართალი ადამიანში თავიდანვე ჩადებული. მარადისობის კანონი ყველა სხვა კანონის მუდმივი წყარო და სამყაროს წყობის უზოგადესი

კანონია; და ის ბუნებრივ კანონებში მელავენება. ადამიანის არსი უცვლელია. ის ადამიანის უფლებების, ადამიანის ღირსების აღიარებას მოიცავს.

ბელგიელი მეცნიერი **ნეო ჟან დაბენიცი** იმავეს ამტკიცებს.

იოჰანეს მესნერი (1891-1984), ავსტრიელი ნეოთომისტი. იგი არსებული ეთიკის კრიზისმა ტრადიციულ ბუნებრივ ეთიკასთან მიიყვანა, რომლის გააზრებაც პლატონიდან და არისტოტელედიან იღებს სათავეს და დღეს მთელ კაცობრიობას ჰაერივით სჭირდება.

მესნერის ბუნებრივ-სამართლებრივ ანთროპოლოგიაში ბუნებრივი კანონის ზოგადი მოთხოვნები განიმარტება, როგორც ადამიანის შინაგანი ბუნებრივი თვისება. ის სოლიდარულია ჰეგელთან, რომლის აზრით – იძულება არა სამართლის არსის საფუძველი, არამედ დარღვეული სამართლის აღდგენის საშუალებაა. ასევე ეთანხმება **გ. რაინერის** თვალსაზრისს, რომ ბუნებრივი სამართლის ზოგადი ფორმულაა – „ყველას მიეზღება“.

მეცნარამეტე საუკუნეში ინგლისელმა იურისტმა ჯონ ოსტინმა (1790-1859) საფუძველი ჩაუყარა სამართლის ნორმატიულ თეორიას, რომელმაც სამართლის პოზიტივისტური შეხედულებები განსაკუთრებით განავითარა. ამ თეორიით სამართლის საფუძველს სახელმწიფო ხელისუფლების სუვერენული ნება წარმოადგენს. ნორმატიული თეორიის კლასიკური წარმომადგენელია ავსტრიელი იურისტი ჰანს კელზენი (1884-1973).

გთხოვთ, ამ მეცნიერს ყურადღებით გაეცნოთ, რადგან მისი დასკვნები პოზიტიური სამართლის არსს მთელი სიმძაფრით ამჟღავნებს.

კელზენი XIX-XX საუკუნეების ევროპაში ჩამოყალიბებული ტრადიციული სამართალგააზრებით უკმაყოფილოა. შესაბამისად, მისეულ ორიგინალურ, მკაცრ, თანმიმდევრულ მეცნიერული სამართლის გააზრებას გეთავაზობს ნაშრომში „სამართლის წმინდა თეორია“ (1934). წიგნის შესავალში ის აღნიშნავს – „აქ წარმოდგენილია კითხვაზე – რაა და როგორ მოქმედებს სამართალი – პასუხის გაცემის მცდელობა და არ პასუხობს კითხვას, თუ სამართალი როგორი უნდა იყოს, ან როგორ იქმნება ის. ნაშრომი ეხება სამართალმცოდნეობას და არა სამართლის პოლიტიკას“.

კელზენი თვლიდა, რომ სამართალი უნდა შესწავლილი იქნას „წმინდა სახით.“ ის უნდა გაიწმინდოს ყოველგვარი „არაიურიდიული მინარევებისაგან“, ხოლო სამართლისმცოდნეობა „იწმინდება“ მორალის ეთიკის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, პოლიტიკური თეორიებისაგან . . . რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართალი, როგორც მეცნიერება, ობიექტურობას დაკარგავს და იდეოლოგიად გადაიქცევა.

კელზენისათვის „წმინდის“ მნიშვნელოვანი მექანიზმია – განსაკუთრებულ ნორმათა (ნორმა – დაკანონებული, აუცილებელად შესასრულებელი წესი) სისტემის შემოღება (სპეციფიკური ნორმატიული მეთოდი).

ამრიგად, იგი მიდის დასკვნამდე: „სპეციფიკური საგანი სპეციფიკური მეთოდით უნდა განისაზღვროს.“

ცნება „ნორმა“, – განმარტავს კელზენი – გულისხმობს იმას, რაც უნდა იყოს (ჯერარსი) და რასაც ადამიანი უნდა ქმედებდეს. შეუძლებელია ფაქტის შესახებ მსჯელობიდან (არსიდან) გამომდინარეობდეს ესა თუ ის ნორმა (ჯერარსი), რომლის შესაბამისადაც ადამიანი ვალდებულია იქცეოდეს, ქმედებდეს.

სამართალსა და ნორმატიულობაზე კელზენის გააზრება ყოფიერების დუალიზმზე ნეოკანტიანურ წარმოდგენას ეფუძნება – ამ შემთხვევაში, არსებულსა და ჯერარსზე. მარტივად რომ ვთქვათ, არსებულში რეალურად არსებული ყოფიერება იგულისხმება; ჯერარსში კი – თუ როგორი უნდა იყოს ის (რა თქმა უნდა მისი შეხედულებიდან გამომდინარე).

ამრიგად, დუალიზმის ჩარჩოდან გამომდინარე, სამართალი მიეკუთვნება არა არსებულის (მიზეზობრივ კანონებს დამორჩილებული), არამედ ჯერარსის სფეროს. ამ შემთხვევაში, კელზენის

თვალსაზრისით, ნორმა ფაქტიურის (არსებულის) გააზრების სქემად და ასევე ფაქტიურისთვის სამართლებრივი აზრის მიმნიჭებლად წარმოგვიდგება.

ამ განმარტების შემდეგ კელზენი ნორმათა იერარქიაში გარკვევას გვთავაზობს.

„ნორმა, რომელიც აქტს (ქმედებას) სამართლებრივ ან არასამართლებრივ მნიშვნელობას ანიჭებს, თვით შეიქმნა სამართლებრივი აქტის მეშვეობით; და ის, თავის მხრივ, სამართლებრივ მნიშვნელობას სხვა ნორმიდან იძენს.“

ამრიგად, ყალიბდება იერარქია, სადაც ნებისმიერი შემდგომი ნორმა წინამორბედზე „უფრო მაღალ“ საფეხურზეა; და ეს ნორმათა მთლიანი სისტემა ძირითად ნორმასთან (კონსტიტუცია) შესაბამისობაშია.

შემდგომ, კელზენი ყურადღებას ამახვილებს საკანონმდებლო აქტის სუბიექტურ და ობიექტურ მხარეებზე. კერძოდ, სუბიექტურად შემუშავებული საკანონმდებლო აქტი იმავდროულად ობიექტურ დატვირთვისა იძენს, თუ მას კანონიერი ქმედების უფლება კონსტიტუციით მიენიჭა.

უფრო ნათლად, ვთქვათ, გრიშამ, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, სუბიექტურად – „ასეა საჭირო და იმიტომ“ – მოიგონა საარჩევნო კანონი და შექმნა საკანონმდებლო აქტი. თუ მას კონსტიტუცია ქმედების საშუალებას მიანიჭებს, ეს აქტი იმწამსვე ობიექტური ხდება.

ასევე, თუ კონსტიტუცია მისი შემქმნელების ჩანაფიქრის შესაბამისად მოქმედებს, მას არა მარტო სუბიექტური, არამედ ობიექტური ნორმატიული დატვირთვაც ენიჭება. მას, რაც ნორმას ობიექტურ ქმედუნარიანობას ანიჭებს, კელზენი **ძირითად ნორმას** უწოდებს.

კელზენი მიიჩნევს, რომ სამართალი იძულებითი წესრიგია და ამით განსხვავდება სხვა სოციალური წესებისაგან (მორალური, რელიგიური . . .). რათა ნორმა სამართლებრივი გახდეს, აუცილებელია ის არა მარტო რეალური (ნამდვილი), არამედ ქმედითიც იყოს. რეალურ, ნამდვილ ნორმაში იგულისხმება ის, რომ ადამიანები უნდა იქცეოდნენ ისე, როგორც ნორმა მოითხოვს. ნორმა ქმედითაა მაშინ, როდესაც ადამიანები რეალურად ნორმის მოთხოვნის შესაბამისად იქცევიან.

იძულებითი სამართლებრივი წესრიგი ქმედითად მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება, თუ ის ქმედითაა ზოგადად და მთლიანად. ცხადია, კელზენის ეს სამართლებრივი ნორმა, როგორც უკვე აღინიშნა, იძულებით ხასიათს ატარებს. ე.ი ის არა მარტო პოტენციურად ქმედითია, არამედ მოქმედით. ანუ უნდა ვიქცეოდეთ ისე, როგორც გვიწესებს ნორმა და თუ სახეზეა ადამიანების მიერ ამ ნორმის აღსრულების ფაქტი, აი ეს არის ნორმის ქმედითობა. მხოლოდ ამ შემთხვევაშია სამართალი სამართალი.

„მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადამიანთა ფაქტიური ქმედება, ქცევა ზოგადად და მთლიანად შეესაბამება მათი ქმედების წესების აქტში ჩადებულ სუბიექტურ აზრს, მაშინ ეს სუბიექტური აზრი ობიექტურად ჩაითვლება და ასეთი აქტი უკვე სამართლებრივად განიხილება“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მძარცველის ბრძანება – მომეცი საფულე! სრულდება, თუმცა ის სამართლებრივ აქტად არ ჩაითვლება, თუნდაც იმიტომ, რომ ეს არის ერთი ინდივიდის მიერ ნაბრძანები იზოლირებული აქტი და ამ ქმედებას სამართლებრივი ნორმა არ უდევს საფუძვლად. დიახ, კელზენის აზრით, სამართლებრივია არა ცალკე აღებული ნორმა, არამედ ნორმათა სისტემა, სოციალური წესრიგი. შესაბამისად, ცალკე აღებული ნორმა სამართლებრივად იმ შემთხვევაში ითვლება, თუ ის არსებულ ნორმათა სისტემას მიეკუთვნება. ამგვარად, მძარცველის ბრძანება არასამართლებრივი აქტია, რადგან იგი არაა ზოგადი, თუმცა ქმედითია.

კელზენი განიხილავს მეორე შემთხვევას – ორგანიზებული მძარცველი ბანდის სისტემატურ ტერორს განსაზღვრულ რეგიონში. ასეთი ბანდის მიერ დადგენილი იძულებითი წესრიგი (შინაგანი თუ გარეგანი) არ ჩაითვლება მართლწესრიგად, რადგან მას საფუძვლად ძირითადი სამართლებრივი ნორმა არ უდევს; ესაა კონკრეტული ინდივიდების მიერ შემოღებული, დადგენილი იძულებითი წესრიგი, რომელსაც მოსახლეობა უნდა დაემორჩილოს; იგი ქმედითია მხოლოდ გარკვეულ რე-

გიონში და არა მთელ ქვეყანაში. ასევე ბანდიტების მიერ დადგენილი წესრიგისათვის არ არსებობს აუცილებელი ხანგრძლივი ქმედითობა, რომელიც მას ობიექტურ ქმედითობას მიანიჭებდა.

აქ იბადება კითხვა – რა მოხდება მაშინ, თუ ბანდიტებმა ჩაიფიქრეს ხანგრძლივი დროით ითარეშონ და ეფექტურად მოქმედებენ?

ამ კითხვაზე კელზენი კატეგორიულად პასუხობს – **ორ იძულებით წესრიგს შორის (ოფიციალური და ბანდიტური) კონკურენციისას, სამართლებრივად ჩაითვლება ის, რომელიც მოცემულ ტერიტორიაზე (მაგ., საქართველოში) უფრო ქმედითი აღმოჩნდება.**

ღიას, ეს ასეა და არა სხვაგვარად. კელზენის შემოქმედებას წითელ ხაზად მიჰყვება ფრაზა – **„ნორმა არც ჭეშმარიტებაა და არც სიცრუე. ის ან ქმედითია, ან არაქმედითი“.**

ზემოთ აღწერილ, არც თუ ისე სახალისო მსჯელობას, ავტორი მიჰყავს დასკვნამდე – **„ყოველგვარი თავნებობის, თავგასულობის არსი შეიძლება სამართლებრივი იყოს. არ არსებობს ადამიანის ქმედება (ქცევა), რომელიც საწყისშივე არ მოიცავდეს სამართლებრივი ნორმის შინაარს“.**

გამოდის, რომ სამართალი, არც მეტი, არც ნაკლები, ხელისუფლების მიერ დამყარებული წესრიგია (ჰობსის შეხედულებებს თუ გავიხსენებთ, კელზენის ორიგინალობა აზრს კარგავს).

უძველესი დროიდან ჩვენამდე მოღწეულ ფორმულირებას – არ არსებობს სამართალი ხელისუფლების გარეშე და, პირიქით – კელზენი საკუთარ განსაზღვრებას ამატებს – ხელისუფლება და სამართალი იგივეური ცნებები არაა.

ყოველივე ზემოთ განხილული მსჯელობის შემდეგ კელზენი მიდის დასკვნამდე –

დიქტატურის, ტოტალიტარიზმის მიერ დამყარებული იძულებითი წესრიგი სამართლებრივია.

ღიას, თუ მის მოსაზრებებს დავეყრდნობით, ნერონის, კალიგულას, სტალინის, ჰიტლერის . . . დამყარებული წესრიგი სამართლებრივი ყოფილა.

ტოტალიტარიზმის, დიქტატურის იძულებით წესრიგს და ნორმებს – მათი ეფექტურობიდან გამომდინარე – კელზენი ყველაზე სამართლებრივად მიიჩნევს. მართლაც, დიქტატორული სისტემა მის მიერ დადგენილი ნორმების, წესების მოწინააღმდეგეს ყველგან მიაგნებს, საფლავიდანაც კი ამოთხრის და მაინც პასუხს აგებინებს.

ყოფილი საბჭოთა კავშირის სამართალიც (მილიონობით დახვრეტილი ადამიანი) სამართლიანია! რადგან ის ეფექტურად, ზოგადად, მთლიანად და ხანგრძლივად მოქმედებდა. ბოლშევიზმის, „როგორც შხამიანი გველის მიმართ, შეიძლება ზიზღს ვგრძნობდეთ, თუმცა, ჩვენ მას ვერ უგულვებლავყოფთ. ამრიგად, იგი მოქმედებს და ეს ნორმის არსია. ბატონებო, კიდევ ერთხელ ვიმეორებ: „ძირითად ნორმას არ შეუძლია რაიმე შეცვალოს სამართლის მოცემულობაში“. – ჰ. კელზენი.

კელზენის მთელი შემოქმედების ძირითადი დასკვნა ერთ წინადადებაში ეტევა –

„ყოველგვარი სახელმწიფო სამართლებრივია“.

გაიგეთ?

და თუ გაიგეთ, გახსოვდეთ, რომ თქვენ დღეს სამართლებრივ სახელმწიფოში ცხოვრობთ და თქვენი მხრიდან ნებისმიერი პროტესტი, უკმაყოფილება უკვე არასამართლებრივია!

კელზენი სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწესრიგს, პოზიტიურ-სამართლებრივ (ლეგიტიმურ) სახელმწიფოს გულისხმობს. მისი აზრით, თუ ნებისმიერი სახელმწიფო სამართლებრივია, ცნება – „სამართლებრივი სახელმწიფო“ – აზრს კარგავს. კელზენის თვალსაზრისით, სახელმწიფოს ასეთი (პოზიტიური) განმარტება გვეხმარება, გადავლახოთ „სახელმწიფოსა და სამართლის ტრადიციული დუალიზმი“ და იურისპრუდენციის საგნის (ნეოპოზიტივიზმის აზრით) ერთობას, მთლიანობას მივალწიოთ.

„შემეცნების საგანი მხოლოდ სამართალია“, ამასთან, სამართალში პოზიტიური სამართალი და თვით სახელმწიფოს მიერ ნებისმიერი, თუნდაც თვითნებური და იძულებითი ხასიათის დადგენილება იგულისხმება. ხოლო რაც შეეხება ცნება სიმართლეს, ის მორალის სფეროა და სამართალთან რაიმე კავშირი არ გააჩნია.

„ნამდვილი სახელმწიფო საკუთარ არსში, სიმართლისაგან განსხვავებით, პოზიტიურ სამართალს მოიცავს.“

სწორედ ესაა პოზიტიური სამართალი და ასეთად დარჩება, თუნდაც მას ნეოკანტიანური სამართალი ერქვას.

ჩვენ, პოლიტიკურ-სამართლებრივი ისტორიის განხილვისას, კომენტარებისაგან თავის შეკავებას ვცდილობდით; თუმცა, როგორც შენიშნეთ, ეს ჩვენს შესაძლებლობას აღემატება. მართლაც, კომენტარისაგან თავის შეკავება შეუძლებელია, როცა ჰობსის, კელზენისა და მათ მსგავსთა შრომებში თავიდანვე ჩადებულ ორიენტირდაკარგულ „ლოგიკას“ ეცნობი.

დააკვირდით, როგორ იწყებს ბ-ნი კელზენი მსჯელობას. ის ცდილობს „გაწმინდოს“, განაცალკევოს სამართალი რელიგიის, ეთიკის, ფსიქოლოგიზმის, სოციოლოგიზმისაგან . . .

მან არ იცის, ან შეგნებულად არ უნდა გახსენება, რომ ჩვენი ყოფა-ცხოვრება ერთ მთლიან სისტემას წარმოადგენს, რომელშიც სამართლის, სახელმწიფოს, ეთიკის, სოციოლოგიის, რელიგიის . . . ურთიერთკავშირით ერთიანი ცოცხალი ორგანიზმი იქმნება.

ამ საკითხის ღრმად გააზრებისათვის ჰეგელის მსჯელობა განვიხილოთ.

ჰეგელისათვის, ისევე, როგორც არისტოტელესათვის, მთელი გაცილებით მეტია, ვიდრე მისი შემადგენელი ნაწილების ჯამი. მისი აზრით, ყურადღების ცენტრი მთელზე უნდა გადავიტანოთ, რადგან ცნება ერთობას საკუთარ თავში მხოლოდ მთელი მოიცავს და ის ცოცხალ ორგანიზმს ახასიათებს. ამ ორგანიზმის შემადგენელი ნაწილები არა დამოუკიდებლად, თავისთავად, არამედ მხოლოდ „ცოცხალი ორგანიზმის სულის ჩამდგმელი კავშირის“ შესაქმნელად არსებობენ. ამ კავშირის გარეშე, სრულიად სხვას, თავდაპირველისაგან განსხვავებულს ვიღებთ. კერძოდ, ადამიანის ხელს სხეულის გარეშე არსებობა არ შეუძლია. ამპუტირებული ხელი უბრალოდ იხრწნება, ლპება და გარეგან ფორმასაც კი კარგავს. მხოლოდ მთელის შემადგენელი ნაწილების – თვალები, ხელი, გული, ფილტვები . . . – ცოცხალი ურთიერთკავშირით იქმნება მთლიანი, ადამიანი; და თუ მას ანატომიურად დავშლით, დავანაწევრებთ, მთლიანს, ანუ ადამიანს ვერასდროს წარმოვიდგენთ.

ასევეა ადამიანი, რომელიც ცოცხალ კავშირში არაა სხვა ადამიანებთან, სოციუმთან. თუ იგი ერთობის შექმნაში მონაწილეობას არ იღებს, აუცილებლად „იხრწნება, ლპება“ და მისი პოტენციალის, ადამიანური არსის გარკვევა შეუძლებელი ხდება.

იგივე სურათს მიიღებთ, თუ ცნება სახელმწიფოს „ანატომურად“ დაშლით, დაანაწევრებთ; გამოაცლით მორალს, ფსიქოლოგიზმს, რელიგიას, პოლიტიკას, იურისპრუდენციას . . . და შემდეგ „ამპუტირებული“ ნაწილის მაგ., იურისპრუდენციის შესწავლას შეეცდებით, ვიდრე თქვენ ამას შეძლებთ, „ამპუტირებული“ იურისპრუდენცია გაიხრწნება, ფორმას დაკარგავს და მისი სრულყოფილი შემეცნება შეუძლებელი გახდება.

პლატონისათვის, ჰეგელისათვის, ვაჟასთვის . . . მთელი სამყარო – ცოცხალი მოაზროვნე მთლიანი ორგანიზმია, რომლის შემადგენელი ნაწილები მთელი სამყაროს სიცოცხლის უხილავი კვალის მქონენი არიან.

ამის შემეცნება უნივერსალურ აზროვნებას მოითხოვს.

შესაბამისად, ბ-ნი კელზენის მსჯელობა პროფესიულია და არა უნივერსალური, ზოგადი აზროვნება. კელზენის მსჯელობა, რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, პროფესიული აზროვნებაც არაა, ვინაიდან, პროფესიული აზროვნება საკუთარ თავში უნივერსალურ აზროვნებას მოიცავს და, პირიქით.

საზოგადოებაში, რატომღაც, დამკვიდრებულია მოსაზრება – თითქოს ადამიანის აზროვნების უნივერსალიზმს, მრავალმხრივობას მისი ტალანტი განსაზღვრავს.

ჩვენი აზრით კი, პირიქით, ადამიანის ტალანტი, გენიალურობა მისი უნივერსალიზმის შედეგია.

ხის სიძლიერე მისი ფესვებით იზომება. ასევეა ადამიანიც. ადამიანის სულიერი განვითარების ხარისხს მისი კულტურულ ფასეულობათა აღქმისა და გათავისების დონე განსაზღვრავს. და რაც უფრო ღრმაა მისი ფესვები, კულტურისა და ტრადიციების აღქმა-გათავისების ხარისხი, ადამიანის შინაგანი ზრდა, განვითარება მით უფრო ეფექტურია.

ჩნდება კითხვა – უნივერსალიზმისაკენ სწრაფვა დილეტანტიზმისა და ზედაპირულობისაკენ ხომ არ გვიბიძგებს?

– არა.

პირიქით, უნივერსალიზმი პროფესიონალიზმს ავითარებს. რაც უფრო უნივერსალურია ადამიანი, საკუთარ თავს კონკრეტულში მით მეტად ამჟღავნებს.

დამკვიდრებულია ტრადიცია, რომ კაცობრიობის მიერ დაგროვილი კულტურა, ცოდნა ბავშვობიდანვე თაროებზე შემოლაგებული ლიტერატურიდან, სასკოლო წიგნებიდან, სასწავლო კურსებიდან, ლაბორატორიებსა თუ საამქროებში, კათედრებსა თუ შესაბამის საიტებზე არსებული ინფორმაციის ნაკადიდან უნდა ავითვისოთ. ამ ინფორმაციებს მოწესრიგებული დიასახლისებებით ექცევიან და დანა-ჩანგალივით „ყუთებში“ ახარისხებენ. ამ ქმედების არსი მარტივია: მკვეთრად შემოსაზღვრონ, სხვათაგან გამოიჯონ საკუთარი თემატიკური „საკუთრება“, რათა „ერთმორწმუნენი“ მიიზიდონ, რომელნიც სხვათა მიმართ ზიზლით იქნებიან განწყობილნი. ამგვარად იქმნება დამცავი ჯებირი, ჯავშანი, რათა „გარედან შემოღწევის“ ყოველგვარი საშუალება მოისპოს. გვიბრძანებენ მომწიფებად განესაზღვროთ თუ რა დარგის სეგმენტით შემოვისაზღვრებით მომავალ ცხოვრებაში. ჩვენც ვირჩევთ ინტერესის სფეროს, რომელსაც განვითარებისაკენ სვლის ბუნებრივ უპირობო გზად აღვიქვამთ. აბა სხვაგვარად როგორ? და სრულიად გვავიწყდება, რომ თვით ბუნებას არ აინტერესებს რა საამქროებად თუ სამთავრობებადაა დაყოფილი ბუნების კანონზომიერების შემსწავლელი დისციპლინები. ბუნება ფეოდალური კანონებით არ ცხოვრობს. ის ერთიან ჰარმონიულ კანონზომიერებას ემორჩილება.

დიახ, აუცილებელია სინამდვილის სინთეზური ათვისება, ანუ მხატვრული, ფილოსოფიური და მეცნიერული შემეცნების შენადნობით. ჩვენ კი, უბედურებმა, სამყაროს აღქმა ხელოვნებად, ფილოსოფიად და მეცნიერებად, ანუ ფორმად, აზრად და სახედ დავანაწევრეთ. დიახ, ჩვენ ანალიზის ალესილი დანით ჭეშმარიტი გავაცალკევით მშვენიერისაგან. სამყაროს მთლიანობაში აღქმისათვის გონება, ძალა, სითამამე არ გვეყო.

ალბათ, სამყარო გაცეხებული უმზერს ამ უცნაურ განცალკევებას, უკვირს ჩვენი ქმედება და გვეკითხება: ნუთუ სილამაზე, ანუ ჰარმონიულად ორგანიზებული მთელი, ჭეშმარიტების სახე არაა? ნუთუ ბუნების ლოგოსი, როგორც შინაგანი, კანონზომიერი, საკრალური არ ამჟღავნებს თავს? არ გველაპარაკება ჰარმონიის ენით, კოლორიტით, სიმეტრიით, სრულყოფით, ანუ იმ სიმბოლოებით, რაც მხატვრული სახე და ფორმაა?

ალბათ, არამამაცთა „შემოქმედების“ შედეგია ეს ლოზუნგი: პურის გამოცხობა ხაბაზის საქმეა – მშვენივრად მიესადაგება მატერიალური სამყაროს (ხელოსნობის) და არა შემოქმედებითი სამყაროს სფეროს. დიახ, მათ სამყარო თონე ჰგონიათ.

ამრიგად, ჩვენი „მეცნიერული ცხოვრება“ ფეხსაცმლის კერვის საამქროს ემსგავსება, სადაც ერთნი ლურსმნის ჩაჭედებაში ოსტატებიან, მეორენი ლეზვაში, მესამენი კი თასმების გაყრაში . . . და იბადებიან „საამქროს მეცნიერები“, დახელოვნებულნი მხოლოდ თასმის გაყრაში . . . ეს პროფესიული განმსოლოებაა.

შრომის დიფერენციაციამ მეცნიერებაში საამქროს ჩაკეტილობასთან და „უსტაბაშების“ პროფესიულ შეზღუდულობასთან მიგვიყვანა, რომელთაც ვიწრო სპეციალობის ჩარჩოების გარღვევა, შემეცნების სფეროს გაფართოება არ სურთ. „უსტაბაში“ უკვე ვეღარ ბედავს ზოგადზე იფიქროს და მისი აზროვნება მხოლოდ კონკრეტული ფაქტების განხილვით შემოიფარგლა. ამდღების ყოველგვარი მცდელობა, როგორც საამქროს კანონის დარღვევა, დილეთანტიზმად და არასერიოზულ მიდგომად მიიჩნევა. საერთო კანონზომიერების შემეცნების სარკე ნაწილებად დაიმსხვრა; შედეგად მატერია და სული, ადამიანი და ბუნება, ორგანული და არაორგანული ბუნება, სუბიექტი და ობიექტი, . . . ერთმანეთს დაუპირისპირდა. ყველაფერი დახარისხდა და უჯრებში ჩაიკეტა. ამრიგად, ჩვენი მეცნიერება ფეოდალურ სახელმწიფოს დაემსგავსა, ფეოდალთა, „უსტაბაშთა“ სამეფოები განცალკევდა. ყველგან ბარიერები, სასაზღვრო ბოძები აღიმართა, საბაჟოები შეიქმნა. ჩამოყალიბდა სუვერენული მიკროსამთავროები მიკრომონარქებით, რომლებიც ერთმანეთს გააფთრებით ებრძვიან; აბა გაბედე და ფიზიკოსმა ფილოსოფიის, ეკონომიკური მეცნიერების, პოლიტოლოგიის, თეოლოგიის საზღვრები დაარღვიე, მყისვე ამუშავდება ლოზუნგი – პური მეპურემ უნდა გამოაცხოს.

და თუ არ ცხვება ეს ხარისხიანი პური?!

„შეჭქმნი ერთს და ამით შეჭქმნი ყველაფერს“ – გოეთე. დიახ, თუ ერთს სრულყოფილად შეჭქმნი, შესაძლოა ხელოსნობაც შემოჭქმედებაში გადაიზარდოს.

დიახ, არ გვინდა შემოჭქმედება, უნივერსალიზმი, გვინდა ხელოსნებად დავრჩეთ.

და როცა ლეონარდო და ვინჩს, მიქელანჯელოს, გოეთეს ვისხენებთ, რატომღაც ამოხვრით ვიმეორებთ ფრაზას – „უნივერსალთა დრო წავიდა“; და გვავიწყდება, რომ აინშტაინის ინტერესთა სფერო ფიზიკასა და მათემატიკასთან ერთად მოიცავდა ხელოვნებას, ფილოსოფიას, ისტორიას . . . და, სწორედ, ამიტომ იყო ის აინშტაინი. ნილს ბორი გატაცებული იყო ფილოსოფიით, ბიოლოგიით, ხელოვნებით, ფსიქოლოგიით, სოციოლოგიით, სპორტით . . . და, სწორედ, ამიტომ იყო ის ნილს ბორი.

ჩვენი მსჯელობიდან გამოდის, რომ უნივერსალიზმი შემოჭქმედების განვითარების აუცილებელი პირობაა.

ფენომენს, საგანს მხოლოდ ერთი, ვიწრო პროფესიული ხედვის კუთხიდან ნუ შევხედავთ, რათა დამორგუნველ დასკვნამდე არ მივიდეთ – სიმართლე მხოლოდ ისაა, რასაც ხელისუფალნი, „ძლიერნი ამაქვეყნისანი“ გვიბრძანებენ.

სამართლის თეორიის განხილვისას გვერდს ვერ აუუვლით თანამედროვეობის ყველაზე სისტემურად მოაზროვნე გერმანელ მეცნიერს **ნიკალას ლუმანს** (1927-1998).

ნიკალას ლუმანი საკუთარ წიგნში „სოციალური სისტემა“ (1984წ) სამართალს, რელიგიას, ხელოვნებას, პოლიტიკას, სიყვარულს და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა საკითხებს სისტემური თეორიის ჭრილში განიხილავს. ლუმანთან სუბიექტისა და ობიექტის ცნებები შეცვლილია სისტემისა და გარემოს ცნებებით. ლუმანთან შესამეცნებელი სუბიექტის ცნებას თვითწარმოებადი სისტემა ცვლის, ხოლო ობიექტისას კი – არსებული გარემო.

ლუმანის თანახმად, ადამიანს სამყაროს სრულად შემეცნება არ შეუძლია, ამიტომ მან უნდა გაამარტივოს გარემომცველი სამყარო, სადაც მას მხოლოდ განზოგადების პროცესის საშუალებით შეუძლია შედწევა. სამყაროს შეცნობა არსებული განსხვავებების პოვნას ნიშნავს. რეალობის სტრუქტურირება ხდება განმასხვავებელი კრიტერიუმების შერჩევით.

ეყრდნობოდა რა გენური ინჟინერიის, ბიოლოგიური გამოკვლევების, კომპიუტერული თეორიის, ინფორმაციისა და კიბერნეტიკის შედეგებს, ლუმანმა ჩამოაყალიბა სოციუმის თვითწარმოებადი სისტემის თეორია. ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სოციუმში არსებულ ურთიერთობებს. სოციალური სისტემის ფუნქციის ანლიზი კეთდება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად არის ეს სისტემა მზად ადაპტაციისა და ცვლილებებისათვის.

ლუმანის მოძღვრება ეყრდნობა პოზიტიური სამართლის თეორიას. ის ერთმანეთისაგან გამიჯნავს სამართალსა და მორალს, სამართალსა და ჭეშმარიტებას. მისი თეორიის მიხედვით სამართლის ტრადიციული ან ბუნებითი სამართლებრივი დასაბუთება შეუძლებელია, რადგან ბუნებითი სამართალი აღიარებს მუდმივ, უცვლელ ღირებულებებს და სოციალურ გარემოში მიმდინარე ცვლილებებთან არაპარმონიულია. პოზიტიური სამართლის შეცვლა კი ყოველთვის შესაძლებელია. თუმცა, საჭიროა მთელი რიგი დამცავი მექანიზმები, რათა არასასურველი ცვლილებები თავიდან იქნას აცილებული. სწორედ, ასეთ მექანიზმებს განეკუთვნება სამართლებრივი სახელმწიფოს ცნება, ადამიანის უფლებების სისტემა (ის ძირითადად უფლებებში სახელმწიფოსაგან დამცავ უფლებებს გულისხმობს), იურიდიული ნორმების თავისუფლების საზღვრები. ლუმანის აზრით, ყველა კანონის დაცვა შეუძლებელია და იურიდიული ინტერვენცია პირველ რიგში ინდივიდუალურ თვითგამორკვევის შესაძლებლობას ზღუდავს.

ლუმანის თეორიისათვის დამახასიათებელია ანტიიდეოლოგიური ხასიათი. მისი აზრით, სამართალს წესრიგის დამყარების გარდა სოციალური სტრუქტურების ინსტრუმენტებიც აქვს. ის ძირითად უფლებებს განიხილავს, როგორც ინსტიტუტს და სამართლის დამცავ ფუნქციასაც ამით აღიარებს, რაც მას „ღირებულებებისაგან თავისუფალი პოზიტიური მიმდინარეობებისაგან“ განასხვავებს.

ჰერბერტ ჰარტი (1907-1992) – ინგლისელი იურისტი, ნეოპოზიტივისტი, შრომაში „სამართლის კონცეფცია“ (1961), აკრიტიკებს ბუნებრივ-სამართლებრივ თეორიებს. განსაკუთრებით დასცინის ბუნებრივი სამართლიდან გამომდინარე აზრს: „უსამართლო სამართალი – არის არასამართალი (არასამართლებრივად წარმოქმნილი სამართალი – ნეგატიური სამართალი)“. იგი ამ აზრს განიხილავს, როგორც პარადოქსს ან „უბრალოდ შეცდომას“ და აღნიშნავს, რომ ეს აზრი ტოლოფასია გამონათქვამის: „კანონი ეს არაა სამართალი“.

რას იზამ, მას ასე ესმის სამართალმცოდნეობა, რადგან ის იმ მოსაზრებიდან გამოდის, რომ ადამიანთა სოციალური ცხოვრების მინიმალური მიზანია „**როგორმე ცოცხალი დავრჩე**“. ჰარტის ამ მოსაზრებიდან (თუმცა, ჩვენ ვიცით, რომ ეს აზრი ჰობსიდან მომდინარეობს) ნათელი ხდება, რომ სამართალი და მორალი ქმედების განსაზღვრულ ნორმებს უნდა დაექვემდებაროს (და არა პირიქით). ასეთი ნორმებია, მაგ., პიროვნების დაცვა, საკუთრების დაცვა, დადებული პირობის შესრულება (ხელშეკრულება). მისი აზრით, ამ ნორმების გონივრულობა გამოწვეულია იმ აუცილებლობით, რომ არაფერს გამანადგუროს, ანუ დავრჩე ცოცხალი. ამრიგად, მეტის პრეტენზია არ უნდა მქონდეს. ე.ი. რადგან ადამიანი ადამიანისათვის მგელია, ადამიანი გონებაშეზღუდულია, უნებისყოფაა. სამწუხაროდ, საზოგადოებაში ის ბირთვი არ არსებობს, რომელსაც სიმართლის, მორალისა და პოზიტიურ სამართალს შორის ჰარმონიის დამკვიდრების ფორმის გააზრების უნარი აქვს. საზოგადოებაში ასეთი სისტემის, ბირთვის წარმოქმნის შესაძლებლობა ჰარტის წარმოსახვის საზღვრებს სცილდება.

ამიტომ, გვირჩევს: მორალს ნუ დაეყრდნობით, დაეყრდენით სამართალს, კანონებს, იძულებას.

როგორც ამჩნევთ, პოზიტიური სამართლის აპოლოგეტები ისევ სოფისტებთან და ჰობსთან დაბრუნდნენ. ამრიგად, ჩაკეტილი წრე მივიღეთ და ამ უაზრო წრებრუნვას აზრობრივ პროგრესს უწოდებენ.

XIX საუკუნემდე ფილოსოფია წარმოდგენილი იყო განსხვავებული მიმართულებებით: იდეალიზმი და მატერიალიზმი, ემპირიზმი და რაციონალიზმი. XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა ნოვაციის მოთხოვნილება და კლასიკური ფილოსოფიის საპირწონედ არაკლასიკური ფილოსოფიის ცნება ჩნდება. კლასიკური ფილოსოფია ანტიკურიდან ჰეგელამდე „გონივრული“ იყო, ანუ გონების ძალას ეყრდნობოდა. გამოჩნდნენ ფილოსოფოსები, რომელთაც „კლასიკური ფილოსოფია“ არ აკმაყოფილებდათ. მათი აზრით, მასში იკარგებოდა თვით ადამიანი, რადგან ადამიანი სპეციფიკური, სუბიექტური მრავალფეროვნების გამოვლინებაა და შესაბამისად, გონივრული მეთოდებით, მეცნიერებით მისი გააზრება შეუძლებელია. ამრიგად, იბადება არაკლასიკური ფილოსოფია, რის

საწყის რეალობად გამოცხადდა სიცოცხლე, ცხოვრება, ცხოვრების ფილოსოფია, ადამიანის არსებობა (ეგზისტენციალიზმი). მათი აზრით, კლასიკურ ფილოსოფიაში ამ საკითხებს ნაკლები ყურადღება ეთმობოდა.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ახალ მიმართულებას არტურ შოპენჰაუერმა ჩაუყარა საფუძველი. შოპენჰაუერის აზრით, რაც ჩვენ გარშემო არსებობს არის ნების, სიცოცხლის ნების გამოვლინება. ნებას ის უნივერსალურ კოსმოსურ ფენომენად განიხილავს, შესაბამისად, ყოველი ძალა ბუნებაში არის ნება, ნების ქმედება. ადამიანიც არის ნების გამოვლინება და ამიტომ ის ირაციონალურია. გონება მეორადია ნებასთან მიმართებაში. სამყარო არის ნება და მისი მისტიფიკაცია. ადამიანი მიჯაჭვულია ნების მბრუნავ ბორბალზე.

ფრანგ ფილოსოფოსს – **ანრი ბერგსონს** (1859-1941) კი ცხოვრება კოსმოლოგიურად ესმის. ის ყველაფერში შემოქმედებით სწრაფვას, ცხოვრების პროცესის განვითარებას ხედავდა. ბერგსონს მათემატიკური განათლება ჰქონდა მიღებული და დარწმუნებული იყო, რომ მეცნიერული მეთოდი სამყაროს შესაცნობად არასაკმარისია. ბერგსონი გაუნაწყენდა რა მეცნიერულ მეთოდს, თავისთავად ცხადია, დაებადა კითხვა – სადაა გამოსავალი? და მივიდა დასკვნამდე – გამოსავალი ინტუიციითაა. მისი აზრით, ინტელექტით ინტუიციამდე ვერ მიხვალ, ხოლო ინტუიციით კი შეიძლება ინტელექტამდე მიხვიდე. აქედან გამომდინარე, ის აკეთებს დასკვნას – ფილოსოფია არის ინტუიციური ცოდნა და უფრო ხელოვნებას ჰგავს, ვიდრე მეცნიერებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფრიდრიხ ნიცშესათვის ყველაზე მთავარია არა ცხოვრების ნება, როგორც შოპენჰაუერი თვლიდა, არამედ ძალაუფლების ნება. ამიტომაც ის ისეთი ძლიერი ადამიანის მხარეს, როგორც ჰყავს აღწერილი ნაშრომში „ასე ლაპარაკობდა ზარასტრუსტრა“. ეს გმირი თავის მეგობრებს შორის – ბრძენი გველი და მთის არწივი – მაღლა მთაში, ჩვეულებრივი ადამიანებისაგან შორს ცხოვრობს. რაც უფრო შორსაა ბუნება ადამიანისაგან, ადამიანს ცხოვრების იმპულსი მით უფრო უჭრება. შესაბამისად, ადამიანი ესაა ავადმყოფობის პირდაპირი გამოვლინება. გამოსავალი ერთია – აღეზარდოთ ძლიერი ადამიანები. მისი ლოზუნგია „იცხოვრე საშიში ცხოვრებით“. ნიცშეს მსჯელობას ერთი თავისებურება ახასიათებს – ჯერ ამტკიცებს რაღაც მოსაზრებას და შემდეგ კი იგივე მოსაზრებას მშვენივრად უარყოფს. XX საუკუნის 30-იან წლებში იკარგება ინტერესი ცხოვრების ფილოსოფიის მიმართ და შემოდის ეგზისტენციალიზმი. ეგზისტენციალისტების აზრით, „ცხოვრების ფილოსოფია“ ფსიქოლოგიზმითაა გადატვირთული. ამიტომ მათ ძიების სხვა გზა აირჩიეს.

ამრიგად, ცხოვრების ფილოსოფიამ ადგილი დაუთმო ეგზისტენციალიზმს, რომლის დამკვიდრებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის დანიელ თეოლოგსა და ფილოსოფოსს – **სიორენ კერკეგორს** (1813-1855). ბ-ნ კერკეგორს აღიზიანებდა გერმანელი ფილოსოფოსების იდეალიზმი, რომელსაც რაციონალიზმით ზედმეტად გადატვირთულად მიიჩნევდა. კერკეგორის აზრით, ამ სამყაროში უფრო მთავარია ცნება არსებობა (ეგზისტენცია), ვიდრე რაციონალიზმი.

საინტერესო ადამიანი გახლდათ სიორენ კერკეგორი. 17 წლის ის კოპენჰაგენის უნივერსიტეტის თეოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი. იმ პერიოდში ყველა სტუდენტი ვალდებული იყო ჩარიცხულიყო მეფის ლეიბ-გვარდიაში, საიდანაც ის მესამე დღეს ჯანმრთელობის გამო გარიცხეს, თუმცა სუსტ ჯანმრთელობას თავქარიანი ცხოვრებისათვის ხელი არ შეუშლია. ახალგაზრდობაში მას ქეიფი და დროსტარება უფრო მოსწონდა, ვიდრე თეოლოგიური ტრაქტატები. ასეთმა უაზრო ცხოვრებამ ის დებარესამდე მიიყვანა. 17 წლის კერკეგორმა გაიცნო 14 წლის ვინმე რეგინა ოლსენი და თავდავიწყებით შეიყვარა. ეს იყო მისი პირველი და უკანასკნელი სიყვარული. კერკეგორი გამოდის დებარესიდან და თავს უსაზღვროდ ბედნიერად გრძნობს. სამი ბედნიერი წლის შემდეგ დაინიშნენ, მაგრამ დაინიშნის მორე დღესვე ის უკვე ნაწილად თავის საქციელს. ერთი წლის შემდეგ გაცემულ რეგინას უბრუნებს საქორწინო ბეჭედს გამოსამშვიდობებელი წერილის თანხლებით და ინტენსიურად იწყებს ტანჯვას დაშორების გამო. რეგინა ექვსი წელი შორიდან მთომინებით ადევნებდა თვალყურს სიორენის ტანჯვას და როცა მოსწყინდა, ცოლად გაჰყვა თავის თავყვანისმცემელ და ყოფილ მასწავლებელს ვინმე ფრიც შლეგელს. რა უნდა გააკეთოს ამ შემთხვევაში ტანჯულმა შეყვარებულმა? რა და შეყვარებულის ქმარს მწარე წერილი მისწეროს. კერკე-

გორიც წერს ფრიცს – „რეგინა გეკუთვნის შენ ამ ცხოვრებაში, მაგრამ ისტორიაში ის ჩემთან ერთად შევა“. წერილის გაცნობის შემდეგ ფრიცმა მხრები აიჩეჩა და მთელი თხუთმეტი წუთი კაბინეტის ჭერს ნაღვლიანად გაუშტერა თვალი. კერკეგორი არ დაკმაყოფილდა ამ მწარე წერილით. რეგინას მიუძღვნა ორი შრომა „დამრიგებლური საუბრები“ და მთელი თავისი, საკმაოდ მნიშვნელოვანი, ქონება ანდერძით დაუტოვა. არ ვიცი რამ უფრო იმოქმედა რეგინაზე – ანდერძმა თუ ფილოსოფიურმა ნაშრომებმა და თვალ-ცრემლიანმა აღნიშნა: „მან მე შემწირა ღმერთს“. როგორი რეაგირება მოახდინა ამაზე ფრიცმა, დადგენილი არაა. ფაქტი ისაა, რომ რეგინამ 82 წელი მშვენივრად იცოცხლა. ამის შემდეგ კერკეგორმა დარჩენილი ცხოვრება უფრო აღმატებული ტანჯვით განვლო; თუმცა, ამ ტანჯვას მისი პროლექტულობისთვის ხელი არ შეუშლია. მიუხედავად იმისა, რომ მან მხოლოდ 42 წელი იცხოვრა, გამოქვეყნებული აქვს ათი ათასი ნაბეჯდი ფურცელი, რაც დაახლოებით 12 ტომს შეადგენს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ნაშრომები „ან-ან“, „შიში და ძრწოლვა“. სადაც ადამიანთა უსუსური მიწიერი ცხოვრება ასახულია. მისმა თხზულებებმა უდიდესი როლი ითამაშა ესთეტიკის, ეთიკის, თეოლოგიისა და ფილოსოფიის განვითარებაში. განსაკუთრებით მისმა შრომებმა და ექსტრაგავანტურმა ცხოვრებამ გააღიზინა პროტესტანტული რელიგიის დამცველები, რადგან, კერკეგორის აზრით, პროტესტანტულ ეკლესიაში ფარისევლობა სუფევდა. რა არ დააბრალებს სიორენ კერკეგორს – შიზოფრენია, ეპილეფსია, ოდიპოსის კომპლექსი, გაუცნობიერებული ჰომოსექსუალიზმი და მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი.

ამის მიუხედავად, კერკეგორის შრომები, როგორც აღვნიშნეთ, ეგზისტენციალური ფილოსოფიის საფუძველს წარმოადგენს. სიცოცხლის ფილოსოფიისაგან განსხვავებით, ეგზისტენციალურ ფილოსოფიაში, სამყაროში ადამიანის ყოფის მრავალფეროვნება ორგანულად განიხილება. როგორც აღვნიშნეთ, ეგზისტენცია ნიშნავს არსებობას. თვით არსებობა ეგზისტენციალიზმში სუბიექტის და ობიექტის პირდაპირ ერთობად განიხილება. იწყება სუბიექტის სწრაფვა, სვლა გარეთ სხვისკენ, სხვაში გახსნა. ეგზისტენციალური ფილოსოფიის ათეისტურ გაგებაში (სარტრი, კამიუ) სხვა გაიაზრება, როგორც არაფერი, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანი საკუთარ თავს სპონტანურად ქმნის. ეს „თვითშექმნა“ საკუთარ თავისუფლებას ახორციელებს. ადამიანის ყველა ქმედებას უსაზღვრო რაოდენობის შედეგი მოჰყვება, ამიტომ ის იძულებულია მუდამ იფიქროს, მრავალიდან საჭირო ქმედება აირჩიოს. ის თავისუფალია არჩევანში და პასუხისმგებელია საკუთარ არჩევანზე. ურთულესია სრულად იტვირთო პასუხისმგებლობა თუ გესმის, რომ ამ „თვითშექმნის“ აქტით სხვას – მთლიან სამყაროს – ქმნი. ადამიანი მის მიერ შექმნილ სამყაროშია „გადასროლილი“, ის პასუხისმგებელია საკუთარ ქმედებებზე და პირისპირ დგას მომავლის, თუნდაც სიკვდილის წინაშე. გამოდის, რომ ათეისტური ეგზისტენცია, ანუ არსებობა სხვა არაფერია, ვიდრე შიში, ეგზისტენციური განგაში. სხვა სიტყვებით, ზღვრულ, ეგზისტენციალურ სიტუაციას ვიღებთ.

კამიუს აზრით, იმ პირობებში სადაც შიშია, მოწყენილობა და აბსურდი, ფილოსოფიის მთავარ საკითხად თვითმკვლელობის საკითხი, ანუ ყოფნა-არყოფნის საკითხი იკვეთება. ყოველივე ამის შემდეგ, ჩვენ გამოგვაქვს დასკვნა – რა უბედურები არიან ათეისტები. რაც შეეხება თეისტურ ეგზისტენციალიზმის ვარიანტს (იასპერსი, მარსელი), აქ ის სხვა, რისკენაც მიისწრაფვის ადამიანი, არის ღმერთი. ადამიანი საკუთარ თავისუფლებას ღვთისაკენ სვლით ახორციელებს. ეგზისტენციალიზმი – ესაა ონტოლოგია, მეცნიერება ყოფიერებაზე, არსებობაზე. ეგზისტენციალისტისათვის ადამიანი არსებობს სამყაროში, ბუნების დამოუკიდებელი არსებობის საკითხი მისთვის უმნიშვნელოა. საწყისი რეალობა მთლიანია, ის არ იყოფა სუბიექტად და ობიექტად. ცხადია, რადგან მეცნიერება სამყაროს ყოფს სუბიექტად და ობიექტად, შესაბამისად, მას არ შეუძლია ასახოს, გამოიკვლიოს არსებობა, რომელიც განსაკუთრებული ეგზისტენციალური აქტით მიიღწევა. ეგზისტენცია ეს არაა უბრალო განცდა, არამედ სამყაროში ყოფიერების განცდაა. ეგზისტენციაში, როგორც აღვნიშნეთ, ადამიანი თავისუფალია. ეგზისტენციალური გაგებით, თავისუფალი ნიშნავს – იყავი ისეთი, როგორიც ხარ; ნუ იქნები ორიენტირებული „გარემოზე, სხვაზე“. აქედან გამომდინარე, საზოგადოების დანიშნულება იმაშია, რომ ადამიანს ეკონომიკური, პოლიტიკური . . . თავისუფლების წინაპირობა შეუქმნას.

უმრავლეს შემთხვევაში საზოგადოება პიროვნებას ზღუდავს. ჰაიდეგერის (1889-1976) აზრით, საზოგადოება არის უსახური, რაღაც გასაშუალებელი სივრცე, სფერო. ამ უსახურობის სივრცის გარღვევა შესაძლებელია ეგზისტენციით. ეგზისტენცია შინაარსს მოკლებულ ზნეობრივ ნორმებს ვერ ურიგდება. იყავი ის, რაც ხარ, იყავი გულწრფელი, ნაღდი – ესაა ეგზისტენციალიზმის მოწოდება, ლოზუნგი. ცხადია, გარე სამყაროსთან მიმართებაში იყო გულწრფელი, არც ისე ადვილად მისაღწევია; თუმცა, რაც უფრო პიროვნულია შენი ურთიერთობა სხვებთან, საკუთარ არსს მით უფრო ინარჩუნებ. ასეთი მიდგომა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მხატვრულ, რელიგიურ, ფილოსოფიურ ხელოვნებაში, სადაც ადამიანი მშრალი ობიექტურობის არეალიდან გამოდის (გაიხსენეთ ვაჟას, გალაკტიონის . . . შემოქმედება). ჰაიდეგერის ეგზისტენციალური ფილოსოფია არის სწავლება ადამიანის ყოფიერებაზე, როგორც არსებაზე, რომელიც □გონს, შემეცნების უნარს ფლობს. ეგზისტენციალიზმში ადამიანის ყოფის ისეთ საკითხებსა და ასპექტებსა გამოხატული ყურადღება, რომელსაც მეცნიერული ენით ვერ გამოსახავ. ეგზისტენციალიზმის მთავარი დამსახურება ისაა, რომ მეცნიერებისა და ტექნიკური პროგრესის მიმართ სერიოზული დამოკიდებულება გამოიხატა. ჩვენი აზრით, ეგზისტენციალიზმი შემგუებლობას, ანუ კონფორმიზმს უკომპრომისოდ ებრძვის. □მასში ახლებურად და ეფექტურადაა მოცემული ადამიანის თავისუფლებისა და ცხოვრების გზის არჩევის პრობლემის დასმა და გადაწყვეტა. ეგზისტენციალური ფილოსოფიის ფუძემდებლებს – ჰაიდეგერს, იასპერს, სარტრს და სხვებს იურიდიული პრობლემები არ განუხილავთ, სამართალსა და სახელმწიფოზე კონცეფციები არ შეუქმნიათ. თუმცა, მათ მიერ შექმნილი ეგზისტენციალური ფილოსოფია იურიდიულ ეგზისტენციალიზმს დაედო საფუძვლად.

ეგზისტენციალური ფილოსოფიის მთავარი ამოცანაა სამართლის, როგორც ეგზისტენციალური მოვლენის გააზრება და ის, პოზიტიურ სამართალს ამგვარად უპირისპირდება. ეგზისტენციალური სამართალი განიხილება, როგორც ნაღდი, ნამდვილი სამართალი (ტერმინი ნაღდი, ნამდვილი არსებობა – ეგზისტენცია). შესაბამისად, პოზიტიური სამართალი გამოდის, როგორც ყალბი, გაუცხოებული სამართალი, რომელიც ადამიანის ეგზისტენციალურ არსს ეწინააღმდეგება.

იურისტ მეცნიერთა ნაშრომებში იურისპრუდენციის ეგზისტენციალური გაგება სვლასხვაგვარად აისახა. გერმანელი იურისტის ვერნერ მაიხოფერის შრომებია: „ყოფა და სამართალი“ (1954), „საგანთა ბუნება“ (1958), „ბუნებრივი სამართალი, როგორც ეგზისტენციალური სამართალი“ (1963). . . მისი აზრით, სამყაროში ადამიანის ყოფა ორ მომენტს მოიცავს, ერთი მხრივ – ადამიანის ყოფა, ცხოვრება არის ერთადერთი და განუმეორებელი და მეორე მხრივ – ადამიანის ყოფაზე ზეგავლენას ახდენს მისი გარემომცველი სამყარო.

მაიხოფერის თვალსაზრისით, საზოგადოებასთან დაკავშირებული ადამიანი კონკრეტულ შემთხვევებში სხვადასხვა ეგზისტენციაში, როლში გვევლინება; ადამიანი, როგორც მამა, შვილი, მეუღლე, გამყიდველი, მყიდველი, კრედიტორი, მოვალე . . . ამ შემთხვევაში ეგზისტენცია, ინდივიდის „თვითმყოფადობა“, სხვის „თვითმყოფადობასთან“ კავშირშია და ადამიანთა „თანაცხოვრებით“ რეალიზდება. მაიხოფერი ამგვარი კონკრეტული სიტუაციების განხილვით „კონკრეტულ ბუნებრივ სამართალთან“, ანუ „ოქროს წესთან“ მიდის – სხვას ისე მოექცევი, როგორც გინდა მოგექცნენ. მაიხოფერის გააზრებაში ნათლად იგრძნობა კანტის სკოლის გავლენა.

მაიხოფერის ამ გააზრებაში შიგა წინააღმდეგობა ვლინდება. ერთი მხრივ, სამართალწარმოქმნაში ადამიანის ეგზისტენციის აღიარება ვლინდება და მას, თითქოს გადაამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება; მეორე მხრივ, კონკრეტული სამართლის წესი (ნორმა) რეალურად მულაგნდება, ზოგადიდან – „ოქროს წესიდან“ – დედუცირდება და მთავარ საკითხად განიხილება.

ზოგადად კი მაიხოფერის სამართალი წესრიგისაკენ, ყველას თავისუფლებისა და უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვისაკენ მიისწრაფვის. ამ წესმა ადამიანთა მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს და მათი შესაძლებლობები განავითაროს. მაიხოფერის აზრით, სამართლებრივ სახელმწიფოს საფუძვლად ასეთი ბუნებრივ-სამართლებრივი წესრიგი უნდა დაედოს.

ერის ფენური – გერმანელი იურისტი – პოზიტიურ სამართალს ასევე მკაცრად აკრიტიკებს შრომებში: „სამართლის ფილოსოფია, სამართლის სოციოლოგია და მეტაფიზიკა“ (1956 წ.), „ბუნებითი სამართალი და ეგზისტენციალური ფილოსოფია“ (1981 წ.) და სხვა. ფენურის აზრით, პოზიტიური სამართალი მხოლოდ „ემპირიულ“, „რეალურ“ ფაქტებს ცნობს და „იდეალურ“, „მეტაფიზიკურ“ ფაქტებს უგულვებელყოფს. ამას „ცალმხრივი ემპირიული სოციოლოგიზმის“, „ბიოლოგიზმის“, „ეკონომიზმის“ (მარქსიზმი) სამართლებრივ ახსნასთან, „სახელმწიფო ძალაუფლების თვითნებურ დამკვიდრებასთან“ მივყავართ.

ამგვარად, ფენური ეგზისტენციალურ სამართალს მექანიკურ და მკვდარ პოზიტიურ სამართალს უპირისპირებს. კანონი (პოზიტიური სამართალი) და მისი გამოყენება ეგზისტენციალური სამართლის მოთხოვნებს რომ ეთანადებოდეს, აუცილებელია გადაწყვეტილების მიღებისას კანონმდებელმა და სამართალმომღებმა ეგზისტენციალურად გაითვალისწინონ ადამიანი, რომლის განსჯასაც აპირებენ. მათ უნდა შეძლონ „ზღვრულ მდგომარეობაში“ გადასვლა.

მარტივად ეს განსასჯელის მდგომარეობაში შესვლას ნიშნავს.

არსით, ეგზისტენციალური სამართალგაგება სამართლებრივი კანონის იდეას თითქმის უარყოფს, რაც, თავის მხრივ, სამართლებრივი თვითნებობის დამკვიდრების საფრთხეს აჩენს.

ალბათ, პოლიტიკურ-სამართლებრივი ისტორიის განხილვა აქ უნდა შეწყვიტოთ.

როგორც ზემოაღნიშნულმა მიმოხილვამ აჩვენა, ამ საკითხთან მიმართებაში არა მარტო აზრთა სხვადასხვაობას, ურთიერთგამომრიცხავი თეორიების არსებობასაც ვაწყდებით. რა თქმა უნდა, პოლიტიკურ-სამართლებრივი ისტორია ამით არ თავდება; თუმცა, მიგვაჩნია, რომ განხილული მასალა საკმარისია ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკითხების გასაანალიზებლად.

ამ ისტორიული მასალის ზედაპირული გააზრებაც კი ცხადყოფს, რომ სახელმწიფო და სამართალი ორგანულ ერთობას წარმოადგენს. სამართლის არსის ორგვარი გააზრება არსებობს – ბუნებრივი (ღვთაებრივი) სამართალი და პოზიტიური (ხელოვნური, ადამიანის მიერ მოგონილი) სამართალი. შესაბამისად, ბუნებრივი და ხელოვნური სახელმწიფოებიც უნდა არსებობდეს, და როგორც ანალიზი ცხადყოფს, არსებობს კიდევ.

ერთი მხრივ, დასადგენია, ეთნოსი, ერი, საზოგადოება, სახელმწიფო ბუნებრივ კანონზომიერებას ემორჩილება თუ – ხელოვნურს. მეორე მხრივ, უნდა გაირკვეს, თუ სახელმწიფო მმართველობის რომელი ფორმა (მონარქიული, რესპუბლიკური) მიესადაგება ბუნებრივი სახელმწიფოს არსს და რომელი – ხელოვნურს.

სახელმწიფოს, როგორც ფენომენის გააზრებაში, ე.წ. ჰერმენევტიკული მეთოდი გამოგვადგება.

ჰერმენევტიკა ძველ ხელნაწერთა კვლევის მეთოდია. ბერძნული მითების თანახმად, ჰერმესს – ღმერთების რჩეულს – ხალხისათვის ღვთიური ქმედების არსი უნდა აესნა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სიტყვას სხვა დატვირთვაც აქვს. ფილოსოფიაში ჰერმენევტიკა გაგების პროცესის შემსწავლელი მეთოდია. ჰერმენევტიკოსისათვის გაგება ფილოსოფიის პირველადი პრინციპია.

ჰერმენევტიკის საფუძველია ადამიანი, როგორც გამგები.

ამჟამად კულტივირებულია ჰერმენევტიკული ფილოსოფიის ორი მიმართულება:

1. **ცნობიერების ჰერმენევტიკა** (შლეიერმახერი), რომლის მიხედვით, გაგება სხვა ადამიანის ფსიქოლოგიურ სამყაროსთან შერწყმას, სუბიექტების ფსიქოლოგიური და სულიერი სიახლოვეა, ნათესაობაა, კონგენიალობაა (ზედმიწევნით სიახლოვე, სულით თანხვედრა).

2. **ყოფიერების ჰერმენევტიკა** (ჰადამერი), რომლის მიხედვითაც, გაგება კაცობრიობის გამოცდილების არსში გარკვევაა.

ჰერმენევტიკულმა ფილოსოფიამ გამოკვეთა ე.წ. ჰერმენევტიკული წრე, რომელიც ადამიანს შემეცნებაში, გაგებაში ხელს უშლის. ჰერმენევტიკული წრის არსი შემდეგია: **თუ მთელის შემადგენე-**

ლი ნაწილები არ იცი, მთელს ვერ გაიგებ და, პირიქით, ნაწილებს ვერ გაიგებ, თუ მთლიანი არ გესმის. ამრიგად, მართლაც, ჯადოსნური წრე იკვრება.

ამ ჰერმენევტიკული წრის გარღვევა მხოლოდ ინტუიციითაა შესაძლებელი და ეს მაშინ, როდესაც საზოგადოებაში სულიერი ნათესაობა დამყარდება და მიზნის გარშემო გაერთიანება მოხდება.

დასკვნა: ჰერმენევტიკული წრის გასარღვევად, პრობლემის არსში წვდომისა და გადაჭრისათვის, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინტუიცია და დასახული ამოცანის გადაწყვეტაში მონაწილე, შემეცნებადინტერესებულ ადამიანთა კონგენიალობა – სულითა და მიზნით თანხვედრა.

ასწავლა, ბუნებრივი და პოზიტიური (არსებულ, მოქმედ) სამართლის საკითხები მკვეთრი ობიექტური მიდგომით განვიხილოთ.

ბუნებითი და პოზიტიური სამართალი

ადამიანში ღვთისგან ნაბოძებმა ზნეობამ ამ ცოდვილ მიწაზე სიმართლის ძიება მოითხოვა. სიმართლის დამკვიდრების მცდელობამ კი იგი სამართალის აუცილებლობასთან მიიყვანა.

შესაბამისად, ზნეობამ შვა სამართალი და არა პირიქით.

ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ, მოქმედ, პოზიტიურ სამართალს მარადიულ ფაქტურულობებთან – სიყვარული, ზნეობა, სიმართლე, რელიგია – საერთო აღარაფერი აქვს.

პარადოქსი შემდეგშია – თუმცა, ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ კანონმდებლობასა და სამართალს ზნეობასთან, სიმართლესთან კავშირი არა აქვს, მისგან მაინც სიმართლის დამკვიდრებას ვითხოვთ. ეს იგივეა, მგელს სახარების გააზრება და აღსრულება მოვთხოვთ. ეს ჩვენი ინფანტილიზმის ნათელი გამოვლინებაა.

საიდან ასეთი ურთიერთგამომრიცხავი დასკვნები?!

ჩვენი საზოგადოება ნათლად ხედავს, რომ სახელმწიფო სამართალი ფარდობითია და იგი სახელმწიფო მმართველთა ნება-სურვილის მიხედვით იცვლება. მაგ., მმართველის სურვილით კანონი არჩევნებს ესადაგება და არა პირიქით. ამ რეალობის აღქმას სამართლის ცნების დეველვაციამდე მივყავართ. ჩვენ ვრწმუნდებით, რომ არსებული სამართალი მხოლოდ ძლიერთა ამატყვევებისათა ნების განხორციელების მექანიზმია. ხოლო ჩვეულებრივი მოქალაქისთვის სახელმწიფო, სამართალი მხოლოდ დასჯისა და იძულების წყარო, ანუ „ეთიკური“ მინიმუმია.

ამრიგად, ჩვენი მოქმედი სამართალი სიმართლის ფალსიფიკაციას წარმოადგენს. ჩვენ ეს დავეუშვით, და ამავე დროს, გარშემო უსამართლობის გაბატონებითა და კანონის იგნორირებით ფრიად გოაცებულნი ვართ.

პრობლემა ისაა, რომ სახელმწიფო მმართველობის სისტემაში ისეთი დეფექტია, რომელიც არასრულფასოვან, დეფექტურ სამართალს ქმნის; და ეს სამართალი, როგორც აღვნიშნეთ, სიმართლესა და ზნეობას საერთოდ უგულებელყოფს. შესაბამისად, ეს დეფექტი ნამდვილი „სამართლებრივი სახელმწიფოს“ ჩამოყალიბება-დამკვიდრების შანსს აღარ ტოვებს.

ზნეობა და განათლება-აქვეითებული სუბიექტების სამოქმედოდ ამგვარი დეფექტური სისტემა ელდორადო, ოცნებათა განხორციელების არეალია. ამიტომ ისინი მართვის სადავეების ხელში ჩასაგდებად არც საკუთარ და არც სხვის სისხლსა თუ ენერგიას არ ინანებენ. თუ სისტემა არ შეიცვალა, შეუძლებელია მოიძებნოს ზნეობრივი, განათლებული ადამიანი, რომელიც დღეს არსებული სახელმწიფოს მმართველ, კანონმდებელ ან აღმასრულებელ სისტემაში მოღვაწეობას დათანხმდება; თუნდაც დათანხმდეს, ის ვერაფერს შეცვლის და მხოლოდ ამ დეფექტური სისტემის, მექანიზმის ერთ მარტივ, არაფრის შემცვლელ ჭანჭიკად გადაიქცევა.

ამრიგად, მცდარია იმედი, რომ თუ არსებული სამართლის აღსრულებას პატიოსან ადამიანებს ვანდობთ, მაშინ ამ ქვეყანაზე ჩვენზე ბედნიერი ხალხი აღარ იქნება.

რატომ ვართ ამ დღეში? – იმიტომ, რომ საზოგადოების დამორგუნველ უმრავლესობაში ნებისყოფის წრთობა, ზნეობრივი ცხოვრების წესი და გააზრების უნარი ამ დეფექტური სისტემის მიერ მკვეთრად დაქვეითებული. შესაბამისად, ამ ინდივიდთა ნაკრები ადამიანის საკადრის საზოგადოებას ვერ ქმნის და არშემდგარი საზოგადოება არშემდგარ სახელმწიფოს ბადებს.

შესაბამისად, ცნებების – „სიმართლე“ და „სამართალი“ – არსში საფუძვლიანი გარკვევა ამ ჩაკეტილი წრიდან გამოსავალს გვაპოვინებს.

სამწუხაროდ, ხშირად, ცხოვრებაში გარკვეულ ფასეულობებს აღმატებულ სტატუსს დაუმსახურებლად ვანიჭებთ, ხოლო რეალური ფასეულობა ყურადღების მიღმა გვრჩება.

მართლაც, რა ავითარებს ნებისყოფას? – სიმართლის, ჭეშმარიტების ძიების სურვილი?

რა ხდის ადამიანს ორგანიზებულს? – სიმართლე, სამართალი, თუ მათი ჰარმონია, რომლის გარეშეც სულიერი განვითარება საერთოდ წარმოუდგენელია?

ჩვენს რეალობაში ზნეობასა და სამართალს შორის დისპროპორცია თვალში საცემია. ისტორიულად, ჩვენს სულიერ ცხოვრებაში ზნეობის, სიყვარულის, გმირობის ფენომენი აშკარად გამოიხატებოდა.

ვახტანგ VI-ის ნაშრომმა „სამართლის წიგნთა კრებული“, ქართული ათასწლოვანი სამართლის ფრაგმენტებად შემორჩენილი ინფორმაცია შემოგვინახა. დღეს ალბათ, ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნთა კრების“, ან ბაგრატ კუროპალატისა და ბექა-ალბუღას „სამართლის წიგნების“, „ძველთა დაღების“, თუ „დასტურლამალის“ ჩვენს ყოფიერებაზე ზეგავლენის დაქვეითების გააზრებისთვის დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება. თუმცა, თუ რა როლი ითამაშა ქვეყნის გადარჩენაში რუის-ურბნისის კრებაზე მიღებულმა, თხუთმეტი მუხლისგან შემდგარმა დადგენილებამ, ამას ყველა ვხვდებით.

ჩვენი სახელმწიფო სამართლის დაბადებისათვის საჭირო საფუძვლის ჩაფერფვლა სწორედ ამ უდიდესი საგანძურის მეორეხარისხოვნად მიჩნევამ გამოიწვია. გვაქვს უდიდესი ლიტერატურა – „შუშანიკის წამება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „ვეფხისტყაოსანი“, „მერანი“. . . ; თუმცა, სმიტიის „ზნეობრივ გრძნობათა თეორია“, ბიორკის „თანამედროვე უთანხმოების მიზეზთა გააზრება“, რადბრუნის „კანონზედა კანონი“ და სხვა მსგავსი შრომები არა გვაქვს.

რამდენი ვთარგმნეთ ამ საგანძურთაგან?

ალბათ, გვეტყვით, რისთვის გვჭირდება სამართლის ჩვენებური გააზრება, როცა კაცობრიობამ ამდენი რამ შექმნა, როცა უამრავი ჩამოყალიბებული სამართლებრივი იდეა არსებობს და თანაც უკვე დახვეწილი და აპრობირებულია. ჩვენ მხოლოდ მათი მითვისებალა გვრჩება.

მხოლოდ ერთი რამ გვაავიწყდება, რომ იდეის მითვისება შეუძლებელია, თუ ამ იდეით არ იცხოვრებ, თუ იდეით შეპყრობილი არა ხარ, თუ ამ იდეის შემეცნებას შემოქმედებად არ აქცევ, არაფერი გამოვა. თუ პიროვნება და, მით უმეტეს, საზოგადოება თავად ვერ შესწვდა იდეას და ის არ გაითავისა, სხვისი იდეების ზეგავლენით ნების აგზნება და აქტიური ქმედება გამოორიცხული და წარმოუდგენელია.

სოციალიზმისა თუ კაპიტალიზმის იდეებიც იმ ხალხის ელფერს ატარებდა, სადაც ის ვითარდებოდა. რთულია სამართლებრივი დონით მძლავრ იმპერიებს შევედართო, მაგრამ როგორ ავხსნათ რიცხოვრივად ჩვენი სადარი, ისეთი მოწესრიგებული სახელმწიფოს არსებობა, როგორიცაა ნორვეგია. მას ბაგრატ მესამის სამართალი არ ჰქონია; მხოლოდ ვაჟას ზნეობა და ფილოსოფია ათობით ნორვეგიას ეყოფოდა; თუმცა, ამ ქვეყანაში პოლიტიკური თავისუფლება, რომლის საფუძველიც სამართლის არსის გააზრებაა, უფრო ადრე დამკვიდრდა, ვიდრე მთელ ევროპაში.

ნორვეგიაში, ჯერ კიდევ 1814 წელს, ის უმთავრესი კანონი – კონსტიტუცია მიიღეს, რომელიც გერმანიისათვისაც კი შესაშური აღმოჩნდა. ამ პერიოდის ნორვეგიაში განათლების დონე მთელი ევროპისათვის მისაბადი გახდა. ის ერთადერთი ქვეყანაა, სადაც საშუალო განათლება XVIII საუ-

კუნიდან სავალდებულოა. რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, ვისაც ოდნავი სურვილი გააჩნია, ყველასათვის ხელმისაწვდომია. მათ ამირანის მსგავსი მითიური გმირი არ ჰყავთ, მაგრამ ამ ერმა სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთანავე სიტყვიერი შეთანხმების დაურღვევლობა უმაღლეს ფასეულობად, ჭეშმარიტებად გამოაცხადა.

არსებობს უძველესი ნორვეგიული საგა გიოგენზე, რომელიც უძლიერეს სიორლის შეებრძოლა, სძლია და მხოლოდ მაშინ აღმოაჩინა, რომ ხმალი თან არ ჰქონდა. მან მოწინააღმდეგეს მიმართა: მე შემძლია ყელი კბილებით გამოგვრდნა, მაგრამ ეს არც მე შეკადრება – არც შენ. სიტყვა მომეცა, რომ აქ დამელოდები, სანამ ხმალს მოვიტან და თავს მოგჭრი. მოწინააღმდეგე სიტყვას აძლევს და დანაპირებს ასრულებს, ელოდება.

სიტყვის, მოვალეობის, კანონის უზენაესობა ამ ერისათვის უმთავრესია.

შედეგი – გაეროს ჰუმანური განვითარების დონის ცხრილში ნორვეგია მსოფლიოში პირველ ადგილზეა, ჩვენ . . .

შესაბამისად, შეხედულება, რომ პატარა ქვეყნებს სრულყოფილი სახელმწიფოს შექმნა არ შეუძლიათ, მხოლოდ ტოტალიტარულ ქვეყნებში, კრიმინალურ-პოლიტიკური აზროვნების გავლენით იბადება. რეალურად კი დედამიწაზე ათი ყველაზე მდიდარი ქვეყნიდან თითქმის ყველა ჩვენი სადარი ქვეყნებია.

პირველ ადგილზე ერთ-ერთი ყველაზე მცირე ქვეყანა **ლუქსემბურგია**, სადაც სულ მცირე ხნის წინ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი თვეში 7000 დოლარს უახლოვდება. უმუშევრობის პროცენტული მაჩვენებელი 4,2 % შეადგენს.

მეორე ადგილზეა **ნორვეგია**. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი თვეში 5000 დოლარს უახლოვდება. უმუშევრობის პროცენტული მაჩვენებელი 3,8% შეადგენს (სამედიცინო და სოციალურ სფეროებს სახელმწიფო აფინანსებს).

მესამე ადგილზეა **ისლანდია**. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი თვეში 5000 დოლარს უახლოვდება. უმუშევრობის პროცენტული მაჩვენებელი 3,8% შეადგენს.

მეოთხე ადგილზეა **შვეიცარია**. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი თვეში 4000 დოლარზე მეტია. უმუშევრობის პროცენტული მაჩვენებელი 3,8% შეადგენს.

მეხუთე ადგილზეა **ირლანდია**. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი თვეში 4000 დოლარზე მეტია. უმუშევრობის პროცენტული მაჩვენებელი 4,4% შეადგენს.

მექვსე ადგილზეა **დანია**. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი თვეში 4000 დოლარს უახლოვდება. უმუშევრობის პროცენტული მაჩვენებელი 4,8 % შეადგენს.

მეშვიდე ადგილზეა **კატარის მოსახლეობა**. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი თვეში 3500 დოლარს უახლოვდება. უმუშევრობის პროცენტული მაჩვენებელი (დაუკვირდით) **0 %** შეადგენს.

მერვე ადგილზეა **ა.შ.შ.** ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი თვეში 3400 დოლარია. უმუშევრობის პროცენტული მაჩვენებელი 12,5 % შეადგენს.

მეცხრე ადგილზეა **ჰოლანდია**. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი თვეში 3300 დოლარზე მეტია. უმუშევრობის პროცენტული მაჩვენებელი 5,7 % შეადგენს.

მეათე ადგილზეა **ფინეთი**. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი თვეში 3000 დოლარზე მეტია. უმუშევრობის პროცენტული მაჩვენებელი 8 % შეადგენს. ყველაზე დახვეწილი განათლების სისტემა. აკადემიური მოსწრებით მსოფლიოში პირველ ადგილზეა. (აქ მოყვანილია ეკონომიკურ კრიზისამდე არსებული მონაცემები).

აი, რას ნიშნავს ბუნებრივ კანონზომიერებას დამორჩილებული საზოგადოება, სახელმწიფო.

დასკვნა – ვაი ჩვენს პატრონს, უბედურს!

ზოგადად, სამართლის საფუძველია ადამიანის თავისუფლება და ისეთი კანონმდებლობის ჩამოყალიბება, რომელიც მის თავისუფლებას ხელყოფისაგან ეფექტურად დაიცავს.

აქედან გამომდინარე, ქართული ინტელიგენცია სამართლისადმი უდიდეს ინტერესს უნდა ამჟღავნებდეს, მაგრამ სამწუხაროდ, პირიქით ხდება. დაუკვირდით, ჩვენში ადამიანის დახასიათებისას იტყვიან – შეგნებულნი, კრიტიკულად მოაზროვნე, ყოველმხრივ განათლებული, რელიგიური, კარგი თამადა, სექსუალური. . . ეს ჩამონათვალი უსასრულოა. აქ ყველაფერია, რაც შეიძლება ადამიანმა მოიზროს, არ არის მხოლოდ კანონმორჩილი ქართველი. ამ სიტყვას შეურაცხყოფის ელფერიც კი დაჰკრავს.

პირველყოვლისა გაგიაზროთ ყველა ის მიზეზი, რაც ჩვენს საზოგადოებაში სამართლისადმი უნდობლობას იწვევს.

როგორი წარმოსობისაც უნდა იყოს ძალაუფლება, საბოლოოდ ის უმრავლესობის მიერ უმაღლეს ავტორიტეტად აღიქმება და მისაღებიც კი ხდება. ამრიგად, თუ ავტორიტეტული ძალაუფლების მქონე ინსტანცია შეიქმნა, მნიშვნელობა აღარ აქვს, თუ რა სახისაა მისი შექმნის საფუძველი: ემპირიული, აპოსტერიორული თუ ფსიქოლოგიური.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ცხოვრება იცვლება, ძალაუფლების არსი კი უცვლელია.

ძალაუფლება ყველასაგან კატეგორიულ მორჩილებას მოითხოვს. სამართალსა და ძალაუფლებას შორის თანაფარდობა მრავალგვარია. მონარქიულ თუ რესპუბლიკურ სახელმწიფოში შესაძლოა ძალაუფლება სამართალს ეყრდნობოდეს, შეიძლება სპონტანურ ავტორიტარიზმზე – კეისარიზმზე, ან დემოკრატიულ საწყისებზე იყოს დაფუძნებული, მაგრამ ყველგან და ყოველთვის იგი ხალხისათვის მანც ავტორიტეტს საჭიროებს.

სამართალი, ძალაუფლება და მათი ჰარმონიული თანაფარდობის დამკვიდრება ადამიანის შინაგანად თანდაყოლილი ნების გამოხატულებაა. ადამიანის ბუნებრივი, შინაგანი მოთხოვნილება არა მარტო თავნებობაა, არამედ სიმართლის აღქმაც, მისი შეგრძნებაც. დაუკვირდით, როგორი ემოციით ითხოვს იგი საკუთარი აზრის, ქმედების სიმართლის დადასტურებას – „ხო მართალი ვარ!“, „ასეა, არა?“. იმ შემთხვევაშიც კი, როცა მისი საქციელი, ან აზრი, ჭეშმარიტებისაგან შორსაა, მას „ავტორიტეტი, ანუ სიმართლის ინსტანცია“ ჰპერივით სჭირდება.

მხოლოდ სიმართლის მსახური პიროვნება ან პიროვნებათა ჯგუფი შეიძლება იყოს ვერდიქტის გამომტანი.

ამრიგად, როდესაც აქტიური, კეთილშობილი საზოგადოების შექმნა გვსურს, სულიერ თუ ფსიქოლოგიურ ძალასთან ერთად, აუცილებელია საზოგადოების ყოველი წევრის მიერ სიმართლედ აღიარებულ ფასეულობებს დავეყრდნოთ.

სპინოზას განმარტებით – ყოველი ძალაუფლება, საბოლოოდ, სულებზე პირდაპირი ბატონობაა, რაც საზოგადოების მხრიდან წინააღმდეგობის მაპროვოცირებელია. ამ წინააღმდეგობის შესუსტება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებაში უფლება-მოვალეობის გრძნობათა პროპორცია არაა დარღვეული, როდესაც მოვალეობის გრძნობა საზოგადოების თითოეული წევრისათვის შინაგანი მოთხოვნილებაა; და როცა აღნიშნული თანაფარდობა დაცული არ არის, ავტორიტეტიც ქრება და იმის მიუხედავად, სახელმწიფოში რესპუბლიკური სისტემაა თუ მონარქიული, სტრუქტურა აუცილებლად ირღვევა.

ჩვენი ტრადიციის საფუძველს მართვის ბერკეტების მფლობელ „ავტორიტეტთა“ მიმართ საზოგადოებაში გამეფებული აბსოლუტური უნდობლობა წარმოადგენს, რადგან ამ „ავტორიტეტებს“ სიმართლისა და ზნეობის ნატამალიც კი აღარ შემორჩათ.

სამართალი და ზნეობა ცივილიზებული სახელმწიფოს არსებობის აუცილებელი საფუძველია.

ამრიგად, ადამიანი ორ განსხვავებულ ქცევის წესს – სამართალსა და ზნეობას (ანუ შინაგან სიმართლეს) უნდა დაემორჩილოს. ესაა საზოგადოების არსებობის ორი საწყისი, რომელთა გან-

ცალკეება დაუშვებელია. საკმარისია კანონი ზნეობას დასცილდეს – ირღვევა სახელმწიფო. სამწუხაროდ, ზნეობრივი ნორმაც, კანონის გარეშე, რაღაც ცხოვრებისეულ ბრმა აუცილებლობას, ადამიანთა არასრულფასოვნებას მიემსხვერვა. ამ შემთხვევაში, ცივი და მკაცრი სამართლის სამყარო, დაკანონებული ეგოიზმითა და უხეში იძულებით, ზნეობისაგან მკვეთრად განსხვავებული საწყისით, მთელი სიმძლავრით იჩენს თავს. ამავე დროს, ხშირად, სამართალი მკვეთრად ეწინააღმდეგება თავისუფლებას, სიყვარულს, ანუ ყოველივე იმას, რაც ზნეობრივი ცხოვრების საფუძველს წარმოადგენს. საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის მახასიათებელ უამრავ ტრაგიკულ კონფლიქტამდე სწორედ ამას მივყავართ. ესაა „რეფორმების“, რევოლუციების უშრეტი წყარო. ეს წინააღმდეგობა დამლუპველი გაორების საწინდარია და თუ ამ ცივი რეალობის აუცილებლობას არ ვაღიარებთ, სამწუხაროდ, შედეგი უსასტიკესი იქნება.

იკვეთება პრობლემა – როგორ შევძლოთ სამართალსა და სამართლიანობას შორის ჰარმონიულობის დამკვიდრება?

რა თქმა უნდა, ყველა ბრწყინვალე გონება ცდილობდა ამ ურთულესი პრობლემის გადაჭრას. თუმცა, ამ ორი საწყისის განცალკევების მცდელობაც დაფიქსირდა.

მაგალითად, კანტისა და ჰეგელის აზრით, სამართლის ნორმები საზოგადოებრივ ურთიერთობებში უნდა გამოიყენებოდეს, ხოლო კონკრეტულ ადამიანთა ურთიერთობა კი მათმა შინაგანმა სამყარომ – ზნეობამ უნდა მართოს.

ჩვენი აზრით, ვაჟას საყოველთაოდ ცნობილი – „სტუმარ-მასპინძლის“, „ალუდა ქეთულაურის“ და საერთოდ, მთელი მისი შემოქმედების აღქმა, ამ საკაცობრიო პრობლემის გადაჭრის მნიშვნელოვან ორიენტირს წარმოადგენს.

ღიახ, ვაჟას შემოქმედება ჩვენგან ზნეობას, სამართალსა და ევოლუციას შორის ურთიერთობის გარკვევას მოითხოვს. ამ საკითხზე სამართლის ფილოსოფიაში ორი ძირითადი მოსაზრება არსებობს. იდეალიზმის წარმომადგენლები სიკეთის მარადიული კანონების არსებობაში ღრმად არიან დარწმუნებულნი. თანამედროვე ევოლუციონისტები კი ზნეობას ისტორიულ ატავიზმად განიხილავენ და დარწმუნებულნი არიან, რომ ევოლუციას სიკეთე, პროგრესი თავისთავად მოაქვს.

იდეალისტების აზრით, ჩვენს ცხოვრებაში დამკვიდრებული სამართლის გარდა, უდიდესი ბუნებითი (ღვთაებრივი) სამართალიც არსებობს და ეს ბუნებითი სამართალი, სამართლის მარადიული იდეა, მოქმედი, პოზიტიური სამართლის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს.

ევოლუციონისტები, მოქმედი (პოზიტიური) სამართლის გარდა, სხვა სამართალს არ ცნობენ და მიიჩნევენ, რომ ეს სამართალი ადამიანის და საზოგადოების განვითარების შედეგია.

როგორც აღვნიშნეთ, ამ საკითხის გარშემო დისკუსია უხსოვარი დროიდან იწყება. ანტიკურ საბერძნეთში სოფისტები ამტკიცებდნენ, რომ სამართალი ადამიანთა შეთანხმების შედეგია, ადამიანის გონის მიერ გამოგონილი, ანუ ხელოვნურია. ისინი აზრს ამგვარად ავითარებენ: თავდაპირველად ძლიერი ადამიანი ჩაგრავდა სუსტს. სუსტები გაერთიანდნენ და ძლიერთა თავნებობის შემზღუდავი კანონები დაადგინეს. ამ პრინციპზე წარმოიქმნა სახელმწიფო და მისი სამართალი.

იდეალისტები – სოკრატე, პლატონი, არისტოტელე . . . სოფისტების ამ მოსაზრებას აკრიტიკებდნენ. იდეალისტების აზრით, გარდა იმ სამართლისა, რაც ადამიანმა საწერ მაგიდასთან გამოიგონა, არსებობს უმაღლესი, ღვთიური კანონზომიერება, რომელიც ღმერთმა ადამიანთა სულში ჩაწერა. და ის არა მარტო ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების წესრიგს, არამედ მთელი სამყაროს ჰარმონიასაც განაგებს.

ღვთიური სამართლის ბერძნული გააზრება დამკვიდრდა ანტიკურ რომშიც. ისინიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გარდა ცვალებადი, ადამიანების მიერ მოგონილი კანონებისა, მუდმივი, ღვთაებრივი კანონებიც არსებობს; თუმცა, რეალური ცხოვრება მათთვის დამაფიქრებელ წინააღმდეგობას ქმნიდა. მართლაც, ბუნებითი სამართლით მონები და მბრძანებლები არ უნდა არსებობდნენ. არა და არსებობენ. ბუნებითი სამართლით ყველა თავისუფალი უნდა იყოს არა და . . . ამის მიუხედავად,

რომაელები მაინც ბუნებითი სამართლის მარადიულობას აღიარებდნენ. როგორც მარადიულს, უცვლელს. ეს მოსაზრება მეტ-ნაკლებად შუა საუკუნეებშიც შემორჩა. იწყება ახალი დროება. აქ ბუნებრივ სამართალზე შეხედულება სხვა ელფერს იღებს. ბუნებრივი სამართლის ღვთიური წარმოშობის იდეა სუსტდება და მიწიერი გააზრებით სამართლის არსის წვდომის მცდელობა იბადება.

მოგვიანებით მკვიდრდება შეთანხმება, რომ იურისპრუდენციის საგანი, ესაა სამართლისა და სამართლიანობის საკითხების გააზრება, ხოლო პოლიტიკური მეცნიერებისა კი – მიზანშეწონილობა და სარგებლიანობა.

მაგალითად, ჰოლანდიელი მეცნიერი **ჰუგო გროციუსი** დარწმუნებული იყო, რომ ბუნებრივი სამართლის არსი ბუნებაშია ჩადებული და ღვთის ნებაზე სულაც არაა დამოკიდებული და ის იმ შემთხვევაშიც კი იქნებოდა, ღმერთი საერთოდ რომ არ არსებულებოდა. ბუნებრივ სამართალს ღმერთი ისევე ვერ შეცვლის, როგორც მათემატიკისა და ლოგიკის კანონებს.

თუ რატომ ეგონა ბატონ გროციუსს, რომ ღმერთი შეცვლის თავის მიერ შექმნილ კანონებს (რომლებიც ადამიანებმა მხოლოდ აღმოაჩინეს), რათა სიმართლე სიცრუედ იქცეს, გაუგებარია. დღეს ბატონი ჰუგოსთვის ამ კითხვის დასმა უკვე გვიანაა.

გროციუსის აზრით, სიმართლე მხოლოდ ისაა, რასაც ადამიანის გონება შესწვდება, სხვა, ადამიანის გონების საწინააღმდეგო სიმართლე, მხედველობაში არ მიიღება.

აი, ასეთ ლოგიკას მივყავართ რევოლუციებისაკენ, გროციუსის არგუმენტით – ადამიანის გონება მოითხოვს და ამიტომ, დიახ, „ადამიანის თანდაყოლილი უფლებების“ სახელით, მჩაგვრელების წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ.

რუსომაც ამ ლოგიკის განვითარებას შეუწყო ხელი, მან ზემოხსენებული მოსაზრება უკიდურესობამდე მიიყვანა. რუსოს აზრით, ადამიანი თავისუფალ არსებად იბადება, მაგრამ სადაა თავისუფლება? ადამიანები იბადებიან თანასწორნი, მაგრამ სადაა თანასწორობა? ადამიანები ძმები არიან, მაგრამ სადაა ძმობა! ამიტომ, ცხადია, უნდა გაჩნდეს ლოზუნგი – „ძმობა (თანასწორობა), ერთობა, თავისუფლება“. ამ ლოზუნგმა კი რევოლუცია უნდა დაბადოს. ეს გასაგებია, მაგრამ რა არის ძმობა, ერთობა, თავისუფლება – ეტყობა იმაზე რთული გასააზრებელი აღმოჩნდა, ვიდრე მათ, და მათ შემდგომ თაობებს ეგონათ.

შედეგიც სახეზეა.

XIX საუკუნის გერმანიაში იბადება განსხვავებული მიმართულება, რომლის წარმომადგენელია **ფრიდრიხ კარლ შავინი (1798-1846)**. ამ მიმართულების თანახმად, **კანონმდებლობაში რაც იყო და რაც არის, ადამიანის უაზრობის, ეგოიზმისა და თავნებობის გამოვლინებაა**. აქედან გამომდინარე, საჭიროა ამ უბედურების მიზეზების ძიება. სამართალი რაიმე მარადიული ფასეულობა როდია; არ არსებობს ადამიანის გონების ნაყოფი სამართლის კოდექსის სახით, რომელიც ყველა დროსა და სივრცეში გამოდგებოდა; ამრიგად, მუდმივი, უნივერსალური სამართალი არ არსებობს.

გასარკვევია, რა არის ბუნებრივი სამართალი და რას ითხოვს ის ჩვენგან, როგორია ევოლუციაზე ბუნებრივი სამართლის გავლენა?

ის, რომ სახელმწიფოსთვის პოზიტიური სამართალი საჭირო და აუცილებელია, რომ ამას საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმოქმნილი პრობლემების დარეგულირება, და ბოლოს, ადამიანების კი მოითხოვს, ადვილი მისახვედრია. ისიც გასაგებია, რომ სამართლის პირველწყარო ყველგან და ყოველთვის ჩვენი შემეცნებაა. ე.ი., თითქოს სამართალი ფსიქიკური მოვლენაა. ამიტომ, პოზიტიური სამართლის ძალა და ქმედითობის უნარი იმ დაწერილ თუ დაუწერილ სამართლებრივ ნორმებთან მიმართებით განისაზღვრება, რომლებიც ჩვენს არაცნობიერშია.

სახელმწიფო ავტორიტეტს მანამ ინარჩუნებს, სანამ მისი ძალაუფლების დამკვიდრების ფორმა საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად მისაღებია.

ჩვენი აზრით, ასეთი მსჯელობიდან რევოლუციების ფსიქოლოგიური ხასიათი ნათლად ჩანს. რევოლუცია მაშინ იწყება, როცა პოზიტიური სამართალი საზოგადოებისათვის მისაღები სამართ-

ლის არსს მკვეთრად შორდება და სხვადასხვა საზოგადოებრივ ფენებს მისდამი ნდობა ეკარგებათ. ადამიანთა ისტორიაში რევოლუციების სიხშირე და სისასტიკე ასეთი სამართლის უსუსურობასა და მოუქნელობას ადასტურებს.

ყველა დროსა და სივრცეში, განათლებული ადამიანები ისეთი სამართლის შექმნისაკენ ისწრაფოდნენ, რომლის საფუძველი მარადიული ფასეულობა – ზნეობაა, რომელიც ღვთისაგან, უმაღლესი კანონზომიერებისაგან მოდის და სწორედ ამას უწოდეს ბუნებითი სამართალი. შესაბამისად, ბუნებითი სამართლისათვის ადამიანი უმაღლესი ფასეულობაა. უმაღლეს კანონზომიერებასთან თუნდაც მცირედით მიახლოება უდიდეს ძალისხმევას, გააზრებას მოითხოვს.

ცხადია, უმაღლეს ფასეულობებს – ზნეობა, სიმართლე, მოყვასის სიყვარული – გაუნათლებელი ინდივიდი, ან მისი ბანდა ვერასდროს შესწვდება. ამიტომ გაუნათლებელნი საკუთარი დაქვეითებული ზნეობისა და გონებისათვის მისაწვდომ ისეთ სამართალს იგონებენ, რომლისთვისაც ადამიანი აღარაა უმაღლესი ფასეულობა. სწორედ ამაზეა აშენებული პოზიტიური სამართალი, ანუ ის სამართალი, რომელსაც ზნეობრივი და განათლებული ადამიანი ვერასდროს შეეგუება. შესაბამისად, თუ სამართლის ბუნებრივი სამართლისგან გამიჯვნა მიმდინარეობს, ანუ სამართალში ადამიანი უმაღლეს ფასეულობად არ განიხილება, სამართლებრივი წესრიგის მთელი მექანიზმი უწესრიგობის საფუძველად გარდაიქმნება. ხშირად პოზიტიური სამართალი მხოლოდ მმართველი სისტემის ნებასურვილს გამოხატავს და საზოგადოებრივ მიზანთან არაფერი აქვს საერთო. ამრიგად, ცხადია, რომ **პოზიტიური სამართალი სიკეთის წინააღმდეგაა მიმართული, ანუ ბოროტებას ემსახურება.**

ბუნებითი სამართალი, თავისი არსით, ზნეობის განაწესია. ბუნებითი სამართლის საფუძველი არის იმის შეგნება, რომ ადამიანი ვალდებულია საკუთარი მიზნები უმაღლეს ფასეულობებს დაუქვემდებაროს.

ბუნებითი სამართლის მხოლოდ გააზრებაც კი ზნეობრივი სრულყოფისაკენ მოწოდებაა. ეს სიმართლისა და სიკეთისაკენ ორიენტირი, ისტორიის მამოძრავებელი ძალაა. ის ადამიანს ისტორიულ რეალობაზე ამაღლების, მონობისაგან გათავისუფლების შანსს აძლევს. ბუნებითი სამართალი არაა რაღაც გაქვავებული წესრიგი. ის ადამიანის აზროვნების წიაღში იბადება და რამდენადაც ადამიანის ზნეობა იხვეწება, მარადიულ ფასეულობათა წვდომის ხარისხი იზრდება, სამართალიც იძენად სრულყოფილი ხდება. ამიტომ, ბუნებითი სამართალი პოზიტიურ სამართალს ყოველთვის წინ უსწრებს.

პოზიტიური სამართალი პიროვნებას მოჩვენებით გარეგან თავისუფლებას ანიჭებს. ბუნებითი სამართლის არსი კი ადამიანში იმ შინაგანი თავისუფლების განვითარებაში მდგომარეობს, რომელიც მის გარეგან თავისუფლებას განკარგავს.

პოზიტიური, ანუ გარეგანი სამართალი არა მარტო ზოგადად სიმართლის უარყოფაა, არამედ თავისუფლებისა და სიკეთის გამომრიცხავი ცნებაცაა და ის მოჩვენებითი თავისუფლება, რასაც იგი პიროვნებას ანიჭებს, მხოლოდ თავისუფლების დამახინჯებული ანარეკლია.

რეალური თავისუფლება კი ბუნებითი სამართლის უცვლელი ფასეულობაა. ორი ადამიანის ჭეშმარიტი თავისუფლება არ შეიძლება ერთმანეთს დაუპირისპირდეს, რადგან ორივეს თავისუფლებას საფუძველად ღვთიური არსი უდევს. ამრიგად, ბუნებითი სამართალი ნებისმიერ პიროვნებას მხოლოდ საერთო მიწიერი სიკეთის ჩარჩოში ჩატეული სიკეთით სარგებლობის უფლებას აძლევს. მისი ლოზუნგია – **თუ ერთისთვის სიკეთე, სხვისთვის ბოროტება აღმოჩნდა – ის მიუღებელია.**

არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ის, რაც შეიძლება განვითარების ერთი ღონისათვის მიწიერი სიკეთე იყოს, განვითარების სხვა, მაღალი ან დაბალი ღონისათვის შეიძლება ბოროტება აღმოჩნდეს. ამრიგად, თავისუფლების ასეთი გაგება განვითარების სხვადასხვა ღონისათვის ერთნაირი ვერ იქნება. ასევე, მიწიერი სიკეთის გააზრება განსხვავებული იქნება სხვადასხვა დროისა და ხალხისათვის.

კონკრეტულ ადამიანს ქცევის, ანუ გარეგანი თავისუფლების ის მაქსიმუმი უნდა მიენიჭოს, რაც მთლიანი საზოგადოების სიკეთის ღონეს აამაღლებს. ამიტომ, გარეგანი თავისუფლება არ შეიძლება იყოს ეტალონური, ზუსტი, უცვლელი. ამას თვით ღვთაებრივი ბუნებითი სამართლის არსი გამორიცხავს. ადამიანის კანონიერ უფლებებსა და საზოგადოების სიკეთეს შორის ურთიერთდამოკიდებულება სხვადასხვა დროში სხვადასხვა ჰარმონიულობას ითხოვდა. სამართლიანობა განმათავისუფლებელი ძალაა. ეს ნიშნავს, რომ მას მრავალი ბარიერის გადალახვა შეუძლია და მოუწევს კიდევ.

ჩვენი თავისუფლების ხარისხს ჩვენი ზნეობა და განვითარების ღონე განსაზღვრავს. ხოლო საზოგადოების თავისუფლებას – საზოგადოებაში დამკვიდრებული სამართლის ფორმა.

არ შეიძლება მაგ., ზღვის ტალღებს, ქარს და ცხოველებს (მაგ., ჩვენს სადარბაზოებთან მომრავლებულ უპატრონო ძაღლებს) მოვთხოვოთ – ნუ გვიზღუდავთ გარეგან თავისუფლებას! ეს მხოლოდ საზრიან ადამიანებს შეიძლება მოვთხოვოთ. ჭეშმარიტი, შინაგანი თავისუფლება შეზღუდვას არ ექვემდებარება. დატყვევებული ზნეობრივი, განათლებული ადამიანი დილეგშიც თავისუფალია. ის მხოლოდ გარეგანი თავისუფლებითაა შეზღუდული.

ადამიანს, საზოგადოების გარეშე, ელემენტარული მოთხოვნის დაკმაყოფილებაც კი არ შეუძლია. თუ ჩვენ გარეული ცხოველების აღარ გვეშინია, თუ ზღვა მორჩილად ატარებს ხომალდებს, ქარი წისქვილს ამუშავებს, ელექტრომაგნიტურ ტალღებს ჩვენი აზრები მობილური ტელეფონით დიდ მანძილზე გადააქვთ, ეს ორგანიზებული საზოგადოების ჩამოყალიბების შედეგია. ამრიგად, ადამიანის განვითარებისათვის საზოგადოების შექმნა აუცილებელია და ვინაიდან სამართალი საზოგადოების მარეგულირებელი განლაგებაა, მისი არსებობაც გამართლებულია, ეს ერთი მხრივ, მეორე მხრივ, განათლების, ზნეობისა და სიმართლის გარეშე, არა თუ ღვთიურ, უბადრუკ, მიწიერ სამართალსაც კი ვერ შევწვდებით.

განათლებელმა, უზნეომ მხოლოდ ყველაფრის უფლება შეიძლება დაამკვიდროს და არა თავისუფლება. ბუნებითი სამართალი თავისუფლების საფუძველია, თუმცა ისიც მრავალფეროვნებას ამჟღავნებს. შეიძლება იყოს ეპოქა, როცა აგრესიის წინააღმდეგ იარაღით ბრძოლა საჭირო და ამას ბუნებითი სამართალიც ეთანხმება. დგება სხვა ეპოქა და ჩვენ, ისევ ბუნებრივი სამართლიდან გამომდინარე, კულტურითა და განათლებით გამარჯვების მიღწევა უნდა შევძლოთ.

შესაბამისად, საზოგადოების მხრიდან ბუნებითი სამართლის წვდომის ხარისხი სახელმწიფოს არსს, მისი განვითარების გეზს განსაზღვრავს.

ცხადია, დროსა და სივრცეში მარადიული, ღირსეული სახელმწიფო წყობის შექმნის ინსტრუქციის მოგონების მცდელობა, უბრალოდ, უაზრობაა. საკანონმდებლო შაბლონის შექმნის მცდელობა უზენაესის მიმართ მკრეხელობა იქნება, რადგან მან ჩვენში განვითარების პოტენცია ჩადო და არა შაბლონი. ჩვენ შეიძლება იმ სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბებაზე ვისაუბროთ, რომელიც მოცემულ დროში, კონკრეტული ხალხისათვის პროგრესისა, და რაც მთავარია, ზნეობის ამაღლების საფუძველს შექმნის. ცხადია, არსებობს ისეთი ხალხი, რომელსაც მაქსიმალური გარეგანი თავისუფლებისათვის აბსოლუტური მონარქია სჭირდება და არსებობს ისეთიც, რომლისთვისაც რესპუბლიკაა აუცილებელი.

მაგალითად, საფრანგეთი. როცა საფრანგეთში ფეოდალურ ნამსხვერველებზე შეუზღუდავი მონარქია წარმოიქმნა, ის თავიდან განმათავისუფლებელ ძალად აღიქმებოდა, რადგან მანამდე საფრანგეთი მცირე ტირანების – ჰერცოგების, მარკიზების, გრაფების სათარეშო სივრცე იყო. ფრანგი მეფეების განუსაზღვრელმა ძალაუფლებამ მოსპო არისტოკრატების თავნებობა, რის შედეგადაც იმ ეპოქაში ფრანგმა ხალხმა შეება იგრძნო.

ამრიგად, ბუნებითი სამართალი უცვლელ იურიდიულ ნორმებს არ მოიცავს. ერთი შეხედვით, თვით ნიუტონის კანონებიც კი არ აღმოჩნდა მარადიული. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ბუნების კანონებია ეფემერული, ცვლადი. უბრალოდ, ადამიანის გონი ბუნების ჭეშმარიტ კანონს მხოლოდ მიუახლოვდა, ბოლომდე ვერ შესწავლა. **ცვლადია არა ბუნების კანონები, არამედ ჩვენი წვდომის სიღრმე, ჩვენი წარმოდგენა მათზე.** რაც უფრო მეტად იხვეწება ჩვენი ცოდნა, ბუნების ფუნდამენტური კანონების სრულყოფილ გააზრებას მით უფრო ვუახლოვდებით.

საზოგადოების განვითარების დონის ასამაღლებლად ისეთი სახელმწიფო მექანიზმისა და სამართლის შექმნა-დამკვიდრებაა აუცილებელი, რომელიც საზოგადოებას ზნეობისა და ცოდნის გაღრმავებისკენ უბიძგებს და შესაბამისად, საზოგადოების განვითარებას ყველაზე ნაკლებად შეაფერხებს.

ამრიგად, ყველა დროისათვის არსებობს ზნეობისა და აზროვნების ის გარკვეული, აუცილებელი დონე, რომლის გარეშეც საზოგადოება, და შესაბამისად, სახელმწიფო დეგრადირებას, რღვევას უცილობლად იწყებს.

ბუნებითი სამართლის არსის გააზრებამ და დამკვიდრებამ დღეს მოქმედი, პოზიტიური სამართალი უნდა დახვეწოს. სხვა შემთხვევაში, მას გამართლება არა აქვს. ბუნებითი სამართალი, როგორც ზნეობრივი აუცილებლობა, უნდა ხვეწდეს, არეგულირებდეს პოზიტიურ სამართალს. მხოლოდ ასე შეიძლება ბოროტების შესუსტება. რამდენადაა ჩვენი მოსაზრება ჭეშმარიტებასთან ახლოს, არც ისე ადვილი დასადგენია. არა და შეცდომის დაშვების უფლება უკვე აღარ გვაქვს, რადგან ამჟამად ისტორიულ გზაჯვარედინზე ვიმყოფებით და არჩევანი ჩვენი გასაკეთებელია. დადგა ეპოქა, რომელიც ჩვენგან ისტორიის, ცნებების, წეს-ჩვეულებების ახლებურ, რაციონალურ გააზრებას ითხოვს, რათა საკუთარი ერი, და მისი ისტორია ხელში არ ჩაგვაკვდეს. ჩვენ ისეთი აზრობრივი ბერკეტის შექმნა უნდა შევძლოთ, რომელიც ჩვენს ერში სიცოცხლისუნარიანობისა და განვითარების შესაძლებლობის საფუძვლებს დაამკვიდრებს. ღამე დღემ უნდა შეცვალოს.

მინერვას ბუ ფრენას ბინდისას იწყებს, მაშინ, როცა ძველი წყობის შესაცვლელად მოდის ახალი. ეს ჰეგელის სიტყვებია.

სხვა გზა არაა. ფრენა ბინდში, სიბნელეში უნდა დაიწყოთ, რადგან ამის გარეშე, ასტრონომიულისაგან განსხვავებით, ჩვენი სოციალური ღამე განთიადით თავისთავად არ შეიცვლება.

ღიას, ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ ადამიანთა ისტორია სიკეთესა და ბოროტებას შორის ტოტალური დაპირისპირებაა და, თითქოს ეს ბანალური აზრია; თუმცა, თუ დავფიქრდებით, მივხვდებით, რომ საქმე კვლავ ურთულეს საკითხთან გვაქვს.

მართლაც, ვიცით კი რა არის სიკეთე? ვიცით, რა არის ბოროტება? ვიცით, რომ ადამიანთა ტრაგედიის მიზეზი სიკეთისა და ბოროტების არსში გაურკვევლობის შედეგია? ხშირად, ტრაგედია მაშინ იწყება, როცა ის, რაც სიკეთე გვგონია, უდიდესი ბოროტება აღმოჩნდება ხოლმე, და, პირიქით – რაც ბოროტება გვგონია – სიკეთე.

აქ აუცილებელია დავფიქრდეთ იმ ფენომენზე, რასაც ეთიკას ვუწოდებთ.

ეთიკა

დღეს, როდესაც სიკეთესა და ბოროტებას შორის დისპროპორციამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია, ადამიანთა ურთიერთობის ნორმების, ანუ ეთიკის საკითხმა მთელი სიმძაფრით, ტკივილით წამოიწია, რადგან ეთიკა ჩვენი ყველა სწრაფვისა და ქმედების მსაჯულია.

ჩვენი აზრით, ეთიკა სოციოლოგიური ან ფსიქოლოგიური მეცნიერება როდია, არამედ ფილოსოფიური დისციპლინაა, რომელიც ადამიანური ცხოვრებისათვის საჭირო ნორმებს აყალიბებს. ამ

საკითხში გასარკვევად მიზანშეწონილია იმანუილ კანტის მოსაზრებას დავეყრდნობ: – „**პრაქტიკულ ფილოსოფიაში საქმე ეხება არა იმას, რაც ხდება, არამედ იმ კანონებს, რაც უნდა იყოს, თუმცა ეს არასდროს არ მომხდარა**“.

ჩვენ კი კანტის ამ აზრს ასე გამოვთქვამდით:

პრაქტიკულ ფილოსოფიაში საქმე ეხება არა იმას, რაც ხდება, არამედ იმ კანონებს, რაც უნდა იყოს, თუმცა ეს არასდროს არ მოხდება.

უფრო ნათლად: მრავალი დარწმუნებულია, რომ ის ეთიკური ნორმები, რომლითაც საზოგადოებამ უნდა იხელმძღვანელოს, ეთნოსის, ერის ტრადიციებიდან, ადათ-წესებიდან უნდა გამომდინარეობდეს; ისინი ფიქრობენ, რომ საკმარისია ადათ-წესები, ტრადიციები დავხვეწოთ, მათში ნეგატიური შევამციროთ, პოზიტიური განვავითაროთ და იმ ამალღებულ ეთიკას მივიღებთ, რაც საზოგადოების წევრთა შორის ურთიერთობის მეტ-ნაკლებად მისაღებ ნორმებს დაამკვიდრებს. კანტი ეთიკის ასეთ გაგებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

კანტის აზრით, ეთიკის არსი ჩვენს ცხოვრებაში გავრცელებულ, ადამიანთა ურთიერთობის **არსებულ** ნორმებში (ადათ-წესებში) კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ ამალღებული ურთიერთობისათვის განკუთვნილ იმ **აუცილებელ, საჭირო** ქცევის წესებში, რომლის ამ ცოდევილ მიწაზე დამკვიდრებაც რეალურად შეუძლებელია.

ნუ გაითვებთ – რა საჭიროა ქცევის რაღაც ნორმა (აუცილებელი და საჭირო), თუ მას ვერასდროს შევასრულებ?

კანტის აზრით, „ჩვენ ვცდილობთ . . . შევწვდეთ შეუწვდომელს“ . . .

და ეს არაა უაზრობა, სწორედ ესაა ცხოვრების აზრი და განვითარების საფუძველი.

დაუკვირდით, ხომ არსებობს ქრისტიანული ეთიკის საფუძველი – ათი მცნება (საჭირო), რომლის სრულად აღსრულება მიწიერი ადამიანისათვის მიუღწეველია. გონიერი ადამიანი დარწმუნებულია, რომ მას ვერასდროს აღასრულებს, მაგრამ მაინც მისი აღსრულებისაკენ მიისწრაფვის. დიახ, განვითარებისა და სასიცოცხლო არეალის შესაქმნელად ათი მცნება, უმაღლესი ორიენტირი, აუცილებელზე აუცილებელი და საჭიროზე საჭიროა! კაცობრიობა, ასეთი მარადიული ორიენტირების გარეშე, თავნებობის, ინსტინქტების ქაოსით განადგურდებოდა და არსებობას საერთოდ შეწყვეტდა.

გამოდის, რომ პრობლემა „**არსებულისა**“ (საზოგადოებაში დამკვიდრებული ურთიერთობის ნორმები) და „**საჭიროს**“ (თუ როგორი უნდა იყოს ურთიერთობის ნორმები, რომელიც ვერასდროს აღსრულდება – ორიენტირი) გააზრებაზე დადის, ანუ ეთიკა მაშინ იწყება, როცა სახეზეა „**არსებულსა**“ და „**საჭიროს**“ შორის დაპირისპირება.

„**საჭიროს**“ გააზრება ადამიანთა ეთიკური ხედვის კუთხით დაყოფას მოითხოვს. პირობითად, ეს დიფერენციაცია ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: მაგალითად, არიან „ადამიანები“, რომლებიც არა თუ „საჭიროს“ (მაგალითად, ათ მცნებას), „**არსებულსაც**“ კი არ ცნობენ. მათ, რომელთაც ისტორიულ ძეგლებზე დანით საკუთარი სახელის ამოკვეთისას არავითარი დისკომფორტი არ ექმნებათ, შემეცნებადაქვეითებული **სუბიექტები** ვუწოდოთ.

არიან ისეთებიც, რომლებიც „**არსებულს**“ ცნობენ, მაგალითად, ისინი ტელევიზიაში დაბანილნი, გაპარსულნი მიდიან, რათა ჭკუა გვასწავლონ, მაგრამ „საჭირო“ მათთვის ისტორიული ატავიზმია. ისინი „საჭიროს“, ანუ ადამიანთა შორის ღვთიური კანონზომიერებიდან გამომდინარე ურთიერთობებს არ ცნობენ. შესაბამისად, ასეთი ადამიანები „**არსებული სამართლის**“ გამოყენებით, დაუძღურებული მოხუცისათვის უკანასკნელი დანაზოგის წართმევისას არავითარ უხერხულობას არ გრძნობენ. მათ **ინდივიდები** ვუწოდოთ.

ადამიანი ვუწოდოთ მას, ვინც ცნობს „**არსებულს**“, თუმცა, მისთვის არსებული არასაკმარისია და დისკომფორტს უქმნის, შესაბამისად, მას უკეთესის ძიების სურვილი უჩნდება.

თუ ადამიანი ღვთიური კანონზომიერების აღსრულებისათვის ბრძოლას, ამაღლებას აქტიურად ცდილობს, მაშინაც კი, თუ ამ შესაძლებლობაში დარწმუნებული არ არის, ის უკვე პიროვნებაა.

შემოქმედ ადამიანში „არსებულის“ მიმართ შეურიგებლობა წმინდა იდეის წვდომის შესაძლებლობას წარმოქმნის; შედეგად კი, ის „საჭიროს“ ღრმად გააზრებასა და ახალი ზნეობრივი ნორმებით გამდიდრებას ცდილობს, ასეთი პიროვნება უკვე ზეადამიანია.

შევეცადოთ, შეძლებისდაგვარად ჩამოვყალიბოთ ზნეობის არსი.

სოკრატეს აზრით, თვითშემეცნება ესაა ზნეობრივი სრულყოფის გზა. ბუნებით ბოროტი ადამიანი არ არსებობს. განათლებული ადამიანი არ ჩაიდენს ბოროტებას. ბოროტება თავისთავად არ არსებობს, ის უმეცრების შედეგია. სოკრატესათვის ზნეობა და განათლება იგივეური ცნებებია.

განათლებული ზედება, რომ ცალკე აღებული ადამიანი, თუ არ შედის ურთიერთობაში საზოგადოების სხვა წევრებთან, მაშინ მის ზნეობა-უზნეობაზე საუბარი აზრს მოკლებულია. შესაბამისად, განათლება ურთიერთობით მქლავდება.

როდესაც ადამიანი შედის ურთიერთობაში, იბადება სისტემა (ერთი მიზნით გაერთიანებულ ადამიანთა გარკვეული ორგანიზაციით ჩამოყალიბებული საზოგადოება). ზოგადად, ნებისმიერი ურთიერთობა ქმნის სისტემას და სისტემა გულისხმობს ურთიერთობას. ამრიგად, ურთიერთობა და სისტემა არაა განსხვავებული განსაზღვრებები, ისევე როგორც თვისება და რაოდენობა (გავიხსენოთ – მოხსნილი თვისება რაოდენობაა).

ამაღლებული, ურთიერთობა ბადებს შესაბამის კონგენიალობას. ასეთ კონგენიალთა შემოქმედება ბადებს პროგრესირებად სისტემას.

თუ ეს ასეა, მაშინ ამ ლოგიკით ვიღებთ სქემას:

„მე“ – განათლება – შემოქმედებითი ურთიერთობა – პროგრესირებადი სისტემა.

ჩვენი აზრით, „მე“-ს ასეთი სვლა ნიშნავს ზნეობას; ჩვენი აზრით, სხვა შემთხვევაში ადამიანი ზნეობრივად ვერ ჩაითვლება (ამ ნაშრომში ყველა სხვა შემთხვევაში ხსენებული ცნება ზნეობა გაგებულ უნდა იქნას კონტექსტის მიხედვით ან „არსებულიდან“ ან „საჭიროდან“ გამომდინარე).

ცხადია, პროგრესირებად სისტემაში იგულისხმება თავისუფლების მაღალი ხარისხის მქონე საზოგადოების ჩამოყალიბება, რომლის ყოველი წევრის მიზანია ყოველ ადამიანს ღვაწლის გაღების აღსრულების საშუალება შეუქმნას. ამის გარეშე, განვითარებადი სახელმწიფოს ჩამოყალიბება უბრალოდ შეუძლებელია.

ამრიგად, განათლება, შემოქმედებითი ურთიერთობა, პროგრესირებადი სისტემა და ზნეობა იგივეური ცნებებია.

ვიმეორებთ ზნეობის ფორმულირებას, – ზნეობრივია პიროვნება თუ პროგრესირებად სისტემას ქმნის, რომლის მიზანიც თავისუფლების მაღალი ხარისხის მქონე საზოგადოების ჩამოყალიბება და ყოველი ადამიანისთვის ღვაწლის გაღების აღსრულების საშუალების შექმნაა.

ამრიგად, ზნეობრივმა პიროვნებამ თავადაც უნდა გაიღოს ღვაწლი და ღვაწლის გაღების აღსრულებაში სხვასაც უნდა დაეხმაროს. პროგრესირებადი სისტემის ჩამოყალიბება მხოლოდ საშუალებაა ქვეყანაში ამ უმთავრესი მისიის – ღვაწლის გაღების აღსრულების – დამკვიდრების გზაზე. გამოდის, რომ კანტის „არსებულიდან“ გამომდინარე, პიროვნება ზნეობრივად ჩაითვლება, თუ მისი უშუალო მონაწილეობით პროგრესირებადი სისტემის რეალიზება მოხერხდება. ამრიგად, საზოგადოებაში პროგრესირებადი სისტემის დამკვიდრება, „არსებულიდან“ გამომდინარე, ზნეობრივ პიროვნებათა წარმოქმნის წინაპირობაა.

რაც შეეხება კანტის „საჭიროდან“ გამომდინარე ზნეობის არსს, ის ამგვარად ფორმულირდება, – „საჭიროს“ მიხედვით ზნეობრივია პროგრესირებადი სისტემის შემქმნელი პიროვნება, თუ ამ ცოდვილ მიწაზე ყოველი ადამიანის ღვაწლის გაღების აღსრულების დამკვიდრებისკენ

მუდამ ისწრაფვის; რაც, თავის მხრივ, ქრისტიანული მოძღვრების უმთავრესი მცნების – „გიყვარდეს მოყვასი შენი“-ს – აღსრულებას გულისხმობს. ისიც ცხადია, რომ ამას სრულად ვერასდროს აღვასრულებთ, თუმცა, მუდამ უნდა ვისწრაფოდეთ.

ცხადია, იქ, სადაც საზოგადოების წევრთა უმრავლესობა ღირსებაშელახულია – ღვაწლის გაღებას ვერ ახერხებს – ზნეობრიობას ვერაფერს დაიჩემებს.

სწორედ, ზნეობრივ პიროვნებათაგან შემდგარი პროგრესირებადი სისტემა შექმნის ეთიკურად მძლავრი, ბუნებრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბების საფუძველს.

და იწყება ამაღლება; ადამიანი აღწევს აზროვნების იმ დონეს, როდესაც სიკეთისა და ბოროტების მიღმა გასვლაა შესაძლებელი; ეს უკვე ამ ურთიერთგამომრიცხავ ცნებათა ობიექტური ხედვაა. შედეგად, შესაძლებელი გახდება საზოგადოებაში სიკეთესა და ბოროტებას შორის პროპორციის დადგენა; სწორედ, ასეთ პიროვნებას ხელეწიფება ისტორიულ სიკეთესა და ბოროტებაზე ამაღლება და ამ სიმაღლიდან „საჭიროს“ ახალი ზნეობრივი ნორმებით გამდიდრება. დიახ, ასეთი პიროვნება უკვე **ეთიკური ზეადამიანია.** ასეთი იყო სოკრატე, ვაჟა, . . .

ადამიანთა ისტორიაში ღვთის კანონზომიერების, „საჭიროს“ უგულებელმყოფელი ინდივიდები, მაგალითად, პოზიტივისტები, საკუთარი მორალური გემოვნების მიხედვით, იგონებენ და ცხოვრებაში ამკვიდრებენ „საჭიროს“ (თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი მათი გაგებით); ისინი სუბიექტურად აღგენენ ქცევის ნორმებს; მათ მიერ დადგენილი ნორმის წინააღმდეგ გამოხატულ პროტესტს კი მოვალეობის უგულებელყოფად აცხადებენ; ვინაიდან, მათ საკუთარი ეგოისტური მერკანტილური სურვილების განხორციელებაში ნებისმიერი პროტესტი ხელს უშლით, და შესაბამისად, არც არაფერში სჭირდებათ. მათთვის „საჭირო“ (ზნეობრივი კანონი) არასაჭირო, უფუნქციოა.

ადამიანის ცნობიერებას აქვს ორი განსხვავებული, პარალელური მხარე. ერთი მიმართულია არსებულის თეორიული შემეცნებისაკენ და მეორე „საჭიროსაკენ“, ზნეობრივი ორიენტირისაკენ და მას ვერავითარი მეცნიერული მეთოდებით ვერ შეწვდებით, რადგან „საჭირო“ მეცნიერებაზე მაღლა დგას.

პოზიტივისტები მხოლოდ არსებულის თეორიულ შემეცნებას აღიარებენ, რომელიც მათი არსებობის წესს – ჰელონიზმს – წარმატებით ამართლებს.

არსებობს ორგანული კავშირი ადამიანის ოცნებებს, მიზანსა და მის შინაგან ბუნებას შორის. ამიტომ, ადამიანი არა მხოლოდ პირადი სიამოვნებისა და ბედნიერებისაკენ, არამედ საკუთარი ჭეშმარიტი ბუნებისაკენ, არსისაკენ ისწრაფვის. მიზნის მქონე ადამიანი მუდმივად მიზანზე ფიქრობს და მთელი მისი სულიერი ცხოვრება მიზანზეა კონცენტრირებული.

მიზანი ბედნიერების მიღწევის საშუალებაა. ბედნიერება, როგორც ცნება, გაცილებით რთული გასააზრებელია, ვიდრე უმრავლესობას ჰგონია. ბედნიერება ის უნიკუმია, რომელზეც ადამიანი მუდმივად ოცნებობს და რომლისაკენაც ისწრაფვის.

ადამიანი საკუთარ ბედნიერებას მხოლოდ მაშინ ჰპოვებს, როდესაც იგი საკუთარი ჭეშმარიტი ბუნების შესაბამისი მიზნის აღსრულებას ემსახურება. მისი სული, არსი სწორედ ამ მიზნის აღსრულებისას მჟღავნდება.

ასევე რთულია კმაყოფილებისა და ბედნიერების ურთიერთდამოკიდებულების დაკონკრეტება. შეუძლებელია შამპანურის სმისას, საინტერესო წიგნის კითხვისას თუ ფილმის ყურებისას განცდილი სიამოვნებით მიღებული კმაყოფილება ერთმანეთს ხარისხობრივად შევადაროთ. თუ მაინც შევეცდებით შევკრიბოთ კმაყოფილებები და ამით მაქსიმალურ ბედნიერებას მივადწიოთ, ვნახავთ, რომ ეს მცდელობაც მარცხისათვისაა განწირული. **კმაყოფილება არის სურვილის ასრულებით მიღებული შედეგი** (ამავდროულად არ უნდა დაგავაიწყდეს, რომ ამ ცოდვილ მიწაზე ორი უბედურება არსებობს – მიღწეული და მიუღწეველი სურვილი).

ცხადია, ჩვენც ძალიან კარგად ვიცით, რომ კმაყოფილება კარგია, მწუხარება – ცუდი და ისიც, რომ ბედნიერება ყველა ადამიანის ოცნებაა. თუმცა, ყოველივე ამას ეთიკასთან არავითარი კავშირი არა აქვს, რადგან ისიც კარგად ვიცით, რომ:

კმაყოფილება შეიძლება უზნეო იყოს, ბედნიერება – სამარცხენო.

აქედან გამომდინარე, არა მარტო კმაყოფილება, არამედ ბედნიერებაც კი ზნეობრივ, ეთიკურ ნორმას უცილობლად ექვემდებარება. მაშასადამე, ცხადია, არ შეიძლება ეთიკა ინდივიდუალურ ბედნიერებაზე აიგოს. თუ ინდივიდუალურ, მკვეთრად გამოსახულ ბედნიერებაზე არ შეიძლება ეთიკის აგება, მაშინ საყოველთაო ბედნიერებაზე (კონკრეტული ადამიანის ბედნიერების ნიველირებისას) აგებული ეთიკა, მით უმეტეს, ფიქცია გამოდის. მაშ, როგორ გადავიდეთ ინდივიდუალური ბედნიერებიდან საყოველთაო ბედნიერებაზე? რატომ აყენებს ალტრუიზმი სხვის ბედნიერებას უფრო მაღლა, ვიდრე საკუთარს? – ამ კითხვებზე კატეგორიული, დამაჯერებელი, ცალსახა პასუხი არ არსებობს.

მთავარია გავერკვეთ, რომელი პრინციპი გამოვაცხადოთ საფუძვლად – „საჭირო“, ღვთაებრივი, თუ მისგან პრინციპულად განსხვავებული – ცხოვრებისეული, მიწიერი მოთხოვნებიდან გამომდინარე „არსებული აუცილებლობა“. მით უმეტეს, რომ მის აუცილებლობაში დამაჯერებლად ვერავინ გვარწმუნებს.

მაგალითად: გრძობა მთხოვა, მისი შვილსთვის გამოცდაზე მაღალი ნიშნის დაწერა და, ამ დროს, მისი ცოდნა მინიმალურსაც არ შეესაბამება. თუმცა, მე ეს უზნეობად მიმაჩნია, მაგრამ მეგობარის თხოვნის შესრულებით კმაყოფილებას განვიცდი. დიახ, ამით ჩემი ზნეობა კი არ იმატებს, არამედ პირიქით, ეცემა. იზრდება მხოლოდ ჰედონიზმისაკენ, კმაყოფილი ცხოვრებისაკენ სწრაფვა; და როცა მეც გრძობას დახმარება დამჭირდება, ჩემს თხოვნას დააკმაყოფილებს და ჩემს გამო უზნეობას ჩაიღვინებს. ესაა დღევანდელ საქართველოში ადამიანთა ურთიერთობაში დამკვიდრებული ტრადიცია. აბა, როგორ! მეგობარს ზომ უნდა დაეხმარო! საქართველოში მეგობრობა ზომ ყველაფერზე მაღლა დგას. შედეგად, ყველა კმაყოფილია და ეს კმაყოფილება ჰედონიზმისაკენ მიგვაქანებს. გვეგონია სიკეთეს ვიქმთ და ვერ ვხვდებით, რომ ეს სიკეთე ჩემთვისაც, გრიშასათვისაც და მთელი საქართველოსთვისაც შენიღბული ბოროტებაა. ჰედონიზმი რეგრესისაკენ პირდაპირი გზაა და ეს ყველასთვის ცხადია. ამის მიუხედავად, გასაკვირია, რომ ჩვენი საზოგადოების დაცემა, რეგრესი მაინც ჯიუტად გვაოცებს.

გამოდის, რომ თუ კმაყოფილება რეგრესისაკენ მიმავალი გზაა, უკმაყოფილება, უკმარისობა პროგრესს უნდა ემსახურებოდეს.

დიახ! პროგრესის მამოძრავებელი ძალა უკმაყოფილებაა, უკმარისობაა.

მართლაც, მე თუ ინჟინერი ვარ და ჩემ მიერ შექმნილი ძრავის სიმძლავრე არ მაკმაყოფილებს, მხოლოდ ამ შემთხვევაში ვაკეთებ ყველაფერს, რათა მისი სიმძლავრე გავზარდო. მე თუ უკმაყოფილო ვარ დღევანდელი ცხოვრებით, მხოლოდ ამ შემთხვევაში ვცდილობ გავზარდო ის უკეთესი. ამ ხედვის კუთხიდან, უკმაყოფილებას, უკმარისობას უდიდესი ზნეობრივი დატვირთვა აქვს, ხოლო კმაყოფილებას კი შემგუებლობამდე, კონფორმიზმამდე მივყავართ.

დავფიქრდეთ, ეკლესიაში კმაყოფილების მისაღებად დავდივართ, თუ უკმაყოფილების, უკმარისობის გამო? თუ ეკლესიაში მხოლოდ კმაყოფილების მისაღებად დავდივართ და არა ღვთის რწმენისა და სიყვარულის გამო, მაშინ ჩვენ კერპს ვეთაყვანებით და არა თავისუფლების, სიცოცხლის ღმერთს. ჩვენ ეკლესიაში იმიტომ მივდივართ, რომ „არსებული“ არასაკმარისია, რითაც უკმაყოფილონი ვართ და „საჭიროს“ ვებძობ. პროგრესის საფუძველი მხოლოდ აბსოლუტური, ზნეობრივი ნორმაა. ესაა ჩვენი წინსვლის ორიენტირი. შუქურა, რომელიც უსასრულობიდან ანათებს; ეს ადამიანში ღვთის ხმაა. **ის არამჩვენიურია და შექმნილია ამ ქვეყნისათვის.**

ზნეობრიობა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის საკუთარ თავთან დამოკიდებულებაა. შესაბამისად, სულიერი „მე“-ს ძიება და ჩამოყალიბება, აღსრულება, ღვთაებრივი „ნორმატიული“ ცნობიერების დღესასწაულია „ემპირიულზე“. ჩვეულებრივ ენაზე ეს ადამიანში პიროვნების განვითარებას ნიშნავს.

დამატებითობის პრინციპიდან გამომდინარე ეთიკის თემას ფრიდრიხ ნიცშეს შემოქმედების კუთხიდანაც შევხვდეთ, ჩვენ, ეთიკის გააზრებისათვის, შევეცადოთ ამ ორიგინალური ფილოსოფოსის შემოქმედებაში გაბნეული ბრილიანტის ნამსხვერვეები აღმოვაჩინოთ, რათა მისდამი „მორალისტების“ მხრიდან გამძაფრებული აგრესია ოდნავ მაინც შევამციროთ.

ჩვენი აზრით, ნიცშე დამკვიდრებული ზნეობისა და მორალის უკმაყოფილოა და არსებული „ზნეობრიობის“ წინააღმდეგ მის მკვეთრ გამოსვლას, სწორედ, ეს განაპირობებს. ნიცშე ამაღლებული, თავისუფალი ზნეობის მქადაგებელია. მის შრომებში ამოკითხული ფრაზები:

- „ღმერთი მოკვდა“;
- „ნუ იქმ სიკეთეს, სიკეთე დასასრულის დასაწყისია“.
- „ჰკარი ვარდნილს“ . . .

ერთი შეხედვით, მხოლოდ უცნაური კი არა, აღმამფოთებელიცაა. თუმცა, რა გასაკვირია, თუ კონტექსტიდან ამოჭრით, მისი შემოქმედების სიღრმისეულად აღქმის გარეშე, ამ აღმფოთებას ბევრი დაეთანხმება. შევეცადოთ, მისი აზროვნების სიღრმეს ჰერმენევტიკულად ჩავწვდეთ, შევიდეთ მისი აზროვნების სამზარეულოში და მივხვდებით, რომ იგი უპირველესად იდეალისტი და შესაბამისად, რელიგიური სულის მქონეა. ყველაფერს, რაც მან შექმნა, დაკარგულ ღვთაებაზე წუხილი წითელ ხაზად მიჰყვება. განვიხილოთ მისი ნაშრომი – „მხიარული მეცნიერება“.

აი, ამონარიდი ამ წიგნიდან:

„ნუთუ არაფერი გესმით? – ყვირის გიჟი – რა, აღარ ხმაურობენ მესაფლავენი, რომლებიც ღმერთს მარზავენ? თქვენ რა, არ გცემთ გაზრწნილი ღვთაების სუნი? – ღმერთები იზრწნებიან! ღმერთი მოკვდა! რჩება მკვდარი! და მოვკალით ის ჩვენ, მკვლევებმა, მკვლელთა შორის! სად ვიპოვით ხსნას? რით დავიმშვიდებთ თავს? ყველაზე წმინდა და მძლავრი, რაც იყო აქამდე სამყაროში, ჩვენი დანით სისხლისაგან იწრიტება“.

ღიას, ნუ ეძებთ ღმერთს ნურც ცაში, ნურც მიწიერ სამოთხეში, ის საკუთარ თავში ეძებთ.

„მე მამაჩემში ვარ და თქვენ ჩემში, და მე თქვენში“ (იოანე 14, 20).

დაფიქრდეთ, ჩვენ, ბრმანი, ხელების უაზრო ცეცებით „ვეძებთ“ ღმერთს – სიკეთეს, სიყვარულს . . . საკუთარ თავში; და თუ ვპოულობთ, ჩვენი უზნეობით, გაუნათლებლობით, სისასტიკით. . . „გკლავთ“ ყველაზე წმინდას და მძლავრს საკუთარ არსში. სწორედ, ამაზე ამახვილებს ყურადღებას ნიცშე.

ღიას, გეთანხმებით, რომ ნიცშე დამკვიდრებულ ზნეობას, მორალს ავადმყოფური უჩინით, ადგზნებული, გამიშვლებული სიმკაცრით აკრიტიკებს და ასეთი მიდგომა, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, „მორალისტების რაფინირებულ“ სტილს არ შეესაბამება.

ნიცშე აბსოლუტური სიკეთის მაძიებელია. მისი ფილოსოფია დამყავებული მიწიერი ზნეობის, ფსევდოალტრუისტული მორალის, საზოგადოებრივი უტილიტარიზმისა და ჰელონიზმის მიმართ, სუვერენული „მე“-ს სახელით მკაცრად დაფიქსირებული პროტესტია.

„უკანასკნელი ადამიანი“ მისთვის ის ადამიანია, რომელმაც საკუთარი ბედნიერება გამოიგონა და საკუთარ თავში ზეადამიანის წარმოშობის საფუძველი – „მე“ უკიდურესად დააკინა, გაანადგურა. . . სამაგიეროდ, განავითარა, ალაზევა მეორე დამახინჯებული „მე“ – „ეგო“. მისთვის თანამედროვე მორალი მხდალი ჯოგის მორალია, რადგან მისი საფუძველი ინდივიდის ქონდრისკაცული „ეგოს“ უარყოფას არ მოიცავს.

ნიცშე ვერ იტანს იმ ეთიკურ თეორიებს, რომლებიც ზნეობრივი სანქციების დასაყრდენს საკუთარი „მე“-ს გარდა ყველგან ეძებენ – საზოგადოებრივ აზრში, საზოგადოებრივ კმაყოფილებაში, გარემოსთან შემგუებლობაში. . . ნიცშე ღრმა ზნეობრივი ნორმის ჩამოსაყალიბებლად წმენდს და ამზადებს ნიადაგს. ეს ის ნორმაა, რაც წერილმანებს გადაყოლილმა „უკანასკნელმა ადამიანმა“ დაივიწყა.

„მათ უკვირთ – ამბობს ზარატუსტრა – რომ მე არც კი ვფიქრობ მათს ჟინსა და სიმდაბლეზე. ამიტომ, ჭეშმარიტად გეუბნებით, რომ მე არ ვაპირებ დაგიცვათ ჯიბის ქურდებისაგან“.

„მე მივდივარ მათ შორის და მიკვირს, ისინი წვრილმანდებიან და წვრილმანდებიან და აქამდე ისინი ბუნდებისა და სიკეთის შესახებ მათმა მეცნიერებამ მიიყვანა“.

„სიკეთედ ისინი მიიჩნევენ იმას, რაც ქმნის შერვეულს და წყნარს. მათ უკვე მოახერხეს ასეთი გზით მგელი ძაღლად და თვით ადამიანი, შინაურ ცხოველთა შორის საუკეთესოდ გადაექციათ“.

„ამიტომ მორბიან თქვენთან და სიკეთის ქმნას ცდილობენ. ეს კი სიმხდალეა, თუმცა, მას სიკეთის მქნელი ჰქვია“.

„და მე ყველას გასაგონად ვყვირი: პატარა ადამიანებო, თქვენ წვრილმანდებით და წვრილმანდებით, სიკეთის მიღების მოყვარულნო, თქვენ ნამცეცხვად იქცევით!“ „ძალიან გულჩვილია, დამთმობია თქვენი სამეფო“.

„რათა ნერგი დიდ ხელ გაიზარდოს, მას მკვირვ კლდეზე მძლავრი ფესვებით შემოჭლობა სჭირდება“.

ეს მოხდება მაშინ, როცა „მე“ დამკვიდრებული, დამყაყებული პოლიციურ-ჰიგიენური მორალისაგან გათავისუფლდება.

რას კრძალავს დღევანდელი ზნეობა, რას უარყოფს ის? – ის „ეგოს“ ყოველგვარ შეზღუდვას უარყოფს; მისი უფლებების უპატივემეულობას კრძალავს. არ იზღუდება პიროვნება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მასში მკვეთრადაა გამოხატული უზნეობა. დაუკვირდით, როგორ ელაქუცებიან ჩვენში „ძლიერთა ამაქვეყნისათა“, მაშინ, როცა მათი უზნეობის დაუნახაობას მხოლოდ გონებრივად ბრმა თუ მოახერხებს.

„მორალისტები“ ნიცშეს მხოლოდ იმიტომ ვერ იტანენ, რომ ყველაფერი, რასაც ნიცშე ამბობს, უკიდურესად ღრმა, ფსიქოლოგიურ და ეთიკურ სიმართლეს მოიცავს.

„გაი თქვენ, მოყვარულთ – ამბობს ზარატუსტრა – რომელთაც არ იცით უფრო მაღალი, ვიდრე მათი თანაგრძნობაა.“

და, მართლაც, თუ ადამიანს მხოლოდ მეცოდებით და თანაგრძნობით ექცევით და არ გინდათ მასში თქვენი თანასწორი დანახოთ, მას სუსტ და საცოდავ მონად აღიქვამთ. ეს იმას ნიშნავს, რომ თვით თქვენ ხართ მისი თანაგრძნობისა და სისუსტის მონა. მხოლოდ მონებს შეუძლიათ ჩაიდინონ ასეთი სიკეთე – გახსნან უფასო სასაღილოები და ამით ადამიანს ყველაზე ამაზრზენი შეურაცხყოფა მიაყენონ, რაც შეიძლება ამ ცოდვილ მიწაზე მოიფიქრო. ესაა ჩვენში დამკვიდრებული მორალი. ამ მორალიდან გამომდინარე, სიკეთე, მართლაც, დასასრულის დასაწყისია. ამიტომ გვეუბნება ნიცშე:

„ნუ იქმ სიკეთეს, რადგან სიკეთე დასასრულის დასაწყისია“.

გავიხსენოთ, სიკეთეს აქვს საწყისი და ეს საწყისი ღმერთია. ბოროტებას არაა აქვს საწყისი და ის ღვთის, სიკეთის უარყოფაა. ჩვენ ზემოთ განვიხილეთ ადამიანის არსი, როგორც, რაღაც „ჭურჭელი, სათავსო“, რომელსაც უღიადესი წმინდა ენერგიის, სიკეთის მიღება შეუძლია. ჩვენი არსის, „ჭურჭლის“ დამთრგუნველად დიდ ნაწილს ბოროტებით, ანუ სიკეთის უარყოფით ვავსებთ, და შესაბამისად, ღვთიური სიკეთის მისაღებად ადგილი აღარ რჩება. ჩვენი უსუსური აზროვნების ღონიდან სიკეთის, წმინდა ენერგიის შემეცნება, გააზრება ურთულესია. შედეგად, ჩვენი უგუნურობიდან გამომდინარე, ჩვენ უმცირეს წმინდა ენერგიას, სიკეთეს ვიღებთ. ამრიგად, რჩება მხოლოდ ერთი გზა – საკუთარ არსში მკვეთრად გამოსახული ბოროტების შემცირებას მინც შეეცადოთ და ამ ბოროტებისგან გათავისუფლებულ „ჭურჭელს“ ღმერთი თავად შეგივსებთ სიკეთით, სიყვარულით, წმინდა ენერგიით.

როგორც აღვნიშნეთ, ადამიანისათვის ურთულესია სიკეთის შექცევა და თუ ეს ასეა, მაშინ, როგორ შევძლებთ იმ სიკეთის „ქმნას“, რომელიც არ გვესმის. ვიმეორებთ, ჩვენ ბოროტების შემცირებას უნდა შევეცადოთ.

თუ გვეთანხმებით, მაშინ – **„ნუ იქმ სიკეთეს, რადგან სიკეთე დასასრულის დასაწყისია“.**

ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე ზედაპირულად დაფიქრებული ადამიანი იკითხავს: რა უზნეობას მთავაზობთ, რა, არ დავეხმარო ქონება-წართმეულთ, ლტოლვილებს, გაჭირვებულთ, მშვიერთ? – რა თქმა უნდა, უნდა დავეხმაროთ, მაგრამ არა იმ შეგრძნებით, რომ „სიკეთეს“ აკეთებთ, არამედ იმ შეგრძნებით, რომ თუ თქვენს თვალსაწიერში არის მშვიერი, განადგურებული, დამცირებული ადამიანი, ეს უპირველესად ჩემი, თქვენი, მთელი საზოგადოების უმოქმედობის, დაქვეითებული აზროვნებისა და უზნეობის შედეგია. გამოდის, რომ საკუთარი უზნეობის „გამოსწორებას“, უფრო მართებულად რომ ვთქვათ, უზნეობის შენიღბვას ჩვენ სიკეთეს ვუწოდებთ.

ამიტომ უპირველესად კითხვა საკუთარ თავს უნდა დაუსვათ – რა გავაკეთე იმისთვის, რომ არ იყვნენ შეურაცხყოფილნი, მშვიერი? რა გავაკეთე შენ ბოროტების შესამცირებლად? და მიხვდები, რომ მთელი პასუხისმგებლობა მომხდარზე შენ გეკისრება.

და იმას, რასაც შენ „დანმარებას“ ან „სიკეთის ქმნას“ უწოდებ, შენი უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის დამალვაა, ხალხისა და ღვთის წინაშე „სიკეთის“ სახელით „თავისმართლება“.

გავისხენოთ ქრისტეს სიტყვები: **„თქვენა ხართ, მართლებად რომ მოგაქვთ თავი კაცთა წინაშე, მაგრამ ღმერთი იცნობს თქვენს გულს, რადგან ის, რაც მალაღია კაცთა შორის, სიბილწეა ღმერთის წინაშე.“** (ლუკა 16, 15)

ღიან – ნუ გავაკეთებთ სიბილწეს, რადგან სიბილწე დასასრულის დასაწყისია.

სიკეთის „ქმნის მცდელობა“, ამაზრუნენი სიყალბის პროვოცირებას უწყობს ხელს, თუნდაც იმიტომ, რომ სიკეთის საბურველში გახვეული ბოროტების კეთებისა და დამკვიდრების საშუალებას იძლევა.

ჰკითხეთ უზნეოს თუ რამდენი სიკეთე გავაკეთა და ის გაბრწყინებული სახით ჩამოგითვლით, რამდენჯერ აჩუქა მათხივარს ოცი თეთრი, გადაიყვანა მოხუცი ქუჩის მეორე მხარეს, დააფინანსა ეკლესიის მშენებლობა . . .

და თუ მას ჰკითხავთ დამკვიდრებული ბოროტების იოტისოდენად შემცირებისთვის რა მოიმოქმედა, გარწმუნებთ, ლოგიკურ პასუხს ვერ მიიღებთ.

განვიხილოთ ნიცშეს ნათქვამი – „ჰკარი ვარდნილს“.

ერთი შეხედვით, ამაზე უფრო ამაზრუნენი, ბოროტი, მკაცრი ფრაზა არ არსებობს. მაგრამ დავფიქრდეთ, აქ საუბარია არა იმაზე, რომ ხელი ვკრათ უფსკრულის პირას მდგარ ადამიანს, ან წიხლი დავაჭიროთ დაცემულს, არამედ – „ჰკარი ვარდნილს“ – და ეს, თითქოს შეუმჩნეველი ნიუანსი, ყველაფერს ცვლის.

ადამიანები ერთმანეთს ვერ შეცვლიან; ჩვენ ერთმანეთს მხოლოდ არჩევანის გაკეთებაში შეგვიძლია დავეხმაროთ. მხოლოდ მიზანი, ხსნის გზა შეიძლება ვეძიოთ ერთად; ადამიანის ადამიანად ქცევა სხვა ადამიანის პრეროგატივა არ არის; ადამიანმა ადამიანის არსი საკუთარ თავში თვითონ უნდა აღმოაჩინოს. ხშირად ადამიანი „სულიერი ვარდნილს“ პროცესშია, ანუ ის ამაღლებისაკენ არ ისწრაფვის და მისი მდგომარეობა უმიზნო არსებობით შემოიფარგლება; ამ შემთხვევაში, ის უნდა გამოავიხილოს; მისი პრობლემა უნდა გავაშიშვლოთ და ვაიძულოთ გაიაზროს საკუთარი უსუსური – „ვარდნილს“ – მდგომარეობა; მხოლოდ ამ მიმართებით შეიძლება განვიხილოთ ნიცშეს სიტყვები: „ჰკარი ვარდნილს“. და თუ ის ადამიანია, მთელ ძალისხმევას გააზრებისა და ამაღლებისაკენ მიმართავს და საკუთარი პოტენციალის გამოყენებით შეეცდება წამოდგომას. ცხადია, მისი სურვილის გარეშე, სხვა ადამიანი მის გადარჩენას ვერ შეძლებს; ადამიანის თვითგადარჩენის ნიჭი ყოველ ჩვენგანში ღვთის მიერაა ჩადებული. არჩევანი ჩვენზეა, საით ვისწრაფოთ – ღვთისაკენ თუ უფსკრულისაკენ.

თუ ჩვენ „ვარდნილი“ ადამიანის პრობლემის არსში წვდომა არ გვსურს და ზედაპირულად ვუდგებთ მის გასაჭირს? – შესაბამისად, პრობლემის სათავეს კი არ ვეძებთ, ვაძლევთ იმას, რასაც გვთხოვს: ფულს, წუწუნის საშუალებას, მის ნაცვლად ვაკეთებთ საქმეს, გვეცოდება, ვაფეტიშებთ. . . შედეგიც დამანგრეველია – ის ადამიანი სულიერი დეგრადირებისაკენ უსასრულოდ მიექანება; და, მართლაც, როდესაც ადამიანი ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ჰელონიზმის უფსკრულში „ვარდება“ და ჩვენ მის პრობლემებს არ ვაშიშვლებთ, ამით მის უფსკრულში უსასრულო ვარდნას ვუწყობთ ხელს; და თუ ის უფსკრულში უსასრულოდ „ვარდება“, ვერასდროს გაიაზრებს, თუ რას ნიშნავს ნარკომანიის, ალკოჰოლიზმის, ჰელონიზმის . . . ჭაობი.

რომელია სიკეთე და რომელი – ბოროტება? ჭაობისაკენ უსასრულო, ვარდნის, „უწონადო“ მდგომარეობის განხგრძობილება, თუ „სწრაფი დაცემით“ გამოფხიზლება, წამოღვომის წინაპირობის შექმნა?

დიახ, კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ის რაც ამაზრზენი ბოროტება გვეგონა, თურმე შეიძლება ხსნა აღმოჩნდეს.

ამიტომ უნდა შეგვეძლოს სიკეთის საბურველში გახვეული უზნეობის განსხვავება „ბოროტებაში“ გახვეული ზნეობისაგან.

დიახ, არის „სიკეთის მქნელთა მორალისაგან“ განსხვავებული სხვა მორალი, რომელიც კაცობრიობის განვითარების უფრო მაღალ დონეს შეესაბამება. ის ადამიანის ძალების „აჯანყებას“ ეფუძნება და არა მისი – ეგოს; ის მოითხოვს არა მონის შეცოდებას, არამედ ადამიანის პატივისცემას, მისდამი ისეთივე დამოკიდებულებას, როგორც საკუთარი „მე“-სადმი. ის მოითხოვს ყოველი „მე“-ს განხორციელებას და აღსრულებას. შესაბამისად, არა სიცოცხლის ჩაქრობას, არამედ მის უმაღლეს სულიერ მდგომარეობამდე აყვანას. მხოლოდ ასეთი მორალი შეესაბამება ადამიანის ღირსებას და ეთანადება თანამედროვე კაცობრიობის იმ ნაწილს, რომელიც ადამიანის თავისუფლების წინამორბედაა.

ზნეობრივი კანონი, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს, რომ ადამიანი არასდროს იყოს მონა, თუნდაც სხვისი სისუსტის და თანაგრძნობის, შეცოდების მონა. ადამიანური „მე“ საკუთარი იდეალის, საკუთარი ღმერთის გარდა, არაფრის წინაშე ქედს არ უნდა იხრიდეს. ადამიანის „მე“ სხვისი სიმართლეზე, საზოგადოების სიმართლეზე, ყოფიერებაზე მაღლა დგას. ერთადერთი მოსამართლე, რომელიც „მე“-ზე მაღლაა, არის ის ზნეობრივი კანონი, რომელიც ქმნის მის ჭეშმარიტ არსს. განა ეს არ განაზოცრციელა დავითმა? განა ამას არ გვასწავლის ვაჟა?

ადამიანს არა მარტო აქვს უფლება, არამედ, ვალდებულიცაა ჯერ პიროვნება გახდეს და შემდეგ ზეადამიანი, რადგან ზეადამიანი არის გზა ღვთისაკენ.

ნიცშესათვის ადამიანი არის ის, რაც უნდა ამაღლდეს.

აუცილებლად გამოჩნდება განსწავლული სუბიექტი, ვინც გვეტყვის, რომ ნიცშეს შრომებში გამოთქმული არაეთიკური აზრების არასწორ ინტერპრეტაციას ვახდენთ, ვცდილობთ მის შრომებში დავინახოთ ის რაც მას არ დაუწერია. ვერ დავეთანხმებით, თუნდაც იმიტომ, რომ სწორედ ნიცშეს შრომებმა დაგვაფიქრა იმ უკიდურესად მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლის გარეშე ჩვენი საზოგადოების განვითარება შეუძლებლად მიგვაჩნია და ესეც საკმარისია, რათა მას მაღლობა გადავუხადოთ.

სამწუხაროდ, განსწავლულობა განათლებულობას ჯერ კიდევ არ ნიშნავს. გავიხსენოთ სოკრატეს აზრი – **განათლება და ზნეობა იგივეური ცნებებია.** შესაბამისად, დიდ შეცდომას მოიცავს ჩვენს საზოგადოებაში გავრცელებული გამოთქმები – მართალია გაუნათლებელია, მაგრამ ზნეობრივი ადამიანია, მართალია განათლებულია, მაგრამ უზნეო.

შეუძლებელია განათლებული უზნეო იყოს და გაუნათლებელი – ზნეობრივი!

“მორალურობა სრულიად არ ითვლება გრძნობის საგნად, ის მხოლოდ გონების საგანია.” (კანტი).

“არის რაღაც უდიადესი სიჯიუტე, რომელიც ადამიანს ამაღლებს და ეს სიჯიუტე მუდამ დაინდობა გადაწყვეტილებაში არ აღიაროს არავითარი ზნეობრივი მტკიცებულება, სანამ ის აზრის მეშვეობით არაა გამართლებული“ (ჰეგელი).

მართლაც, ვინ ჩაითვლება ზნეობრივად?

ვიმეორებთ, ცალკე აღებული, სოციუმისგან განცალკევებით არსებული სუბიექტის ზნეობა-უნეობაზე საუბარი აზრს მოკლებულია. ადამიანის ზნეობა ურთიერთობაში ვლინდება. ურთიერთობა ბადებს სისტემას. ურთიერთობა და სისტემა არ არის განსხვავებული განსაზღვრებები, ისევე, როგორც ჰეგელისათვის – რაოდენობა და თვისება. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, მოხსნილი ურთიერთობა სისტემაა. ადამიანი ურთიერთობს სხვა ადამიანებთან, ყალიბდება ჯგუფი, სისტემა და თუ ეს სისტემა გარემოს უკეთესობისაკენ შეცვლის საფუძველი ხდება, მხოლოდ ამ შემთხვევაში გვაქვს უფლება ადამიანს ზნეობრივი ვუწოდოთ. ზნეობის სხვაგვარი განმარტება ჩვენთვის მიუღებელია.

ამრიგად, ჩვენ პიროვნების ზნეობრიობის საკითხს სოციუმის პრობლემატიკიდან გამომდინარე ვიხილავთ. რაც შემდეგნაირად შეგვიძლია გავშალოთ:

თვითგანვითარებადი სახელმწიფოს შექმნის საფუძველი თვითგანვითარებადი საზოგადოებაა;

თვითგანვითარებადი საზოგადოების შექმნის გარანტი საზოგადოების თავისუფლების ხარისხის ამაღლებაა;

საზოგადოების თავისუფლების ხარისხის ამაღლება მხოლოდ ამ მიზნით გაერთიანებულ პიროვნებათა ჯგუფს, სისტემას ხელეწიფება;

და, მართლაც, ერთი ადამიანი, მისი პოტენციალის მიუხედავად, სამყაროს უკეთესობისაკენ ვერ შეცვლის;

შესაბამისად, პიროვნება მაშინაა ზნეობრივი, თუ ის იმ სისტემის შექმნას ცდილობს, რომელიც საზოგადოების თავისუფლების ხარისხს ამაღლებს, თვითგანვითარებად საზოგადოებას ჩამოაყალიბებს და თვითგანვითარებად სახელმწიფოს ჩაუყრის საფუძველს და ამრიგად აღასრულებს საკუთარ მისიას. დიახ, ზნეობრივი მხოლოდ ასეთ პიროვნებას შეიძლება ვუწოდოთ.

და ვინც სამშობლოს გადასარჩენად ამ ტრიადის – განათლება, ურთიერთობა, სისტემა – მნიშვნელოვნებას არ აღიარებს, ის არშემგარი ადამიანი, არისტოტელეს სიტყვებით, რომ ვთქვათ, უბრალოდ მონაა.

თქვენ შეიძლება დიდად ნასწავლი, გაწვრთნილი იყოთ, თუმცა, სამშობლოს გადასარჩენად ეს აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა.

დიახ, განათლება, შემოქმედება, პროგრესირებადი და ზნეობა იგივეური ცნებებია.

თუ პიროვნებას ამ სამი პარამეტრიდან (განათლება, შემოქმედება, პროგრესირებადი სისტემა) თუნდაც ერთი აკლია, ჩვენი აზრით, ის ზნეობრივად ვერ ჩაითვლება.

პროგრესირებადი სისტემის საფუძველების შესაქმნელად შევხედოთ ნიცშეს აზრებს ქრისტიანული ეთიკის თვალსაზრისით. რა გასაკვირიც უნდა იყოს, ნიცშე ძირითადად ქრისტიანული მორალისგან გამოდის.

დავფიქრდეთ.

ქრისტიანული მორალის ძირითადი პრინციპით ადამიანი აბსოლუტური ფასეულობაა, როგორც „ხატი და მსგავსი ღვთისა“.

ქრისტიანობის ზნეობრივ საფუძვლად ადამიანის მიწიერ და ღვთიურ საწყისებს შორის თანაფარდობა განიხილება. ეს იყო უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯი ანტიკური, ძველი სამყაროდან, რომელიც არ ცნობდა ადამიანს, როგორც უმაღლეს ფასეულობას და შესაბამისად, მას არშემდგარ სახელმწიფოს უქვემდებარებდა. ქრისტიანული სპირიტუალიზმი (სამყაროს სულიერი პირველსაწყისის აღიარება) მუდმივ სანქციას, უფლებას იძლევა ეთიკურ ინდივიდუალიზმზე, რომლისკენაც ნიცშე მიისწრაფვის. ქრისტიანული, როგორც იდეალური რწმენა ზნეობის პოლიციურ გაგებამდე არასდროს დაცემულა, იგი პატივს სცემს ადამიანის შინაგან თავისუფლებას, ღირსებას. ეს არის ქრისტიანობის ზნეობრივი არსი, მას ვერაფერს დააკლებენ თანამედროვე აფერისტები, რომელთაც თავხედობა ჰყოფნით, საკუთარი სულიერი სიცარიელე სპირიტუალური სიტყვებით შეფუთონ, საიდანაც ყველა ფასეულობანი გამოქარეს, ამოაშრეს.

ქრისტიანული ზნეობა ადამიანის შინაგან სიკეთესა და სიფაქიზეს ამალღებს და ამით ღმერთთან გვაახლოებს. ამ შინაგანი ზნეობრიობის მშვენიერება, სილამაზე, სიმძლავრე პოზიტივისტებისათვის – სუბიექტებისათვის, ინდივიდებისათვის, რომლებსაც საზოგადოების მართვის თავხედობა ჰყოფნით – გაუგებარია.

კანტი გვთავაზობს ადამიანის თავისუფლებისა და მისი ბუნების (აუცილებლობის) დუალიზმს. ზნეობის კანონი, თავისი წარმოშობით, მიეკუთვნება თავისუფლების სამყაროს, ის ადამიანის პიროვნულ ავტონომიას ითხოვს. ადამიანს მხოლოდ ზნეობრივი კანონის თავისუფალი აღსრულება ამალღებს. თავისუფლება არის ადამიანის „მე“-ს ზნეობრივი ბუნება. ყველა არგუმენტი აღებული „აუცილებლობის“ არსენალიდან თავისუფალი სამყაროს წინააღმდეგ, გულუბრყვილოა და არაღამაჯერებელი.

აუცილებლობა ხედვის უკანასკნელი, უმაღლესი წერტილია.

პიროვნების თავისუფლება მისი სულიერი „მე“-ს თვითგამორკვევაა. ყველაფერს, რაც ადამიანის „მე“-სთანაა თანხმობაში, თავისუფლების ბეჭედი აზის. ის ადამიანის შემოქმედების სინონიმი.

კანტის აზრით, ადამიანი თავისუფალია მაშინ, როცა ის ორიენტირს არა საკუთარ გრძნობათა სამყაროში, არამედ ზნეობრივ, გონიერ არსში ეძებს. თავისუფლება და ზნეობა იგივეური ცნებებია. აბსოლუტური ზნეობრივი კანონის შექმნა-დამკვიდრების მოთხოვნა, ადამიანის „მე“-სთვის აბსოლუტური თავისუფლების მინიჭებას ნიშნავს.

იყო პიროვნება, იყო თავისუფალი ადამიანი, ნიშნავს შეიცნო საკუთარი ზნეობრივი, გონივრული არსი, საკუთარი „იდეალური“ „მე“. ასეთი ადამიანი ვერ აიტანს ძალადობასა და უსამართლობას. ეთიკური ხედვის კუთხიდან გამომდინარე, სამარცხვინოა, ადამიანმა არ დაიცვას საკუთარი უფლებები, რადგან ეს თვითაღსრულების, თვითგამორკვევისათვის აუცილებელი პირობაა. სწორედ, ამას გულისხმობს ქრისტიანობა.

არ უნდა დაგვაბნოს აბსურდულმა ფრაზამ – თავისუფლება მიუწვდომელია; და მარად მიუწვდომლად დარჩება მათთვის, ვინც საკუთარ თავს უგუნური, არშემდგარი სუბიექტის დონეზე არსებობას მიუსჯის.

დაუკვირდით ცნება მიუწვდომელს.

სამყარო ცხოვრებასავით უსაზღვრო, რთული და ცვალებადია. აი, დგას ის ჩვენს წინაშე მთელი გრანდიოზულობითა და ბრწყინვალეობით; ჩვენ კი უბადრუკი სქემებითა თუ წარმოდგენებით ამ ბრწყინვალეობის – მარადისობის – სისტემის ბადეში მომწვევევას ვცდილობთ. და არა აქვს მნიშვნელობა თუ რა საოცარი გონებამახვილობითაა შექმნილი ეს სისტემა, რა სილამაზითა თუ ხელოვნებითაა შეკრული ამ ბადის კვანძები და კატეგორიები. . . მაინც სასაცილო (თუ სატირალია?) ჩვენი უბადრუკი ოცნება: ჩვენს მიერ გამოგონილმა სისტემამ საკუთარ თავში მთელი სამყარო შეითავსოს.

მართლაც, როგორ შეიძლება წარსული, აწმყო, მომავალი უსასრულოა, მარადისობა, გარინდული მყისიერებით გაგზობით?

ნუთუ ვერ ვხვდებით ამას?

ვხვდებით.

და თუ ადამიანს სამყარო უყვარს და ღმერთის სწამს, ის შინაგანად უღიადეს პოტენციალს ფლობს; სწორედ ეს აიძულებს მას ინტელექტუალური სიმაღლის წვდომას, ისეთი მეთოდის შექმნას, რომელიც აბსოლუტურ შემეცნებასთან მიგვაახლოებს, თუმცა მას ვერასდროს შევწვდებით. ესაა სწრაფვა „საჭიროსაკენ“. და ის მარადიულია. სამყაროს შემეცნების ჟინით, ვნებით შეპყრობილი ადამიანები მუდამ ზეადამიანური დაძაბვითა და შეუპოვარი შრომით ისწრაფვიან აბსოლუტური გონისაკენ. ისინი არიან შეპყრობილნი თვითორწმენით, რომ არსებულ რეალობაზე ამაღლება წინააღმდეგობებისა და პრობლემების გადალახვა, უსაზღვროს საზღვრულით გააზრება და სამყაროსათვის საკუთარი განაჩენის გამოტანა შეუძლიათ.

“საჭიროსაკენ“ კვბიძგებს ის ტიტანური სითამამე, ის გრანდიოზული ინტელექტუალური პირამიდები, აზრის სვეტიცხოველი, გონის ორატორიები და ფუეები, რომელიც გარანდიოზულის შემეცნებისკენ სწრაფვას მიეძღვნა.

ეს იწვევს ჩვენში აღფრთოვანებასა და უღრმეს პატივისცემას, ამას გვასწავლის კანტი, ჰეგელი, ვაჟა თუ გალაკტიონი. ღიას, ეს მათგან უნდა ვისწავლოთ მიუწვდომელის წვდომის მცდელობის ბედნიერება. მხოლოდ ეს შეგვაძლებინებს მთელი სითამამით ვცადოთ გავეართიანოთ თეოლოგია, ფილოსოფია და მეცნიერება – აბსოლუტური გონის მთლიანობა – რომელიც ოცნებადაკარგულ, უბადრუკ ადამიანთა უმეცრებამ განაცალკევა.

თუ ადამიანი ყოველივე ამას აღიარებს, მას პიროვნებად ამაღლების შანსი მხოლოდ მაშინ ეძლევა. სწორედ, ეს არის იდეალიზმის არსი და ამიშვლებს მათ სულიერ სიცარიელეს, ვინც მას წინ აღუდგება.

გონიერება ეს არის უნარი, დაინახო კავშირი ზოგადსა და კერძოს შორის (ი. კანტი).

ამიტომ გთხოვთ, დასკვნების გამოტანას ნუ ვიჩქარებთ. ღიას, ადამიანთა ისტორია არა მარტო სიკეთესა და ბოროტებას შორის დაპირისპირებაა, არამედ ადამიანის რეალურ არსსა და მის უმსგავსო ფალსიფიკაციას შორის დაუნდობელი ბრძოლაა. ეს სიყალბე ბადებს იმ ავადმყოფურ მიმზიდველობას, რომლის ზეგავლენითაც იქმნებოდა და იქმნება ადამიანთა სიძულვილზე აგებული ლეგენდები და მითები.

ამ ლეგენდებისა და მითების გამომსახველი ფორმა იმდენად დახვეწილია, მეცნიერთა, ფილოსოფოსთა და ხელოვანთა ისეთი ცნობილი გვარები დგას მათ უკან, რომ ეს სისამაგლე რეალობაში ფესვებს ღრმად იდგამს. ეს აზრობრივი, ეთიკური უმსგავსობის ესთეტიკა თავისი მრავალფეროვნებით, ფორმით, ადამიანის სიძულვილით გაუღენთილ სუბიექტს ქმნის. მას მონურ ფსიქოლოგიას უყალიბებს, რომელსაც სუბიექტი საღიზმთან, მაზოხიზმთან, მკვლევლობასთან უკვე ადვილად მიჰყავს. ამ სუბიექტთა სულიერი სამყაროს ფორმირება გონის, ზნეობის, კულტურის იგნორირებით, ვულგარული კონფორმიზმის სამყაროში ხდება; და ეს, მოტივაციის მიუხედავად, დაუსჯელად არ ჩაივლის, რადგან ჩვენ სიმართლისა და სიყალბის გააზრების უნარი გვაქვს; და თუ ამ ძიებას თავს ავარიდებთ, მაშინ აუცილებლად აღვიგვებით პირისაგან მიწისა. და რა სამწუხაროც უნდა იყოს, ესეც ისტორიული კანონზომიერება იქნება. რადგან ხმა მან უნდა აღიმადლოს ვისაც ხელეწიფება, ვისაც პრობლემის არსის წვდომა და შესაბამისად, გადაჭრის გზების ძიების პოტენციალი გააჩნია.

აუცილებელია ნებისმიერი საზოგადოებრივი მოვლენა, პოლიტიკა, სახელმწიფოს მართვის სისტემა ლოგიკური ანალიზით იქნას განხილული. თუმცა, ისიც ნათელია, რომ ასეთი მიდგომა საკითხის სრული სპექტრით წარმოჩენისათვის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. თუ ამ საკითხს ასევე სრულყოფილი ეთიკის, მისი შემადგენელი ესთეტიკისა და უმაღლესი ზნეობის ხედვის კუთხიდანაც განვიხლავთ, საკმარისობის მიღწევა შესაძლებელია. მის გარეშე, შეუძლებელია რეალური ცხოვრების ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეაფასო, რატომღა ესა თუ ის ადამიანი, მეცნიერი, ფილოსოფოსი, ხელოვანი და მათი აზროვნების ნაყოფი თუ ნამოქმედარი კარგი ან ცუდი, ვისი ნააზრე-

ვი შეამცირებს ან გაზრდის ბოროტებას საზოგადოებაში. **შესაბამისად, ჩვენ შეძლებისდაგვარად უნდა გვეყოს გონება, ჯერ როგორმე ადამიანის არსი გავიაზროთ და მერე გავბედოთ აზრის გამოთქმა და სოციალური თეორიების შექმნა.** წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანთა კეთილდღეობისათვის სახელმწიფოთა წარმოქმნის სოციალური თეორიების შეთხზვა აზრს მოკლებულია.

უხსოვარი დროიდან იწყება ადამიანის არსის, სიმართლე-სიცრუის, სამართალ-ფსევდოსამართლის, სახელმწიფოსა და მისი ფსევდოსისტემის რაობის გარკვევის მცდელობა. ამაში გარკვევას ცდილობს იურისპრუდენცია, ფილოსოფია, სოციოლოგია, პოლიტოლოგია, ეთიკა . . . არ არსებობს მეტ-ნაკლებად ცნობილი ფილოსოფოსი, რომელსაც ამ საკითხზე აზრი არ გამოეთქვას. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებმაც კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი როლი ითამაშეს. კერძოდ: **პითაგორა, პერკლიტე, დემოკრიტე, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, ეპიკურე, კონფუცი, ავგუსტინე, თომა აქვინელი, ჰობსი, ლოკი, კანტი, ჰეგელი . . .** ამასვე ცდილობდნენ ის ცნობილი პიროვნებები, რომლებიც უპირატესად არა ფილოსოფიურ, არამედ პოლიტიკურ-სამართლებრივ და სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებს იკვლევდნენ. მაგ., ძველი ბერძენი სოფისტები, ძველი ჩინელი ლეგისტები, რომაელი იურისტები, მაკიაველი, გროციუსი, მონტესკიე, რუსო, . . .

ამ პრობლემებზე შექმნილია უამრავი თეორია. არ არსებობს მეტ-ნაკლებად განათლებული ერი, რომელთა მითები და ლეგენდები ამ პრობლემას არ ეხებოდეს. ადამიანის არსზე, ამ სამყაროში მის ადგილზე თავისებური წარმოდგენა ჰქონდათ ეგვიპტელებს, ინდუსებს, ჩინელებს, ბაბილონელებს, სპარსელებს, ებრაელებს, ბერძნებს, რომაელებს, ქართველებს. . .

მართლაც, დაფიქრდეთ, იმ თეორიებში, რომლებიც სოციუმში სიმართლის, წესრიგის დამკვიდრებას ცდილობენ, ადამიანის არსი და ის ფენომენი, რომელიც ამაზეა დაფუძნებული – სახელმწიფო, როგორ არის წარმოდგენილი.

ამ თემის მნიშვნელოვანი ასპექტია, რასაც პოლიტიკურ-სამართლებრივ დარგს, ანუ საზოგადოების ცხოვრების წესს უწოდებენ. სხვა სიტყვებით, ეს წესრიგის დამყარების, კანონზომიერების დადგენის მცდელობაა.

მრავალფეროვანია ამ თეორიების საფუძვლები, თუმცა, ზოგადად, ის ადამიანის არსის ორ კონცეფციას ეყრდნობა. ერთი გვარწმუნებენ, რომ **ადამიანი ადამიანისათვის მგელია** და აქედან გამომდინარე, **მიზანი ამართლებს საშუალებას.** ადამიანის არსის ასეთი ინტერპრეტაციის გათვალისწინებით შეიქმნა და დამკვიდრდა შესაბამისი დიქტატორული, ტოტალიტარული სახელმწიფო.

მეორენი გარკვევით აცხადებენ – **დიას! ვიცით, რომ ადამიანი ადამიანისათვის მგელია, მაგრამ ისიც კარგად ვიცით, რომ ადამიანი ადამიანისათვის უფრო მეტია, ვიდრე თვით ადამიანი** და ესეც ჭეშმარიტებაა, რამეთუ, ერთი ადამიანის მიერ მეორის გადასარჩენად სიცოცხლის გაწირვა სხვაგვარად არ იხსნება.

გავერკვეთ ამ ორ მოსაზრებას შორის რომელია სიმართლე და რომელი ფალსიფიკაცია. ამაზე არა მარტო ჩვენი მომავალი ბედნიერება თუ უბედურებაა დამოკიდებული, არამედ ჩვენი ყოფნა-არყოფნაც.

უფრო მკვეთრად ჩამოვყალიბოთ ამოცანა – ადამიანი არაფრისაკენ, საწერ მაგიდასთან გამოგონილი კანონზომიერებისაკენ მიისწრაფვის, თუ მასში არის ღვთაებრივი საწყისი, თუნდაც მცირე, და ის ღვთაებრივი კანონზომიერების აღმოჩენას ცდილობს?

როგორც აღვნიშნეთ, **ადამიანის არსის, ყოფიერების, სამყაროში მისი მისიის გაუაზრებლად, მის სასიკეთოდ რაღაც სოციალური თეორიების შექმნა-დამკვიდრება შეუძლებელია და არ არსებობს მიზეზი, რომელიც ამ საკითხებისადმი ზედაპირულ მიდგომას გაამართლებს.**

მართლაც, ადამიანთა აზროვნების ისტორიაში ახალი არაფერია. არისტოტელე სახელმწიფოს წარმოქმნისა და დამკვიდრების, ბუნებრივი სამართლის პრობლემებზე აქტიურ აზროვნებას მაშინ იწყებს, როცა მისი სამშობლო ალექსანდრე მაკედონელის მიერ შექმნილი მძლავრი იმპერიის ჩრ-

დილქვემ ექცევა. ალბათ, უმძიმესი მოსასმენი იყო არისტოტელესათვის ალექსანდრე მაკედონელის ბერძნებისადმი მიმართვა – „მე ისე მიყვარს საბერძნეთი, რომ ათენსა და სპარტას ავტონომიას მივანიჭებო“. ცხადია, არისტოტელესათვის ეს მოწყალება უმძიმესი მოსასმენი იქნებოდა. ალბათ, მან პირველად მაშინ იგრძნო, რას ნიშნავს დასუსტებული სახელმწიფო. დიახ, მას უნივერსალური დასკვნები ეთიკასა და სამართალში სწორედ მაშინ გამოაქვს. ის ამ ტკივილმა აიძულა სახელმწიფოს დაცემის მთავარი მიზეზები გაეცნობიერებინა.

არისტოტელე აღნიშნული საკითხების განხილვას უმაღლესი ფასეულობიდან – სიკეთიდან იწყებს და სოციუმის მთავარი უჯრედის – კონკრეტული ადამიანის – კეთილდღეობის დამკვიდრების აუცილებელი პირობების გააზრებით ამთავრებს. იგი მიდის დასკვნამდე: **სამართალი და სიკეთე ერთი და იგივე არსის მატარებელია**. არისტოტელესათვის ერთი მხრივ, ეთიკა პოლიტიკის საწყისია, მეორე მხრივ, პოლიტიკურ სამართლიანობას თავისუფალ, თანაბარ ადამიანებში აქვს აზრი და არა თავისუფალსა და მონებს, არისტოკრატსა და ბარბაროსებს შორის.

არისტოტელეს აზრით, საერთო სიკეთე მოქალაქეთა შორის ღირსების მიხედვით ნაწილდება, ანუ იმისდა მიხედვით, ვინ რა წვლილი შეიტანა საერთო საქმეში. პოლიტიკური საზოგადოების უსაფრთხოებაც კი, მისი აზრით, დაკავშირებულია სიკეთის სამართლიან გადანაწილებასთან. ამ პრინციპის დაქვეითება საზოგადოებაში დამაბულობის საფრთხეს ზრდის და სახელმწიფოს რღვევა იწყება.

არისტოტელეს აზრით, სახელმწიფო ბუნებრივი განვითარების ნაყოფია. სახელმწიფო ისეთივე ორგანული ერთობაა, როგორც ოჯახი და თუ ოჯახის არსებობისათვის ხელშეკრულება არსებით როლს არ ასრულებს, სახელმწიფოსათვის ხელშეკრულებითი თეორია ასევე უმნიშვნელოა.

ადამიანი თავისი ბუნებით პოლიტიკური არსებაა, რომელიც საკუთარ თავს სრულყოფილად მხოლოდ სახელმწიფოში ამჟღავნებს. არისტოტელე მოქალაქედ მას მიიჩნევს, ვისაც საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია. სახელმწიფო მოქალაქეთა ერთობლივი არსებობისათვის საკმარისი თვითშემაკავშირებელი ფენომენია. ასეთ პოლიტიკურ საზოგადოებას ხალხისათვის სიკეთე, ანუ მშვიდობა მოაქვს და შრომის შემდეგ დასვენება. აქ ნათლად ჩანს აზრი: **სახელმწიფო – ადამიანისათვის და არა ადამიანი – სახელმწიფოსათვის.**

პოლიტიკური და სამართლებრივი მეცნიერება ადამიანთა კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ეს აზროვნების ერთადერთი არეალია, სადაც ადამიანი უკეთესი ცხოვრებისაკენ გზის ძიებას ცდილობს. ისტორიულად გამოცდილი პრინციპებისა და ფასეულობების თანამედროვე გააზრების გარეშე, მომავალ ცხოვრებაში ადამიანთა ორიენტაცია შეუძლებელია.

პოლიტიკური და სამართლებრივი მეცნიერების მთავარი მიზანი სახელმწიფოს, სამართლის, პოლიტიკის წარმოშობისა და განვითარების არსში გარკვევაა. მაშ, გავაცნობიეროთ, სახელმწიფოსა და სამართლის არსის ფენომენი ბუნებრივ კანონზომიერებას ემორჩილება, თუ ხელოვნურს, ხელშეკრულებითს.

ურიგო არ იქნება, თუ ჰობსისა და არისტოტელეს განსხვავებულ შეხედულებებს – საზოგადოების შექმნაში სამართალსა და მის როლზე – ერთმანეთს შევადარებთ.

ჰობსმა თავის მოსაზრებებს საფუძვლად ხელშეკრულებითი თეორია დაუდო. არისტოტელემ – ბუნებრივი წარმოქმნისა და განვითარების თეორია.

ორივეს აზროვნებაში იგრძნობა იმ გარემოს გავლენა, სადაც მათ უწევდათ ცხოვრება. როგორც აღვნიშნეთ, არისტოტელე ათენში იმ დროს ცხოვრობდა, როცა საბერძნეთი მაკედონელის იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო.

ჰობსის შემოქმედებაზე კი დიდი გავლენა მოახდინა რეველუციამ (1644-1645), სამოქალაქო ომმა. ცნობილია როიალისტურ წრეებთან ჰობსის კავშირები. ის რეველუციური ცვლილებით შემოფოთებული იყო. შესაძლოა აბსოლუტური ძალაუფლებისადმი მისი სიმპათიებიც ამით აიხსნას.

რეკლუციების დროს სიკეთის ცნება დევალივირდება. შესაბამისად, ჰობსის აზრით, საზოგადოებისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი ცნება, შეიძლება ისეთი მარტივი წინადადებებით გამოიხატოს, როგორცაა: „**სუვერენის მოვალეობა ხალხისათვის სიკეთის დამკვიდრებაა**“, ანუ სახელმწიფო ჩამოყალიბებულია არა სახელმწიფოსათვის, არამედ მოქალაქეებისათვის. ამ ფორმულირებაში, მართალია სიკეთესა და ჰუმანიზიმზე საუბარი, მაგრამ ჰობსის აზრით, სახელმწიფო, სუვერენი ისაა, რომელიც მოქალაქეების მიმართ რაიმე ვალდებულებებს როდი კისრულობს. ამ ფონზე სიკეთე დეკორაციასავით გამოიყურება და პრაქტიკულად, ყოველგვარი შინაარსისგან დაცლილია, რამეთუ ხალხის კეთილდღეობა, სიკეთე, მხოლოდ მმართველთა კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

მნიშვნელოვნად განსხვავდება ჰობსისა და არისტოტელეს შეხედულებები საზოგადოების ჩამოყალიბების შესახებაც:

ჰობსის აზრით, პოლიტიკური საზოგადოების ჩამოყალიბების ერთადერთი საფუძველი ნებაყოფლობითი ხელშეკრულებაა, რომლის მიხედვითაც, ინდივიდები ურთიერთმოლაპარაკებით გადასცემენ თავიანთ უფლებებს ერთ პირს, ან ჯგუფს. თურმე, მხოლოდ ასეთი აბსოლუტური ძალაუფლების მქონეს შეუძლია დაუცველობის და ძალადობრივი სიკვდილის შიშის მოსპობა. მხოლოდ ჰობსის ხელშეკრულებითი თეორიის მიხედვით შექმნილ სახელმწიფოშია შესაძლებელი ისეთი ცხოვრების დამკვიდრება, როცა ადამიანები შეძლებენ „**გამოიკვებონ თავიანთი შრომით**“. ჰობსის აზრით, ხელშეკრულებითი თეორიის ეს ფასეულობა ადამიანებს პოლიტიკურ საზოგადოებად ჩამოყალიბებას აიძულებს. სხვა სიტყვებით, თურმე ადამიანს საკვებისა და სიკვდილის შიშისაგან გათავისუფლების გარდა არაფერი სჭირდება.

ჰობსი ხელშეკრულებით თეორიას არა მარტო სახელმწიფოს შექმნას, არამედ მის განვითარებასაც უკავშირებს. მისი აზრით, ეს თეორია „ხელს უწყობს მეწარმეობის, გემომშენებლობის, მიწათმოქმედების. . . დარგთა განვითარებას. ზარმაცებს აქტიურ შრომაში ჩაბმას აიძულებს“.

ხელშეკრულებითი თეორიიდან გამომდინარე, აბსოლუტური ძალაუფლების შესუსტება, გაუქმება ისევ მიგვიყვანს არა სახელმწიფოს განვითარებად, არამედ შედეგთან „**ყველას ომთან ყველას წინააღმდეგ**“. მისთვის აბსოლუტური ძალაუფლება სახელმწიფოს განვითარების ერთადერთი გარანტიაა.

არისტოტელეს აზრით კი, სახელმწიფო – რაღაც მთელისა და მისი შემადგენელი ნაწილების ერთობა – მთლიანობაა, ამ ნაწილებს საერთო ინტერესები აქვთ. ცხადია, ამ ბუნებრივ სწრაფვას გაერთიანებისაკენ, განვითარებისაკენ ხელშეკრულება არ სჭირდება.

ჰობსი და არისტოტელე ხალხის კეთილდღეობაში სახელმწიფოს როლს სხვადასხვაგვარად განიხილავენ. ჰობსის აზრით, სახელმწიფოს გარეშე, ადამიანები თავიანთი აღვირახსნილი სურვილებით თავს დაიდუპავენ; ეს რომ არ მოხდეს, აუცილებელია ისეთი კანონების შექმნა, რომლებიც ადამიანის სურვილებს შეზღუდავს. ასეთი შეზღუდვები სიკეთეს მოუტანს ადამიანებსაც და სახელმწიფოსაც. შესაბამისად, **ის, რაც სიკეთეა ხალხისათვის, სიკეთეა სუვერენისათვის**. სიკეთის ასეთ გააზრებაში კონკრეტული ადამიანი საერთოდ იკარგება. ადამიანი არ შეიძლება იყოს სიკეთისა და ბოროტების მსაჯული. ადამიანის მიერ საკუთარი თავის მსაჯულად გამოცხადება ხელისუფლებას ასუსტებს. ამიტომ, სიკეთისა და ბოროტების რაობას კანონი და მოსამართლე განსაზღვრავს. სხვა სიტყვებით, ადამიანებს ამ თემაზე თავისუფალი აზროვნება ეკრძალებათ.

არისტოტელეს აზრით კი, სახელმწიფოს, მართლმსაჯულების არსი ის არის, რომ მან ყველა ადამიანს განვითარების საშუალება მისცეს. სახელმწიფოს არსი, ვალდებულებაა, ადამიანთა ურთიერთობაში ბოროტება შეამციროს და ამ გზით ხელი შეუწყოს სიკეთის დამკვიდრებას.

როგორც აღვნიშნეთ, ჰობსმა სახელმწიფოს ჩამოყალიბების თეორიას საფუძველად დაუდო ადამიანის ბუნებაზე მაკიაველის გარკვეული წარმოდგენა, რომლის მიხედვითაც, ადამიანები „**არიან უმადურნი, მერყეენი, ორგულნი, ჯაბანნი, ზარბნი**“. აქედან გამომდინარე, **ხალხის დასამორჩილებლად აუცილებელია . . . სასჯელის შიში, რომელიც გამუდმებით ებუქრებათ მათ**“.

ჰობსისათვის ადამიანი არა მხოლოდ ასოციალური, არამედ ინსტინქტებს აყოლილი არსებაა. ჰობსს არ უნდა ადამიანში მერე, ამალღებული მხარე დაინახოს. დაინახოს ის, რომ ადამიანს სოციუმში ცხოვრების აუცილებელი თვისება ბუნებით დაჰყვება და ხშირად მისი მხრიდან სხვისთვის თავგანწირვის მოწმენიც ვხდებით. და ესეც ცხადად გამოსახული რეალობაა!

ჰობსი ადამიანში იდეალურ საწყისებს პრინციპულად გამორიცხავს.

არისტოტელეს შემოქმედებაში კი ადამიანში იდეალურის ძიებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ადამიანი ინდივიდუალურია და ის, როგორც მატერიალური, ასევე იდეალური საწყისის მქონეა. ზოგადად, ადამიანის არსის გააზრება ჯერ კიდევ ურთულეს პრობლემას წარმოადგენს (თუ ეს საერთოდ შესაძლებელია).

დასკვნა:

არისტოტელეს შემოქმედებაში სიკეთესთან, საზოგადოების ჩამოყალიბებასთან, სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარებასთან მიმართებაში კონკრეტული ადამიანის როლი უნივერსალურად, ფართო სპექტრითაა წარმოდგენილი. არისტოტელეს ადამიანი უფრო რეალურია, ვიდრე ჰობსის საწერ მაგიდასთან მოგონილი, მხოლოდ ნეგატიური თვისებებით გაჯღენტილი. ჰობსის სახელმწიფო ვერ ასრულებს მთავარ მოთხოვნას – აქციოს ადამიანი უფრო უკეთეს სოციალურ არსებად, ვიდრე არის. არისტოტელეს მთელი შემოქმედება კი ამ მთავარ მიზანს ემსახურება.

შესაბამისად, ჩვენთვის რამდენადაც მისაღებია არისტოტელეს შეხედულებები ზემოაღნიშნულ საკითხებზე, იმდენად მიუღებელია ჰობსის მოსაზრებები.

პოლიტიკური და სამართლებრივი ისტორია საშუალებას გვაძლევს სახელმწიფოსა და სამართლის არსის, ბუნების შემეცნების განვითარების გზა დავინახოთ. ეს ყველაზე ეფექტურადაა შესაძლებელი სხვადასხვა სივრცესა და დროში არსებული განსხვავებული პოზიციებისა და შეხედულებების დაპირისპირებით. შესაბამისად, **სამართლის, პიროვნების და ძალაუფლების ურთიერთდამოკიდებულების** პრინციპებისა და იმ რაციონალური პოლიტიკური მოდელის გააზრებას შევეცდებით, რომელიც სახელმწიფოში წესრიგს დაამკვიდრებს.

ამჯერად, ზემოაღნიშნულ საკითხებზე ჰობსისა და ციცერონის შეხედულებები შევადაროთ. ციცერონიც, როგორც არისტოტელე და ჰობსი, მძაფრი სოციალური ცვლილებების პერიოდში ცხოვრობდა. ციცერონის ეპოქას სამოქალაქო საზოგადოების რღვევა დაემთხვა. ეს იყო დემოკრატიისა და შესაბამისად, რომის იმპერიის დასასრულის დასაწყისი. სამივეს, არისტოტელეს, ციცერონს, ჰობსს აწუხებდა ქვეყნის შემდგომი ბედი. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ ციცერონი, ისევე, როგორც არისტოტელე, სამშობლოს გადარჩენას თანამოქალაქეებში სიკეთის, სიბრძნისა და ჭეშმარიტების ნიადაგზე სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებით ცდილობდა. ჰობსს კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტოტალიტარული, აბსოლუტური ძალაუფლების დამკვიდრება მიაჩნდა გამართლებულად.

ჰობსი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოში ძალაუფლების დანაწევრებას, რითაც იგი აბსოლუტური ძალაუფლების თეორიასთან მიდის. ციცერონს სახელმწიფოს ეფექტურად მართვისათვის მისაღებად ძალაუფლების შერეული ფორმა მიაჩნია. ასეთი ფორმა, როგორც ადამიანთა შემდგომმა ისტორიამ დაასაბუთა, უფრო პროგრესულია, ვიდრე ერთმართველობა. შეხედულებათა ეს ორი პოლუსი საშუალებას მოგვცემს, ღრმად გავერკვეთ ამ მნიშვნელოვან საკითხში და მათ მიერ შემოთავაზებული თეორიების სუსტი და ძლიერი მხარეები აღმოვაჩინოთ.

ციცერონის აზრით, ბუნებას სამართალი თავად ახასიათებს. რადგან ადამიანი ბუნების ნაწილია, შესაბამისად, სამართალი ადამიანის მარადიული და თანდაყოლილი და არა შიშით შექმნილი თვისებაა. ბუნებითი სამართლის წყარო მთელ სამყაროშია. ადამიანთა ურთიერთობა, ყოფა, ადამიანთა სული და სხეული კანონზომიერებით, წესრიგითაა გაჯღენტილი. მის გააზრებაში სახელმწიფოსა და ადა-

მიანის ბუნებითი არსი ერთმანეთის მიმართ ჰარმონიულადაა წარმოდგენილი. შესაბამისად, ჰობსისგან განსხვავებით, ციცერონის შეხედულება ადამიანის შინაგან არსს ეთანადება.

ციცერონის აზრით, ბუნებითი სამართლის გაუქმების ან შეზღუდვის მცდელობა მკრეხელობაა; მისი სრული იგნორირება არც სენატის, არც ხალხის გადაწყვეტილებას არ შეუძლია; ის უცვლელია სივრცესა და დროში. ბუნებითი სამართალი პირველადია. ის **„წარმოიშვა უფრო ადრე, ვიდრე ნებისმიერი სხვა კანონი, ვიდრე სახელმწიფო“**. სამართალს ბუნება ადგენს; ბუნებითი სამართალი არის ის ბაზა, რომელზეც ადამიანთა ურთიერთობები, სახელმწიფო უნდა აშენდეს. მას რომ ადამიანები ადგენდნენ, მაშინ იქნებოდა სამართალი, რომელიც ყაჩაღობას, აფერისტობას . . . დააკანონებდა.

ციცერონის აზრით, ბუნებრივი სამართალი მუდმივი კანონია. ის აუცილებელია ყველასათვის, რადგან ბუნების კანონზომიერებიდან გამომდინარეობს. მისთვის პირველადია ბუნებრივი და არა პოზიტიური სამართალი; ბუნებრივი სამართალი სიმართლის კრიტერიუმი. პოზიტიური კანონები კი სიმართლეს უნდა შეესაბამებოდეს. აქედან გამომდინარე, ციცერონმა დაამკვიდრა სამართლებრივი პრინციპები. კანონის ქმედება ყველას ეხება; სახელმწიფო საერთო სამართლებრივი წესრიგია.

ჰობსის აზრით, ყველაფერს აბსოლუტური ძალაუფლება და მისი კანონები (პოზიტიური სამართალი) განსაზღვრავს. ასეთი მიდგომით, უკიდურესად „მარტივდება“ ურთულესი პრობლემა – რა არის სამართალი. სამართალი ყოველი მოქალაქისათვის არის ის წესები, რომელსაც აწესებს სახელმწიფო და ინდივიდმა ამის მიხედვით უნდა დაადგინოს, რა არის მართლზომიერი ქმედება და რა – არა. ასევე მარტივად შეიძლება დადგინდეს, რა არის სამართლიანობა და რა – უსამართლობა.

უსამართლობა არის ის, რაც კანონს ეწინააღმდეგება. აქედან – **აუცილებელია სუვერენის მიერ დადგენილი სუბიექტური კანონებისადმი მონური მორჩილება.**

ციცერონის აზრით კი, ბუნებრივი სამართალი არის კრიტერიუმი, საზოგადოების სამართლიანობასა და უსამართლობას შორის.

ჰობსის აზრით, პოლიტიკური საზოგადოების რღვევა მაშინ იწყება, როცა ბუნებრივი სამართალი – ადამიანის შინაგანი თავისუფლება იწყებს მოქმედებას. ადამიანთა თავისუფლების შედეგია მათი დაპირისპირება, ამიტომ, აუცილებელია ბუნებრივი სამართლის შეჩერება ან პოზიტიური სამართლით შეზღუდვა, რათა დაპირისპირება შეწყდეს და საზოგადოების შეკავშირება მოხდეს. ეი **ადამიანის თავისუფლების სურვილი ყველა უბედურების წყაროა.**

ციცერონის აზრით კი, საზოგადოება იკვრება მაშინ, თუ ის სამართლებრივ საკითხებში შეთანხმებულია და საერთო ინტერესები აქვს.

ჰობსისა და ციცერონის შეხედულებები სახელმწიფოში წესრიგის დამკვიდრების პოლიტიკურ მოდელზეც მკვეთრად განსხვავდება.

როგორც აღვნიშნეთ, ჰობსს წესრიგის გარანტიად მხოლოდ აბსოლუტური სუვერენის პოლიტიკური მოდელი მიაჩნია. სუვერენში ის გულისხმობს პირს ან ჯგუფს, რომელსაც ხალხი აბსოლუტურ ძალაუფლებას ნებაყოფლობით, ხელშეკრულებით გადასცემს. ცხადია, იგულისხმება ისეთი წესრიგი, როგორც სუვერენს აწყობს. სუვერენის ქმედებაზე საზოგადოების მხრიდან კონტროლი კი უბრალოდ იგნორირებულია.

ციცერონის აზრით, წესრიგის დამკვიდრების ეფექტურ პოლიტიკურ მოდელად ხელისუფლების შერეული ფორმა შეიძლება გამოდგეს: მონარქია – კონსულის ძალაუფლებით; არისტოკრატია – სენატით; დემოკრატია – სახალხო კრებით და ტრიბუნის ძალაუფლებით. მაშ ასე, ორი კონცეფცია, ორი შეხედულება.

ორი კონცეფცია:

პირველი – ადამიანი ადამიანისათვის მგელია.

მეორე – ადამიანში არის ღვთაებრივი საწყისი და ამ პრინციპის შესაბამისად, ადამიანთა საზოგადოება, სახელმწიფო, ემორჩილება ბუნების იმ კანონებს, რომლებიც უმაღლესი ღვთიური კანონზომიერებიდან გამომდინარეობს.

ამჟამად არსებული სახელმწიფოები მეტ-ნაკლებად, არაარსობრივი ცვლილებების გათვალისწინებით, ამ ორი კონცეფციიდან ერთერთს ეყრდნობა. რომელ კონცეფციას უნდა დაეყრდნოს ჩვენი საზოგადოება? თუ როგორ პოლიტიკურ-სამართლებრივ სისტემაზე უნდა აშენდეს ჩვენი მომავალი სახელმწიფო, რომელიც ამ უბადრუკი მდგომარეობიდან გამოგვიყვანს, არც თუ ისე ადვილი გადასაწყვეტია. აქ, ჩვენი ხასიათიდან გამომდინარე, ემოციური გადაწყვეტილების მიღება მორიგი შეცდომა იქნებოდა.

ჩვენს საზოგადოებაში მრავლად მოიძებნებიან ისეთნი, რომლებმაც თანამოქალაქეების მხრიდან არაადამიანური, მართლაც, ცხოველური დამოკიდებულება საკუთარ თავზე გამოსცადეს. ზოგის გონებრივი განვითარება კი შეჩერდა ლოზუნგზე – **მე თუ ენერჯის ხარჯვის, ზნეობის, განათლების გარეშე არ გავხდები მდიდარი, მაშინ საქართველოში ქვა ქვაზე ნუ დარჩენილაო**. ასეთი ადამიანების რიცხვი იმდენად დიდია, რომ უმრავლესობა ალტერნატივის წინაშე დგება – **ან საქართველოს ძარცვაში მიიღოს მონაწილეობა, ან მშვიერი მოკვდეს**.

ესეც ცხადად გამოსახული რეალობაა. ამას თავისთავად მივყავართ გარკვეულ ლოგიკასთან – ამ რეგრესის, მარცვის შეჩერება მხოლოდ „რკინის ბანჯგვლიან ხელს“ შეუძლია. ცხადია, ამ „რკინის ხელში“ იგულისხმება ყოველმხრივ აღჭურვილი მმართველი, სუვერენი, რომელიც მკაცრ კანონმდებლობას შექმნის და მას მთელი სისასტიკით აღასრულებს. მთელი ეს სამართლებრივი სისტემა უნდა დაეყრდნოს პრინციპს:

– **არავინაა სანდო, ყველა არშემდგარი ადამიანია, ანუ ცხოველი, რომელიც სუვერენის ბრძანებას მხოლოდ მათრახის შიშით ემორჩილება.**

ამ შემთხვევაში ველოსიპედის გამოგონება არაა საჭირო, არავითარი ტვინის ჭყლეტა არ გვჭირდება, ხელთ გვაქვს ზევით აღწერილი მაკიაველის, ჰობსისა და სხვათა თეორიები და ამ თეორიების ამოქმედების ტექნოლოგია არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს.

არსებობს მეორე გზაც.

ამ მიმართულების არსი შემდეგია: როგორმე საზოგადოების თითოეულ სუბიექტში თუ არა, უმრავლესობაში მაინც, იმ მინავლული ღვთიური ნაპერწკლის ანთება შეეძლოთ, რომელიც მასში ადამიანს, ანუ შემოქმედს გააღვიძებს. თუმცა, ყურადსაღებია ლოგიკაც – დაქვეითებული გონების სუბიექტში ადამიანის გაღვიძება არა მარტო უმაღლესი ზნეობის, განათლების, ძალისხმევის კოლოსალურ რესურსს, არამედ, საკმაოდ დიდ დროსაც მოითხოვს; და თუ ეს ურთულესი პრობლემა როგორმე დაგვძლიეთ, შესაძლოა, ამ დროისათვის პოლიტიკურ რუკაზე საქართველო ვეღარც ვიპოვოთ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს შიდა და გარე მტრები შესაშური მონღოლებით, გეგმაზომიერად ანადგურებენ ეკონომიკის, განათლების, ზნეობის საფუძვლების ნაშთებს, ამოცანის გადაწყვეტის იმედი იკარგება.

ამრიგად, გვაქვს ორი გზა:

1. **შექმნათ საზოგადოება, სადაც ადამიანი, ადამიანისათვის მგელია და აღვზარდოთ ადამიანი იმ სულისკვეთებით, რომ არავის ენდოს, გაანადგუროს ყველა და ყველაფერი, რაც მას საკუთარი ნების დამკვიდრებაში შეუშლის ხელს.**

2. **შექმნას საზოგადოება, სახელმწიფო, რომელიც სუბიექტში ზნეობრივ, შემეცნებადინტერესებულ, თავისუფალ ადამიანს განავითარებს, რის გარეშეც, პროგრესი, შემოქმედებითი საზოგადოების ჩამოყალიბება საერთოდ გამორიცხულია.**

პირველ გზას ძიება, მართლაც, არ სჭირდება. ჩვენ უკვე შევქმენით გონებაშეზღუდულთა, უზნეოთა საზოგადოება. ახლა რჩება უმცირესი – დაველოდოთ, და სულ მცირე ხანში გამოჩნდება

უცხოელი ბატონი, რომელიც რკინის უბანჯგვლო ხელით დისციპლინას დაგვიმკვიდრებს, რათა ჩვენ, როგორც მომსახურე პერსონალმა, მონებმა ზუსტად განსაზღვრულ დროს, ჩვენი ქალებით გამოთბარ საწოლში დილა-სადამოს ყავა მივართვათ. გონებაშეზღუდულიც უნდა ხვდებოდეს, რომ, სწორედ, ასეთი პატრონები ჰყავდა საქართველოს ბიზანტიის, სპარსეთის, მონღოლეთის, რუსეთის . . . სახით. შეიძლება ცხოვრების ასეთი წესი ვიღაცისათვის საოცნებოა, მაგრამ ჩვენთვის ეს გზა კატეგორიულად მიუღებელია. სამწუხაროდ, მეორე, ჩვენთვის ერთადერთი მისაღები გზა, ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილის აზრით მიუღწეველი და უტოპიურია.

უტოპია

უტოპია – ერთი შეხედვით, ოცნებათა შემმუსვრელი სიტყვა. სიტყვა, რომელიც თავის თავში ირონიას, ცინიზმს, გულგრილობას მოიცავს. ეს სიტყვა ნებისყოფა და გონებადაქვეითებულს ოცნების სიმბიძისა და ამ ოცნების აღსრულებისათვის საჭირო ქმედებისაგან ათავისუფლებს. გულგრილი ადამიანისათვის უტოპია ის უკანასკნელი ვერდიქტია, რომლითაც ის შემოქმედ ადამიანში ქმედების სურვილის ჩაკვლას ცდილობს. ვერდიქტი – „ეგ ხომ უტოპიაა“, ნიშნავს – **შეწყვიტე ოცნება, შეწყვიტე წინსვლა, გახდი ისეთი უმოქმედო, როგორიც მე ვარ.**

დიახ, უტოპია ჩვენს საზოგადოებაში ყველაზე ფართო მოხმარების სიტყვაა. ჩვენს სოციუმში ეს სიტყვა ოცნების, ფანტაზიების, შემოქმედების, უდიდესი ჩანაფიქრის აღსრულების ყველაზე მძლავრ ბარიერს აღნიშნავს. მის კედელთან გროვებდა ყრია დამსხვრეული ილუზიები, ოცნებები, მისწრაფებები. თუმცა, ჩვენი აზრით, უტოპიის არსში სოციუმის თვითგადარჩენის, თავდაცვის უდიდესი, პოზიტიური მნიშვნელობაცაა ჩადებული.

დიახ, უტოპია უდიდესი ფასეულობა, მართლაც, გადაულახავი ბარიერია იმ არშემდგარი ადამიანებისათვის, რომლებიც ამ ბარიერის კედლის ძირში, საკუთარ ოცნებებთან ერთად იბრწინებიან და ესეც ბუნების უდიდესი კანონზომიერებაა.

თქვენ წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, ეს ბარიერი რომ არ არსებობდეს. მაშინ ყველა ნებისყოფადაქვეითებული თავის უხამს ოცნებას, მიზანს განახორციელებდა. დაუკვირდით, რამდენი ნებისყოფადაქვეითებული (ანუ იგივე გონებადაქვეითებული) ჩუმად ბუზღუნებს, ნირწამხდარია, რაღაცით სასტიკად უკმაყოფილოა. ჩვენ მათი არ გვეშინია, რადგან მათ ისეთი უხამსი ოცნება, ისეთი ბოროტება ჩაიფიქრეს, რასაც ვერასდროს აღასრულებენ. მათაც ბარიერი აღუდგებათ წინ და ეს ბარიერიც უტოპიაა; თუმცა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ არშემდგარი ადამიანები ჩვენც უტოპიის ბარიერს აღვიმართავენ.

კვანტურ ფიზიკაში არის ერთობ საინტერესო, ე.წ. გვირაბული ეფექტი. ამ ეფექტის არსი შემდეგია: არის შემთხვევა, რომ ელემენტარული ნაწილაკი რაღაც ისეთი პოტენციური ბარიერის წინაშე აღმოჩნდება, რომლის გადალახვა, კლასიკური გაგებით, შეუძლებელია. თუმცა, ხდება საოცრება – ნაწილაკი, რომელიც ბარიერის დაძლევისთვის საჭირო ენერგიას არ ფლობს, მაგრამ აქვს მისი დაძლევის უდიდესი „სურვილი“, მოულოდნელად ბარიერის მიღმა აღმოჩნდება.

უფრო ნათლად, ვთქვათ, ელექტრონს რაღაც 1 ელექტრონვოლტი ენერგია გააჩნია; მის წინაშეა ბარიერი, რომლის გადალახვას 10 ელექტრონვოლტი ესაჭიროება; ხდება კვანტური ეფექტი – მოულოდნელად ელექტრონი ამ ბარიერს გადალახავს. ეს მოვლენა ფიზიკოსებმა ვერაფრით ახსნეს და „გვირაბული ეფექტი“ უწოდეს. თუმცა, რა ძალით ახერხებს ეს პატარა ელექტრონი „ბომბიდან ლონდონამდე გვირაბის გათხრას“, აბსოლუტურად გაუგებარია.

რა საოცარიც უნდა იყოს, ეს იდეალისტური აზროვნების ადამიანში დიდ გაკვირვებას არ იწვევს. რადგან ჩვენ, იდეალისტები, დარწმუნებულნი ვართ, რომ იდეას მატერიაში გადასვლა შეუძლია და, პირიქით. ამ მოსაზრების გათვალისწინებით, გვირაბული ეფექტი აბსოლუტურად ეთანადება ბუნების კანონებს. მაგ., ჰუსერლის აზრით, ელემენტარული ნაწილაკები (ჩვენს შემთხვევაში ელექტრონი), უფრო იდეებია, ვიდრე მატერიალური ნაწილაკები. მართლაც, ელექტრონი იდეაა და თავის მატერიალურობას მაშინ ამჟღავნებს, როცა ის ურთიერთობაში მაკროსისტემასთან (მაგ., სამეცნიერო ხელსაწყოსთან) შედის. თუ ეს ასეა, მაშინ ელექტრონისათვის, როგორც იდეისათვის, არავითარი ბარიერი არ უნდა არსებობდეს. თუ მას დიდი „სურვილი“ აქვს, დაძლევეს ბარიერს.

ამ ანალოგიით:

თუ მე მხოლოდ 1 მეტრის დაძლევა შემიძლია და ჩემ წინაშეა ასი მეტრის სიმაღლის ბეტონის კედელი (ბარიერი), მაშინ, ცხადია, მატერიალისტური აზროვნების მქონე ადამიანი ჩემგან ამ ბარიერის დაძლევის მცდელობას უკვე უტოპიას უწოდებს.

ჩვენი აზრით კი, თუ ადამიანი იდეას, მიზანს სიცოცხლის აზრად აქცევს, მაშინ ამ მიზნისაკენ მის სვლას, ვერავითარი ბარიერი ვერ შეაჩერებს, თუნდაც ორი მიზეზის გამო:

პირველი – გაიხსენეთ, რომ უდევექტო სისტემა ბუნებაში არ არსებობს, შესაბამისად, ნებისმიერ ბარიერს აქვს „დეფექტი“, „აქილევსის ქუსლი“ და თუ ამ დეფექტს აღმოვაჩინებ, ეს იმ ბერკეტის საყრდენი იქნება, რომელიც, არქიმედეს აზრით, ყველა წინააღმდეგობას დაგაძლევიანებს.

მეორე – ყველაზე მაღალი ბარიერიც კი, მხოლოდ ილუზორული, ჩვენს არასრულყოფილ გონებაში აღმართული ბარიერია და მისი სიმაღლე ჩვენი არასრულფასოვნების ხარისხზე მიუთითებს. სწორედ ეს, ჩვენ მიერ წარმოსახვით შექმნილი ბარიერია ჩვენი ოცნებების მსხვერვისათვის საშიში; თორემ მიზანმიმართულმა ადამიანებმა რეალურ ასმეტრიან ბარიერს კი არა, 8848 მეტრიან ვერვულს გადაუარეს პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით.

ნუ დავივიწყებთ, რომ რეალური ბარიერების უმრავლესობა ქაღალდზე დახატული ბეტონის კედელია, გაბედეთ და ხელი შეახეთ, ნახაეთ, რომ ის უბრალოდ გაიხვევა. ესეც თქვენი გვირაბული ეფექტი.

თუ ჩვენს შესაძლებლობებში ეჭვს არ შევიტანთ და მთელ ჩვენს პოტენციალს, რეზერვს ერთი იდეის, მიზნის აღსრულებისაკენ მივმართავთ, არ არსებობს ბარიერი, რომელიც წინ აღგვიდგება. მთავარია, ჩვენი ნებისყოფის სისუსტით, საკუთარ „მე“-ში „აზრობრივი“, ილუზორული ბარიერები არ შევქმნათ და ამით საკუთარ თავს შემოქმედება, ოცნების განხორციელება არ ავეუკრძალოთ. ნებისმიერი აღმოჩენის, გამოგონების ხორცშესხმის საფუძველი ხომ სწორედ მისი ავტორის ნებისყოფა და აზრობრივი თავისუფლებაა. ამაში აინშტაინიც გამოტყდა – ჩემს აღმოჩენას ვირის სიჯიუტეს და თავდაუზოგავ შრომისმოყვარეობას უნდა ვუმაძღვლოდეთ. ამით მან მანამდე ცნობილი აზრობრივი ბარიერი გაარღვია.

ადამიანთა ისტორიაში ბუნების ამ კანონის, „გვირაბული ეფექტის“, უტოპიური ბარიერის გარღვევის ურიცხვი მაგალითები არსებობს. გაიხსენოთ, თუნდაც ქრისტეფორე კოლუმბის მაგალითი. ნუ დავიზარებთ და დავფიქრდეთ ამ პიროვნებაზე. მრავალი ჩვენგანი მას იცნობს, როგორც პირველ აღმოჩენს. კოლუმბიც, ნებისმიერი ჩვენგანივით, მეოცნებე ადამიანი იყო. განსხვავება ჩვენსა და მას შორის ერთია, ის უდიდესი ნებისყოფის მქონე მეოცნებე იყო. გაიხსენოთ მისი ოცნება და ეს ოცნება უტოპიური თვალსაზრისით შევაფასოთ, ბარიერის სიმაღლე მოვსინჯოთ.

პირველი – მან ატლანტის ოკეანეში ისეთი გემით გასვლა ჩაიფიქრა, რომლის რესურსი თუნდაც წყლის, საკვების, საიმედოობის მხრივ, უკიდურესად შეზღუდული იყო. გამოცდილი მეზღვაურები ამტკიცებდნენ, რომ ღია ოკეანეში ასეთი მოგზაურობა მხოლოდ საუკუნეების შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი. მათი აზრით, ოკეანეში სამოგზაუროდ მძლავრი, მდგრადი, დიდი წყალწვევისა და ხანგრძლივად ავტონომიური სიცოცხლისუნარიანობის მქონე გემები უნდა შექმნილიყო. იმ დროისათვის კი ასეთი საოკეანო გემის აგება შეუძლებლად მიაჩნდათ.

ამრიგად, კოლუმბის ატლანტის ოკეანეში ვოიაჟი, მათი აზრით, აბსოლუტურ უტოპიას წარმოადგენდა.

მეორე – ამ ავანტიურისტული გეგმის განხორციელებისათვის უდიდესი თანხები, ანუ ჩვენის სიტყვებით რომ ვთქვათ, გულუხვი სპონსორი იყო საჭირო. კოლუმბის დროს ასეთი პროექტის დაფინანსება მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურს – მონარქს – მეფეს, ან დედოფალს შეეძლო (მონარქები კი სიძუნწით გამოირჩეოდნენ).

მესამე – უტოპია იყო ისიც, რასაც კოლუმბი ამ ვოიაჟის ჯილდოდ ითხოვდა. კერძოდ, იმის გარდა, რაც ხომალდის აგებას და სამოგზაუროდ მომზადებას სჭირდებოდა, ის დამატებით 10%-ის ითხოვდა ყველა იმ კომერციული გარიგებიდან, რაც მის მიერ აღმოჩენილ ქვეყნებთან დაიდებოდა. ასევე ის ყველა ზღვისა და ოკეანის ადმირალის წოდების მინიჭებას ითხოვდა. ეს კიდევ არაფერი, მისთვის ყველა აღმოჩენილი ქვეყნის შთამომავლობითი გენერალ-გუბერნატორობაც უნდა ებოძებინათ. ეს მოთხოვნები გაცილებით მეტად უტოპიური იყო, ვიდრე – პირველი და მეორე.

მეოთხე – ის უცხოელი იყო – ესპანეთში პორტუგალიიდან ჩავიდა და მისთვის რეკომენდაციის მიცემა არავის შეეძლო. რეკომენდაციის გარეშე კი, იმ დროს (და ახლაც) ნებისმიერი გარიგების დადების მცდელობა უტოპიური იყო.

მეხუთე – და მთავარი. მას გამოცდილებაც არ ჰქონდა. მანამდე ის გემის კაპიტანი არასდროს ყოფილა.

კოლუმბი, ამ უტოპიურობის მიუხედავად, დაუღალავად იბრძოდა საკუთარი ოცნების აღსრულებისათვის. ის სწავლობდა პროექტის დაგეგმვას, რუკების შედგენას, მან ზედმიწევნით იცოდა, რომელ ბიბლიოთეკაში რა ინფორმაციის მოპოვება შეეძლო. ის გამოცდილი მეზღვაურებისაგან თეორიულად სწავლობდა საზღვაო მოგზაურობის წესებს. თავისი გეგმის სტრატეგიას 14 წლის განმავლობაში ხვეწდა; საკუთარი პოზიციის მართებულობის დასადასტურებლად ურიცხვ ფაქტსა და დოკუმენტებს აგროვებდა. მთელი მისი არსი საკუთარი ოცნებისა და აღსრულების გეგმის გააზრებისაკენ იყო მიმართული და არა ხელშემშლელი პრობლემებისაკენ. მისი მიზნისაკენ სწრაფვა მზადების ხანგრძლივობამაც კი ვერ გაანელა. მას სწამდა, რომ ბოლოს და ბოლოს ის კაპიტნის რანგში, ოკეანეში ახალი მიწების აღმოსაჩენად გავიდოდა.

ყველა გულგრილის გულის გასახეთქად, მან უტოპიათა შორის ყველაზე უტოპიური ოცნების რეალობად ქცევა შეძლო.

ჩვეულებრივ, უტოპიაში აუხდენელს, შეუძლებელს გულისხმობენ. - ეს შეცდომაა!

უტოპია ხშირად დიდ როლს თამაშობს ადამიანთა ისტორიაში. შემოქმედი ადამიანისათვის უტოპია ქმედების სულისჩამდგმელი, მამაობრავებელი ძალაა და ის ხშირად უფრო რეალური და საინტერესოა მისთვის, ვიდრე წყნარი, მარტივი ჩანაფიქრის ასრულება. უაზრო, სასტიკი ცხოვრებით უკმაყოფილო, შეურაცხყოფილ ადამიანს სრულყოფილი, ჰარმონიული საზოგადოებრივი ცხოვრების წარმოსახვის რეალობად ქცევის სურვილი უჩნდება. შემოქმედი ადამიანი ფრაგმენტულად აღქმული სამყაროს გამთლიანებას ესწრაფვის. შესაბამისად, უტოპიის გადალახვის ოცნება მგრძობიარე, შემოქმედი ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა. ეს სწრაფვა ანიჭებს შემოქმედის ცხოვრებას აზრსა და სილაბაზეს. მხოლოდ შემოქმედს ხელეწიფება, სამყაროს მთლიანობაში აღქმით, უტოპიის გადალახვა. მორი, კამპანელა, ფურიე სწორედ ამით არიან საინტერესონი.

ამიტომ, ჩვენ ყველა ჯერ კიდევ ნებისყოფა და ლოგიკაშემორჩენილ თანამოქალაქეს მივმართავთ – ისწრაფეთ „მიულწევლის“ მისაღწევად! უპირველესად ეს მას ეხება, ვისაც სხვათა აზრის გაცნობისა და აღქმის უნარი ჯერ კიდევ შემორჩა.

შეგახსენებთ: XVI საუკუნეში ლათინური ამერიკის ათვისებაში ესპანელებმა მონღოლებითა და ვიკინგურებით ინგლისს აჯობეს. ინგლისს მხოლოდ ესპანელთა გემების ძარცვად დარჩენოდა. შესაბამისად, მეკობრეობა ინგლისის დედოფლის – ელისაბედ I – პოლიტიკის ნაწილად იქცა. სწორედ ამ დროს გამოიკვეთა უნიჭიერესი, მამაცი ადმირალი დრეიკი (1540-1596). დრეიკი ესპანურ ფლოტს შიმის ზარს სცემდა. ერთხელ დრეიკი ლათინური

ამერიკის სანაპიროებთან ესპანურ ფლოტს ჩაუსაფრდა. დრეიკის განკარგულებაში იყო მეორე გემიც, რომლის კაპიტანიც მისი მოწაფე და მეგობარი გახლდათ. ძლიერმა ქარიშხალმა ეს ორი გემი ერთმანეთს დააცილა. დრეიკი დიდხანს ეძებდა დაკარგული მეგობრის გემს; და ბოლოს, როცა ეს გემი ჰორიზონტზე შეჩიშნა, დანახა, რომ მას საჭე და მთავარი ანძა დაზიანებულა. დრეიკის გემი მეგობარმაც შენიშნა და სასიგნალო ენით აცნობა: ეკიპაჟი უწყლობით მელუკება და წყალი მომაწოდეთ. დრეიკი მიხვდა, რომ მოტეხილმა ანძამ სასმელი წყლის ავზიც დააზიანა და მან კურსი მეგობრის გემისკენ აიღო. უეცრად, მან ნადავლით მძიმედ დაღვრიულ ესპანურ გემს მოჰკრა თვალი. დრეიკი არჩევანის წინაშე აღმოჩნდა: ან მეგობრის გადაარჩენა, ან მოვალეობა ინგლისის წინაშე. მან ელვის სისწრაფით შეაფასა მდგომარეობა და მეგობარს აცნობა: ჩაუშვი ჭურჭელი და ამოიღე წყალი.

აღსანიშნავია, რომ იმდროინდელ ინგლისში გაერცელებული იყო ჟარგონი: „წაიღე ზღვის წყალი დალიე“, რომელიც ნიშნავდა – შენ ჩემგან ვერაფერს მიიღებ.

მეგობარმაც შენიშნა ესპანური გემი და მიხვდა, რომ დრეიკმა მეგობრობაზე მაღლა მოვალეობა დააყენა. უიმედო მდგომარეობაში მყოფმა კვლავ ანიშნა – წყალი მომაწოდეთ, თორემ ვიღუპებით!

დრეიკმა იგივე ბრძანებით უპასუხა – ჩაუშვი ჭურჭელი და ამოიღე წყალი! – და ესპანური გემისაკენ გასწია. რაც უფრო შორს მიდიოდა დრეიკის გემი მით უფრო უახლოვდებოდა მის მეგობარს სიკვდილი.

უიმედოდ დარჩენილმა მეგობარმა, უკანასკნელი ძალების დაძაბვით, კაიუტაძვე ჩააღწია და სავსებო ყურნალში ინგლისის მთავრობისადმი მიმართული ჩანაწერი გააკეთა: დრეიკმა დაარღვია დაუწერელი კანონი და თანამებრძოლები სიკვდილისათვის გაწირა, რისთვისაც ჩამოხრჩობას იმსახურებს.

ტრადიციის თანახმად, კაპიტანი სიკვდილს გემბანზე უნდა შეხვედროდა. მართლაც, ის კაპიტნის გემბანზე დადგა და უსაზღვრო ჰორიზონტს გახედა. . . და გამწარებულმა დრეიკის უკანასკნელი სიტყვები წმამადაა გაიმეორა: „ჩაუშვი ჭურჭელი და წყალი ამოიღე“. . . ეს სიტყვები დისციპლინირებულმა ბოცმანმა ბრძანებად მიიჩნია და უსიტყვოდ შეასრულა. მათდა გასაოცრად, ამოღებული ზღვის წყალი კრისტალურად სუფთა აღმოჩნდა.

საქმე იმაში გახლდათ, რომ დაზიანებული გემი მდინარე ამპონის დინებით წარმოქმნილი ასეულობით კილომეტრზე განუცობილი მტკნარი წყლის აუზში იდგა. მტკნარი წყლის ზღვის წყლისაგან გარჩევა მხოლოდ ზეპროფესინალ მეზღვაურს შეეძლო. მტკნარი წყალი უფრო მსუბუქია და შესაბამისად ზღვის წყლისაგან უმნიშვნელოდ განსხვავებულ ტალღებს წარმოქმნის. დრეიკმა ეს განსხვავება შენიშნა და მიხვდა, რომ უწყლობით დატანჯული ეკიპაჟი სწორედ მტკნარ წყალში იდგა.

რამდენიმე დღის შემდეგ, მოვალეობააღსრულებული დრეიკი მეგობრის დასახმარებლად დაბრუნდა. მეგობრის გემზე გადავიდა, სავსებო ყურნალის უკანასკნელ ჩანაწერს ჩახედა, ნაღვლიანად გაიღიმა და თქვა: „ჩემმა მეგობარმა უვიციობითა და უნდობლობით სასიკვდილო განაჩენი გამომიტანა“.

და მართლაც, ნუ გამოუვტანთ ჩვენნი უვიციობით ერთმანეთს სასიკვდილო განაჩენს!

გვახსოვდეს, წყლის ამოღება მხოლოდ იქიდან შეიძლება, სადაც დგახარ!

ჩვენ ვალდებულნი ვართ, უმეცრებით აღზევებული ეგოისტური ვნებები დავიცხროთ, ნებისყოფა მოვიკრიბოთ, ჩვენნი პოტენციალი და რეზერვი მიზანმიმართულად ავაშუშაოთ და ამ უიმედო მდგომარეობიდან უსწრაფესი რაციონალური გამოსავალი ერთად მოვძებნოთ.

გავიხსენოთ, რა შემოგვითვალა დამარცხებას შეუგუებელმა პიროვნებამ: – **თუ მტერმა უსუსურ მდგომარეობაში მოგისწრო და შენ ისევ ცოცხალი ხარ, ის უკვე ხელთა გყავს.**

დიახ, კრიმინალურ-პოლიტიკურმა ბანდამ ზნეობრივ და განათლებულ ადამიანებს მოუშადადებლეს მოგვისწრო, მაგრამ ჩვენ ისევ ცოცხლები ვართ. ეი ისინი ჩვენს ხელთ არიან და მათ რიცხვს უკვე მნიშვნელობა არა აქვს.

სპარტელი არ კითხულობდა რამდენია მტერი, ის კითხულობდა: სადაა მტერი, ანუ არა – რამდენი, არამედ – სად.

ჩვენ სპარტელებთან შედარებით დიდ უპირატესობას ვფლობთ, ვიცით – სადაა მტერი. ის გაუნათლებლობაში და უზნეობაშია.

როდესაც ჰანიბალმა და მისმა თანამებრძოლებმა ალპებში გზა დაკარგეს, ჰანიბალმა თანამებრძოლებს სიტყვით მიმართა:

– ჩვენ ორი გამოსავალი გვაქვს – ან ვიპოვოთ გზა, ან გავაგრძელოთ გზა.

დიახ – ან ვიპოვოთ გზა, ან გავაგრძელოთ გზა!

ვცადოთ, და ეს, ერთი შეხედვით, მარტივი წინადადება ღრმად გავიაზროთ.

დიახ, ჩვენ ის გზა, ის ორიენტირი უნდა მოვებნოთ, რომელიც ამ უბადრუკი მდგომარეობიდან გამოგვიყვანს.

რამდენად ხელეწიფება ადამიანს ჭეშმარიტი ორიენტირის აღმოჩენა და მისკენ სვლა?

შეუძლია თუ არა ადამიანს საკუთარი შემეცნებით ჭეშმარიტებას მიუახლოვდეს? თუ ესეც უტო-
ბიაა?

კაცობრიობას, 50 საუკუნის განმავლობაში, გასააზრებლად მრავალფეროვანი ინფორმაციული მა-
სალა დაუგროვდა. აღნიშნული ინფორმაციის აღქმა ადამიანის შემეცნების ხარისხობრივად ახალ, ამაღ-
ლებულ დონეზე გადასვლას ითხოვდა.

ადამიანი ბუნებასა და საზოგადოებაში ყოველი ფენის ნაბიჯზე საყოველთაო ურთიერთკავშირების
დამადასტურებელ ფაქტებს აწყდებოდა. და შესაბამისად, შემეცნებადიანტერესებული ადამიანი ყველა-
ფერში გარკვევას, სამყაროს კანონზომიერების შეცნობას ცდილობდა.

მეტაფიზიკური აზროვნების მეთოდებით სამყაროს სრულყოფილად შემეცნების მცდელობამ კრახი
განიცადა. დეკარტეს მეცნიერული მეთოდი, სამწუხაროდ, მხოლოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
მოთხოვნებს აკამოფილებდა. რაც უფრო მეტი ცდისეული ფაქტი და ცოდნა გროვდებოდა, მით უფრო
ცხადად იგრძნობოდა ამ დაგროვილი ენციკლოპედიური ცოდნის გაანალიზებისა და დასკვნების გამოტა-
ნის აუცილებლობა. ცივილიზაციის განვითარების ახალ საფეხურზე გადასვლა სამყაროს, კაცობრიობის
ისტორიასა და კულტურას შორის კავშირის დადგენას საჭიროებდა.

იწყება სამყაროს ახლებური გააზრება-შემეცნება. ჩვენი აზრით, იმანუელ კანტი გახლდათ პირვე-
ლი იმ მრავალთაგან, ვინც ამ ამაღლებულ მოთხოვნას გამოეხმაურა. მისი მთავარი ამოცანა აზროვნების
მეთოდების დახვეწა იყო. მან კრიტიკულად შეხედა ადამიანის შემეცნების უნარს; მისი აზრით, სანამ სა-
მყაროს შემეცნებას შეუვდებოდა, აუცილებელია ჩვენი შემეცნების უნარი გამოვიკვლიოთ. უნდა გავერკვეთ
ჩვენი შემეცნების ინსტრუმენტის შესაძლებლობებში, და თუ, მისი პარამეტრები არაადაკმაყოფილებე-
ლია, შესაბამისად, შემეცნებაც დაბალი ხარისხის იქნება.

შემეცნებადიანტერესებულმა ევროპულმა საზოგადოებამ ეს ლოგიკური დასკვნა აღფრთოვანებით
მიიღო. ამ საზოგადოებამ ჯერ კიდევ არ იცის, რომ ჰეგელის ბრწყინვალე გონებასთან გამოგნებული
შეხვედრა ელის.

დაუბრუნდეთ კანტს.

კანტს აღიზიანებდა იმეამინდელი ფრანგული მატერიალიზმი და მას სამყაროს პასიურად აღქმის,
არეკელის მეთოდად მიიჩნევდა. თავად კანტი ბუნებისმეტყველიც გახლდათ. მას სწამდა ადამიანის შემ-
ეცნების უდიდესი შემოქმედებითი ძალა. ამიტომ ის ამ ძალის გააქტიურებას კატეგორიულად ითხოვდა.

გაჩნდა კითხვა – სადაა ამ აქტიურობის წყარო?

ამ კითხვას პასუხს სცემს არა ბუნებისმეტყველი კანტი, არამედ იდეალისტი კანტი. ის გონს ზებუნე-
ბრივ უნარს ანიჭებს, რასაც მან აპრიორული უწოდა. აპრიორული – თანდაყოლილი, ანუ პრაქტიკისგან
დამოუკიდებელი უნარი.

კანტისთვის სივრცე და დრო ის სუბიექტური ფორმებია, რომელსაც სინამდვილეს ზემოდან ვა-
ფარებთ. თვით ბუნება, სამყარო ჩვენ მხოლოდ ზედაპირულად გვეხსნება და არა არსობრივად. შესაბამისად,
ის შეუცნობლად რჩება, ანუ – „საგნად თავის თავში“.

კანტის ბრწყინვალე გონების წინაშე დადგა პრობლემა: როგორი ურთიერთკავშირია ემპირიულსა
და თეორიულს, მოვლენასა და მის არსს, კერძოსა და მილიანს შორის.

**მან გამოიტანა დასკვნა: სამყარო, მატერია, რომელიც ჩვენმა გონებამ უნდა შეიმეცნოს,
წარმოვიდგება, როგორც ემპირიული მასალა ლოგოსის, საყოველთაოს გარეშე.**

ჰეგელს სწორედ კანტის ეს დასკვნა აღიზიანებს.

ჰეგელის აზრით, თუ სინამდვილე, ანუ ის სამყარო, რაც ჩვენ თვალწინაა, კანტის მიერ არაგონიერუ-
ლად (ლოგოსის გარეშე) ცხადდება. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ გონებაც, როგორც სამყაროს უცილობელი
შემადგენელი, არაა სინამდვილე?

თუ ჭეშმარიტი ცოდნის მიღება შეუძლებელია, ხომ არ ვწირავთ საკუთარ თავს არაჭეშმარიტი ცოდნისათვის? რად ღირს ასეთი ცოდნა? რაში გვჭირდება ის?

თითქოს, გამოდის, რომ კანტმა უფსკრული გათხარა საგანს „თავის თავში“ და სუბიექტს შორის, ზოგადად რომ ვთქვათ, უფსკრული – სუბიექტსა (შემქმნებელსა) და შესამქმნებელ ობიექტს შორის.

გამოდის, რომ შემქმნებადინტერესებული ადამიანი ან ამ უფსკრულის პირას ტკეპნის მიწას, ან ლაბირინთში შედის, საიდანაც არაა გამოსავალი. თითქოს, შემქმნების მწვერვალისკენ მძლავრი შტურმი მთის ძირშივე მთავრდება. შესაბამისად, ჩვენი შემქმნების უნარის შემოსაზღვრულობას, სისუსტეს უნდა შევეგუოთ.

სწორედ, კანტის დასკვნიდან გამომდინარე ასეთი შედეგი აღმოჩნდა მიუღებელი ჰეგელისათვის. კანტის ფილოსოფიაში დანახული სკეპტიციზმი და სუბიექტივიზმი ხდება ჰეგელის მხრიდან მისი კრიტიკის საგანი.

ჩვენი აზრით, კანტის ფილოსოფიისადმი ჰეგელის გაღიზიანება ცოტა გადაჭარბებულია. როგორც აღვნიშნეთ, ძნელია კანტს „აგნოსტიციზმი“ დააბრალოთ.

ჰეგელს უკვირს – როგორ შეიძლება გამოვიკვლიოთ ჩვენი შემქმნების უნარი შემქმნებადღე, ან შემქმნების პროცესის გარეშე?

ასეთი სურვილი წყალში შესვლამდე ცურვის სწავლის მცდელობას ხომ არ ჰგავს?

აქ ჰეგელი ცამდე მართალია. თუ კანტი „უფსკრულს“ ერთ ნაპირზე შემქმნებას განიხილავს, მეორეზე კი შესამქმნებელი საგნის ჭეშმარიტებას, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ შემქმნება ჭეშმარიტების მიღმა აღმოჩნდება? – მსჯელობს აღშფოთებული ჰეგელი. ის ისეთი გაბრაზებულია, რომ ეთიკასაც არღვევს: „ცხოველებიც კი არ არიან ისეთი სულელები, როგორც ეს მეტაფიზიკა, რადგან ისინი თავს ესხმიან გრძნობად საგნებს, შეიპყრობენ მათ და ჭამენ.“

თუ კანტი შემქმნებისადმი უნდობლობას განიცდის, ჩვენც უნდობლობა ხომ არ გამოვავლინოთ ამ „უნდობლობის“ მიმართ? ამ შემთხვევაში დაბნეულობისადმი შიში თვით დაბნეულობა ხომ არაა? აქ ჭეშმარიტების წინაშე შიშს ხომ არა აქვს ადგილი? ან ინტელექტუალური თვითმკვლელობისაკენ გზა ხომ არ არის?

ეს, მართლაც, მიუღებელია ჩვენთვის, მაგრამ აქ პატიოსანმა ადამიანმა შეიძლება დასვას კითხვა: ჩემი გონების შესაძლებლობის ზღვრის დადგენა-გარკვევის პროცესი შემომლის თუ არა ხელს, იმავდროულად, სხვათა ნაზრევის შედეგები რაციონალურად გამოვიყენო? მაგ., შევიდე წყალში და იქ ვისწავლო ცურვა? – ალბათ, არა.

რა თქმა უნდა, კანტის შემოქმედებაშიც უნდა მოვიძიოთ ყველაფერი, რაც ჩვენი მიზნის მისაღწევად გამოგადგება და რაციონალურად გამოვიყენოთ. ცხადია, არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი მთავარი „ლოზუნგი“ – განვითარებადი საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად მთავარია არა ობიექტები (კანტი, ჰეგელი, ვაჟა, სოკრატე . . .), არამედ მათი შემოქმედების, ნაზრევის სინთეზი, ანუ მათთან ურთიერთობა.

ჩვენი აზრით, გონების გზა სიმამაცისა და უდრეკელობის გზა უნდა იყოს; იმ რწმენის გზა – რომელსაც წინ ვერაფერი აღუდგება. ჰეგელის ლოგიკური მსჯელობის, ნათელი გონების წინაშე იზიდას ქანდაკებაზე ამოკვეთილი სიტყვები – „მე ვარ ის, რაც იყო, არის და იქნება, მოკვდავთაგან ვერავინ ამხადა საბურველი“ – უბრალოდ ქრება. ჰეგელმა არა მარტო საბურველი ახადა იზიდას, არამედ გააშთმვლა ის და ლეღვის ფოთოლიც არ დაუტოვა.

ჰეგელი საზეიმოდ, მთელი ხმით აცხადებს – გონება „ყველა სიმამლზე და ყველა სიღრმეზე საკუთარი სუვერენიტეტის ნიშანს აღმართავს.“

ჰეგელის ეს სიტყვები კანტის აზრის საპირწონეა, რადგან კანტისათვის რეალობა არაა გონის რეალობა. დიას, ჰეგელისათვის გონი „უნდა იყოს მთლიანად რეალური.“ ჰეგელისათვის არაფერი არ არსებობს, თუ ის არაჭეშმარიტია, თუ ის არაა გაუქვნილი აზრით, გონით, იდეებით.

ასეთი ღონის აზროვნება ქართველისთვის გასაკვირი არ უნდა იყოს. განა იგივე ფილოსოფიური ხედვა ვაჟამ უფრო მნატურულად არ გაგვანდო, სანამ ჰეგელს გავეცნობოდით? გავიგეთ მისი ნათქვამი? ჩავწვდით კი მის ნააზრევს? – ალბათ ვერა, რადგან გულდაწყვეტილმა ვაჟამ ეს მწარე ფრაზა დაგვიტოვა: „სიყრმე სიბერედ ვაქციე, ერი კი ვერა ერადა“.

როგორც ვაჟასთვის, ისე ჰეგელისთვის, აზრი, სული, ერი, სახელმწიფო, ხელოვნება, მშვენიერება, სიმართლე, . . . – ეს ის გარეგანი საბურველია, რომლითაც ადამიანის გონის წინაშე წარსდგა სამყარო. ვაჟასა და ჰეგელისთვის ნებაც კი ინტელექტია, ღმერთი – ლოგიკა.

ღიას, სამყაროს შექმნის შემდეგ ღმერთს ლეთარგიული ძილით არ დაუძინია. ის მარადიული განვითარების არსია.

ღიას, მთავარია პროცესი – გონის შემეცნების მუდმივი ამაღლება. ამიტომაც, რომ ჰეგელი ყურადღებას არა საგნებზე, არამედ საგანთა შორის ურთიერთობაზე ამახვილებს.

სიკვდილში ის ხედავს დაბადებას, დაბადებაში – სიკვდილს; და სიკვდილში აბსოლუტურ არაყოფიერებაში გადასვლა როლი იგულისხმება, არამედ ყოფის ახალ ფორმაში გადასვლა. აქ გასახსენებელია გოეთე – „სიკვდილის ღირსია ყველაფერი, რაც არსებობს“.

ჰეგელი ასამაღლებლად ყველგან და ყველაფერში უცილობელი დაცემის ნიშანს ხედავს.

ეს ის სულია, „რომელიც მარად უარყოფს“; სხვაგვარად მართლაც შეუძლებელია უწყვეტი აღდგომა; მართლაც, თუ არა მუდმივი განახლება, ანუ მიღწეულის უარყოფა, მარადიული ამაღლება შეუძლებელი გახდებოდა.

არ იფიქროთ, რომ ეს უარყოფა მარტივი განადგურებაა; ეს ისეთი უარყოფაა, როდესაც განვითარებით მიღწეული ყველა ფასეულობა ინახება და ახალ ღონეზე გადადის, და ამით უფრო ამაღლებულ, ღირსეულ ახალ ფორმას ქმნის.

უარყოფის პროცესში, ანუ ფორმის ცვლილებისას, ურთიერთუარამყოფელნი არა თუ ეწინააღმდეგებიან, არამედ ავსებენ ერთმანეთს.

ღიას! კაცობრიობის მიერ მოპოვებული სულიერი სიმდიდრიდან გადასაგდები ან უსარგებლო არაფერია; არც გვერდზე გადაიდება რამე და არც ყურადღების გარეშე რჩება; არამედ ყველაფერი ერთად მთელს, კულტურის ცოცხალ მზარდ ხეს ქმნის; და ამ ხის ზრდას ადამიანის აზროვნების უმნიშვნელო წინსვლაც კი განაპირობებს; რაც უფრო იზრდება ის, მით უფრო ძლიერდება ამ ხის გვირგვინი.

ჰეგელის ფილოსოფიაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე. როდესაც აბსოლუტური სული შემეცნების მწვერვალისაკენ იწყებს სვლას, მაშინ ამ გზაზე ინდივიდს, ცალკეულ ადამიანს არაფერი ესაქმება.

აქ თითოეული ინდივიდუალური შემეცნების ნაპერწკალი სხვათა ნაპერწკლებს ერწყმის, ერთიანდება და ფეიერვერკი, ცეცხლი წარმოიშობა. სწორედ, ეს ერთობა, ცეცხლი ქმნის ლოგოს-ცეცხლს, რომელშიაც ჰეგელის სიტყვებით, – „სუბიექტურობის კოლოები“ იწყება.

მართლაც, გაიხსენეთ თქვენთვის ძვირფასი ადამიანი. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ თავი მისგან განცალკავებულად? მართლაც, ჩემგან მისი შემეცნების წყურვილის და მისგან ჩემი შემეცნების სურვილის ერთობა ურთიერთგაგების, ურთიერთობის ლოგოს-ცეცხლის წარმოქმნის წინაპირობას ქმნის. ამ უღიდესი მიზნის ბედნიერების მიღწევასაც ბარიერის გადალახვა სჭირდება.

განა თავდაპირველად ორ ადამიანს შორის არ არსებობს ბარიერი? განა შეყვარებულში გახსნა ბრძენის გადალახვას არ მოითხოვს?

დაფიქრებულხართ რა განსხვავებაა კარგ ქალსა და იდეალურ ქალს შორის? – განსხვავება იმაშია, რომ კარგ ქალს შეუძლია იდეალური ქალი დაგავიწყოს.

და გიჩნდება შინაგანი აუცილებელი მოთხოვნა უთხრა მას – მე შენ მიყვარხარ არა იმიტომ, რომ შენ შენ ხარ, არამედ იმიტომ, რომ შენთან მე მე-ს ვუახლოვდები.

სწორედ ესაა ბედნიერება, რადგან ვიცი – ჩემში ჭეშმარიტი მე ღმერთია. ჩემში მეს დაბადება მხოლოდ რეალური ქალის სიყვარულს შეუძლია. მხოლოდ შენთან ურთიერთობით მყვანდება ჩემი მე. მხოლოდ სიყვარულს შეუძლია ჩემი ასეთი შეცვლა. სხვასთან მე ჭეშმარიტი მე არ ვარ. და თუ მე სხვასთან, ყველასთან მე ვარ და არ ვიცვლები ეს ნიშნავს, რომ საკუთარი მე ვერავისთან აღმოვაჩინე; ანუ ურთიერთობა ვერ შედგა, ეს უბრალოდ კონტაქტია და არა ურთიერთობა; მე საკუთარი თავი ვერ ვპოვე და მარტო ვარ მცოხნავი ცხოველივით, რომელსაც ბალახისა და ძროხის გარდა არაფერი უნდა. თუ შენში გახსნამ მე ღმერთს არ მიმახლოვა, მაშინ არც ბარიერი გადალახულა. ურთიერთობამ უნდა შეცვალოს ურთიერთობის ობიექტები. არაა ცვლილება – არაა ურთიერთობა.

ზოგადად ქვეყნის განვითარებისათვის ჩვენმა გაერთიანებამ, ანუ ურთიერთობამ თუ ჩვენ არ შეგვცვალა უკეთესობისაკენ, მაშინ ჩემი, შენი და მისი სამშობლოსადმი სიყვარული უბრალოდ ილუზიაა.

გიყვარდეს მოყვასი შენი – ნიშნავს რომ ამ სიყვარულმა უნდა შეცვალოს უკეთესობისაკენ ის და მეც, და თუ ეს არ ხდება, რაც უნდა მიიმოქმედო შენ უფლება არა გაქვს თავს ქრისტიანი უწოდო.

გიყვარდეს მტერი შენი – ნიშნავს მტრისგან მეგობრის დაბადებას, ანუ მასთან ურთიერთობით მისი არსის უკეთესობისაკენ შეცვლას. სწორედ ესაა ამალებისკენ, სრულყოფისკენ სწრაფვის მარადიული მისია, რომლისკენაც მუდამ უნდა ვისწრაფოდეთ.

ურთიერთობა ქმნის ერთობას. ეს ეხება ყველას და ყველაფერს. წარსულის, აწმყოს და მომავლის ერთობა, მათი ურთიერთგახსნა ქმნის სიცოცხლეს. ჩვენ რეალური და ირეალური სამყაროს ერთობით ჩვენი არსის შემეცნება უნდა შევძლოთ. ყველაფერი ეს შეუძლებელია სანამ არსებობს ბარიერი შემეცნებელსა და შესამეცნებელს, მეს და შენს ანუ სუბიექტსა და ობიექტს შორის.

ჰეგელმა გააქარწყლა რა ყველა წინააღმდეგობა შემეცნებელ სუბიექტსა და შესამეცნებელ საგანს, ობიექტს შორის, ისინი გახსნა სულში და აბით გააერთიანა; შესაბამისად, ეს სული საკუთარ თავს თავადვე შეიმეცნებს, თავად ხდება ობიექტიც და სუბიექტიც; და უკვე სული საკუთარ თავზე თვითონვე ატარებს ექსპერიმენტებს, აკეთებს აღმოჩენებს და თავად ახდენს მათ რეალიზებას. ამრიგად, სული, რომელიც ცდილობს შეიმეცნოს, ისწავლოს და სული რაზედაც ტარდება ექსპერიმენტი, ერთიანდება. სწორედ, ეს ერთობა მოიცავს მშენებლის სულსა და ასაშენებლის სულს, მხატვრის სულსა და ტილოს სულს, მევენახის სულსა და ვაზის სულს.

– თუ ეს ასეა, მაშ რაა შემეცნების პროცესი?

– შემეცნება ზუსტად იმის აღმოჩენაა, რომ სუბიექტი და ობიექტი, მაგ. თქვენ და ეს წიგნი ერთ მთლიანობას წარმოადგენთ.

შემეცნებელი იძირება ობიექტში, ის მასში აღმოაჩენს საკუთარ თავს, ცხოვრობს მისი ცხოვრებით. იმავედროულად, ობიექტი ამ შემეცნების პროცესში იხსნის საბურველს და ამყვანებს საკუთარ არსს, საკუთარ „ვინიერულობას“ და რაც ყველაზე საოცარია, თვით ალაპარაკდება ჭეშმარიტების ენით. აი, აქ იწყება ის, რასაც კაცობრიობამ შემოქმედება უწოდა. შემეცნებელი და შესამეცნებელი სულები ერთობას ზეიმობენ . . . და ხვედებიან, რომ ორივე შეიცვალა, გაიზარდა. ობიექტის შეცნობილი თვისება და შეცნობილი კანონზომიერება თვით ობიექტს უფრო სხვად აქცევს, ვიდრე ის „საკუთარ თავში“ ჩაკეტილ მდგომარეობაში იყო. მთლიანი სული სწორედ ამ დროს მდიდრდება და მალღდება.

– მართლაც ფანტასტიურია არა?

– დიახ, და არა.

– რა, ვერ იცანით, ვერ დაინახეთ მასში ჩვენ მიერ განხილული დიალექტიკური შემეცნების რეალური ხაზები, სურათი? რა, არა აქვს ერთნაირი ბუნება შემეცნებად აზროვნებას და შესამეცნებელ სამყაროს? რა, არ ვითარდებიან ერთნაირი დიალექტიკური კანონზომიერებით? რა, დიალექტიკა, ანუ საუბრის წარმართვის ხელოვნება, მხოლოდ სუბიექტებს შორის მიმდინარეობს? ვინ აკრძალა სუბიექტსა და ობიექტს შორის საუბარი? რა, თქვენ ამ წიგნს არ ესაუბრებით, განა დიალექტიკა არ მიმდინარეობს?

რა, მხატვრული ნაწარმოები თქვენ თვალწინ არ იცვლება? მას შემდეგ, რაც თქვენ ის შეისწავლეთ, გაიგეთ, როცა შეიგრძენით მისი მშვენიერება და განუმეორებლობა? რა, საგანი, რასთანაც მეცნიერსა თუ მხატვარს აქვს შეხება, მათ საკუთარ „ნებას“ არ კარნახობს? არ გაიბუღებთ გაითვალისწინოთ მისი წყობა, ორგანიზაცია, თვისობრივი განსაკუთრებულობა, ფაქტურა, ფერები? რა, მე ამ წიგნმა არ შეძცვალა? რა, არ შევიცნობთ სამყაროს იმ ღონითა და ხარისხით, რაც სულთა შერწყმის ხარისხს ეთანხმება?

განა ამაში არ გამოტყდა ერთი ბიჭი, – „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს. . . „

სწორედ, სამყაროს ერთიანობამ, მისი თანმიმდევრულად შემეცნების პრინციპმა, შეაძლებინა ჰეგელს თავს დასწოდდა სკეპტიციზმს, გულგრილობას, ურწმუნობას. მეცნიერული შრომების სიმძლავრეში დარწმუნებას. მეცნიერული შედეგების ცხოვრებაში აღსრულების შესაძლებლობას.

და ყოველივე ამის შემდგომ, ვიღაც უგუნურნი, გულგრილნი და სულით მახინჯნი მიხსნიან, რომ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა, საქართველოს თავიდან დაბადება, უდიდესი სიმძლავრის შექმნა უტოპიაა?!

ვაი, თქვენ გაუნათლებელნი, სუბიექტადაც ვერ შეგირაცხავთ საკუთარი თავი; და თუ ოდესმე სუბიექტად ამაღლებას შეძლებთ, მიხვდებით, რომ ეს უტოპია, ბარიერი, რკინაბეტონის კედელი შესამეცნებელი ობიექტია და სხვა არაფერი. და თუ მას შეიმეცნებთ, ის სხვაგვარი გახდება და რაც მტკიცეა ბეტონი, მით მეტად შეგცვლით ის თქვენ. ისე გაგაძლიერებთ, რომ უკან მოხედვისას თქვენ ისტორიულ სანაგვეზე დაგდებულ გამოთქმასაც აღმოაჩნთ: „ამ ქვეყანას არაფერი ეშველება“. . .

და თუ ამ აზრობრივი ბარიერის დაძლევის სურვილიც კი არ გიჩნდებათ, ეს თქვენ არ გეშველებათ არაფერი და არა საქართველოს. . .

საქართველოს ნუ შეეხებით, ის ჩვენია!

სწორედ, ამ უნიკალური ფილოსოფიით მიღლი სამყარო – სუბიექტიც და ობიექტიც – აბსოლუტური გონით, სულითაა გაუქმებული. და რადგან ადამიანის გონიც მისი ნაწილია, და მისთვის უცხო არაფერია, ადამიანი ყველაფრის, შეუწვდომლის წვდომის უნარსაც ფლობს.

ვიძვრებით, როგორ შევწვდეთ შეუწვდომელს? – ერთადერთი გზა დაგვრჩა – გავიხსნათ შეუწვდომელში.

და თუ ამ გზაზე კვალი დავკარგეთ ჰანიბალის სიტყვები გავიხსენოთ:

– ჩვენ ორი გამოსავალი გვაქვს – ან ვიპოვოთ გზა, ან გავაგრძელოთ გზა!

არც ქილონის სიტყვები დავივიწყოთ – **ნუ ენდობთ ორატორებს, ენდეთ კანონზომიერებას.** რჩება ერთიც, გავერკვეთ, რომელ კანონზომიერებას ვენდოთ.

სოციუმის ბუნებრივი კანონზომიერება

ვცადოთ, გავერკვეთ სოციუმის ბუნების კანონზომიერებაში.

ბუნებრივი სამართალი თავისი არსით, ღვთიური სამართალიდან გამომდინარეობს, რომელიც სიცოცხლის საფუძველია. ცნება – სიცოცხლე, საკუთარ თავში, როგორც აღვნიშნეთ, რეგენერაციას, ანუ თვითაღდგენას, თვითგანვითარებას, თვითორგანიზაციას მოიცავს და, თავის მხრივ, თვითგანვითარება თვითორგანიზაციის გარეშე, უბრალოდ გამორიცხულია.

მართლაც, წარმოიდგინეთ ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმი, არა აქვს მნიშვნელობა ეს ადამიანია, თუ მუხის ხე. თუ გარკვეულ პერიოდში ნალექების რაოდენობა ნორმაზე ნაკლები აღმოჩნდა და მუხის ხე ვერ მიიღო აუცილებელი რაოდენობის მინერალები, მან შეიძლება დაკარგოს სინოტივე, გამოშრეს (შესაძლოა მას ფოთლებიც გაუხმეს და დასცვივდეს), მაგრამ, როდესაც ნალექების რაოდენობა ნორმაზე აღემატება, მუხის ხე იზრდება და მისი ფოთლებიც იხსნება.

დენობა მოიმატებს, ის წყლის შემცველობას აღიდგენს, ნიადაგიდან საკვების მიღებას ინტენსიურად დაიწყებს და ახალ ყლორტებსაც გამოიტანს. მას გააჩნია თვითორგანიზაციის ის უნარი, რაც ღმერთმა, უმაღლესმა კანონზომიერებამ მის არსში ჩაღო.

საკმარისია, ადამიანი სიცოცხლის ამ ჰარმონიაში ბუნების კანონების გააზრების გარეშე ჩაერიოს და ისეთი სიმძლავრეც კი, როგორცაა მუხის ხე, დაილუპება. მაგრამ, თუ ადამიანს ეყოფა უნარი, გაიაზროს ბუნების კანონზომიერება, მისი გათვალისწინებით იგი გარემოსა და მისთვის საინტერესო სისტემას შორის ჰარმონიის განვითარებას შეძლებს. ასევე ადამიანმა შეიძლება სისხლის გარკვეული რაოდენობა დაკარგოს, მაგრამ მასაც რეგენერაციის უნარი გააჩნია და სისხლის საჭირო მოცულობას გარკვეულ დროში კვლავ აღიდგენს. ადამიანს ასევე, ღვთის მიერ მომადლებული, ინფექციური დაავადებებისთვის წინააღმდეგობის გაწევის უნარი – იმუნიტეტიც აქვს. მაგრამ საკმარისია ადამიანმა ბუნების კანონზომიერების გაუთვალისწინებლად უგუნური ქმედება დაიწყო და მისი სიცოცხლე განწირულია.

ამავე კანონზომიერებას ემორჩილება რთული სისტემებიც. მაგალითად, ტყე. ის, როგორც მთლიანი, ორგანული სისტემა ქვესისტემებისაგან, ხეებისაგან, ბუჩქებისაგან, ფრინველებისაგან. . . შედგება. ტყესაც გააჩნია რეგენერაციისა და თვითგანვითარების უნარი. როცა გვალვა იწყება, ტყეს უდაბნო უტევს და ტყის მოცულობა მცირდება; მაგრამ, საკმარისია შესუსტდეს გვალვა და ტყე რეგენერაციის უნარით, საწყისი მოცულობის აღდგენას ცდილობს. უდაბნო უკან იხევს, ტყე ვითარდება (ამ საკითხს მოგვიანებით უფრო დაწვრილებით განვიხილავთ). ეს, თითქოს ყველასათვის გასაგები, ცხადი ჭეშმარიტებაა და მისი შეხსენება ზედმეტია.

გაუგებარი ისაა, რომ ერთი მხრივ, სიცოცხლის განვითარებისათვის ბუნებრივი კანონზომიერების მნიშვნელოვნებას ვაღიარებთ, თუმცა, იმავედროულად ამ ჭეშმარიტებას ხშირად უგულვებელყოფთ.

როდის მივხვდებით, რომ ისეთი რთული სისტემა, როგორცაა საზოგადოება, იგივე ბუნებრივ კანონზომიერებას ექვემდებარება. ისიც კონკრეტული ადამიანებისაგან, ანუ ქვესისტემებისაგან შედგება. საზოგადოებას, როგორც მთლიან სისტემას, საკუთარი რეგენერაციის, თვითგანვითარებისა და თვითორგანიზაციის თანდაყოლილი უნარი გააჩნია. საკმარისია, ამ სისტემაში ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მიერ მოგონილი, ბუნებრივი კანონზომიერებისაგან განსხვავებული, უგუნური კანონები დაინერგოს, რომ საზოგადოება, როგორც სისტემა, სიცოცხლის უნარს დაკარგავს. შედეგად დღევანდელ ქართულ საზოგადოებას მივიღებთ.

აქედან გამომდინარე, გასაგებია ჩვენი უბედურების მთავარი მიზეზი – ბუნებრივი კანონზომიერების, ანუ ბუნებრივი სამართლის უგულვებელყოფა და ვიღაცის მიერ საწერ მაგიდასთან გამოგონილი სამართლის, ანუ პოზიტიური სამართლის აღხევება.

ბუნებრივი სამართლიდან გამომდინარე, ყველა ადამიანი თანასწორი უფლებებით იბადება. შესაბამისად, საკუთარი შინაგანი პოტენციის, შესაძლებლობების გამოძლავნებისა და ღვაწლის გაღების უფლება ყველას აქვს.

ჩვენთან მოქმედი სამართალი, ანუ პოზიტიური სამართალი კი ბუნებრივი სამართლისაგან ნაბობებ ამ უმთავრეს უფლებას უკიდურესად ზღუდავს. საქართველოში ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს ბუნებრივი კანონზომიერების გააზრება არ ხელეწიფება. შესაბამისად, ისინი საკუთარ ქვეყანაში უცხო სისტემაში (აშშ, ევროპა) მოქმედი კანონები გაუაზრებლად გადმოაქვთ. ისინი არ ითვალისწინებენ ერთ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ, როგორც აბსოლუტურად იდენტური ადამიანები არ არსებობენ, ასევე გამორიცხულია ერების, საზოგადოებების და სახელმწიფოების იდენტურობაც და შესაბამისად, ამ მრავალფეროვან, განსხვავებული თვისებების მქონე სისტემებში ერთი და იგივე სამართლის დანერგვა-დამკვიდრება ბუნების კანონზომიერებაში უგუნური ხელოვნური ჩარევის ტოლფასია. ასე რომ არ იყოს, მსოფლიოს განვითარებული სისტემის საუკეთესო იურისტებს შეეკრებდით და ერთ უნივერსალურ სამართალს შეექმნდით, რომელიც ყველა სახელმწიფოში უნიკალურ შედეგებს მოგ-

ვცემდა. გაუზრებელნი არ დაფიქრებულან, რომ ბუნებრივი კანონზომიერება ტროპიკულ ან ზომიერ ზონასა და ვთქვათ, ციმბირს შორის განსხვავებასაც კი ითვალისწინებს.

იყო ერთი სიმპათიური „მეცნიერი“, გვარად მიჩურინი, რომელიც ციმბირში სამხრეთული ჯიშის კულტურების გავრცელებაზე ოცნებობდა. მის გაცეხას საზღვარი არ ჰქონდა, როცა შეამჩნია, რომ, მაგალითად, ყურძენი მის აზრს პრინციპულად არ „იზიარებდა“ და ჩრდილოეთში დამკვიდრება არ „უნდოდა“. ეს გავრძელდა მანამ, სანამ ბუნებრივი კანონზომიერების სიღრმე არ გაითვალისწინეს.

ჩვენი დღევანდელი „ნორჩი მიჩურინელები“ ვერ იაზრებენ, რომ ერთი და იგივე კანონები მრავალრიცხოვან და მცირერიცხოვან ქვეყნებში, შემდგარ და არშემდგარ სახელმწიფოებში, სხვადასხვა ტრადიციებისა და შემეცნების უნარის მქონე საზოგადოებებში. . . სხვადასხვა ეფექტურობით მოქმედებს. მაგალითისათვის განვიხილოთ განათლების სისტემის ის სიახლე, რომელიც მექანიკურად გადმოიტანეს და ჩვენს არშემდგარ სახელმწიფოში დანერგეს. დასავლეთში ის მეტ-ნაკლებად იძლევა შედეგს. მისი კობირებით კი მივიღეთ ის პოზიტიური, სამართლის კანონი, რასაც უნარ-ჩვევების გამოსავლენ ტესტს უწოდებენ და მასზეა დამოკიდებული ჩვენი მომავლის გონებრივი პოტენცია. მოგეხსენებათ, ჩვენ დღეს მსოფლიოში აღიარებულ მატერიალურ ფასეულობებს – ნავთობის, გაზის, კეთილშობილი ლითონების . . . რესურსებს – არ ვფლობთ (ან მის მოძიებაზე ეფექტურად არავინ ზრუნავს), შესაბამისად, დღეს ჩვენი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსი ჩვენი მოსახლეობის გონებრივი პოტენციალია. ასევე იყო იაპონია. ამ ქვეყანას მოაზროვნე და შრომისმოყვარე ადამიანების გარდა, არავითარი წიაღისეული არ გააჩნია. მისი ეკონომიკური განვითარების დღევანდელმა დონემ აჩვენა, რომ ადამიანის პოტენციალი, როგორც განვითარების რესურსი, გაცილებით მაღალია, ვიდრე ნებისმიერი ნავთობის მარაგი და ახლა ეს ქვეყანა განვითარებით უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორცაა სპარსეთი, ერაყი, რუსეთი . . . რომელთაც ამ სიმდიდრის დიდი მარაგი გააჩნიათ. ამ მსჯელობის ფონზე ჩვენი მოქმედი განაწესი – უნარ-ჩვევების ტესტი, საფუძველშივე ანადგურებს ჩვენს ერთადერთ რესურსს, მომავლის გონებრივ პოტენციალს. ყველას მოეხსენება საშუალო განათლების სისტემის უკიდურესად დაბალი დონე, რაც მშობელს უკანასკნელი თანხის გაღებას აიძულებს, რათა განათლების სისტემის დეფექტი გამოსწოროს და მოზარდი შეძლებისდაგვარად უმაღლესი განათლების მისაღებად მოამზადოს. რა თქმა უნდა, ამის საშუალება საზოგადოების მხოლოდ უმცირეს ნაწილს გააჩნია. ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანის უდიდესი გონებრივი პოტენციალი, უბრალოდ რომ ვთქვათ, ნადგურდება. გარწმუნებთ, არსებულ უაზრო სოციალურ ვითარებაში, ფშაველ ვაჟას შინაგანი პოტენციის განვითარებისათვის არავითარი შანსი არ ექნებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი საზოგადოების უდიდეს ნაწილს სერიალების, პორნოგრაფიისა და სისასტიკით გაყვანილი სისულელის გარდა, არაფერი აინტერესებს. მაქსიმუმ, რასაც ვაჟა შეძლებდა, საბერძნეთში ფორთოხლების კრეფა ან ამსტერდამში ქუჩების დასუფთავება იქნებოდა; ესეც, უკეთეს შემთხვევაში. რამდენი ვაჟა ან გალაკტიონი ქრება მოქმედი, პოზიტიური სამართლის გილიოტინის ქვეშ, ამის აღრიცხვა შეუძლებელია.

თავისებური პოზიტიური დოგმატური სამართლი მოქმედებდა ოდესღაც იეზუიტურ სკოლაში. უმკაცრესი იყო სწავლების შიდაგანაწესი. გათენებისთანავე ლოცვები, შემდეგ, პროგრამის მიხედვით – აუცილებელი საგნები, საღმრთო რჯული, რიტორიკა, საბუნებისმეტყველო საგნები, ისევ ლოცვები . . . სკოლის მესვეურებმა ერთი მოზარდის განსაკუთრებული შემეცნებისა და აზროვნების ამადლებული უნარი შეამჩნიეს; თუმცა, ისიც შენიშნეს, რომ ამ მოზარდის ყურადღება და აქტიურობა კლებულობდა, თუ შიდა განაწესის თანახმად, მას დილის ექვს საათზე ადგომას აიძულებდნენ. სკოლის მესვეურებმა იმ დროისათვის უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღეს – ამ მოზარდის მიმართ შეწყვეტილიყო პოზიტიური შიდაგანაწესი (კანონი) და ამოქმედებულიყო ბუნებრივი განვითარების შესაბამისი სამართალი, რადგან მიხვდნენ, რომ ეს ბავშვი უფრო დიდ სახელს მოუტანდა იეზუიტების სკოლას, ვიდრე ყველა სხვა დანარჩენი. არც შემდგარან – ამ მოზარდის სახელი და გვარია **რენე დეკარტე**.

ასევე, გერმანიაში უმაღლეს განათლებას ვერ ეღირსებოდა ერთი ახალგაზრდა, რომელმაც საბუნებისმეტყველო საგნებში შემეცნების დიდი უნარი გამოამჟღავნა, მაგრამ სხვა საგნების მიმართ ის ინდიფერენტული იყო. იქაც ყველაფერი გაკეთდა, რათა მისთვის ბუნებრივი სამართალი ამუშავებულიყო. სწორედ ამ ბუნებრივმა სამართალმა დაბადა **ალბერტ აინშტაინი**.

საქმე ის არის, რომ პოზიტიური სამართლის არსში კანონის დარღვევის ყველა საშუალება დევს. შესაძლებელია, მაგალითად, უბრალოდ იყიდო საგამოცდლო ტესტირების პასუხები, ანდა უფრო მარტივად, თვით ამ ტესტების შემდგენელს საკუთარი ხელით შეავსებინო საგამოცდლო ფურცელი ისე, რომ გამოსაცდელი საერთოდ არ მივიდეს ტესტირებისას. შემდეგ ეს ქალაქი ოფიციალურად ფორმდება და იმ წუთიდანვე ამოქმედდება პოზიტიური სამართალი. აბიტურიენტი სტუდენტია. დიახ, ამოქმედდა ლოზუნგი – კანონი კანონია. ის „კანონიერად“ ჩაირიცხა, მაგრამ რა სარგებელს მოუტანს ასეთი იურისტი ან ექიმი ქვეყანას, პოზიტიურ სამართალს აღარ აინტერესებს. ის მხოლოდ საგამოცდლო ქალაქზე დასმული ბეჭდით, თუ შტამპითაა დაინტერესებული.

ბუნებით სამართალს კი ადამიანი აინტერესებს. ამ სამართალთან შეუძლებელია მოლაპარაკება, შეთანხმება, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს სამართალი ყველა ზნეობრივ ადამიანს გულზე აწერია და მისი შესწორება, გადაკეთება გულის გადაფხეკას, ანუ უდიდეს ტკივილს ნიშნავს.

ისიც ცხადია, რომ ტესტირების არასრულყოფილება, პრობლემის ერთი მხარეა. თქვენ წარმოიდგინეთ გავლენის სფეროების, ან დოლარებში თუ ევროებში გამოსახული, ასტრონომიული თანხების გადანაწილებისას რა ხდება. ამ სივრცეში არსებული დემოკრატიული მმართველობის ფორმა და პოზიტიური სამართლის დიქტატურა ენერგიული, ეგოისტური ვნებებით აგზნებული სუბიექტებისათვის ოაზისია. მათთვის ზნეობა, განათლება, პატრიოტიზმი უბრალოდ, ანაქრონიზმი, ინფანტილიზმი და . . .

ამიტომ, რომ ბუნებრივ სამართალს მხოლოდ ადამიანის ზნეობრივი და გონებრივი პოტენციალი და მისი მთელი საზოგადოების სასარგებლოდ გამოყენება აინტერესებს.

ამიტომ, უმაღლესი ზნეობისა და განათლების მქონე ადამიანები ენერგიას და სიცოცხლესაც არ ინანებდნენ, რათა პოზიტიური სამართალი ბუნებრივ სამართალთან რაც შეიძლება მეტად დაეახლოებინათ, თუმცა, ამ დაახლოების ქმედითი ორგანული სისტემის სრულყოფა ურთულეს პრობლემას წარმოადგენდა და წარმოადგენს.

ჩვენი ძიების ერთ-ერთი მთავარი მიზანი, ამ პრობლემის შეძლებისდაგვარად გადაჭრაა.

შევეცადოთ, კვანძაპოსტერიორულად წარმოვიდგინოთ, როგორ მიმდინარეობდა საზოგადოების, სახელმწიფოს წარმოქმნა-დამკვიდრება.

წარმოვიდგინოთ, მაგალითად, აფრიკის კონტინენტი 3-4 მილიონი წლის წინ. ადამიანები მცირე ჯგუფებით ცდილობენ წინააღმდეგობა გაუწიონ მათდამი უკიდურესად აგრესიულად განწყობილ გარემოს. ალბათ, უკვე გამოკვეთილია ის გონებრივი, თანდაყოლილი პოტენციალი, რომლის მეშვეობითაც ასხვავებენ ცნებებს: „მე“, „ჩვენ“, „უცხო“ და აყალიბებენ ურთიერთობის ელემენტარულ ფორმებსა და წესებს. გადის ათასობით წელი და ამ მცირე ჯგუფებში საწყისი ფორმით ჩნდება ის, რასაც დღეს ეთნოსს ვუწოდებთ. ანუ ჩნდება ენის, ტრადიციების პირველადი ჩანასახები. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ამ საზოგადოებრივი სისტემის დახვეწა-განვითარება მიმდინარეობს. ერთი ეთნოსის განვითარების ან რამდენიმე ეთნოსის გაერთიანების შედეგად ყალიბდება ერის პირველადი ნიშნები; ერის შემადგენელი ინდივიდებისათვის საერთო ენა, ტრადიციებისა და ურთიერთობის ფორმების დაფიქსირების საშუალებები მკვეთრად გამოკვეთილი. მიგრაცია, საცხოვრებლად უკეთესი გეოგრაფიული ადგილების ძიება ინტენსიური ხდება. ერი, როგორც საზოგადოების განვითარების აუცილებელი ფორმა, მდგრად პოზიციებს იკავებს. იმავდროულად, საზოგადოების შეკავშირების უმაღლესი ფორმის – სახელმწიფოსა და კანონმდებლობის – დამკვიდრება მიმდინარეობს. როგორც აღვნიშნეთ, უკვე 50 საუკუნის წინ, ძველ ეგვიპტეში, მივიდნენ დასკვნამდე, რომ ღმერთებს შორის

ყველაზე ძლიერია ის, ვინც ადამიანთა ჰარმონიული თანაარსებობისათვის აუცილებელ ჭეშმარიტებას ფლობს. ე.ი. თეოლოგიურ დონეზეც კი, მათთვის იურისპრუდენცია იყო უმთავრესი; აქედან – მათი სიმძლავრე; გავიდა დრო და მათ დაივიწყეს ეს უმაღლესი ჭეშმარიტება. . .

ძველი ებრაული გააზრებით, ღმერთია უზუნაესი კანონმდებელი, მმართველი და მოსამართლე. ადამიანთა ამაღლებულ ურთიერთობაზე წმინდა სწავლება, კანონმდებლობა მოსემ პირდაპირ ღვთისაგან მიიღო (მოსეს რჯული).

ძველი ჩინეთი: უმაღლესი კანონზომიერება, სამართალი ზეციდან მიეცემა ადამიანს.

ეგვიპტური მართლმსაჯულების ღმერთი მათი, ინდოარიული რტა, ჩინური დაო, ბერძნული დიკე ერთი და იგივე არის მქონენი არიან და ღვთიურ, ზეკანონზომიერებას ემორჩილებიან.

ჩვენ თეორიულად გავარჩიეთ ბუნებრივი, ღვთიური სამართალი და მისგან, როგორც პირველწყაროდან გამოდინარე, ის მოქმედი, ანუ პოზიტიური სამართალი, რომელიც რეალურ სახელმწიფოში ფუნქციონირებს.

გავისხენოთ „პტახოტეპის სწავლება“, ვიმეორებთ, 49 საუკუნის წინ უკვე გააზრებული ჰქონდათ „ყველა თავისუფალის ბუნებრივი თანასწორობა“ და ისიც, რომ „არ არსებობს დაბადებიდან ბრძენი“ – შესაბამისად, აუცილებელია ადამიანი იქცეოდეს არა ისე, როგორც მას მოეპრიანება, არამედ „კა“-ს პრინციპით. (კა – სიკეთისა და სამართლიანობის კრიტერიუმი).

ნაშრომში – „ჰერაკლეოპოლისელი მეფის სწავლება შვილისადმი“, რომელიც 44 საუკუნის წინაა შექმნილი, ავტორი გვარწმუნებს, რომ – ფარაონს მოეთხოვება უსამართლობა, უკანონობა არ ჩაიდინოს; ირღვევა ეს პრინციპი – ირღვევა სახელმწიფო.

ჰერაკლიტეს აზრით, „ადამიანთა ყველა კანონი ღვთაებრივისაგან იკვებება, რომელიც საკუთარ ძალაუფლებას ყველგან ავრცელებს, რამდენადაც სურს, განაგებს ყველაფერს და ყველაფერზე მაღლა დგას“. ღვთიური სამართალი ადამიანთა სამართლის პირველწყაროა, ამ სამართალში ჰერაკლიტე გულისხმობს ლოგოსს, გონს, ბუნებას.

დემოკრიტე უსამართლოდ მიიჩნევს ყველაფერს, რაც ბუნებრივ კანონზომიერებას ეწინააღმდეგება.

ამასვე ამტკიცებს პროთაგორას, ჰიპიას, სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, ზენონის, ციცერონისა და სხვა ამაღლებული აზროვნების მქონე ადამიანების შემოქმედება.

საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამს სოფისტი ფრასიმაქე ქალკედონელი. ის დარწმუნებულია

პოლიტიკა არის ადამიანთა ინტერესებისა და ძალის გამომჟღავნების სფერო და არა ღვთის ქმედების არეალი. რეალური პოლიტიკის კრიტერიუმი ძლიერის ნების აღსრულება“. „სამართლიანობა – ვამტკიცებ მე – ეს ისაა, რაც სასარგებლოა ძლიერისათვის“.

ხელისუფალი, ყოველ სახელმწიფოში, მისთვის სასარგებლო კანონებს ამკვიდრებს. დემოკრატიული ხელისუფლება – დემოკრატიულს, ტირანული – ტირანულს. და მათ მიაჩნიათ, რომ ეს კანონები სამართლებრივია.

ფრასიმაქე ქალკედონელი სოკრატეს პოლიტიკაში ზნეობის დამკვიდრების მცდელობის გამო დასცინოდა.

ლიკოფრონეს მსჯელობაში უკვე იკვეთება სახელმწიფოს წარმოქმნის ხელშეკრულებითი თეორია, ანუ – სახელმწიფო ადამიანთა ურთიერთშეთანხმებით შეიქმნა და არა რაღაც ღვთიური კანონზომიერებით, თუმცა, იგი ადამიანთა ბუნებრივ თანასწორობასაც აღიარებს. მისთვის კეთილშობილური წარმოშობა „ცარიელი სიტყვებია“.

ადამიანთა ისტორიის აღნიშნულ პერიოდში, ნათლად ჩანს, რომ ამ ცოდვილ მიწაზე ადამიანთა ურთიერთობაში მეტ-ნაკლები ჰარმონიის დამკვიდრება, ადამიანის ღირსების საკადრისი საზოგა-

ლოების, სახელმწიფოს ჩამოყალიბება შესაძლებელია მხოლოდ იმ კანონზომიერების გააზრებით, რასაც ღვთის მარადიული კანონზომიერება განსაზღვრავს. თავის მხრივ, ეს მარადიული კანონზომიერება, უპირველესად იმ უდიადეს ჰარმონიაში მჟღავნდება, რასაც ჩვენ ბუნებასა და მთელ სამყაროში ვხედავთ, ვარსკვლავიანი ციდან დაწყებული, ჰიანჭველებისა თუ ფუტკრების ცხოვრების უნიკალური წესრიგით დამთავრებული. დიახ, მთელი სამყარო ღვთის კანონზომიერებას ემორჩილება. ნებისმიერი აზრი, ქმედება, რომელიც ამ ბუნებრივი კანონზომიერების ჩარჩოდან გადაის, არის არა-ბუნებრივი, ანუ ხელოვნური, გამოგონილი. შესაბამისად, საქმე გვაქვს ან ბუნებრივ კანონზომიერებასთან, ან მისგან ამოვარდნასთან.

ამრიგად, ეთნოსი, ერი, საზოგადოება, სახელმწიფო შეიძლება შეიქმნას ბუნებრივი (ღვთაებრივი) კანონების შესაბამისად, სადაც ადამიანის არსში ღვთაებრივი სიკეთის ანარეკლი მოიაზრება, ან ხელოვნური, გამოგონილი კანონების მიხედვით, რომელიც ადამიანის არსში არავითარ ეთიკას არ ითვალისწინებს, მისთვის ადამიანი, უბრალოდ, ცხოველია, მგელია.

ჰიპიას აზრით, მხოლოდ ბუნებრივ სამართალს შეუძლია წინ აღუდგეს ხელოვნურ, მცდარ სახელმწიფო კანონს. ასეთივე მნიშვნელობას ანიჭებს ბუნებრივ სამართალს ანტიფონტი, რომელიც ადამიანთა თანასწორუფლებიანობის იდეასთან ბუნებრივი კანონზომიერებიდან მიდის. ის მიიჩნევს, რომ ადამიანები მათ მიერ მოგონილი კანონებიდან გამომდინარე არიან არათანაბარ მდგომარეობაში და არა ბუნებრივი კანონზომიერების თანახმად.

სოკრატე კი აიგივებს გონიერულს, სიმართლესა და კანონს. ეს მისთვის სინონიმებია. ანუ სიმართლე, სამართალი და გონი მისთვის ერთი და იგივეა.

არისტოტელესათვის სახელმწიფო ბუნებრივი განვითარების ნაყოფია.

არისტოტელეს აზრით, ბუნებრივი სამართალი ის სამართალია, რომელიც ყველგან და ყოველთვის უცვლელია. ის ჩვენს გარეშეც არსებობს. დანარჩენი პირობითი, ანუ ხელოვნური სამართალია. სწორედ, ამ სამართალს უწოდებს მოგვიანებით პოზიტიური, ანუ მოქმედი სამართალი.

სტოიციზმის მიმდევრებისათვის ბუნებრივი კანონი ღვთაებრივია და ფლობს ისეთ ძალას, რომელიც ყველაფერ მართებულს განკარგავს და ყველაფერს, მის საწინააღმდეგოს კრძალავს.

მარკუს ტულიუს ციცირონის აზრით, სახელმწიფო და სამართალი, თავისი არსით, ღვთაებრივ ბუნებრივ ხასიათს ატარებს, საყოველთაო გონსა და სამართლიანობას ემყარება. ბუნების ზოგად გააზრებას, შესწავლას მივყავართ დასკვნამდე, რომ „მთელ ამ სამყაროს მართავს გონი“ და „გონის ბატონობისას არც ჟინიანობისათვის, არც მრისხანებისათვის, არც უგუნური ქმედებისათვის ადგილი არ რჩება“. ის ღრმად იყო დარწმუნებული, რომ სამართლის საფუძველია ბუნებაში არსებული სამართალი (ბუნების კანონზომიერება).

მისთვის სიმართლე – მუდმივი, უცვლელი, ზოგადად ბუნების და კერძოდ, ადამიანის ბუნების განუყოფელი თვისებაა.

ბუნებრივი სამართალი ციცირონისათვის არის „ჭეშმარიტი კანონი – გონიერულობა, რომელიც შეესაბამება ბუნებას, ვრცელდება ყველა ადამიანზე, მდგრადი და მუდმივია. ის მოგვიწოდებს, გვიბრძანებს მოვიხადოთ ადამიანური ვალი. ბუნებრივი კანონის სრული ან ნაწილობრივად აკრძალვის ყოველგვარი მცდელობა მკრეხელობაა. მისი ქმედების ნებისმიერი შეზღუდვა დაუსშვებელია, მისი სრული აკრძალვა შეუძლებელია და არც სენატის დადგენილებით, არც ხალხის დადგენილებით ამ კანონისაგან გათავისუფლება არ შეგვიძლია“. „ის თითოეულს საკადრისს მიუზღავს და ადამიანთა შორის თანასწორობას იცავს“. „ეს კანონი

წარმოიშვა უფრო ადრე, ვიდრე ნებისმიერი დაწერილი კანონი და მანამდეც კი არსებობდა, ვიდრე თვით სახელმწიფო წარმოიქმნებოდა“.

ციცერონის აზრით, „სამართალი ხალხის გადაწყვეტილებით რომ იქმნებოდეს, სამართალს ძლიერნი ამაქვეყნისანი რომ ამკვიდრებდნენ, სამართალი მოსამართლეთა განაჩენით რომ ღვინდებოდეს და ბრბოს კენჭისყრით ან გადაწყვეტილებით ქმედებაში შედიოდეს, მაშინ იარსებებდა ყაჩაღობის სამართალი, გარყვნილობის სამართალი, ყალბი ანდერძის სამართალი.

ჰუგო დე გროტ გროციუსისათვის ბუნებითი სამართალი თვით ბუნებისაგან გამომდინარეობს. მეცნიერულ ფორმას მხოლოდ მასში აღმოვაჩინეთ, რაც ბუნებიდან გამომდინარეობს. ყოველივე ის, რაც ადამიანების მიერაა დადგენილი ცვალებადია დროში, განსხვავებულია ადგილის (სივრცის) მიხედვით და მეცნიერულ სისტემატიზაციას არ ექვემდებარება. შესაბამისად, გროციუსი გვიჩვენებს, იურისპრუდენციაში ვიპოვოთ განსხვავება „ბუნებრივ უცვლელ ნაწილსა“ და იმას შორის, „რომელსაც საწყისად გააჩნია ნება (ადამიანის)“.

გროციუსის აზრით, ბუნებრივი სამართალი არის „სამართალი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით“. და „მისი აღსრულება ნიშნავს იმას, რომ სხვას შევთავაზოთ ის, რაც უკვე ეკუთვნის მას და ჩვენზე დაკისრებული მოვალეობა სხვის მიმართ ამგვარად შევასრულოთ“. „ბუნებითი სამართლის დედა თვით ადამიანის ბუნებაა, რომელიც ჩვენში ურთიერთობის ინტერესს იმ შემთხვევაშიც კი აღვიძებს, როცა ეს ურთიერთობა მოცემულ მომენტში საერთოდ არ გვჭირდება. შიდა სახელმწიფოებრივი სამართლის დედა პასუხისმგებლობაა, რომელსაც ურთიერთშეთანხმებით ვიღებთ. ეს უკანასკნელი ბუნებითი სამართლისაგან იკრებს ძალას, ამიტომ ბუნება შიდასახელმწიფოებრივი სამართლის პირველწყაროა „.

ჯონ ლოკის აზრით, მთავარია იყოს ისეთი „მმართველობის სტრუქტურა“, რომელიც ბუნებრივ სამართალს და ინდივიდის თავისუფლებას დაიცავს, იმ სიკეთეს განავითარებს, რომელიც ყველასთვის სიკეთე იქნება. ირღვევა ეს პრინციპი – ირღვევა სახელმწიფო.

ადამ სმიტი – „შესაძლოა, ბუნებრივი იურისპრუდენცია ყველაზე მნიშვნელოვანი მეცნიერებაა არსებულ მეცნიერებათა შორის“.

იმანუელ კანტი – სამართლის ჭეშმარიტი როლი ის არის, რომ მორალს მისცეს გარანტია იმ სოციალურ, რომელშიც ის ნორმალურად გამოამჟღავნებს თავს, სადაც ინდივიდის თავისუფლების რეალიზაცია მოხდება. ეს არის სამართლის მორალური დასაბუთების კანტისეული იდეა. ცხადია, იმისათვის, რომ სამართალი აღსრულდეს, მას სჭირდება ძალა. სწორედ ეს ძალაა სახელმწიფო, იძულების საწყისის მატარებელი სისტემა. ე.ი. მორალის ამოქმედებამ მოითხოვა სამართალი, სამართალმა – სახელმწიფო, ანუ კანტის სწავლებაში, ესაა გზა ეთიკიდან და სამართლიდან – სახელმწიფომდე.

ცნება – სამართალი, ჰეგელის აზრით, სამი მნიშვნელობით წარმოგვიდგება.

1. სამართალი, როგორც თავისუფლება (ესაა სამართლის იდეა).
2. შემდეგ, მისი კონკრეტული გამოსახვა, ანუ იგი გადადის ფორმაში – სამართალი, როგორც თავისუფლების ფორმა („განსაკუთრებული სამართალი“).
3. სამართალი, გამოსახული კანონში (პოზიტიური სამართალი).

აქ ნათლად ჩანს, რომ სამართალი, რაც უფრო ზოგადიდან – იდეიდან გადადის კონკრეტულ გამოსახულებებში, მით უფრო კარგავს ჭეშმარიტ არსს და ხდება მიწიერი, უსუსური. პოზიტიური სამართალი არშემდგარი სამართალია.

ედმუნდ ბიორკი – ბუნებითი სამართალი ჩვენი შემოქმედის კანონია, ისაა ჰუმანიზმის, მართლმსაჯულების, სამართლიანობის კანონი, ბუნების კანონი და სახელმწიფო-ერების კანონი“.

გუსტავ რადბრუნი ითხოვს – დაეუბრუნდეთ კანონზედა სამართლის იდეას. „იურიდიულმა მეცნიერებამ სამართლის განახლებისთვის ხელახლა უნდა გაიხსენოს ათასწლოვანი ანტიკური სიბრძნე, ქრისტიანული მორალი და მიხვდებით, რომ არის უფრო მაღალი სამართალი, ვიდრე კანონი და ეს არის ბუნებრივი სამართალი, ღვთიური სამართალი, გააზრებული, გონივრული სამართალი; მოკლედ რომ ვთქვათ – კანონზედა სამართალი (ბუნებითი სამართალი), რომლის თანახმად, უსამართლო რჩება უსამართლოდ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას კანონის ფორმაში ჩამოასხამენ.“

მართლაც, „ვინ, თუ არა ღმერთმა, ადამიანთა გულში ჩაწერა ბუნებრივი სამართალი“. ეს არის ქრისტიანული სამართალი.

ესაა მცირედი ამონარიდი ყველა დროისა და სივრცის უმაღლესი ზნეობისა და განათლებული ადამიანების შრომებიდან.

დღეს, ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოში დამკვიდრებული პოლიტიკური სამართალი ფარდობითია და სახელმწიფო სტრუქტურის, ეკონომიკისა და სოციალური პირობების მიხედვით იცვლება. მაგალითად: შეგვიძლია კანონი მივუსადაგოთ არჩევნებს და არა პირიქით. სახელმწიფო სამართლის ამგვარი ცვალებადობა მიგვანიშნებს, რომ ის მხოლოდ იბულების წყარო, ეთიკური მინიმუმია და ღვთიური სამართალი ასეთი „შემოქმედათვის“ ან არ არსებობს, ან უკეთეს შემთხვევაში ისტორიული ატავიზმია.

რამდენიმე სიტყვა **არჩევნებზე.**

ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ღრმად და დარწმუნებული, რომ თუ პოლიტიკური არჩევნები კანონის დაურღვევლად ჩატარდება, ჩვენზე ბედნიერი ხალხი ამ ქვეყანაზე არ იქნება. უფრო ნათლად – ვთქვათ, საზოგადოებამ გადაწყვიტა კანონის სრული დაცვით ჩაატაროს არჩევნები – შეარჩიოს ჯგუფი, რომელიც ევერესტს დალაშქრავს და ამით ასახელებს სამშობლოს. თუ კანონიერი არჩევნებით შერჩეული ჯგუფი მიზნის შესასრულებლად საჭირო პროფესიულ, ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ . . . პოტენციალს არ ფლობს, მაშინ ყოველგვარი არჩევნები აზრს კარგავს; ჩატარებული არჩევნების წესიერება-არაწესიერებას მნიშვნელობა აღარ აქვს; ალპინისტთა ჯგუფის შესადლებლობებისა და ბუნების კანონზომიერების გაუთვალისწინებლად არჩეული ჯგუფი მწვერვალის დაპყრობის ნაცვლად, პირველსავე კლდეს მიეყინება.

დავიმანსოვროთ – არჩევნები საშუალებაა და საშუალების მიზნად გამოცხადება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უბრალოდ, ინფანტილიზმია.

დაეუბრუნდეთ განსახილველ თემას.

განხილულ სახელმწიფოებრივი სამართლის ისტორიაში საკმაოდ ნათლად იკვეთება სახელმწიფოებრივი ფორმების გააზრების მცდელობა და, კერძოდ, მმართველობის დემოკრატიული ფორმისადმი დამოკიდებულება.

სოკრატეს აზრით:

„მეფეები და მმართველები არიან არა ისინი, რომლებიც სკიპტრას ატარებენ; არა ისინი, რომელნიც ცნობილი, გავლენიანი პირებისაგან არიან არჩეულნი; არა ისინი, ვინც ძალაუფლება ჩაიგდო ხელში კენჭისყრით ან ძალადობითა და სიცრუით, არამედ ისინი, რომელთაც მართვა შეუძლიათ.“ ის, სრულყოფილად არ თვლიდა მმართველობის არც დემოკრატიულ და არც ტირანულ ფორმას.

პლატონის აზრით – იდეალური სახელმწიფო საუკეთესოთა (არისტოკრატთა) მიერ სიმართლით (და არა სამართლით) უნდა იმართოს. ის ეთანხმება სოკრატეს – სიმართლე და კანონიერება არსით ერთი და იგივეა, რადგან მათ ღვთაებრივი (იდეალური) საწყისი უდევს საფუძველად. დემოკრატია, თუ მასში რაღაც არაა განზავებული, თუ არ ივსება რაღაცით, მაშინ ის აუცილებლად თვრება თავისუფლებით და მისგან მისივე საწინააღმდეგო იბადება.

არისტოტელე მკაცრად აკრიტიკებს დემოკრატიას, სადაც უმაღლესი ძალაუფლება ეკუთვნის დემოსს და ყველა სიმახინჯე აქედან გამოძინარეობს.

ეპიკურეს შემოქმედებაშიც კი ნათლად ჩანს მმართველობის დემოკრატიული ფორმის სისუსტე – „მე არასდროს ვცდილობდი თავი მომეწონებინა ბრბოსათვის. ის, რაც მოსწონთ მათ, მე ვერ ვისწავლე. ის, რაც ვიცოდი, შორსაა მათი გრძნობებისაგან“.

ზენონი და მისი სტოიციზმის სკოლა უარყოფს ცალსახა დემოკრატიას და ემხრობა შერეული მმართველობის ფორმას; მაგალითად, მონარქია და დემოკრატია, ან დემოკრატია და კეთილშობილთა ერთობა. ეი მათთვის დემოკრატია არასრულყოფილი მექანიზმია და მას რაღაცით შევსება სჭირდება.

პოლიბიუსი – დემოკრატის დროს, ბრბო თანდათან ერევა სხვის ხარჯზე მათხოვრული ლუკმის მიღებას და უბადრუკ ცხოვრებას, ენდობა ყველას, ვინც ოდესმე რაიმეს მიუგდებს. ამით სარგებლობს ნებისმიერი თავხედი, დემაგოგი, აფერისტი, ხოლო თვით ბრბოს, სახელმწიფო საქმეები, პოლიტიკა აღარ აინტერესებს. შესაბამისად, დემოკრატიაში ისეთი რამ დევს, რაც მის თვითგადაგარებას უწყობს ხელს. ამ შემთხვევაში, „სახელმწიფოს სახალხო მმართველის უკეთილშობილესი სახელი ენიჭება, რეალურად კი, ის ხდება ყველაზე ცუდი, როგორც შეიძლება იყოს საერთოდ სახელმწიფო“.

მარკუს ტულიუს ციცირონისათვის მისაღებია მონარქიული წყობა, დემოკრატის კი ამ სამი ფორმიდან (მონარქია, ტირანია, დემოკრატია) ყველაზე არასრულყოფილად მიიჩნევს. მისთვისაც მხოლოდ რაღაც შერეული ფორმაა მისაღები „როდესაც ყველაფერს წყვეტს ხალხი, მაშინ როგორც სამართლიანიც და ზომიერიც უნდა იყოს, მაინც თვით თანაბრობაა აქ უსამართლო, რადგან ამ დროს საზოგადოებაში არ არის გათვალისწინებული იერარქია (გონებრივი, ზნეობრივი)“. აქედან, პირდაპირი, „მოლიბული“ გზაა უბედურებისაკენ, ანუ „ბრბოს უგუნურებისა და თავნებობისაკენ“. საჭიროა შერეული (და არა მარტივი) სახელმწიფოებრივი ფორმა, „რადგან, სასურველია, სახელმწიფოში იყოს საზოგადოების ელიტარული, გამორჩეული ჯგუფი, რომელიც ძალაუფლების გარკვეულ ნაწილს მაინც გადასცემს ამაღლებული აზროვნების მქონე ადამიანებს, დანარჩენი კი, ხალხის ნებამ განსაზღვროს“. შესაბამისად, მისი აზრითაც, დემოკრატიული მმართველობის ფორმას სიყალბემდე მივყავართ.

როგორც ირკვევა, ქრისტიანულ ეპოქამდე, ბუნებრივ სამართალს მოაზროვნეთა უმრავლესობა ემხრობა. პოზიტიური სამართლის აპოლოგეტთა რიცხობრივი სიმცირე ამკარად იგრძნობა, თუმცა, სახელმწიფოს მმართველობის დემოკრატიული ფორმის სისუსტეში ორივე მხარე ღრმად არის დარწმუნებული.

არსობრივად არაფერი იცვლება შემდეგ პერიოდშიც, ერთნი აღიარებენ ბუნებრივი სამართლის აუცილებლობას, მეორენი კი, უბრალოდ, არ ცნობენ მას.

მარტინ ლუთერი, როგორც თეოლოგი ბერი, თავისებურად, ღვთიურ სამართალს სახელმწიფოსთან მიმართებაში მაინც აღიარებს. დემოკრატიული ფორმა კი მისთვის მიუღებელია. ასევე – ჟან კალვინი – ის მმართველობის „ყველაზე ცუდ“ ფორმად დემოკრატის მიიჩნევს.

ჭეშარი დე გროტ გროციუსი – ბუნებრივი სამართალი, ეს არის „სამართალი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით“. სახელმწიფოებრივ ფორმებს (მონარქია, დემოკრატია . . .) ის დიდ მნიშვნელობას საერთოდ არ ანიჭებს.

ბუნების კანონებს **სპინოზა** შემდეგნაირად ახასიათებს – „ღვთის გადაწყვეტილება, ბუნებრივი სინათლით აღმოჩენილი“.

ადამიანი ბუნების ნაწილია, ამიტომ მასზე ბუნებრივი კანონზომიერება ვრცელდება.

ბუნებრივი სამართალი „არ არის შეზღუდული არავითარი კანონებით და ყველა უნდა დემორჩილოს მას ყველაფერში“. აქედან, ნათლად ჩანს, რომ მისი აზრით, დემოკრატიული მმართველობის ფორმით კანონების დადგენა აზრს კარგავს.

გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცი – „ხელისუფალმა ისე უნდა მართოს სახელმწიფო, როგორც ღმერთი მართავს დიდ სამყაროს, თუ უნდა, რომ თავისი შრომით აყვავებული ქვეყნისაგან ნეტარება მიიღოს“. „ადამიანთა კანონები, ესაა ღვთის კანონების ზღურბლი, რომელმაც ჩვენი ცდუნებანი უნდა შეაჩეროს, ამ კანონებმა უნდა გვაზიარონ სიკეთესთან, მოგვიტანონ სიკეთე“. მისი აზრით, ცხადია, ამ მისიას ვერავითარი დემოკრატიული მმართველობის ფორმა ვერ აღასრულებს.

ვოლტერი – „ღმერთი რომ არ ყოფილიყო, ის უნდა გამოგვეგონებინა“. გულისხმობდა თუ არა ამ ფრაზაში ბატონი ვოლტერი ღვთიური სამართლის გამოგონებასაც, დღეს ძნელი დასადგენია. მისი შემოქმედებიდან კი ნათლად ჩანს, რომ იგი აბსოლუტიზმის მომხრეა. შესაბამისად, ისიც, ლაიბნიცივით, დემოკრატიით აღფრთოვანებული არ არის.

შარლ ლუი მონტესკიე ბოლომდე არაა დარწმუნებული დემოკრატიის უცოდველობაში.

მართალია, ჟან ჟაკ რუსოს ორიგინალური აზროვნება აწყობილია ადამიანთა ბუნებრივი მდგომარეობის ჰიპოთეზაზე, მაგრამ მისი იდეები ის ნიადაგია, საიდანაც თუნდაც, **ჟან პოლ მარატის** და **მაქსიმილიან რობესპიერის** იდეოლოგია აღმოცენდა. ეს უკანასკნელნი დემოკრატიის ზოგად პრინციპებში ტერორის სამართლიანობას ხედავდნენ.

ადამ სმიტის მსოფლმხედველობის მთავარი ძარღვია განმანათლებელი რაციონალიზმი. რაციონალიზმს ის ბუნების, ანუ გონივრულ კანონზომიერებად განიხილავს. ბუნების კანონზომიერებას აღიქვამს და ეთანხმება გონებას.

მისი აზრით, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონები ჰარმონიულობის დამკვიდრებისათვის შეიქმნა, რომელთა პრინციპები, საფუძველი დევს „ბუნებრივ იურისპრუდენციაში, შესაძლოა ყველაზე მნიშვნელოვან მეცნიერებაში, არსებულ მეცნიერებათა შორის“.

იმანუელ კანტის გააზრების ქვაკუთხედია ბუნებრივი სამართალი.

ადამ სმიტი, **იმანუელ კანტი**, **გეორგ ჰეგელი**, **ედმუნდ ბიორკი** მეტ-ნაკლები სიმძაფრით აკრიტიკებენ დემოკრატიული მმართველობის ფორმას.

ოგიუსტ კონტის, ჟან ანტუან ნიკოლა მარკიზ დე კონდორსეს, ჯონ უინტროპის, როჯერ უილიამსის, ბენჟამენ ფრანკლინის, თომას ჯეფერსონის, ალექსანდრე ჰამილტონის, თომას ვუდრო ვილსონისა და სხვათა მსჯელობის მთავარი არსი ბუნებრივი სამართალია. აქედან გამომდინარე, ყველანი დემოკრატიის სისუსტეზე მსჯელობენ და დემოკრატიის მიმართ სიფრთხილეს იჩენენ.

პოზიტიური სამართლისა და დემოკრატიული, როგორც სრულყოფილი მმართველობის ფორმის კრიტიკოსები არიან – **რუდოლფ შტამლერი**, **გუსტავ რადბრუნი**, **ანდრეს ოლერო**, **ვოლფგანგ ნაუკე**, **ლეონ ბურჟუა**, **ჟაკ მარიტენი**, **ნეო ჟან დაბენი**, **იოჰანეს მესნერი**, **ვერნერ მაინოფერი**, **ერიხ ფენხერი** . . .

ამერიკელი **ჯერომ ჰოლი** კი ცდილობს ბუნებრივი სამართალი პოზიტიურთან დაახლოვოს.

პოზიტიურ სამართალს აღიარებენ ნიკოლო დე მაკიაველი, ფრიდრიხ ვილჰელმ ნიცშე, თომას ჰობსი, ჰანს კელზენი, ჰერბერტ ჰარტი. . . ასევე – ლეონ დიუგიც, ოლონდ, ეს ადამიანი იმითაცაა საინტერესო, რომ, მართალია, ცნობს პოზიტიურ სამართალს, მაგრამ ამავე დროს ბუნებრივი სამართლის მიმართ სიმპათიას ვერ მალავს.

პოზიტიური სამართლის მომხრეთა შორისაც დემოკრატიის აპოლოგეტები სანთლით არიან საძებარნი.

იკვეთება ურთულესი პრობლემა – ერთი მხრივ, ბუნებრივ სამართალსა და პოზიტიურ სამართალს შორის პრეროგატივისა და ჰარმონიის დადგენა, და მეორე მხრივ, დემოკრატიული მართვის სისტემის შევსების, დახვეწის აუცილებლობა, რათა შევძლოთ ეფექტური განვითარება.

შესაბამისად, ეს თვით საზოგადოებისა და სახელმწიფოს არსში შეძლებისდაგვარად გარკვევას მოითხოვს.

ამრიგად, იმ შემთხვევაში, თუ უმრავლესობის მმართველობა შებოჭილი არ იქნება სამართლითა და თავისუფლების მქონე იდეით, შესაძლებელია ის ტირანიად გადაიქცეს. მოქალაქისთვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ ვინ ახორციელებს ტირანიას – ერთპიროვნული მმართველი თუ დემოკრატიული არჩევნების შედეგად მოსული უმრავლესობა. უმრავლესობის მიერ განხორციელებული ტირანიის დამკვიდრებისას მდგომარეობა გაცილებით მძიმეა, რადგან მას საზოგადოებრივი აზრისა და ამ საზოგადოებრივი აზრიდან მომდინარე სულიერი და ფაქტობრივი წინააღმდეგობის დაძლევა ძალადობით უწევს.

საზოგადოება და სახელმწიფო

ადამიანთა ერთობამ, სისტემის თვისებებიდან გამომდინარე, შეიძლება შექმნას საზოგადოება, მასა ან ბრბო.

ალბათ, დიდ შეცდომას არ დაუშვებთ, თუ ადამიანთა ნაკრებს – საზოგადოებას, მასას და ბრბოს შემდეგნაირად დავახასიათებთ. საზოგადოება, ესაა მეტ-ნაკლებად მაღალი დონის ორგანიზებული ნაკრები. შედარებით დაბალ, მაგრამ ადამიანთა მაინც ორგანიზებულ ნაკრებს ვუწოდოთ მასა. ადამიანთა არაორგანიზებული ნაკრები კი უკვე ბრბოა.

ფაქტია – ინდივიდი, როგორც საზოგადოების, მასის ან ბრბოს შემადგენელი ნაწილი, უმრავლეს შემთხვევაში, სხვადასხვანაირად გრძნობს, ფიქრობს და მოქმედებს.

განვიხილოთ სუბიექტი, რომელიც მასაში, ბრბოში ხვდება.

მართლაც, ისეთი რა უნიკალური თვისება ახასიათებს ბრბოს, მასას, საზოგადოებას, რომ შეუძლია შეცვალოს ადამიანი?

როგორც უნდა განსხვავდებოდნენ ადამიანები ერთმანეთისაგან – პროფესიით, ხასიათით, ინტელექტით, მაინც ის ფენომენი მოქმედებს, რასაც შეიძლება „კოლექტიური სული“ ვუწოდოთ. მისი ზემოქმედებით სუბიექტები და ინდივიდები, როგორც აღვნიშნეთ, სხვანაირად აღქმას, ფიქრს, ქმედებას იწყებენ. ჩნდება ან მულავნდება, ან გარდაიქმნება იდეები და გრძნობები. გაერთიანებული ადამიანები, თითქოს ქმნიან ახალ არსებას, ორგანიზმს (მასას, ბრბოს ან საზოგადოებას), მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ახალი თვისებებით, რომელიც განსხვავებულია მისი შემადგენელი უჯრედის, ინდივიდის თვისებებისაგან.

ამრიგად, იქმნება მასის საშუალო ხასიათი. მასაში მყოფი ადამიანი, მასის ნაწილი, თავს „ძლიერად“ გრძნობს. თავისუფლდება მარტივი იმპულსები, რომელიც ინდივიდის განმხილვებისას შეზ-

ლუღლუღია. მასა ქმნის ანონიმურობას, ანუ ქრება პირადი პასუხისმგებლობა; ქრება „სოციალური შიში“; ქვეცნობიერის ყველა უარყოფითი იმპულსი ზედაპირზე ამოდის; იძირება ცნობიერი; ინდივიდი მზადაა ჰიპნოზისათვის; იგი გამოსხივების იმ ველში ხვდება, რასაც მასა ასხივებს; იგი მართვადია და ცივილიზაციის კიბეზე რამდენიმე საფეხურით ეშვება; განსწავლულიც კი ველური – ბიოლოგიური ობიექტი ხდება, რომელსაც ნებისმიერი ვივინდარა მარტივად მართავს; ჩნდება სპონტანურობა, ველური ენთუზიაზმი; ქრება საკუთარი თავის უნდობლობა, ეჭვი; იბადება, ერთი მხრივ, ვილაციის ან რალაციის გაღმერთების დაუოკებელი სურვილი და, მეორე მხრივ, ვილაციისა, თუ რალაციის მიმართ ანტიპათია ან ცხოველური სიძულვილი.

ზნეობადაქვეითებულ, შემთხვევით ამოტივტივებულ ლიდერს საქმე უმარტივედა. ლოგიკა აღარაა საჭირო; მთავარია ექსპრესია; მთავარია ერთი და იგივე იმეორე; მასა უკვე ლიდერისაგან არა მხოლოდ ძალის დემონსტრირებას, არამედ მის გამოყენებასაც ითხოვს. მისდამი შიში ბრბოს წვევს სიამოვნებას ანიჭებს. ქვეცნობიერად გრძნობს, რომ ამ შიშის მეშვეობით, ლიდერის გაღმერთებით, პასუხისმგებლობა ნებისმიერ ქმედებასა თუ შედეგებზე მხოლოდ ლიდერს ეკისრება და იმედი აქვს, რომ აქედან რაიმე ხეირს მიიღებს. იწყება ზიზლი ყველაფრისადმი, რასაც დაფიქრება, შემეცნება სჭირდება (ახლისადმი, პროგრესისადმი). მასის სული, თითქოს მისი შემაღვენლის, დაჩლუნგებული ინდივიდის სული ხდება. ის ლიდერის ყველა პრიმიტიულ აზრს ეთანხმება; იმ აზრსაც კი, რომელსაც მასის გარეშე არასდროს დაეთანხმებოდა. ყველა ქედს იღრეკს; მათში ჩნდება პარველყოფილი ადამიანის დამახასიათებელი ელემენტები: ტაბუ პიროვნებებზე, აზრებზე. მასას უკვე აღარ სჭირდება რეალობა; მას ილუზია სჭირდება და ამას ის ლიდერისაგან იღებს; მასას ილუზიის გარეშე ცხოვრება უკვე აღარ შეუძლია. ილუზია ენაცვლება რეალობას; იწყება უკუკავშირი; მასის მიერ იდეის ატაცება აიძულებს ლიდერს დაიჯეროს, რომ ის, მართლაც გენიოსია. მასში მასაზე ზემოქმედების სურვილი ახალი ძალით იღვიძებს. ასეთი პრესის ქვეშ მასა უცილობლად იქცევა ბრბოდ. ეს უკვე რევოლუციის, ამბოხების რეალური საფუძველია. შედეგად ერთი უაზრო სისტემა, ხშირ შემთხვევაში, უარესით იცვლება, და შემდეგ ყველაფერი თავიდან იწყება.

ზემოაღნიშნული მოსაზრება არახალია და მეტ-ნაკლებად განათლებულმა ნაწილმა ეს ჩვენზე უკეთ იცის.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია გავერკვეთ – რა არის ის შემაკავშირებელი „ნივთიერება“, რაც ადამიანთა გაერთიანებას, მასას ქმნის.

არ უნდა გამოგვრჩეს უკიდურესად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ მასას განსხვავებული თვისებაც ახასიათებს. ზოგჯერ მისი ზნეობა უფრო მაღლა დგას, ვიდრე ინდივიდის. მასა ქმნის ერთგულებას, უანგარობას. ამ დროს ინდივიდუალურობის ძირითადი მახასიათებელი – პირადი გამორჩენა, უკან იხევს. მასა ქმნის ჩვევებს, ნორმას, ზნეობას, ანუ მას ჩამორჩება ინდივიდი. ის ქმნის ენთუზიაზმს. აღმორჩენას, რა თქმა უნდა, ინდივიდი განმარტობით აკეთებს; თუმცა, გენიალურის შექმნა მასასაც შეუძლია; მისი შექმნილია ენა, სიმღერა, ფოლკლორი. ნებისმიერი გენიოსი ვალშია მასასთან, რადგან იგი იმპულსს მისგან იღებს. მასის ზეგავლენით – კრიტიკა, ქება – ინდივიდს სრულყოფამდე მიჰყავს საკუთარი შემოქმედება. ამ შემთხვევაში, მასის დაბალი ინტელექტი უკან იხევს. საზოგადოება მასასთან შედარებით უფრო მეტ შესაძლებლობას მოიცავს.

ეს უმარტივესი გააზრებაც საკმარისია, რათა მივხვდეთ, რომ ადამიანთა გაერთიანება ურთულესი ფენომენია.

რას შეიძლება შევადაროთ დღეს ჩვენი საზოგადოება?

ჩვენს ცხოვრებას უკვე სარდაფის შმორიანი სინესტის სუნი ასდის. საზოგადოება თვალვდახრილ, მობუზულ ინვალიდს დაემსგავსა. მასში განვითარდა არასრულფასოვნების კომპლექსი. ის ღრმადაა დარწმუნებული, რომ საკუთარი ბედის მართვას ვერასდროს შეძლებს. ურთულესია მას გავაგებინოთ, რომ სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და მართვისათვის აუცილებელია ის ნაბიჯი, ახალი მსოფლმხედველობა, რომლის საფუძველსაც პარადიგმა წარმოადგენს.

ახალი დროებიდან დღემდე ადამიანთა მსოფლმხედველობას აყალიბებდა ე.წ. სამი პარადიგმა. სიტყვა პარადიგმას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ეს სიტყვა ელინურ საზოგადოებაში ნიშნავდა ისტორიულ მაგალითს, პრეცედენტს, როგორც მტკიცებულებას, ჩვენთვის გასარკვევ საკითხთან შედარებას. ლინგვისტიკაში კი სიტყვის ფუძის შენარჩუნებისას ფორმის ცვლილებას (სახელის ბრუნვა, ზმნის უღლება) ნიშნავს.

სიტყვა პარადიგმას ახალი აზრობრივი დატვირთვა მიანიჭა ამერიკელმა ფიზიკოსმა, ისტორიის ანალიტიკოსმა, ფილოსოფოსმა თომას კუნმა (1922–1996). ტერმინი პარადიგმა, პარადიგმათა ცვლილება მან 1962 წელს შემოიტანა ნაშრომში „მეცნიერული რევოლუციის სტრუქტურა“. ის პარადიგმას უწოდებს ეპისტემოლოგიის, ანუ შემეცნების თეორიის ცვლილებას.

ხდება პარადიგმის მინიმუმ სამი ასპექტის გამოყოფა.

პარადიგმა – სამყაროს მოწყობის ზოგადი სურათი, მსოფლმხედველობა.

პარადიგმა – დისციპლინარული მატრიცა, იმ ფასეულობათა რწმენის ერთობის განმსაზღვრელი, რომელიც ერთი და იმავე დარგში მომუშავე სპეციალისტებს აერთიანებს.

პარადიგმა – პრობლემის გადაწყვეტის რაღაც დამკვიდრებული შაბლონი.

სიტყვა პარადიგმის არსი არაადეკვატურად იქნა აღქმული, რის გამოც კუნმა მისი არსი დააკონკრეტა ტერმინით – „დისციპლინარული მატრიცა“.

მისი აზრით, პარადიგმათა კონფლიქტი გახლავთ განსხვავებული ფასეულობების, ამოცანათა, პრობლემათა გადაწყვეტის განსხვავებული მეთოდების დაპირისპირება.

გაბედლოთ, და პარადიგმის ამგვარი განმარტება სოციალურ პრობლემებთან მიმართებაში გამოვიყენოთ.

ჩვენი აზრით, ნებისმიერი ეთნოსი, ერი, საზოგადოება საკუთარ თავში გამოყოფს ელიტარულ ნაწილს. მისი აზროვნება, ლოგიკა მთელ საზოგადოებაში მკვიდრდება და სოციუმის შესაბამისი აზროვნების დონე – ჩამოყალიბებულ შეხედულებათა ერთობლიობა – პარადიგმა, დისციპლინარული მატრიცა ყალიბდება.

ამრიგად, პარადიგმა სოციუმში გაბატონებული აზროვნების დონეა, რომელიც საზოგადოებაში, ერში, ეთნოსში გამოკვეთილი ელიტის შეხედულებებისამებრ დამკვიდრდა.

აქ, საზოგადოებაში წარმოქმნილი პრობლემის არსი ჯერ კიდევ არ ჩანს.

თუ ელიტის მიერ ჩამოყალიბებული პარადიგმა წინააღმდეგობაში შედის ბუნების კანონზომიერებასთან, მაშინ საზოგადოებაში სტაგნაციის ეპოქა დგება; და ცხოვრების ეს მონაკვეთი ხელოვნური პოლიტიკური კონიუნქტურით და სხვა მერკანტილური მიზნებითაა ნასაზრდოები. ამრიგად, საზოგადოებას თავს ახვევენ მისთვის არაბუნებრივ შეხედულებებს.

სწორედ ამგვარი ზემოქმედების შედეგად ყალიბდება აზროვნების რევოლუციის წინაპირობები. ერთი პარადიგმის მეორე პარადიგმით შეცვლა უკვე მენტალურ-კულტურულ-მეცნიერული რევოლუციაა.

„მატრიცული თეორია“ სწორედ შემდგომი პარადიგმის შექმნის მცდელობაა.

ცხადია, საზოგადოების განვითარების ყოველ საფეხურზე არსებობს დამკვიდრებულ ღირებულებათა ერთობლიობა – აზროვნების კონკრეტული დონე, პარადიგმა, დისციპლინარული მატრიცა. ნებისმიერი მცდელობა შეეცვალოთ დამკვიდრებული ღირებულებები და შეექმნათ რაღაც ახალი, ურთულეს წინააღმდეგობებს აწყდება. ისიც ცხადია, რომ ყოველი კონკრეტული აზროვნების დონე საზოგადოებრივ ცხოვრებაზე შესაბამისად ზემოქმედებს. არშემდგარი სახელმწიფოც სწორედ ამჟამად დამკვიდრებულმა აზროვნების დონემ განაპირობა.

ჩვენი აზრით, საზოგადოების განვითარების დაქვეითებას თავსმოხვეული, არაბუნებრივი პარადიგმა იწვევს.

აქ პრობლემის სათავე გამოჩნდა: როდესაც საზოგადოების ნაწილის ელიტად აღიარება-დამკვიდრება ხელოვნურად ხდება, ამ შემთხვევაში აღნიშნული „ელიტა“ საზოგადოების განვითარების პოტენციალს არ ფლობს. სწორედ ეს შეუსაბამობა აჩენს შემდგომ პრობლემებს. ასეთი „ელიტის“ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი განსაკუთრებით, საზოგადოება საღატას ძილის მდგომარეობაში შეინარჩუნოს და ახალი ელიტის ბუნებრივი კანონზომიერებით გამოკვეთას ხელი შეუშალოს.

ამრიგად, საზოგადოების განვითარების პირველი ნაბიჯი ბუნებრივი კანონზომიერების საფუძველზე ჩამოყალიბებული ელიტის გამოკვეთაში მდგომარეობს. შემდეგ აღნიშნული ელიტა ჯერ თვითონ გადავა ახალი აზროვნების დონეზე – ახალ დისციპლინარულ მატრიცაზე – და შემდეგ საზოგადოებას შესთავაზებს სრულიად ახალ პარადიგმას; და თუ პირველი ნაბიჯი – ახალი ელიტის გამოკვეთა – ბუნებრივად მოხდა, საზოგადოების ბუნებრივი კანონზომიერებით განვითარების შანსი ჩნდება.

ცხადია, ეს პროცესი ურთულესია და ახალი ელიტის მხრიდან სრულ ძალისხმევას მოითხოვს. თუმცა, თუ ახალი ელიტა ამ პრობლემის გადაჭრას შეძლებს, დამკვიდრდება ახალი პარადიგმა, და შესაბამისად, ამ ახალი, მაღალი აზროვნების დონიდან გადაწყდება ამჟამად არსებული ყველა ყოფითი პრობლემა, რომელიც არსებულმა დაქვეითებული აზროვნების დონემ განაპირობა.

საზოგადოების სულიერი და ეკონომიკური დონე პირდაპირ უკავშირდება საზოგადოებაში დამკვიდრებული პარადიგმის ბუნებრივობის ხარისხს, ანუ რაც ძლიერია საზოგადოება მით ბუნებრივად აქვს მას პარადიგმა შერჩეული.

უფრო ნათლად, საქართველოს საზოგადოებაში შეიქმნა ელიტარული ფენა – მეცნიერებათა აკადემია, მხატვართა, კომპოზიტორთა, მწერალთა, არქიტექტორთა კავშირები, ცნობადი პოლიტიკური ლიდერები, პოლიტოლოგები . . . მათი აზროვნების დონე, ლოგიკა გავლენას ახდენს სოციუმზე და შედეგად, სოციუმის აზროვნების დონე ყალიბდება. ალბათ, ხშირად გინახავთ „ობივატელი“ საკუთარი აზრის მართებულების დასადასტურებლად ელიტარული ავტორიტეტის მიერ ნათქვამ ფრაზას როგორ იშველიებს. რამდენად შეესაბამება ელიტის ლოგიკა სოციუმის განვითარების კანონზომიერებას? – ყველასთვის ნათელია, რომ ელიტის ლოგიკა მმართველი პოლიტიკური სისტემის და სოციუმის აგრესიული უმრავლესობის სურვილის მიხედვით ყალიბდება; შედეგად იწყება საზოგადოების სტაგნაცია, რეგრესი. და თუ საზოგადოებაში გაჩნდა ამდენი აზროვნების მქონე პიროვნება ან ჯგუფი, რომელიც ხმამაღლა აცხადებს – „მეფე შიშველია“, ელიტა ამ ჯგუფს, რბილად რომ ვთქვათ, შეურაცხადად აცხადებს.

ამ მდგომარეობის უკეთ გასააზრებლად ხელოვნების ისტორიიდან განვიხილოთ მაგალითი. საფრანგეთი, პარიზი, 1863 წელი. მანამდე ფრანგულ მხატვრობაში კლასიკური რომანტიზმის სკოლა იყო გამეფებული, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი ეჟენ დელაკრუა გახლდათ. მისი აზრით, ნახატის არსი ადამიანსათვის სიამოვნების მინიჭებაში მდგომარეობდა. შესაბამისად, იქმნებოდა ტილოები პეიზაჟები ფუშფუშა მკერდიანი შიშველი ქალებით. სწორედ, ამ დროს იბადება იმპრესიონიზმი. გასაგებია, როგორი აგრესიით შეხვდებოდა იმდროინდელი ხელოვნების ელიტა ამ ახალ მიმართულებას. გავიხსენოთ, როგორ მიიღო საქართველოს მხატვართა საზოგადოებამ ნიკა-ლას ფერწერა, როგორ დასცინოდნენ მას. გაჩნდა კარიკატურა წარწერით – „წალი ძმაო, ხატვა ისწავლე“. დიახ, ეს ძველი და ახალი ლოგიკის, აზროვნების დაპირისპირება იყო. გადის დრო, და მას შემდეგ, რაც ნიკალა სილატაკეში გარდაიცვალა, საზოგადოების ამდენი ნაწილამდე დადის ახალი ხედვა. ნიკალამ საკუთარი ნახატების დღევანდელი ღირებულება რომ შეიტყოს, ვინსენტ ვან გოგის მსგავსად, ყურს მოიჭრიდა; თვით ვან გოგმა (მან ცხოვრებაში მხოლოდ ერთი ნახატი გაყი-

და) რომ შეიტყოს საკუთარი ტილოების დღევანდელი, ევროში გამოსახული, ფასი, არავინ იცის, სხეულის შემორჩენილი ნაწილებიდან რომელს მოიჭრიდა.

ამრიგად, მათ ახალი აზროვნების, ფასეულობების დამკვიდრება, ახალი პარადიგმის დაბადება შეძლეს.

საზოგადოების ნაწილში, კონსულსიების შემდეგ, ახალი ხედვა იკიდებს ფეხს და შემდეგ ის სოციუმის უმრავლესობაზე ვრცელდება და არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად ესმით მათ ახალი ხედვა. დღეს ნიკალას, გოგენისა და ვან გოგის ნახატების რეპროდუქციებს მეწაღეთა ფარდულებშიც შეხვდებით.

მოდის სწრაფად გავრცელების ფენომენიც პარადიგმით იხსნება.

მეცნიერებაშიც ასევე მტკივნეულად მიმდინარეობს აზროვნების არსებული დონიდან ახალ დონეზე გადასვლა. საზოგადოებაში დამკვიდრებულ აზროვნების დონეს უწოდებს თომას კუნი პარადიგმას. შესაბამისად, სოციუმის ერთი აზროვნებიდან მეორე აზროვნებაზე გადასვლას ვუწოდოთ პარადიგმის ცვლილება.

პარადიგმა, ანუ დისციპლინარული მატრიცა, ის მაგიური კრისტალია, რომელშიც ადამიანი სამყაროს ახლებურად ხედავს, ახალ მოდელებს ქმნის. ყველა პარადიგმას თავისი სტერეოტიპი ახასიათებს, რომლის მეშვეობითაც ადამიანის, საზოგადოების მოსალოდნელი ქცევის განსაზღვრა, ევოლუციის გააზრება ხდება.

როგორც აღვნიშნეთ, ახალი დროებიდან დღემდე ადამიანთა მსოფლმხედველობას სამი პარადიგმა აყალიბებდა.

კლასიკური **წრფივი პარადიგმა** ჩამოყალიბდა **რენე დეკარტეს** შრომის საფუძველზე „განსჯა მეთოდისა, თუ როგორ უნდა მიემართოთ ჩვენი გონება, რათა მეცნიერულ ჭეშმარიტებას შევწვდეთ“ (1637).

ჩვენი აზრით, აქ კაცობრიობის ისტორიაში მოხდა უდიადესი რამ, რაზედაც ასე გამოკვეთილად არ დაფიქრებულან არც, ანტიკურ საბერძნეთში, არც ეგვიპტეში, არც აზიურ სამყაროში. დეკარტემდე ყველგან და ყოველთვის გარე სამყაროს ძირითადად აღიქვამდნენ როგორც, რაღაც ობიექტურ რეალობას და არ ებადებოდათ კითხვა, თუ იმას, რასაც უყურებდნენ, რის შემეცნებასაც ცდილობდნენ, რაც უყვარდათ იყო ილუზია თუ ჭეშმარიტება.

დაფიქრებულვარ მე - მე ვარ?

მოგვიანებით, იგივე კითხვა აწუხებდება ბარუხ სპინოზას.

დეკარტეს მიერ დამკვიდრებული მეთოდი ეფექტური იყო 250 წლის განმავლობაში (XIX საუკუნემდე, როდესაც ცივილიზებული საზოგადოების ზოგადი საფუძველი ჩამოყალიბდა) და აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. ეს გახლდათ სოციალური ფენომენის, მოვლენის არსის გააზრება ისტორიული მაგალითის პირდაპირი განხილვითა და შედარებით. ამრიგად გამოტანილი დასკვნა, სიტუაციიდან გამომდინარე, შესაძლოა ამჟამადაც გამოვიყენოთ. **წრფივი პარადიგმის** არსს ამგვარი ფორმულირება აქვს:

1. მომავლის მიზანი მთელი სიცხადით უნდა იქნეს წარმოდგენილი.
2. სუბიექტის ობიექტში შესვლა მისი მართვის მიზნით.
3. საზოგადოების ფასეულობათა იერარქია.
4. ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ერთობის პრინციპის გააზრება.

დეკარტეს ჭეშმარიტების ძიების აუცილებელი მეთოდი:

1. არასდროს მიიღოთ ჭეშმარიტებად ის, რაც არასრული სიცხადითაა შემეცნებული. მკაცრად ერიდეთ შეუფასებლობას და გადაჭარბებულ შეფასებას. თქვენს მსჯელობაში გამოიყენეთ მხოლოდ ის, რაც გონებისათვის ცხადია, იმდენად ნათლად და მკვეთრადაა გარკვეული, რომ ეჭვის შეტანის არავითარი მიზეზი არ მოიძებნება.

2. შეეცადეთ დაანაწევროთ თქვენ მიერ საკვლევი პრობლემა იმდენ ნაწილად, რამდენსაც მისი სუკეთესოდ გადაწყვეტა მოითხოვს.

3. სასურველია აზროვნების განსაზღვრული წესი შევარჩიოთ, რომლის მიხედვით გააზრება უკიდურესად მარტივად აღსაქმელი საგნებიდან და ცნებებიდან უნდა დაიწყოთ და სვლა რთული-საკენ მხოლოდ შემდეგ განვაგრძოთ; ეს წესი იქაც კი შევინარჩუნოთ, სადაც შემეცნებად საგნებს შორის ბუნებრივი კავშირები საერთოდ არაა მოცემული.

4. სასარგებლოა შევადგინოთ საკვლევი საგნების, ცნებების სრული და შეძლებისდაგვარად ზოგადი ხედვის ისეთი ჩამონათვალი, სია, რომელშიც არაფერი გამოგვრჩება.

ორგანიზმული პარადიგმა. ამ პარადიგმის ავტორია ჰერბერტ სპენსერი (1820-1903). მან 1873 წ. ჩამოაყალიბა ორგანიზმული თეორია, რაც, ფაქტობრივად, ანტიკური აზროვნებისა და ოგიუსტ კონტის იდეების გაგრძელებას წარმოადგენს.

სპენსერის მნიშვნელოვანი ნაშრომებია – „სინთეტიკური ფილოსოფიის სისტემა“, „ძირითადი საწყისი“ (1862), „ბიოლოგიის პრინციპი“ (1867), „ფსიქოლოგიის პრინციპი“ (1896). . .

ამ პარადიგმის არსია საზოგადოების ჩამოყალიბების გააზრება ცოცხალი ორგანიზმის მაგალითზე, თუ რა ხარისხით შეუძლია საზოგადოებას ცვალებადობა, შერჩევა, ადაპტაცია.

სპენსერის აზრია – „ყოველი ადამიანი თავისუფალია აკეთოს ის, რაც სურს, თუ ამით მეორე ადამიანის თავისუფლება არ ირღვევა“. აქედან იბადება ცნობილი გამოთქმა – შენი თავისუფლება თავდება იქ, სადაც იწყება სხვისი თავისუფლება. ამ სენტენციის ზედაპირული მომხიბვლელობის მიუხედავად, ის შენიღბულად მოიცავს დამანგრეველ აზრს – რომ თავისუფლებას, როგორც უმაღლეს ფასეულობას აქვს ზღვარი, ჩარჩო.

ორგანიზმული პარადიგმის დამკვიდრებამ I და II მსოფლიო ომები მოგვიტანა.

არაწრფივი, ევოლუციური, სისტემური პარადიგმა. აქ მიმდინარეობს იმ პროცესების გააზრება, სადაც ძირითადია განუზღვრელობა, ანუ ისეთი პროცესების შესწავლა, სადაც წინასწარ გააზრება რთულია.

ამ პარადიგმის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ნილს ბორის დამატებითობის პრინციპმა, ლეო ფონ ბერტალანფის შრომამ „სისტემის ზოგადი თეორია“, ჰაიზენბერგის განუზღვრელობის პრინციპმა და ილია პრიგოჟინის ძირითადმა გააზრებებმა, სადაც ზუსტი მეცნიერების საფუძველზე მკვეთრად გამოჩნდა, რომ ქაოსი, რა გასაკვირიც უნდა მოგვეჩვენოს, წესრიგის განსაკუთრებული ფორმაა. ქაოსის ზრდა ევოლუციური ცვლილების წინაპირობაა (ჩაკეტილ სისტემაში უწესრიგობის ზრდა მიმდინარეობს, ღია სისტემაში კი – ქაოსი ევოლუციის ბიძგია). ღია სისტემაში ქაოსისას წესრიგის, ინოვაციების მოთხოვნილება ჩნდება.

ჩვენი აზრით, მესამე არაწრფივი, სისტემური, ევოლუციური პარადიგმის ფუძემდებელი ჰეგელი გახლავთ. მის ფილოსოფიაში მნიშვნელოვანია არა შედეგი, არამედ შედეგის მიღწევის პროცესი. ესაა აზროვნების მეთოდი, რომლის გარეშე ვერავითარ მწვერვალს ვერ დავიპყრობთ. ფაქტიურად, ჰეგელმა ობიექტის მოდელირების მეთოდი შექმნა. აი, ესაა სისტემური მიდგომა. ესაა მესამე არაწრფივი, სისტემური, ევოლუციური პარადიგმის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი.

თუ ჩავთვლით, რომ პარადიგმა არა ინდივიდის, არამედ სოციუმის აზროვნების დონეა, მაშინ მივხვდებით, რომ ჩვენს სოციუმში არც ერთი ზემოთ აღნიშნული პარადიგმა არ დამკვიდრებულა. ამიტომ, რომ ჩვენი საზოგადოება რეგრესს განიცდის.

რადაცა რომ შეიცვალოს აუცილებელია არსებობდეს ის, რაც უნდა შეიცვალოს. აქედან უფრო მნიშვნელოვანი დასკვნა - არ არსებობს ახალი ცოდნა, რაც ძველს არ ეყრდნობა.

განათლებულ ადამიანთა ისტორია ამ ფენომენის გააზრების ისტორიაა.

შესაბამისად, როგორც ხვდებით, ეს ნაშრომი ჩვენთვის მნიშვნელოვანი ამოცანის მესამე პარადიგმით გადაწყვეტის მცდელობაა. შეძლებისდაგვარად შევეცდებით IV პარადიგმა ჩამოვაყალიბოთ.

ადამიანებს, უხსოვარი დროიდან დღემდე, აწუხებდათ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა — არსებობს თუ არა ისეთი თეორია, შემეცნების ისეთი მოდელი, რომელიც ჩვენ მიერ ცხოვრებაში დაშვებული შეცდომების მინიმუმამდე შემცირების საშუალებას მოგვცემს?

— არსებობს.

დანიელმა ფიზიკოსმა — ნილს ბორმა სწორედ შემეცნების ეს მოდელი ჩამოაყალიბა და მას **დამატებითობის პრინციპი** უწოდა.

ამ უმნიშვნელოვანესი პრინციპის საყოფაცხოვრებო, მარტივი მაგალითებით ახსნა რთულია, თუმცა, მაინც შევეცდებით.

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ წინაშეა ამოცანა — შევიმეცნოთ ბუნების ისეთი ფენომენი, როგორცაა მზის სინათლე.

ამ პრობლემის გადაწყვეტას ცდილობდა აიზეკ ნიუტონი. მან სინათლის სხივს დაუხვედრა ხელსაწყო, ინსტრუმენტი — მინის პრიზმა. პრიზმაში გავლის შემდეგ მზის სინათლის სხივი დაიშალა შვიდ ფერად — იისფერი, ცისფერი, ლურჯი, მწვანე, ყვითელი, ნარინჯისფერი და წითელი. ნიუტონმა გააკეთა დასკვნა — მზის სხივი რთული ფენომენია და შვიდი ფერისაგან შედგება. შემდეგ მან სხივს დაუხვედრა მეორე ხელსაწყო — მინის ლინზა, რომელმაც მზის სხივი შეკრიბა და მის ფოკუსში განთავსებული ქალაქი ამოწვა. აქედან ნიუტონმა გააკეთა მეორე დასკვნა — მზის სხივი საკმაოდ მძლავრი ენერჯის მქონეა.

ამრიგად, პრიზმა და ლინზა ურთიერთგამომრიცხავ ოპერაციებს ასრულებს — ერთი შლის მზის სხივს, მეორე — კრებს. ცხადია, არ არსებობს ისეთი ხელსაწყო, რომელიც ერთდროულად ორივე ოპერაციას შეასრულებს. გამოდის, რომ ამ ორმა „ურთიერთგამომრიცხავმა“ ხელსაწყომ მზის სხივის სხვადასხვა თვისებების გამოკვლევის საშუალება მოგვცა. შედეგად, უფრო მეტი ინფორმაცია მივიღეთ მზის სხივის შესახებ, ვიდრე აქამდე გვქონდა.

აქედან დასკვნა — **თუ რაიმე მოვლენის, საგნის სრულად გამოკვლევა, შემეცნება გვსურს, როგორც მინიმუმ ორი (და რაც მეტი, მით უკეთესი) ურთიერთგამომრიცხავი ხედვის კუთხიდან უნდა შევისწავლოთ. სხვადასხვა ხედვის კუთხიდან განხილვა ამდიდრებს ჩვენს ცოდნას მოვლენისა თუ საგნის შესახებ. სწორედ, ამიტომ დაერქვა მას დამატებითობის პრინციპი.**

ესაა საგნის, მოვლენის შემეცნებისას დაშვებულ ცდომილებათა შემცირების ერთადერთი საშუალება.

განვიხილოთ ჩვენთვის საინტერესო საკითხი — როგორ ხდება სახელმწიფოს ჩამოყალიბება-განვითარება — სხვადასხვა ურთიერთგამომრიცხავი ხედვის კუთხიდან: ზუსტი მეცნიერების, ფილოსოფიის, სოციალური ფილოსოფიის, ისტორიზმის, იურიდიული ფილოსოფიის, ეთიკის, თეოლოგიის . . .

დავუბრუნდეთ ურთიერთგამომრიცხავ, განსხვავებულ ხელსაწყოებს — პრიზმას და ლინზას. პრიზმა შლის სინათლის სხივს (დაშლა — ლათ. **ანალიზი**). ლინზა კი სხივს კრებს (შეკრება — **სინთეზი**). ამრიგად, ცხადია, **ერთდროულად ანალიზი და სინთეზი შეუძლებელია.**

თუ ამ მოსაზრებას განვაზოგადებთ, მივხვდებით, რომ ერთდროულად აზროვნება და ქმედება არამიზანშეწონილია; ეს დამატებითობის პრინციპს ეწინააღმდეგება.

დამატებითობის პრინციპის გათვალისწინებით, განვიხილოთ ცნება ეპოქა.

ჩვენ ხშირად ვხმარობთ ისეთ გამოთქმებს, როგორიცაა — სტალინის ეპოქა, განვითარების ეპოქა, სტაგნაციის ეპოქა. . .

ეპოქა არის ბერძნული სიტყვა (ეპოქე — გაჩერება) და ნიშნავს ცხოვრების რაღაც პერიოდს, რომელიც მსჯელობის, გააზრების გარეშე მიმდინარეობს. ალბათ, გაოცდებით — როგორ შეიძლება ცხოვრების რაღაც მონაკვეთის გააზრების გარეშე გატარება; ჩვენ ხომ ერთდროულად ვცხოვრობთ, ვმოქმედებთ და ვაზროვნებთ?! ის, რაც ჩვენთვის, გაუგებარია, ძველი ბერძნებისათვის (საიდანაც

დასავლური აზროვნება იწყება) აბსოლუტურად მისაღები იყო. ცივილიზებული ადამიანისათვის ერთდროულად მოქმედება და აზროვნება დაუშვებელია. ისინი ჯერ გაიაზრებენ უახლოესი მომავლის მიზანს, შემდეგ სამოქმედო გეგმას შეადგენენ და მხოლოდ ამის მერე იწყებენ ქმედებას. და მათთვის დგება ეპოქა – დრო (სამოქმედო გეგმის აღსრულებამდე) განსჯის გარეშე. ეს ის ფსიქოლოგიზმია, რითაც ჩვენ და რაციონალურად მოაზროვნე ევროპელები ერთმანეთისაგან განვსხვავდებით.

დავფიქრდეთ. მართლაც, ჩვენი ცხოვრება გარკვეული თუ გაურკვეველი ეტაპებისაგან შედგება. თითოეული ეტაპის გავლის შემდეგ, მოაზროვნე ადამიანი უნდა დაფიქრდეს, შეძლო თუ არა მან ამ პერიოდში სულიერი და მატერიალური პოტენციალის დაგროვება, რომლის გარეშე შემდგომი ეტაპის გავლა შეუძლებელი იქნება. ერთი შეხედვით, ეს მარტივი ჭეშმარიტება ადამიანის პროგრესს თუ რეგრესს განაპირობებს.

აღბათ, უკვე მიხვდით „ეპოქის“ ამგვარი გააზრების რაციონალურობას. განათლებული, ყოველი ახალი ეპოქის დადგომის შეგრძნებისას, განვილილ ეპოქას ღრმად აანალიზებს. ამ ანალიზის საფუძველზე ახალ მიზანს ირჩევს, ქმედების გეგმას ალაგებს და მხოლოდ ამის შემდეგ მოქმედებს; იწყება ახალი ეპოქა.

ახლა დავუკვირდეთ ჩვენს საქციელს: ვთქვათ, თხოვდებით ან ცოლი მოგყავთ, ანუ თქვენს ცხოვრებაში ახალი ეტაპი, ეპოქა იწყება. თქვენ აქტიურად იწყებთ იმ ადამიანის ძიებას და იმავდროულად იაზრებთ, ესა თუ ის ინდივიდი ცხოვრების მეგზურად გამოგადგებათ თუ არა. ერთდროულად გააზრება და ქმედება უკვე შეცდომაა. უფრო ნათლად, ვთქვათ, გაიცანით ლამარა და გაგიჩნდათ მისი ცოლად მოყვანის სურვილი. იწყება ქმედება, ანუ მოვიყვან მას ცოლად და მერე ვნახავ, როგორი მეუღლე იქნება. თუ ისეთი არ აღმოჩნდა, როგორიც მე მეგონა, შევეცდები მის გამოსწორებას; მაგრამ, ვაითუ, პირიქით მოხდეს?! მივიღებთ იმ დაუნდობელ ბრძოლას ცოლ-ქმარს შორის, რაც ქმედებისა და გააზრების ერთდროულად წარმართვას აუცილებლად მოჰყვება. ეს უკვე თქვენი პირადი უბედურებაა.

შესაძლოა, თქვენ თვლით, რომ ოჯახი წინასწარი გააზრებით შექმნილი. დაგიჯერებთ, თუ ამიხსნით, რა ხდება ჩვენს საზოგადოებაში, როცა საკითხი ქვეყნის ბედ-იღბალს ეხება. განა ეს უფრო სერიოზული ნაბიჯი არაა, ვიდრე ცოლის მოყვანა ან გათხოვება? ცოლს, ჯვარი აქაურობას, და უკიდურეს შემთხვევაში გაეყრები. როგორ მოახერხებ პრეზიდენტთან ან პარლამენტთან გაყრას? თუ იცით, არ დაგვიმალეთ! იქნებ ჩვენც რამე გვეშველოს.

შედეგიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ჩვენ გაუაზრებლად ვირჩევთ პრეზიდენტს ან პარლამენტს; და იმედი გვაქვს, რომ ისინი ან გამოდგებიან და ან მათ ოპოზიციის აქტიურობა (მუდმივი ბუზღუნის, გინება და სისხლის ღვრა) გამოასწორებთ. ვაითუ, ასე არ მოხდეს?! საკითხისადმი ამგვარი მიდგომით, ჩვენ იმ პრინციპს ვარღვევთ, რაზეც ადამიანის შემეცნებაა დაფუძნებული.

ესაა ჩვენი უბედურების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი.

ვიცი, მეტყვით, რომ ეს ბანალური ჭეშმარიტებაა და ეს უჩემოდაც იცით. ამიტომ კიდევ ერთხელ გაგანსენებთ ბარუნ სპინოზას სიტყვებს:

„ჩვენ იმდენი ჭეშმარიტება ვიცით, რომ მისი მეთასხედიც საკმარისი იქნებოდა, რათა ბედნიერად გვეცხოვრა, მაგრამ ჭეშმარიტების ცოდნა და ჭეშმარიტად ცხოვრება სხვადასხვა რამ არის“.

მდგომარეობა იმითაც რთულდება, რომ ქმედითი სახელმწიფოს ჩამოყალიბება თავისთავად ურთულესი პრობლემაა. პოლიტიკური და სულიერი კრიზისი მხოლოდ ჩვენი საზოგადოების მახასიათებელი თვისება როდია; ის, თითქმის, ყველა ქვეყანაში შეიძინევა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ეს კრიზისი ჩვენთან უკიდურესად მკვეთრად გამოხატული. ყოფნა-არყოფნის პრობლემა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დონით ვლინდება.

სახელმწიფოს არსში გარკვევა არც თუ ისე მარტივია, როგორც ზოგიერთს ჰგონია. მართლაც, რთულია ეს პრობლემა და როგორც აღვნიშნეთ, რთული პრობლემის მარტივად გადაწყვეტა არ არსებობს.

როგორც უნდა იყოს ადამიანის განვითარების დონე, მას ერთხელ მაინც გაუჩნდება კითხვა – რისთვის გაჩნდა ამ ქვეყანაზე და რა დანიშნულება აქვს მას; და თუ ამ საკითხს ჩაუღრმავდება, აღმოაჩენს, რომ მის ცხოვრებაში მასას, ხალხს, საზოგადოებას, სახელმწიფოს . . . უდიდესი მნიშვნელობა აქვს. და იგი აუცილებლად მიხვდება, რომ საკუთარ თავს ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა დაუსვა. ესაა ჩვენი გონებრივი ძიების საფუძველიც.

ადამიანის ღირსება, პირადი კეთილდღეობა თუ უბედურება, განვითარება თუ დაქვეითება, მისი ყოფნა-არყოფნის საკითხიც კი ამ კითხვის პასუხზეა დამოკიდებული; კონკრეტული ადამიანი, საკუთარ შესაძლებლობას მხოლოდ თანამოაზრეთა, თანამემამულეთა შორის, საზოგადოებაში, სახელმწიფოში ამჟღავნებს.

ვიმეორებთ, დისკუსიას არ ექვემდებარება მოსაზრება:

– **სახელმწიფო კი არ ქმნის, ავითარებს საზოგადოებას, არამედ, პირიქით, საზოგადოება – სახელმწიფოს.**

ერთი მხრივ, სახელმწიფოს საფუძველს, მის პირველსაწყისს საზოგადოება წარმოადგენს. მეორე მხრივ, სწორედ ეს სახელმწიფო აიძულებს საზოგადოების შემადგენელ კონკრეტულ ადამიანს იცხოვროს არა საკუთარი, არამედ სხვისი ნება-სურვილების მიხედვით.

შედეგი – **ადამიანთა ისტორია, როგორც აღვნიშნეთ, ესაა კონკრეტული სუბიექტების ნება-სურვილს შეწირული მილიონობით სიცოცხლე; და არა აქვს მნიშვნელობა, ეს მსხვერპლთშეწირვა სახელმწიფოებს, ეთნოსებს, პარტიებს თუ კრიმინალურ ბანდებს შორის ომით, პოლიტიკური რევოლუციებითა თუ „საქმის გარჩევის“ რიტუალით იყო შენიღბული.** ეს დაპირისპირება, ბრძოლა ჟინით, აღტკინებით მიმდინარეობდა და მიმდინარეობს; ეს დაპირისპირება შეფუთულია მიზნებისა და იდეალების საბურველში; რათა შემდეგ მილიონობით ადამიანის ფსიქიკის, სიცოცხლის, ქონების, ოცნებების . . . განადგურება გამართლდეს. შედეგი კი უცვლელია – მიმდინარეობს ან დამარცხებით გამოწვეული დეპრესია, ან გამარჯვებით გამოწვეული შიზოფრენიული ღრეობა.

ჩვენს ქვეყანაში ამგვარი გაუაზრებელი ქმედებების შედეგად ფსიქიკა, სიცოცხლე, ქონება, ოცნება . . . განადგურებულთა დიდი პროცენტული მაჩვენებელი მიგვანიშნებს, რომ ჩვენს სოციალურ აზროვნებას რაღაც განსაკუთრებული, შიდა დეფექტი გააჩნია.

შესაბამისად, ჩვენთვის საზოგადოების არსის, როლისა და აზროვნების დეფექტის გააზრება ყოფნა-არყოფნის საკითხია. თუმცა, ჩვენ ამ საკითხს მიზანმიმართულად უგულებელვყოფთ; და ეს მაშინ, როცა ჩვენ გარშემო დემოკრატია და ბარბაროსობა ერთდროულადაა გამეფებული და ვიღებთ – ბარბაროსულ დემოკრატიას.

ცხადია, დეფექტის სათავე საზოგადოების, სახელმწიფოს და მათი ურთიერთდამოკიდებულების გაუაზრებლობაა.

პრობლემის არსში გასარკვევად აუცილებელია, განვიხილოთ მეტად მნიშვნელოვანი საკითხი: საზოგადოება, სახელმწიფო რაღაც მიზნის მისაღწევად ადამიანთა მიერ მოგონილი, ანუ ხელოვნური გაერთიანებაა, თუ ადამიანთა თანდაყოლილი, ბუნებრივი ფენომენი?

ბუნებრივი თუ ხელოვნური?

შეიძლება გაჩნდეს კითხვა – ნუთუ ასე მნიშვნელოვანია: ადამიანი, საზოგადოება, სახელმწიფო ბუნებრივ კანონზომიერებას ემორჩილება, თუ არაბუნებრივს, ხელოვნურს?

მნიშვნელოვანია.

თუნდაც, ელემენტარული ლოგიკით შევეხოთ ამ საკითხს.

მაგალითად, ადამიანს ხელზე გაუჩნდა წყლული. ის უკვე პაციენტია – ქართულად პაციენტი ტანჯულს ნიშნავს – და ეს გამწარებული ადამიანი მიდის ექიმთან. წარმოიდგინეთ, რომ ექიმი მკურნალობას წინასწარი გააზრების გარეშე იწყებს; ის არ ინტერესდება, წყლული ხელოვნურად,

გარეგანი ზემოქმედებით – გაკაწვრით, დამწვრობით, ხელზე ტატუირებით გამოწვეული ინფექციითაა წარმოშობილი, თუ შინაგანი ორგანოების სიცოცხლისუნარიანობის დაქვეითების გამოძვლავების სიმპტომია; ცხადია, პირველ შემთხვევაში, პრობლემის მოსახსნელად შეიძლება წყლულის ზედაპირული დამუშავებაც საკმარისი აღმოჩნდეს; თუმცა, თუ ეს მეორე შემთხვევაა, მაშინ მკურნალობის იგივე მეთოდის გამოყენება აუცილებლად ტრაგიკულ შედეგამდე მიგვიყვანს. ამრიგად, წყლულის წარმოშობის მიზეზების დადგენა უმნიშვნელოვანესია.

აქ, თითქოს ნათლად არ ჩანს ავადმყოფობის წარმოშობის „ხელოვნურობისა“ თუ „ბუნებრიობის“ არსი.

მართლაც, რატომღაც გაკაწვრა და მისგან გამოწვეული წყლული ხელოვნური, მექანიკური დაზიანება?

აქ ცნებები „ბუნებრივი“ და „ხელოვნური“ თავისებური დატვირთვითაა მოყვანილი.

განვიხილოთ გარეული ცხოველი – ლომი; ბუნებრივ პირობებში ის მშვენივრად ახერხებს დამოუკიდებლად ადაპტირებას; და ის „ბუნებრივი“ ლომია. თუმცა, ლომის ზოოპარკში იზოლაცია, გარკვეული დროის შემდეგ, მას ადაპტირების უნარს აკარგვინებს; არსებობისათვის ის მუდმივად ადამიანის დამარებას საჭიროებს; და ის უკვე „ხელოვნური“ ლომია; პირველ შემთხვევაში ლომი ბუნებრივ კანონზომიერებას ემორჩილება; მეორე შემთხვევაში ის უკვე „არაბუნებრივი“ ანუ ხელოვნურია და მას არსებობისათვის ხელოვნური კანონზომიერება სჭირდება. თუ პირველ შემთხვევაში ლომი საკუთარ თავს თვითონ უვლის, მეორე შემთხვევაში მისი შენახვა ენერჯის ხარჯვას, ფინანსებს საჭიროებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის განწირულია.

ამ მარტივი მსჯელობიდან გამოდის, რომ ლომი შეიძლება იყოს, როგორც „ბუნებრივი“ ასევე „ხელოვნური“. ასევე ადამიანი შეიძლება იყოს „ბუნებრივი“ და „ხელოვნური“. ამ თვალსაზრისით საზოგადოება, სახელმწიფოც შეიძლება იყოს ბუნებრივი ან ხელოვნური.

გამოდის, რომ ცოცხალი სისტემის კვლევაში ცნება „ბუნებრივი“ და „ხელოვნური“ დიდ მნიშვნელობას იძენს.

ამრიგად, თუ ექიმი არ ინტერესდება ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზი „ბუნებრივია“ თუ „ხელოვნური“, მაშინ მას, მკურნალის გარდა, რაც გინდათ ის უწოდეთ.

შესაბამისად, თუ ინდივიდს სახელმწიფოს მართვის პრეტენზია აქვს და არ ინტერესდება, ის ბუნებრივი წარმონაქმნია, თუ ხელოვნური, პოლიტიკოსის გარდა, ყველაფერი შეგიძლიათ უწოდოთ. გაიხსენეთ, ოდესმე რომელიმე ჩვენს პოლიტიკოსს თუ დაუყენებია საკითხი – ჩვენი სახელმწიფო ბუნებრივია თუ ხელოვნური?

თუ სახელმწიფო ბუნებრივი წარმონაქმნია, მაშინ ის ბუნებრივი კანონზომიერების გათვალისწინებით უნდა იმართოს. ხელოვნური კი სხვა კანონზომიერებას ემორჩილება. მეთოდების აღრევა აქაც ტრაგიკულ შედეგამდე მიგვიყვანს.

ჩვენთან პოლიტიკური კარიერის მაძიებლებს კი ეს არ აინტერესებთ, ანუ ხომალდის აგებას ცდილობენ და არქიმედეს კანონზე (რომელიც ბუნების კანონზომიერებიდან გამომდინარეობს) წარმოადგენა არა აქვთ. ეს იგივეა დედამიწის მიზიდულობის გაუთვალისწინებლად ფრენას შევეცადოთ.

შედეგიც სახეზეა.

დასკვნა: – ბუნებრივი სისტემის შესაბამისი კანონების ხელოვნური სისტემების მართვისათვის გამოყენება, ან პირიქით, – შეიძლება უსარგებლო ან სულაც დამლუპველი აღმოჩნდეს.

– საზოგადოების, სახელმწიფოს წარმოშობის არსში გარკვევა ის აუცილებლობაა, რომლის გარეშეც, საზოგადოების ჩამოყალიბება-განვითარების კანონზომიერების დადგენა შეუძლებელია.

შეცდომა სრულ რეგრესთან, ქაოსის განვითარებასთან მიგვიყვანს, რადგან ხელოვნური სისტემა, თავისი არსით, ბუნებრივისაგან აბსოლუტურად განსხვავდება.

კიდევ ერთხელ განვიხილოთ ბუნებრივი და ხელოვნური სისტემა.

სისტემა (ბერძ. ნაწილებისგან შედგენილი მთელი) – ერთმანეთთან კანონზომიერებით დაკავშირებულ ელემენტთა (საგნების, მოვლენების, შეხედულებების, ცოდნის, . . .) სიმრავლე.

ბუნებრივ სისტემად, მაგალითად, განვიხილოთ ატმის აყვავილებული ხე. ხელოვნურ სისტემად – მიქელანჯელოს დავითის ქანდაკება.

იკითხავთ, რა საერთო აქვს ამ ორ სისტემას?

აქვს. თუნდაც ის, რომ ორივეს ესთეტიკური სიამოვნების მონიჭება შეუძლია. თუ წარმოიდგენთ ატმის აყვავილებულ ხეს მთვარის შუქზე, თანაც, თუ მარტო არა ხართ, მისმა მშვენიერებამ შეიძლება უფრო მეტად მოგხიბლოთ, ვიდრე დავითის ქანდაკებამ.

რა თქმა უნდა, ისინი განსხვავდებიან კიდევ. მთავარი განსხვავება ის არის, რომ თუ თქვენ ატმის ხეს ტოტს მთამტვრევთ, საოცრება მოხდება, მეორე გაზაფხულზე იგი მაინც აყვავილდება. თუ დავითის ქანდაკებას ცხვირს ან ფეხს მთამტვრევთ, მას ეს ნაწილები აღარასოდეს გამოეზრდება და მშვენიერებას საბუდამოდ დაკარგავს.

დასკვნა: – **ბუნებრივ სისტემას გააჩნია რეგენერაციის (თვითაღდგენის), თვითგანვითარების, თვითორგანიზაციის, რეპროდუქციის უნარი. ხელოვნურს არცერთი მათგანი არ ახასიათებს.**

უფრო დაწვრილებით.

ნებისმიერი ხელოვნური სისტემა ბუნებრივისაგან თვისებებით ფუნდამენტურად განსხვავდება. მართლაც, რა სრულყოფილიც უნდა იყოს ხელოვნური სისტემა, მაგალითად, ავტომობილი – ფერარი ან პორშე, რა მაღალტექნოლოგიურადაც უნდა იყოს დაზუსტებული მისი თითოეული ნაწილი, კვანძი, ის უნაკლოდ მუშაობს მხოლოდ მაშინ, როცა მისი უმარტივესი ჭანჭიკიც კი თავის ადგილზეა, თუ ამ ავტომობილში ჩასხმულია სწორედ ის საწვავი, რომელიც მისთვისაა განკუთვნილი. ის გამუდმებით მექანიკოსის ყურადღებას მოითხოვს. საკმარისია აქ ჩამოთვლილთაგან თუნდაც ერთი მოთხოვნა დააკლდეს, იგი დაკარგავს თავის ფუნქციას, უბრალოდ, ჯართად იქცევა. ასევე, მაგალითად, ხელოვნების ნებისმიერი შედეგრი. ერთი შეხედვით, ისე ჩანს, რომ მიქელანჯელოს დავითის ქანდაკება თავისთვის ღვას და ნეტარებას გვანიჭებს, თითქოს მას არაფერი სჭირდება. არა, იმ ბრწყინვალეების შესანარჩუნებლად, რაც ქანდაკებას მიქელანჯელომ შთაბერა, უდიდესი ენერგია უნდა დაიხარჯოს. ატმოსფეროში ტემპერატურის, წნევისა და ტენიანობის მკვეთრი ცვლილება, რაც ეგვიპტის პირამიდებსაც კი ანადგურებს, გამონაბოლქვით დაბინძურებული გარემო. . . ქანდაკებას უმაღვე დაშლიდა. სწორედ, ამიტომ გადაიტანეს ის დახურულ სივრცეში, შენობაში და მის შესანარჩუნებლად გარკვეული პირობები – ტემპერატურა, ტენიანობა, განათება . . . – შექმნეს. კულტურულ ფასეულობათა შესანავისათვის კოლოსალური თანხები იხარჯება.

მუდმივი ყურადღების გარეშე, ენერგიის ხარჯვის გარეშე, ყველაფერი, რაც ხელოვნურია, ილუბება: ბეტონი იფშენება, ნახატი იშლება, კომპაქტდისკზე ჩაწერილი მუსიკა ქრება, გაუმძღარი ბებერი კრონოსი საკუთარ შვილებს ჭამს.

ხელოვნური სისტემის შესანარჩუნებლად უდიდესი ენერგიის ხარჯვა აუცილებელია.

როგორც აღვნიშნეთ, ხელოვნურისაგან განსხვავებით, ბუნებრივს გააჩნია უნიკალური თვისება – **თვითგანვითარება. სხვა სიტყვებით, ის გარემოსთან, ბუნებასთან ჰარმონიაშია.**

ტყის პანტა ენერგიას გარემოსგან თვითონ იღებს და შემდეგ აქეთ გვაძლევს ენერგიას პანტის, საკვების სახით.

ავაზას არსებობისა და მყისიერი სიჩქარის განვითარებისათვის, ავტომობილ ფერარით, მძლოლი და მექანიკოსი როდი სჭირდება. მისი ჰარმონიული სიცოცხლისათვის წახალისება და ლოზუნგები ზედმეტია. მისი არსი სიმძლავრეა, და რაც მთავარია, მას, ფერარისაგან განსხვავებით, თავისი მსგავსის შექმნა შეუძლია.

ასევე, არსებობს ბუნებრივი სახელმწიფოები, რომელთაც განვითარებისათვის ლოზუნგები ან შეძახილები – მაგალითად, „ნორვეგია გაბრწყინდება!“, ან „რაც კარგები ვართ ჰოლანდიელები

ვართ!“ – არ სჭირდებათ. თუმცა, არსებობს ხელოვნური სახელმწიფოებიც, მაგალითად, საქართველო, სადაც ეს ლოზუნგები „უდიდეს დატვირთვას“ იძენს. თუმცა, საიდუმლოდ რჩება, ვინ გააბრწყინებს საქართველოს და როგორ . . .

ერთადერთი, რაც ამ ზოგად ლოზუნგებში ნათლად ჩანს, გახლავთ მითითება: „ვინც გინდა, იმან გააბრწყინოს საქართველო, ოღონდ მე ამისათვის არ მცალია“.

დავუბრუნდეთ საზოგადოების თემას და გავარკვიოთ, ხელოვნურია ის თუ ბუნებრივი, თვითგანვითარებადი სისტემაა. როგორც აღვნიშნეთ, ბუნებრივი სისტემის კანონზომიერება ხელოვნური სისტემის კანონზომიერებისაგან განსხვავდება და მათ აღრევას მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს. უკვე ორმოც საუკუნეზე მეტია განათლებული ადამიანები ამის გარკვევას ცდილობენ.

უბრველესად გავკვებით, ეს ფენომენი – ერი, საზოგადოება, სახელმწიფო ბუნებრივი წარმონაქმნია, თუ ხელოვნური? ამ საკითხს, ჩვენი აზრით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს და თუ რატომ, ახლავე მოგახსენებთ.

თუ სახელმწიფო ბუნებრივი წარმონაქმნია, ის ბუნების კანონზომიერებას უნდა დაექვემდებაროს, მაგრამ თუ ხელოვნური, მაშინ ის საწერ მაგიდასთან გამოგონილი წესებით უნდა იმართოს.

როგორც აღვნიშნეთ, ფილოსოფიაში ამ საკითხზე რაიმე კონკრეტული, ჩამოყალიბებული მიდგომა არ არსებობს. ერთნი ამტკიცებენ, რომ საზოგადოება ხელოვნური წარმონაქმნია.

ანუ რეალური ადამიანებისაგან ხელოვნურად აკონსტრუირებული ჯგუფი, ადამიანთა სუბიექტური ჯამი, რომელიც ადამიანთა ურთიერთშეთანხმებით, ანუ ხელშეკრულებით შეიქმნა.

მეორენი კი საზოგადოების ბუნებრივი წარმოქმნის თეორიას ემხრობიან.

საზოგადოება დამოუკიდებელი, თვითმყოფადი რეალობაა, ბუნების ფენომენია, მოვლენაა, რომელიც მასში შემავალი ინდივიდების მექანიკური ჯამით კი არ ამოიწურება, არამედ უკვე თვისობრივად სხვა ბუნებრივი წარმონაქმნია.

როგორც აღვნიშნეთ, ხელოვნური, ანუ ხელშეკრულებითი თეორია შემდეგ მოსაზრებას ეყრდნობა: – ოდესღაც, ადამიანები, მამონტისა თუ დინოზავრის დანახვაზე მიხვდნენ, რომ გაერთიანებული ძალის გარეშე საკვებს ვერ იშოვიდნენ, ამიტომ დასხდნენ და ხელშეკრულება დადეს, რომლის თანახმადაც ბელადი შეარჩიეს. ის თავდასხმის სტრატეგიას და ტაქტიკას შეიმუშავებდა და მონადირეთა შორის გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გამოჩენილი საზრიანობის მიხედვით, პატიოსნად გადაანაწილებდა მოპოვებულ ხორცს და დასჯიდა ცუდლუტებს (ანუ ყალიბდება სამართალი). შესაბამისად, საზოგადოება მიზნით (ფიზიოლოგიური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად) გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფია. ერთი შეხედვით, ეს უაზრობა როდია, უბრალოდ, ასეთი ფოლკლორული მსჯელობა „ჯანმრთელი აზრის“ მარტივი გამოხატულებაა.

თუმცა, საკმარისია თქვენ ეს მოსაზრება აღიაროთ და მაშინვე ცნებები – ერის სული, მენტალიტეტი, ფსიქოლოგია – თქვენთვის ცარიელ, ბუნდოვან, უკეთეს შემთხვევაში, მეტაფორულ ფრაზებად იქცევა. ცხადია, ასეთი წინაპირობით ერთი, ცალკეული ინდივიდის სულის ან ნების გარდა, სხვა „სული“ ან „ნება“ არ არსებობს.

ერის სული – ნუთუ ამ ორი ერთად გამოყენებული სიტყვის მიღმა არაფერია?

ამოცანის ამოხსნის მატრიცული მეთოდიდან გამომდინარე, რათა ველოსიპედი ხელახლა არ გამოვიგონოთ, ვალდებულნი ვართ, სახელმწიფოს შექმნის ჩვენამდე არსებული მნიშვნელოვანი თეორიები განვიხილოთ.

სახელმწიფოს წარმოქმნის მრავალი თეორია არსებობს. ეს მიგვანიშნებს, რომ სოციალურ ფილოსოფიაში სახელმწიფოს შექმნის საკითხი დღემდე სადისკუსიოა. მაგალითად, მატერიალისტური ხედვა სახელმწიფოსა და სამართლის წარმოქმნას, ძირითადად, წარმოების განვითარებას უკავშირებს. ანუ, იყო დრო, როდესაც ადამიანი ბუნებისაგან მირთმეულ საკვებს სჯერდებოდა. როცა მო-

შევდებოდა, დაიჭერდა გარეულ ქათამს ან გოჭს და გემრიელად მიირთმევდა. შემდეგ მიხვდა, რომ ქათმებისა და გოჭების დევნა-მოპოვებას სჯობს, ისინი შემოღობილ ტერიტორიაზე მოაშენო და როცა მოგინდება, მაშინ მიირთვა შემწვარი გოჭი, თუნდაც დღეში სამჯერ. რა თქმა უნდა, გამოჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც იმდენად დიდი ტერიტორია მითვისეს და შემოღობეს, რომ გოჭებისა და ქათმების გარდა, ძროხების, ხარების და კამეჩების მოშენებაც კი შეძლეს. ცხადია, საქონელს საკვები სჭირდებოდა და ენერგიულმა ხალხმა საძოვრებიც მითვისა. მოგესხენებათ, ადამიანს ხორცის გარდა, სხვა რაიმეც სჭირდება. მხოლოდ ხაშლამა, ღვინისა და ახლად გამომცხვარი პურის გარეშე, რაღაც უკმარისობის გრძნობას აჩენს. აქედან გამომდინარე, ადამიანმა მოიგონა ქვევრი, თოხი და დანა . . . ამრიგად, ჩნდება წარმოების საშუალებები. ის, ვინც ამ წარმოების საშუალებებსა და მამულს ფლობდა, მათგან, ვისაც ეს არ გააჩნდა, საშიშროებას გრძნობდა.

აქ საყურადღებოა გარდამავალი, სახელმწიფოებამდე არსებული ფორმის პერიოდის „სამხედრო დემოკრატიის“ თეორიის გააზრება, რომლის ავტორია მორგანი. ამ თეორიის მიხედვით, პირველადი საზოგადოება, ჯერ კიდევ სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე, თვითორგანიზაციას ავითარებს; უკვე იკვეთება სახელმწიფოებრივი სტრუქტურები, იქნება თავდაცვის რაზმები, იარაღი და, რაც მთავარია, კანონები, რომელიც უქონელთ სხვისი გოჭის, წარმოების საშუალებების ან საძოვრის მითვისებას უკრძალავს.

სახელმწიფოს წარმოქმნის დაახლოებით ამგვარმა თეორიამ ბატონი კარლ მარქსის უკიდურესი გაღიზინება გამოიწვია და ახალი სახელმწიფოს თეორია შეაქმნევინა, სადაც წარმოების საშუალებებს არა ინდივიდები, არამედ სახელმწიფო ერთპიროვნულად ფლობს.

არ იფიქროთ, რომ სახელმწიფოს წარმოქმნის თეორიის შექმნა მარტო გერმანელი მეცნიერის კარლ მარქსის პრეროგატივა იყო. არა, ქართულმა სუფრის აკადემიამ უარყო მისი თეორია და წამოაყენა რადიკალურად განსხვავებული მოსაზრება, რომლის არსი შემდეგია: როდესაც დაუზარელი, ენერგიული ხალხი ინაწილებდა დედამიწაზე ტერიტორებს და ქმნიდა წარმოების საშუალებებს, ანუ ავითარებდა ტექნოლოგიებს, ქართველები მდინარის პირას ქეიფობდნენ (თუმცა, ჯერ-ჯერობით დაუდგენელია, შრომის გარეშე ლურჯი სუფრა, ღვინო და პურ-მარლი როგორ იშოვნეს). ქეიფი რომ მოათავეს და კარგად გამოიძინეს, ნაბახუსევზე გაიხედ-გამოიხედეს და ყველაფერი გადანაწილებული დახვდათ. დღის მეორე ნახევარში, ხანგრძლივი თათბირის შემდეგ, ღმერთს მიადგნენ. იქ ზოგიერთი ერის წარმომადგენლების დიდი რიგი ადამგარიყო. ზოგიერთს რიგში ღამეც კი გაეთუნებინა, როგორც ჩვენთან საბერძნეთის საელჩოსთან ხდება ხოლმე. ერთმა აქტიურმა ქართველმა ძმაცაცებში შეაგროვა ფული (დღეს ისტორია დუმს იმაზე, თუ სად იშოვნეს მათ ფული) და ღმერთის პირველ კონსულს – მთავარანგელოზს – ქრთამის სახით გადაუხადეს. მან ქართველები ღმერთთან ურიგოდ გაატარა, თანაც დაარია: დაბნეულები კი ნუ მიადგებით ღმერთს, სიმღერით შედიეთ. კაბინეტის კარების გაღების ჭრიალი და შესმატკბილებული, მოგუდული მრავალკამიერი ჰარმონიულად შეერწყა ერთმანეთს. ღმერთი თავდაპირველად გაოგნდა, შემდეგ სავარძლიდან ნელა წამოდგა, ქართველებს მიუახლოვდა და ისეთი ბანი შეაშველა, რომ ქართველებიც კი გააოცა. სიმღერა რომ მოათავეს, უაღრესად კმაყოფილმა ღმერთმა, სიტყვით მიმართა ქართველებს: ვიცი რისთვის ხართ მოსულები და ისიც ვიცი, რომ „ტაკიე ლუდი ნა ულიცი ნე ვალიაუტსაო“, რატომღაც რუსულად. ქართული აქცენტით ჩაურთო ღმერთმა. დაგავიანდათ და ადგილ-მამულის გარეშე კი დარჩით, მაგრამ ასეთ ხალხს მიწის გარეშე არ დაგტოვებთო. ქალაქებში დიდხანს ეძება რაღაცა. ბოლოს სახე გაებადრა და გეოგრაფიული რუკა ამოიღო. ქართველებს რუკაზე კავკასია აჩვენა და უთხრა: ამ ადგილს ჩემთვის ვინახავდი, მაგრამ თქვენ გითმობთ და ამ ღმერთის საკადრის მამულს მოუფრთხილდით, თორემ თუ ესეც დაკარგეთ, მე ვეღარ გიმშველითო. ასე გაჩნდა საქართველო. ეს არის ქართული სუფრის აკადემიის მიერ დადგენილი სახელმწიფოს წარმოქმნის თეოლოგიური თეორია. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ამ თეორიის საავტორო უფლებაზე ბევრ ქვეყანას აქვს პრეტენზია. სხვა სიტყვებით, ეს მითი მრავალ ქვეყანაშია გავრცელებული, მაგალითად, ბულგარეთში. გამოდის, რომ ორიგინალურები არც ამაში ვართ.

თუმცა, არა მარტო წარმოების განვითარებამ (საადგილმამულო ტერიტორიის მითვისებამ და მასზე მატერიალური ნაყოფის შექმნამ) გამოიწვია სახელმწიფოს ჩამოყალიბება, არამედ თვით ადამიანის განვითარებაც არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან. მაგალითად, ადამიანი მიხვდა, რომ დაუშვებელია ინცესტი (სისხლის აღრევა). ამან არა მარტო ადამიანთა ჯიშის განვითარება-გაძლიერებას და სიცოცხლის-უნარიანობას, არამედ საზოგადოების ჩამოყალიბებასაც, მისი სტრუქტურებისა

და კულტურის განვითარებასაც, დიპლომატიასაც შეუწყო ხელი. მართლაც, თუ სისხლის აღრევა არ გინდა, მაშინ სხვა ტომიდან უნდა მოიყვანო ცოლი. შენიც უნდა გაათხოვო. მიიღო საცოლის მზითვი და შენსასაც გაატანო. უმზითვო, გაუთხოვარ ქალბატონებს ვამშვიდებ – სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში მზითვის თეორიას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. თუმცა, ჩვენ ისეთ სახელმწიფოს შევექმნით, რომ ყველას არა მარტო მზითვი ექნება, არამედ საქმროც ეყოლება. მაგრამ ის ქორწინების სასახლეში წამოგყვება თუ არა, მატრიცული თეორიის ათვისების გულმოდგინებაზე დამოკიდებული. განსაკუთრებით, გირჩევთ, ერთხელ კიდევ გადაიკითხოთ „შესაძლებლობის ველი“. ეს იმ ბატონებსაც ეხება, ვისაც კარგი მზითვიანი საცოლე სჭირდება. ხედავთ, რა მნიშვნელოვანია სახელმწიფოთა წარმოქმნის თეორიებში გარკვევა?!

ამიტომ, განვიხილოთ სახელმწიფოთა წარმოქმნის ძირითადი შვიდი თეორია, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებულ მრავალ თეორიათა შორის მეტ-ნაკლებად გამოიკვეთა.

თეოლოგიური თეორია.

ესაა ყველაზე ძველი თეორია, რომლის თანახმადაც, ღვთის ნებით, სახელმწიფო მუდმივად არსებობდა და იარსებებს. ამიტომ თითოეული ჩვენგანი ვალდებულია ღვთის ამ გადაწყვეტილებას დაემორჩილოს. ამას ამტკიცებს ჩვენ მიერ პოლიტიკურ-სამართლებრივ ისტორიაში ნახსენები მეფე ჰამურაბის კანონები (ძველი ბაბილონი). იქ ნათქვამია: „ღმერთებმა დააყენეს ჰამურაბი „შავთავიანების“ მმართველად. ადამიანი არის ღმერთის ჩრდილი, მონა – ადამიანის ჩრდილი, მეფე უტოლდება ღმერთს“. ძველ ჩინეთში იმპერატორს ცის შვილს უწოდებდნენ. გავიხსენოთ მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ: „ყოველი სული უნდა დემორჩილოს უმაღლეს ხელისუფლებას, რადგან არ არსებობს ხელისუფლება ღმერთის გარეშე. ღვთისგანაა დადგენილი არსებული ხელისუფლება“.

პატრიარქალური თეორია.

ეს თეორია გავრცელებული იყო ძველ საბერძნეთში და ანტიკურ რომში. განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიაღწია შუა საუკუნეების აბსოლუტიზმის პერიოდში. მაგალითად, ფალმერი თავის შრომაში, „პატრიარქია, ანუ მეფეთა ბუნებრივი უფლებების დაცვა“ (1642), ბიბლიას ეყრდნობა, რომლის მიხედვითაც ღმერთმა სამეფო ხელისუფლება თავდაპირველად ადამს მიანიჭა. მამასადამე, ადამი არა მარტო მამაა ადამიანთა მოდგმისა, არამედ მისი ხელისუფალიც. ამიტომ მოიხსენებენ მონარქები ერთმანეთს ძმებად და დებად. ამ პერიოდის მოაზროვნენი არისტოტელეს შრომების თავისებურ ინტერპრეტაციას ეყრდნობოდნენ, რომელიც სახელმწიფოს ბუნებრივ წარმონაქმნად მიიჩნევდა. ადამიანი, როგორც სოციალური არსება, გაერთიანებისაკენ, პატრიარქალური ოჯახის შექმნისაკენ მიისწრაფვის. ხელისუფლება, სახელმწიფო გარკვეულ სოციუმში ოჯახის გაფართოების, მამის ძალაუფლების გაგრძელება-განვითარებაა.

ამ თეორიის წინააღმდეგია კანტი (იხილეთ ჩვენ მიერ წარმოდგენილი პოლიტიკურ-სამართლებრივი ისტორიის მიმოხილვა). ასევე, ამ თეორიის კრიტიკით გამოდიოდა ბევრი მოაზროვნე, მაგალითად, ლოკი, რომელიც მას „ბავშვურ იგავებს“ უწოდებს და არამეცნიერულ ბიოლოგიზაციად განიხილავს.

რა თქმა უნდა, პატრიარქალურ თეორიას მომხრეები დღესაც ჰყავს.

ხელშეკრულებითი თეორია.

ეს თეორიაც, როგორც პოლიტიკურ-სამართლებრივი ისტორიის მიმოხილვისას აღვნიშნეთ, უხსოვარი დროიდან წარმოიშვა. ძველ საბერძნეთში ამ თეორიის მიმდევრები სოფისტები იყვნენ. მაგალითად, ეპიკურე – „... სახელმწიფო ეყრდნობა ადამიანთა ურთიერთშეთანხმებას.“ ამ აზრს მოგვიანებით ავითარებდნენ: გროციუსი, სპინოზა, ჰობსი, ლოკი, რუსო . . . აღნიშნულ თეორიას აღარ შეეხებოდა, რადგან ის, პოლიტიკურ-სამართლებრივი ისტორიის წარმოდგენისას, საკმარისად განვიხილეთ.

ძალადობრივი თეორია.

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ამ თეორიისადმი განსაკუთრებული ინტერესი გამოიკვეთა. დახვეწის მცდელობას ეხვედებით მოაზროვნეთა გუმპლოვიჩის, კაუტსკის, დიურინგის და სხვათა შრომებში. სახელმწიფოს დედაა ომი და დაპყრობა. გუმპლოვიჩის აზრით – „ისტორია არ გვაძლევს არც ერთ მაგალითს, სადაც სახელმწიფო არაძალადობრივი აქტით წარმოიქმნა. ეს ყველაფერი ხდებოდა ერთი ტომის ძალადობით მეორეზე“. გუმპლოვიჩს ცხოველთა ცხოვრების კანონები გადააქვს ადამიანთა საზოგადოებაზე. ესაა სოციუმის პირდაპირი ბიოლოგიზაცია. მისი სიტყვებით, როგორც ველურ ურდოებზე, ასევე საზოგადოებაზე, სახელმწიფოებზე ბუნების რთული კანონი მეფობს.

პატრიმონიალური თეორია.

ეს თეორიაც, თითქოს ბუნების კანონებს ეყრდნობა. თვით ეს ცნება გამომდინარეობს სიტყვა პატრიდან, ანუ სამშობლო, მამული, ტერიტორია, სადაც ცხოვრობ. თეორიის თანახმად, სახელმწიფო შეიქმნა მიწაზე საკუთრების უფლებიდან. მიწაზე საკუთრების უფლებიდან ამ მიწაზე მცხოვრებ ყველა ადამიანზე ძალაუფლება თავისთავად, მემკვიდრეობით ვრცელდება. ეს ცხოველის მიერ ტერიტორიის მონიშვნას ხომ არ გაგონებთ? მაგალითად, დათვი ხეებს ქერქს აცლის, ეხანუნება და ბალანსა და სუნს ტოვებს, ანუ აფრთხილებს სხვა დათვებს, რომ ეს მისი სამფლობელოა და მოერიდონ მას. ასევე, ამ თეორიის თანახმად, თავდაპირველად, ადამიანმა, ადამიანთა ჯგუფმა მონიშნა თავიანთი სასიცოცხლო ტერიტორია. მოგვიანებით, შემოსაზღვრა უფრო დიდი ტერიტორია და ასე წარმოიქმნა სახელმწიფო.

ფსიქოლოგიური თეორია.

ამ თეორიის არსის გასაგებად გავისხენოთ, როგორ მიმდინარეობს ჩვენში ლხინისა თუ ჭირის სუფრისათვის მზადება. ოჯახის ახლობლების წრიდან სპონტანურად გამოიკვეთება სუბიექტი, რომელიც შეიარაღდება თორმეტფურცლიანი რვეულითა და საწერ-კალამით. რვეულში ჩნდება ჩანაწერი, თუ რამდენი ბოთლი ღვინო, ლობიო, ყველი თუ სკამია საშოვნი. რატომღაც, მისი სიტყვა უმაღლეს ჭეშმარიტებად ცხადდება; აბა სცადეთ და გადაათქმევინეთ, რომ შვიდი კილოგრამი „ცოცხალის“ მაგივრად, ხუთი კილოგრამიც საკმარისია. არა, მისი სიტყვა ურყევეა. ის უკვე ბელადია და ყველა მას ემორჩილება. დაახლოებით ასე, ადამიანთა ჯგუფში იკვეთება ერთი, მაღალი აქტივობით გამოკვეთილი პიროვნება და შემდეგ ყველა დანარჩენი, ფსიქოლოგიური ზეგავლენით, მას ემორჩილება. ამ თეორიის თანახმად, მსგავსი რამ თავდაპირველად ადამიანთა საზოგადოებაშიც ხდებოდა; იბადებოდა ფსიქოლოგიური გავლენის მქონე ლიდერი და მისი საშუალებით სახელმწიფოს პირველი ნიშნებიც ჩნდებოდა.

ორგანული თეორია.

ამ თეორიის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო არის ბუნებრივი წარმონაქმნი და ღმერთმა ის ადამიანის ბიოლოგიური მოდელის შესაბამისად შექმნა. მაგალითად, ხელისუფლება შეესაბამება ადამიანის ტვინს. კუჭი – ეკონომიკას, კუნთები – თავდაცვას, თვალები – პოლიციას . . .

აქ, უპირველესად, დასაფიქრებელია ის, რომ თითოეული თეორიის ავტორი ან ამ თეორიის მიმდევარი, უკიდურესი სიმძაფრით იცავს საკუთარ თეორიას, მას ჭეშმარიტებად აცხადებს, ენერგიას და დროს არ ინანებს, რათა სხვა თეორია უაზრობად, სისულელედ გამოაცხადოს.

აქედან მარტივი დასკვნა: თუ ამ შვიდი თეორიიდან ერთ-ერთი ჭეშმარიტია, მაშინ დანარჩენი ექვსი თეორია მცდარია. ეს უკვე პრობლემაა. მაშ, რომელი თეორია ავირჩიოთ ამ შვიდი თეორიიდან, რათა მის ბაზაზე, საფუძველზე, სახელმწიფოს ის მოდელი შევქმნათ, რომელიც საქართველოს უმოკლეს ვადაში პროგრესის შესაძლებლობას მისცემს. აქ ჩნდება რაღაც უკმარისობის შეგრძნება. მართლაც, თეოლოგიური თეორია, თითქოს გასაგებია იმ მარტივი მსჯელობიდანაც, რომლის არსი შემდეგია – ყველაფერი ღმერთმა შექმნა, მამასადაძე – სახელმწიფოც. ეს გასაგებია. გასაკვირია ერთი რამ, ნუთუ ჩვენზე უღმერთო ამ ცოდვილ მიწაზე აღარავინაა, რადგან მაინცდამაინც ჩვენ გვარგუნა ღმერთმა ის, რაც გვაქვს. თითქოს იმასაც ვხვდებით, რომ ძალმომრეობა ქმნის სახელმწიფოს, მაგრამ ისიც

კარგად ვიცით, რომ ამ გზით შექმნილი სახელმწიფოები მცირე დროით არსებობენ (ფაშისტური ან ბოლშევიკური), ე.ი ეს თეორიაც რაღაც დეფექტს შეიცავს. ხელშეკრულებით თეორიაზე ჩვენ უკვე გამოვთქვით უარყოფითი აზრი, მაგრამ სოციუმში ხელშეკრულების, მოლაპარაკების აუცილებლობასაც ვხვდებით. პატრიმონიალური თეორიაც რაღაც დაუსრულებელის შთაბეჭდილებას ტოვებს . . .

ვცადოთ, ამ ურთულესი პრობლემის – სახელმწიფოს წარმოქმნის – ჩვენთვის მისაღები გააზრება. ეს თავისთავად საზოგადოების ფენომენის გააზრებას მოითხოვს, რაც სახელმწიფოს შექმნის საფუძველია.

მესამე

როგორ იქმნება და ყალიბდება საზოგადოება?

საზოგადოება შეიძლება შეიქმნას ბანქოს სათამაშო მაგიდასთან, საგამოფენო დარბაზში, სტადიონზე. . .

აქ მთავარია გავერკვეთ, რა ან ვინ ქმნის საზოგადოებას?

დაუუკვირდეთ – იმის მიუხედავად, რომ შეიძლება ერთი და იგივე ინდივიდი, ან ადამიანთა ჯგუფი თამაშობდეს ბანქოს, იგივენი შეიკრიბონ საგამოფენო დარბაზსა თუ სტადიონზე, მათ მიერ შექმნილი საზოგადოება სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა თვისებებს ავლენს; და ეს იმ დროს, როდესაც ცალკე აღებული ინდივიდი ან ჩამოყალიბებული ჯგუფი (ვოკალური ანსამბლი, პოლიტიკური პარტია, ფეხბურთელთა გუნდი . . .) მისთვის დამახასიათებელ თვისებებს მეტ-ნაკლებად ინარჩუნებს. გამოდის, რომ ინდივიდებისაგან ან ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული საზოგადოების თვისება, ხასიათი, სახე განსხვავებულია მისი შემადგენელი ნაწილების (“მე“-სა და „ჩვენ“-ის) დამახასიათებელი თვისებებისაგან.

საზოგადოება არა „მე“-ს ან „ჩვენ“-ის სურვილით, არამედ „მესამით“ – ამა თუ იმ სისტემის არსით იქმნება, რომელიც ბანქოს მაგიდასთან სხვაა, სტადიონსა და საგამოფენო დარბაზში კი სხვა.

აქედან ნათლად ჩანს: საზოგადოების თვისებას არ ქმნის, არ აყალიბებს არც ინდივიდი – „მე“, არც ჯგუფი – „ჩვენ“.

მართლაც, დაუუკვირდეთ, თითოეულ ჩვენგანს, ანუ „მე“-ს სურს ღირსეული ადამიანის საკადრისი საზოგადოების ჩამოყალიბება და ნორმალური ცხოვრება; ასევე, ცალკე აღებულ ჯგუფს ანუ „ჩვენ“-ც (კრიმინალური ჯგუფების გარდა) იგივე გვინდა; შედეგი სახეზეა. გამოდის, რომ ნორმალური საზოგადოების შექმნა-ჩამოყალიბება არც „მე“-ს და არც „ჩვენ“-ის ნება-სურვილზე არაა დამოკიდებული.

იბადება კითხვა: თუ საზოგადოების შექმნა არც „მე“-ზე და არც „ჩვენ“-ზეა დამოკიდებული, მაშ, რა არის ის „მესამე“, რომელიც საზოგადოებას კრებს და ამ სისტემას ფორმას და არსს ანიჭებს?

„მესამე“, თითქოს ხან კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზით, ხან სტადიონით გამოისახება. ცხადია, აქ საქმე შენობის სპეციფიკაში როდია. პატიმრები და ციხის ადმინისტრაცია ციხიდან გაიყვანეთ, კარი გახსენით, იქ საინტერესო წიგნები შეიტანეთ, და ეს პირქუში შენობა რა საზოგადოებას შეკრებს, თავადაც ნახავთ. ამრიგად, შენობაში არ არის საქმე, არამედ იმ „მესამეში“, რომელიც რაღაც თვისობრივად ახალს ბადებს.

ახლის დაბადების წყაროს, საწყისს, გერმანულად **მატრიცა** ეწოდება.

სწორედ, ეს რაღაც „მესამე“, მატრიცა ქმნის სტრუქტურას და აახლოებს და კრებს ადამიანებს, ანუ მთელი არსი იმ მატრიცაშია, რომელიც წესრიგის ხასიათს განსაზღვრავს და შესაბამის სტრუქტურას აყალიბებს.

რა თავისებურებები გააჩნია საზოგადოებრივი სისტემის მატრიცას, ანუ „მესამეს“?

ამის გასააზრებლად ყურადღების მოკრება გეჭირდება, არა იმიტომ, რომ ეს რთული გასაგებია და გარკვეული ცოდნა საჭირო, არამედ, ჩვენი აზრით, ეს მეტად საინტერესო საკითხია.

ზემოაღნიშნული მატრიცები – სტადიონი, კონსერვატორიის დარბაზი – საზოგადოებას მცირე დროით კრებს და „მესამის“ – მატრიცის – სახე კარგად არ ჩანს; სურათი არაკონტრასტული, ბუნდოვანია და შესაბამისი დასკვნების გამოტანისათვის არასაკმარისი, არახელსაყრელი. წარმოვიდგინოთ პოეზიის ან ჯაზის მოყვარულთა კლუბი. კამერული საზოგადოება – სიმყუდროვე, ჭიქა ყავა, კომფორტი, ამ იდილიაში ჩვენს ამოცანასთან დაკავშირებულ ადამიანთა ურთიერთობის გამომსახველობა ყავის ორთქლისა და სიგარეტის კვამლში იბურება.

ჩვენი პრობლემის სიცხადისათვის საზოგადოების ექსტრემალურ პირობებში ჩამოყალიბების პროცესი განვიხილოთ. მაგალითად, „მესამედ“ ავიღოთ ციხე, საპყრობილე.

ციხე – მკაცრი, თუ არამკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონია, ჟარგონული ენით „ზონა“. ეს მხოლოდ შემოსაზღვრული ტერიტორია არაა, არამედ საპყრობილე, პატიმრებისთვის განკუთვნილი შენობაა, ტერიტორიაა.

მართლაც, დავეკვირდეთ პატიმართა საზოგადოებას, მათ ცხოვრებას, ყველგან ერთნაირ ელფერს რა ანიჭებს (და არა აქვს მნიშვნელობა – ეს შენობა ურუგვალია, რუსეთსა, თუ საქართველოში)? – რა თქმა უნდა – ციხე. ციხე – თავისი არსითა და დადგენილი წესებით. სხვა შემთხვევაში, პატიმრები სხვადასხვა ჯგუფის წევრები, ცალკეული დამნაშავენი ან უდანაშაულო სუბიექტები იქნებოდნენ.

ისინი პატიმართა საზოგადოებად მხოლოდ „ციხემ“ აქცია და მისი თვისებებიც სწორედ ციხის არსიდან გამომდინარეობს. აქ ნათლად ჩანს, რომ საზოგადოების შექმნისათვის მთავარი ინდივიდთა ურთიერთობა ან ნება-სურვილი არ არის. აქ ურთიერთობის მცდელობაც კი მინიმუმამდეა დაყვანილი, რადგან ეს ურთიერთობა შეიძლება „ზონისათვის“ საშიში აღმოჩნდეს. კარცერი, ანუ განმარტოების საკანიც სწორედ ამ მიზნით მოიგონეს.

ამრიგად, სტადიონის, ბიბლიოთეკის დარბაზის, ციხის არსი ქმნის და აყალიბებს საზოგადოებას. ნატურალიზმისათვის მომიტევეთ და ეს მაგალითი უფრო დაწვრილებით განვიხილოთ.

საპყრობილე უსაზღვრო ტანჯვას ნიშნავს. ესაა თვეების, წლების განმავლობაში უცვლელი საგნები და შინაგანად არც თუ ისე გაბრწყინებული სახეები.

ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის თანამედროვე საპყრობილის კოდექსი ფიზიკური გადაადგილების შეზღუდვას გულისხმობს და არა ადამიანის სულიერი თავისუფლების ან ღირსების შეზღუდვას. და რაგინდ საოცარიც უნდა იყოს, ამ ქვეყნების ციხეებში მაინც თვისობრივად ერთნაირი საზოგადოება იქმნება. იგი დამოკიდებულია არა პატიმართა ურთიერთობაზე, განათლებაზე, ნაციონალობაზე ან ნება-სურვილზე, არამედ იმ „მესამეზე“, რასაც ციხე ჰქვია.

ანატომიური კუთხით განვიხილოთ ციხის კლასიკური მაგალითი – ბოლშევიკური, იმპერიული ციხე.

ციხეში ყოველი მოხვედრილი, ციხის საპარკმახეროში თმასთან ერთად, ადამიანად ყოფნის უფლებასაც კარგავს და იწყება იმის გავლენა, რასაც „მესამე“ ვუწოდებთ. ამ ინდივიდის ცხოვრებაში იწყება ის კომპარი, რასაც მათი ჟარგონით „პრაპისკა“ ჰქვია. ესაა გააფთრებული ტერორი, ცემა, რომელიც რამდენიმე საათიდან, რამდენიმე დღემდე გრძელდება. ამ ტერორის მიზანი „ზონის“ საზოგადოებაში მოხვედრილი სუბიექტის იერარქიულ კიბეზე ადგილის შერჩევაა. ამის გარკვევა ხდება ხელებით, ფეხებით, „ტამბურებითაც“ („ტამბურები“). ბევრი ვერ უძლებს ამ გამოცდას და თუ მან შეწყალება დროზე ადრე ითხოვა, იმ წუთიდან მისი წამება „წყდება“ და ძალაში შედის მორალური გათელვა, ანუ სუბიექტს აქცევენ „პარაფინად“ (სიმბოლურად დაშარდვა) ან „პეტუხად“ (პედერასტად მონათვლა).

„ზონაში“ ასეთი სუბიექტებისათვის აუტანელი ყოფაა, მათთან დამოკიდებულება მხოლოდ ზიზლით შეძლიერებულია. ხშირად, მათ ბარაკში დამის სათევდად არ უშვებენ, ხოლო ისინი, ვინც „პრაპისკისას“ მხოლოდ კბილებს კარგავს, აღწევს უმარტივეს თავისუფლებას, რაც გზის არჩევაში გამოიხატება: განდეს „მუჟიკი“, რაც სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფის გამორიცხვას ნიშნავს, თუ გარდაიქმნას „პაცანად“, ანუ ორიენტაცია „შავი“ სამყაროსაკენ აღოს.

აღსანიშნავია ისიც, რომ „ზონის“ ქურდის „წოდების“ მისაღებად ქურდობისათვის ნასამართლობა აუცილებელი არ არის. პატიმრისაგან მხოლოდ მოხერხებულობა, სისასტიკე, ზონის კანონებისადმი უსიტყვო მორჩილება და „სულით სიდიერე“ მოითხოვება, რათა პატიმარი ქურდად აღიარონ. ამის გარეშე იმ „ავტორიტეტთა“ სამყაროში შესვლა, რომელიც ე.წ. „ზაპრავილებით“ იმართება, შეუძლებელია. ეს უკანასკნელნი შიდა კონფლიქტებისას „ზონის“ წინაშე სამართლიანი მომრიგებლის როლში წარდგენას ცდილობენ. „პაცანის“ შემდგომი საფეხურია „მუსტრილა“ ან „მუსტრიაკ“, რა იგულისხმება ამ სიტყვაში, უკვე გასაგებია. ეს არის უკანასკნელი საფეხური, რის შემდეგაც ავტორიტეტთა სამყარო იწყება. „ზონის“ იერარქია მოგაგონებთ ან ეგზოტიკურ ფეოდალურ სახელმწიფოს, ან სასტიკ ბავშვურ თამაშს. ამგვარად შექმნილი „ელიტარული“ ჯგუფის ძირითადი ამოცანაა, როგორც ერთმანეთის, ასევე დანარჩენი მასის ჩავგრა. ერთი შეხედვით, თითქოს ამ ტანჯვა-წამების ძირითადი არის მატერიალურია და ერთმანეთის ტანჯვა და ძარცვა ამითაა განპირობებული.

„ზონაში“ ყველა სახის ძალადობა გამოიყენება, პიროვნულიდან დაწყებული, შიდაზონური რეკვეთით დამთავრებული. შეგროვილი ფული მკაცრად კონსპირირებულ სალაროში „ობშიაკში“ იყრის თავს. საინტერესო ის არის, რომ ძარცვასაც იღვა უღვეს საფუძვლად. ასევე არსებობს ლოზუნგიც, რომლითაც „ზონაში“ თავშეყრილი უღმერთო, უსასტიკესი საზოგადოება სუნთქავს. ეს ძალიან ჰგავს ბოლშევიკურ ლოზუნგს: „ყველაფერი მშრომლებისათვის“, რაც, ამ შემთხვევაში ასე უღერს: „ყველაფერი მკაცრი რეკემის ბარაკისათვის“, ანუ იმ კარცერისათვის, სადაც ყველაზე თავხედნი იმყოფებიან. ქურდების უმრავლესობისათვის შეგროვილი ფულის მეშვეობით ცხოვრების შემსუბუქება, ფაქტიურად შეუძლებელია, ლოზუნგიც ყალბია და რეალურად ეს ფულიც „არამიზნობრივად“ გამოიყენება. მიუხედავად ამისა, „სალაროს“ შესავსებად ქურდები არც სხვის და არც საკუთარ სულსა და სისხლს არ ზოგავენ.

ჩვენ კონკრეტული შემთხვევა განვიხილეთ, როცა „მესამე“ „ციხის“ სიმბოლოთი გამოისახა და ვაჩვენეთ, იძულებით, საკუთარი ნების წინააღმდეგ თავშეყრილი ადამიანებისაგან თუ როგორი საზოგადოება იქმნება. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ამ არაადამიანურ დამოკიდებულებას საკუთარი „მე“-ს გადარჩენის იმპულსი და ციხის არეალი განაპირობებს და ადამიანთა გაბოროტებული, გათიშული, ცხოველური, მკაცრი „საზოგადოება“ სწორედ ამიტომ ყალიბდება.

თითქოს გარემოს სისასტიკე ყველაფერს ნათელს ჰფენს. საკითხისადმი ამ კუთხით მიდგომა, თავისთავად, გარეგნულად ისეთი აბსოლუტურად ანალოგიური საზოგადოების განხილვასა და ანალიზს მოითხოვს, სადაც სხვა „მესამე“ მოქმედებს.

ესაა დესპოტური სახელმწიფოს ოპოზიციონერ პოლიტიკურ პატიმართა – დისიდენტთა ციხე, „ზონა“, სადაც ურთიერთდამოკიდებულება რადიკალურად განსხვავებულია და მისი აღწერით თავს აღარ შეგაწყენთ; ეს საზოგადოებაც იძულებითაა შექმნილი, მაგრამ პოლიტიკურ პატიმართა ციხის არსი კრიმინალური „ზონის“ არსისაგან განსხვავებულია; იმის მიუხედავად, რომ პოლიტიკური პატიმრები უფრო სასტიკ პირობებშიც კი იმყოფებიან, ისინი მაინც ადამიანებად რჩებიან; უფრო მეტიც, მათში ურთიერთგატანის პრინციპი ვითარდება, რაც დისიდენტების პიროვნულ ამაღლებასაც კი იწვევს.

ღრმად გასააზრებელია ისეთი საზოგადოების შექმნილი „მესამე“, რომელიც თავისი ბუნებით, გრანდიოზულობითა და ექსტრემალური პირობებით განუმეორებელია. მას სისასტიკით თვით ციხეც ვერ შეედრება. მასთან შედარებით ფაშისტური თუ ბოლშევიკური საკონცენტრაციო ბანაკიც კი კომფორტული კურორტია. ეს „მესამე“ ის მწვერვალებია, რომელიც ალპინისტთა საზოგადოებას აყალიბებს.

ყველა, ვისაც ამ საზოგადოებასთან ზედაპირული შეხება მაინც ჰქონია, ამ მოსაზრებას უყოყმანოდ დაეთანხმება; და თუ ვინმე ეჭვს გამოთქვამს, მას შევასწავებთ, რომ ეს ის სამყაროა, სადაც გაიშვიათებულ ჰაერს უჯანმრთელესი სისხლძარღვთა სისტემაც ვერ უძლებს. აქ ყოველი ჩასუნთვა თუ ნაბიჯი, ძალების უკიდურეს დაძაბვას მოითხოვს. ტემპერატურა იმდენად დაბალია, რომ ადამიანი

კიდურების შეგრძნების უნარს და ხშირად თვით კიდურებსაც კარგავს. ეს არის სასტიკი ულტრაი-ისფერი გამოსხივებისაგან სიბრმავე. ესაა სასტიკ პირობებში მძიმე ტვირთის თრევა. აქ ყოველი გაუფრთხილებელი კი არა, ფრთხილი და გააზრებული ნაბიჯის უკანაც კი წამებით სიკვდილია ჩასაფრებული. ესაა წუთიერი შესვენება უარყოფითი დახრილობის საღ კლდეზე, სადაც სახე ყინუ-ლივით ცივ ქარს ბასრი სამართებლის დასმად აღიქვამს.

მე შემხვედრიან ადამიანები, რომლებიც ალპინისტთა ქმედებით, საზოგადოებით განცვიფ-რებულნი არიან. არა მარტო ალპინისტის, არამედ ნებისმიერი ადამიანის წარმატების მისაღწევად უდიდესი ძალისხმევის მობილიზება და ხანდახან თავგანწირვაც მათი მხრიდან ასევე გაუგებრობას იმსახურებს. მათ უკვირთ იმ მეცნიერის, რომელიც ექსპერიმენტს 220-ზე კი არა, 22000 ვოლტზე ატარებს და ბიოლოგიური ობიექტის ამორთქლებელი სიმძლავრის მქონე სისტემაზე ცდის ჩატა-რების არ ემინია. მათთვის რადიაქტიულ ობიექტზე ან მომაკვინებელ ვირუსზე ცდის ჩატარება წარმოუდგენელი და უცნაურია.

უკვირთ და მათი გაცემა ჩვენს განცვიფრებას არ იწვევს, რადგან მათ ადამიანის ადამია-ნამდე ამაღლების ბრწყინვალეობა არასდროს განუცდიათ. მათ არ იციან, რას ნიშნავს სძლიო საკუთარ თავს, რათა ამაღლდე.

დაეუბრუნდეთ საზოგადოებრივი ცხოვრების გააზრებას.

პირველი ექსტრემალური მდგომარეობაა „ციხე“. ელემენტარული ლოგიკიდან გამომდინარე, „ციხეში“ თავის გადარჩენა, თითქოს ურთიერთგატანით უნდა იყოს შესაძლებელი, რათა პატიმარზე დამსჯელი სისტემის წინეში შემსუბუქდეს. ამ პირობებში ინდივიდის ფსიქიკის, ჯანმრთელობის, სი-ცოცხლის შენარჩუნებისათვის ურთიერთგატანა აუცილებლობას წარმოადგენს. რეალური ფაქტები კი, როგორც მოგახსენეთ, საპირისპიროზე მეტყველებს – იქ „მე“ და „ჩვენ“-ს შორის რაიმე ჰარმონია გამორიცხებულია.

ვიმეორებთ, როდესაც ამ ჯოჯოხეთს გაიაზრებ, გაგაოცებთ ეშმაკის გულუბრყვილობა: ნუთუ ის დარწმუნებულია, რომ შეუძლია გვაცდუნოს, ანუ უფრო ცუდებად გვაქციოს, ვიდრე ვართ? ჩვენი აზრით, ამ სამყაროში ის უფუნქციოა, რადგან მისი სამუშაო ადგილი, მისთვის განკუთვნილი საშტატო ერთეული, გაუქმებულია. მისი მომსახურება აღარავის სჭირდება, რადგან საზოგადოება თვითმომსახურებაზეა გადასული.

მეორე ზეექსტრემალური მდგომარეობაა მწვერვალი. აქ ურთიერთგატანა, ერთმანეთზე ზრუნვა, „მე“ და „ჩვენ“-ს შორის ჰარმონია, უმაღლეს ხარისხს აღწევს. ეს ერთობის უბრწყინვალესი ფორ-მაა. აქედან ცხადად ჩანს, რომ შექმნილი საზოგადოების არსს და ხარისხს „მესამე“ განსაზღვრავს. აღსანიშნავია, რომ ამ საზოგადოებაში, ყოველგვარი ადამიანური სისუსტე მხოლოდ კომფორტულ მდგომარეობაში, მთიდან ჩამოსვლის შემდეგ იჩენს თავს.

პირველ შემთხვევაში, „მესამე“ შეკრული სისტემაა, რომლის საფუძველი, იდეალი ძალადობაა. **იქ, ჩაკტილ ზონაში, გადაადგილება დაძაბვას არ საჭიროებს, მაგრამ თავისუფლება არ არ-სებობს.**

მეორე შემთხვევაში, „მესამე“, ანუ იდეალი, ამაღლებული მიზნისკენ სწრაფვაა. **მწვერვალზე ნაბიჯის გადადგმა უდიდეს დაძაბვას მოითხოვს, მაგრამ თავისუფლება უსაზღვროა და შენ ფეხქვეშა მთელი სამყარო.**

ამ ფონზე საინტერესოა განვიხილოთ ისეთი გაერთიანება, სადაც ჩვენი არსებობა, უბრალოდ, ფაქტია. ჩვენ არავინ გვკითხა გვინდოდა თუ არა იქ მოხვედრა, უბრალოდ, ჩვენ იქ დავიბადეთ.

ესაა ოჯახი – მშობლები, შვილები, ძმები, დები, სიდედრი, დედამთილი, გარკვეული თუ გაურკვე-ველი წარმოშობის ნათესავები . . .

ოჯახი მხოლოდ მაშინაა ნამდვილი, მთლიანი, თუ მისი წევრები რაღაც „მესამეს“, წესს ექვემ-დებარებიან. ამ წესის თანახმად, ოჯახის სრულყოფილ წევრად ის ითვლება, ვინც „ოჯახის წესის“

დაცვას საკუთარ მოვალეობად მიიჩნევს, ვისთვისაც ოჯახის პატივისცემა წმიდათაწმიდაა. ასეთები, ოჯახის წესის დამრღვევ წევრს გააფთრებით ებრძვიან, აძევენ – თუ რომელიმე წევრი ნებით, თუ უნებლიედ „ოჯახისათვის არასაკადრის“ ქმედებას ჩაიდენს (მოჰყავს ან მიჰყვება „შეუფერებელ“ პირს). ზოგჯერ ოჯახის „ტრადიციების დამცველთა“ ქმედება უკიდურეს ზომამდეც მიდის და საკუთარ უწლოვან შვილსაც კი არ ინდობენ (მატეო ფალკონე).

ცხადია, თუ ოჯახის წევრების უმრავლესობა ამ ტრადიციას არ იცავს, ამ საკითხს კონსერვატულად არ უდგება, ოჯახი იშლება.

ამ შემთხვევაში, ნებისმიერი წევრის წინაშე წამოიჭრება რთული პრობლემა: პიროვნებისა და ოჯახის („მე“-სა და „ჩვენ“-ის) სიკეთის თანაფარდობის დადგენა, რათა „მეს“ სიკეთე „ჩვენის“ სიკეთის ფარგლებში ჩაეტიოს. ისიც საინტერესოა, ამ სიკეთეთა თანაარსებობის საფუძველი ანგარებაა, თუ არა.

მართლაც, შეიძლება შეიქმნას ისეთი პირობები, როდესაც პიროვნება მკაცრი ალტერნატივის წინაშე დგება. როცა ასარჩევია – ჩემი სიკეთე, თუ ჩვენი სიკეთე. ანუ ოჯახი, თუ ეგოიზმი. იასონზე ჭკუადაკარგული მედეა – ეგოიზმი, ვნება, რომელიც ყველაფრის წინააღმდეგ მიდის. აქ ნათლად ჩანს, რომ პიროვნება თვითონ ემიჯნება ოჯახს და საკუთარ „მე“-ს ოჯახზე მაღლა აყენებს. აქ ქცევის საფუძველი ეგოიზმია, რადგან ამისთანა ქალბატონისათვის ოჯახის სიმშვიდე, სიმყუდროვე, ტრადიცია არასაინტერესო, საკუთარი სურვილი კი უმნიშვნელოვანესია.

რა თქმა უნდა, ყველა მედეა არ არის. მის მდგომარეობაში დამთმობი ქალბატონი ამოიხრებს, შეიძლება სააბაზანოში ან საბნის ქვეშ წაიტიროს და შემდეგ ან საერთოდ არავის მისთხოვდეს, ან მისთხოვდეს იმას, ვინც მის „ოჯახს შეეფერება“. აქ, გარკვეული დროით, „თვითმსხვერპლშეწირვას“ აქვს ადგილი; როცა ქალბატონი ოჯახის გადაწყვეტილებას უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე საკუთარ არჩევანს, ამ ნაბიჯს შესაძლოა მისი ფსიქიკა, ჯანმრთელობა და თვით სიცოცხლეც კი შეეწიროს.

ამრიგად, ერთ შემთხვევაში ეგოიზმი იმარჯვებს, მეორეში – მორჩილება და ამ დროს, როგორც ამბობენ, გული სისხლისაგან იწრიტება.

უმრავლეს შემთხვევაში, „ოჯახის ნება“ არც ისე ძლიერია, რომ სიმშვიდის დამრღვევი სერიოზულად დასაჯოს. ცხადია, სიმშვიდის დამრღვევს, „დამნაშავეს“, სახელმწიფო იცავს და ისიც მას აფარებს თავს. ესეც გასაგებია. ოჯახის „სიწმინდე“, სახელმწიფოს „სიწმინდესთან“ შედარებით, მართლაც, რა მოსატანია. ერთი შეხედვით, გამოდის, რომ ეგოისტის თავშესაფარი სახელმწიფოა. თუმცა, „სახელმწიფო“ ეს ახალი საზოგადოება, ანუ გაფართოებული „ოჯახია“, და მის ეგოიზმს ისეთივე ზაფანგები ელის, როგორც ოჯახში.

ზემოთ განხილული ყველა საზოგადოებრივი მოვლენა – „მე“ და „ჩვენ“-ის დამოკიდებულების საფუძველები – ღრმა გააზრებას მოითხოვს.

მართლაც, **რა ქმნის ცივილიზებულ საზოგადოებას, იდეა თუ ეგოისტური ვნებები?** ეს უკანასკნელი – „ეგოისტური ვნებები“, მართალია ზუსტად განსაზღვრავს საკითხის არსს, მაგრამ მაინცდამაინც ეთიკურად არ ჟღერს, ამიტომ მის მაგივრად სიტყვა „მატერიალიზმი“ ვინმართ. ამრიგად, გავერკვეთ ცივილიზებული საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის რა ძალებია მნიშვნელოვანი “მატერიალისტური“ თუ „იდეალისტური“? თავიდანვე შევთანხმდეთ, რომ საკითხის ასე მკვეთრად დასმა მეთოდოლოგიური შეცდომა, გულუბრყვილო გამარტივებაა. ამ ზოგად კითხვაზე ერთადერთი ზოგადი პასუხი, ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს – **არც მხოლოდ იდეალური, არც მატერიალური; პასუხი თვით ადამიანშია, რომლის არსი, როგორც იდეალურს, ასევე მატერიალურს მოიცავს.**

აქ გასასწავნებელია ბლევ პასკალის გენიალური მოსაზრება, რომელიც მარტივად ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ – **იდეალისტების მსჯელობა მართებულია, მაგრამ მათი დასკვნებია არასწო-**

რი. ასევე – მატერიალისტების მსჯელობაც მართებულია, მაგრამ მათი დასკვნებიც არასწორია, რადგან პირველი არ ითვალისწინებს მეორეს მსჯელობას და მეორე – პირველისას.

ამრიგად, პრობლემა იდეალურ-მატერიალურის თანაფარდობის, პროპორციის დადგენაზე დადის.

ხშირ შემთხვევაში, საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი რაციონალური მიდგომა გულუბრყვილობად აღიქმება და, შესაბამისად, საზოგადოებრივი ცხოვრების რაციონალური მართვის შესაძლებლობის მიმართ უნდობლობა ჩნდება. ცხადია, რთულია იმის მტკიცება, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებას იდეა, ანუ წმინდა გონებრივი ელემენტი განსაზღვრავს. ზოგიერთი ადამიანისათვის საზოგადოებრივი ცხოვრების იდეალისტური ახსნა გულუბრყვილო რაციონალიზმია.

ამრიგად, შეიძლება ვთქვათ, რომ ადამიანში მატერიალიზმის უკიდურესი ფორმა არსებობს. საკითხის ასე ემპირიული, ანუ გრძნობებით გარკვევის მცდელობა უკვე მატერიალურის სიჭარბეს მიუთითებს. თითქოს ადამიანისათვის პროზაული მოთხონებები გენეტიკურია; მისთვის მთავარია: გემრიელი საკვების მოპოვება, ლამაზად ჩაცმა, საჭიროზე მეტი კომფორტის შესაქმნელად ფულის დაგროვება. . .

სიმაღლის მნიშვნელოვან ნაწილს, თუმცა გაზვიადებულს, შეიცავს უკიდურესი მატერიალიზმის მეორე ფორმაც, რასაც ფსიქოანალიტიკური სკოლის წარმომადგენლები „სექსუალური მატერიალიზმის“ სახით გვთავაზობენ. ესაა მატერიალიზმის უკიდურესი გამომსახველობა, ბიოლოგიური, ცხოველური, ე.წ. „ეთოლოგიური მატერიალიზმი“ და ეს ეგონისტური ანგარება ადამიანს უფრო მნიშვნელოვნად, რეალურ საწყისად ეჩვენება, ვიდრე ნებისმიერი „განყენებული იდეა“, მსოფლმხედველობა.

ცხადია, ალოგიკურია მტკიცება, რომ ადამიანი ოდესმე, მხოლოდ შიშველი ეგონისტური ვნებებით ან მხოლოდ შიშველი იდეებით ხელმძღვანელობდა.

ჩვენი ცხოვრების უკანასკნელი პერიოდის ტრაგედიას თუ დაუუკვირდებით, ცხადად დავინახავთ, რომ ყველა კარიერის მაძიებელი შინაგანი, ეთოლოგიური მატერიალიზმიდან გამოდის.

ისინი ცდილობენ მასაში, ბრბოში აღმოაჩინონ და განავითარონ ის ვნებები და იმპულსები, რაც მათ პირადი აღზევებისათვის გამოადგებათ. ისინი ცხოვრების მამოძრავებელ ძალად პათოლოგიურ გამოვლინებებს აღიარებენ, ამკვიდრებენ და საზოგადოების მართვას ამ გზით ცდილობენ.

დაუკვირდით, ამ მცდელობის იდეალთან დაკავშირება ან „იდეით“ შენიღბვა არც ერთ მათგანს არ ავიწყდება.

ყოველი ადამიანი, რატომღაც, საკუთარი განზრახვის სამართლიანად წარმოჩენას, ზნეობის პოზიციიდან ახსნას ცდილობს. მისი სურვილია, მისი ქმედება უმრავლესობამ საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლიან საფუძვლად აღიქვას. ამ მიზნის მისაღწევად კი მას **საკუთარი განზრახვის ზნეობრივი იდეით შეფუთვა სჭირდება.** ამგვარი საქციელი არა მარტო სუსტ ინდივიდს, არამედ ისეთ მძლავრ საზოგადოებრივ გაერთიანებებსაც ახსნათებს, როგორიცაა ეთნოსი ან სახელმწიფო.

იმის მიუხედავად, რომ იმდროინდელი ოპოზიციური სახელმწიფოების ლიდერები „დაუმარცხებელ“ ნაპოლენოს სისასტიკით არ ჩამორჩებოდნენ, მის წინააღმდეგ „ზნეობრივი“, „ნაციონალური ცნობიერების“ ხარჯზე გაერთიანდნენ.

პიტლერის ფაშისტურ გერმანიას (სადაც ადამიანზე ძალადობა უსასტიკესი ფორმით გამოქვდა) რუსეთის იმპერია საკონცენტრაციო ბანაკების რაოდენობითა თუ სისასტიკით ტოლს არ უდებდა. ამის მიუხედავად, რუსეთმა გერმანიასთან ომისას, საკუთარი აგრესიის შესანიღბად, „ადამიანის ღირსების დაცვის“, „პატრიოტიზმის“, „თავისუფლებისა“ და „ერების გადარჩენის“ იდეა წარმატებით გამოიყენა.

რომის იმპერიამ უკიდურეს მატერიალიზმს ვეღარ გაუძლო; იმპერატორი მიხვდა, რომ იმპერიის ხსნა ქრისტიანული რელიგიის განვითარებაში იყო და ეს იდეა თავის სასარგებლოდ გამოიყენა. ამრიგად, როდესაც დემაგოგს ადამიანთა ვნებების აღზევა სჭირდება, ის საკუთარ განზრახვას, სურვილს, ზნეობრივი სიმაღლის გარსში ხვევს.

ამ მდგომარეობიდან გამოსავალი ის არის, რომ ჯერ ჩვენ მივხვდეთ და მერე ყველას გავაგებინოთ, რომ იდეალური და მატერიალური ერთმანეთს სრულიად არ ეწინააღმდეგება. ახლა კი შევთანხმდეთ:

იდეა შიშველი აბსტრაქტული ცნება როდია, ეს საზოგადოების პირველსაწყისი, სიცოცხლის არსის მქონე, სამყაროს მამოძრავებელი რეალური ძალაა, რომლის გარეშეც განვითარება საერთოდ შეუძლებელია.

შევეცადოთ, საზოგადოების შემადგენელი მთავარი ელემენტის – ადამიანის – სოციალურ არსში გარკვევას.

ადამიანის სოციალური არსი

ბუნებრივი და პოზიტიური სამართლის შესახებ უკვე ვისაუბრეთ. თუ სახელმწიფო და სამართალი ორგანული ერთობაა, მაშინ უნდა არსებობდეს ბუნებრივი და არაბუნებრივი, ანუ ხელოვნური სახელმწიფოები და მისი შემქმნელი – ბუნებრივი და ხელოვნური საზოგადოებანი. შესაბამისად, დავდივართ ისეთ ცნებაზე, როგორცაა ბუნებრივი და ხელოვნური ადამიანები.

აქ აუცილებელია იმ კრიტერიუმების ჩამოყალიბება, რაც დაგვეხმარება დავადგინოთ, ვინ მიიჩნევა ბუნებრივ, ღვთიურ კანონზომიერებას დაქვემდებარებულ ადამიანად და ვინ – არა.

ბუნებრივად მივიჩნით ის ადამიანი, რომელიც ღვთის მიერ მინიჭებულ მაღლს – **გონს, ენერგიას, საზოგადოების განვითარებას სპონტანურად, ან გააზრებულად ახმარს. მისი მთავარი, ბუნებრივად თანდაყოლილი თვისება ღვაწლის გაღებაა.**

საზოგადოების განვითარება, კულტურა, ცივილიზაცია ასეთი ადამიანების მხრებზე დგას, სწორედ, ეს ადამიანები წარმოადგენენ საზოგადოების განვითარების ბირთვს; ტიტანურია მათი შრომისუნარიანობა, მათ ხორციელი შიმშილი, გაჭირვება არ აშინებთ. ვინ ახსნის, რა აიძულებდა ნიკო ფიროსმანაშვილს უკიდურესი ღვაწლით კაცობრიობისათვის უდიდესი შედეგები შეექმნა. დიან! მას, მართლაც, მათრახით ადგა თავს წმინდა გიორგი და უბრძანებდა: – დახატე ნიკალა, დახატეო! რატომ ეძინა ედისონს დღე-ღამეში მხოლოდ ოთხი საათი? რატომ გადაამუშავა წარმოუდგენელი რთულ ნივთიერების რადიაქტიური მადანი სუსტმა ქალბატონმა – მარია სკლოდოვსკაია-კიურიმ, რათა რამდენიმე მილიგრამი მანამდე უცნობი ნივთიერება მიეღო? ამ ნივთიერებას არა საკუთარი, არამედ სამშობლოს სახელი – პოლონიუმი უწოდა და შემდეგ, რადიაქტიური გამოსხივებით დაავადებულმა, სიცოცხლე საოცარი ტანჯვით დაასრულა. ამის შემდეგ იქმნება, მაგალითად, სხივური თერაპია, რომელიც მილიონობით ადამიანს სიცოცხლეს უხანგრძლივებს.

შევეცადოთ, კონკრეტულ მაგალითზე უფრო ღრმად ჩავწვდეთ ბუნებრივი და ხელოვნური ადამიანების არსს.

იყო პერიოდი, როცა ამ ცოდვილ მიწაზე უდიდესი მასშტაბით მძვინვარებდა ის ენით აუწერელი საშინელება, რომელიც ერთი სიტყვით – ტუბერკულოზი (ჭლექი) – გამოითქმება. ამ პერიოდამდე (და მის შემდეგაც) არ არსებობდა ისეთი ბულვარული თუ კლასიკური რომანი, სადაც ორი ადამიანის სიყვარული, უცილობლად ტრაგიკულად – ერთ-ერთი მათგანის ჭლექით სიკვდილით არ დასრულებულიყო (გაიხსენეთ, თუნდაც რემარკის „სამი მეგობარი“; ანტონ ჩეხოვის – „დაგვიანებული ყვავილები“ . . .). დაუმატეთ ამას სხვა ინფექციური დაავადებებიც, მაგალითად, ვენერიული სნეულებანი, რაც ერებსა და სახელმწიფოებს მუსრს ავლებდა. ნაპოლეონის არმიის 80% სიფილისის უკიდურესი ფორმით იყო დაავადებული. ეს იმის მიმანიშნებელია, რომ მათ მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე ეს უბედურება ძალადობრივი, თუ არაძალადობრივი ფორმით, უდიდესი სისწრაფით ვრცელდებოდა. დღეს ჩვენ შემოფოთებულნი ვართ შიდსითა თუ ქაიძის გრიპით. ამ საშინელების თავიდან აცილება

შესაძლებელია ელემენტარული სანიტარული ნორმების დაცვით. ტუბერკულოზისაგან თავის დაცვა კი თითქმის შეუძლებელი იყო; თუნდაც იმიტომ, რომ ის უშუალო კონტაქტის გარეშე, ჰაერის საშუალებით ვრცელდებოდა. ამ დაავადებას ასეული მილიონობით ადამიანი ეწირებოდა. ეს, გარკვეული აზრით, სოციალური დაავადება იყო.

გადის დრო და შოტლანდიის ერთ-ერთ პატარა სოფელში, თითქოს არაფრით გამორჩეული ბიჭი იბადება. მას ალექსანდრე დაარქვეს. 7 წლის იყო იგი, როცა მამა გარდაეცვალა; იმის მიუხედავად, რომ ბავშვს ფერმაში დიდიდან საღამომდე მძიმე შრომით ოჯახის რჩენა უწევდა, მან სოფლის სკოლაში სიარულიც მოახერხა. 13 წლის ალექსანდრე საცხოვრებლად ლონდონში გადავიდა; ის ლონდონის შოტლანდიურ პოლკში მსახურობდა და საუცხოო მსროლელი და წყალბურთელი იყო. ალექსანდრე პარალელურად პოლიტექნიკურ უნივერსიტეტშიც სწავლობდა; მოგვიანებით, მან სამედიცინო სკოლაში მისაღები გამოცდებიც ჩააბარა. უკიდურესად დაძაბულმა შრომამ შედეგი გამოიღო. გამოცდებზე მან უმაღლესი ქულები მოაგროვა და ჯერ სტიპენდიანტი გახდა, შემდეგ კი – ქირურგი და მუშაობა პათოლოგიის ლაბორატორიაში დაიწყო. მან მაგისტრის ხარისხიც მიიღო.

პირველ მსოფლიო ომში სამედიცინო კორპუსში კაპიტნის ჩინით იბრძოდა. იმ დროსაც კი, როცა მისი სიცოცხლე ყოველ წამს ბეწვზე ეკიდა, ის ჭრილობის ინფექციისაგან დამცავ ანტიბიოტიკურ ნივთიერებებს იკვლევდა. მისი მგრძობიარე ასტრალური არსი ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ უმარტივესი ჭრილობაც კი, ინფექციის შემთხვევაში, ათასობით ახალგაზრდის სიცოცხლეს ანადგურებდა.

იმის შემდეგ იგი სამეცნიერო მუშაობას ლაბორატორიასა თუ ბიბლიოთეკებში დღე-ღამეში 18 საათიანი ძიებით აგრძელებს.

ალექსანდრემ 1922 წელს, ტიტანური შრომის შედეგად, მრავალი იმედგაცრუების შემდეგ, აღმოაჩინა ლიზოციმი – ფერმენტი, რომელიც ბაქტერიებს ანადგურებდა და ბიოლოგიური ქსოვილისათვის უსაფრთხო იყო. თუმცა, ეს პრეპარატი ბაქტერიების ფართო სპექტრისათვის ეფექტური არ აღმოჩნდა. ის, სამწუხაროდ, მხოლოდ მარტივ ბაქტერიებს ანადგურებდა. ის უფრო მძლავრი ანტიბაქტერიული პრეპარატის აღმოსაჩენად კვლევას განაგრძობს.

ალექსანდრე ძიებაში იმდენად იყო ჩართული, რომ ლაბორატორიული ფინჯნების წესრიგში მოსაყვანად დრო არ რჩებოდა; იმავედროულად, მაქსიმალური ყურადღებით იკვლევდა მაგიდაზე დაგროვილ 40-50 ფინჯანს, სადაც ბაქტერიულ კულტურებს ზრდიდა; გამოკვლევის გარეშე არც ერთ მათგანს არ აგდებდა. ის ყოველი ცდის შემდეგ ფინჯნების გარეცხვის დადგენილ წესს (პოზიტიურ სამართალს) არღვევდა; და აი, 1928 წელს ერთ-ერთ ფინჯანში ბაქტერიების კულტურის გამანადგურებელი ობი აღმოაჩინა. ობი, რომლითაც კულტურა დაავადდა, იშვიათ სახეობას მიეკუთვნებოდა; მას დღეს პენიცილინს ვუწოდებთ.

გთხოვთ, სინჯარით ხელში ლაბორატორიულ მაგიდასთან მდგომი დაულალავი მკვლევარი წარმოიდგინოთ; მის სინჯარაში რამდენიმე მილიგრამი ნივთიერება იყო, რომელიც მილიონებით ადამიანს სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა. დიახ, ეს მკვლევარი გახლავთ შოტლანდიელი მეცნიერი, ბაქტერიოლოგი, **ალექსანდრე ფლემინგი**, ანუ ბუნებრივი ადამიანი, რომლის არსი ღვაწლის გაღებაა.

1945 წელს მას ფიზიოლოგიასა და მედიცინაში გაწეული წვლილისათვის ნობელის პრემია მიენიჭა. გარდაიცვალა მიოკარდიუმის ინფარქტით 1955 წელს, 73 წლის ასაკში.

დავფიქრდეთ, როცა ჩვენთვის ძვირფასი ადამიანი სიცხით, ტკივილით იტანჯება და ანტიბიოტიკის რამდენიმე აბით მას სიცოცხლის ხალისი უბრუნდება, გონებაში მაინც თუ ვუხდით მაღლობას. ეს მან გაწირა მთელი შეგნებული სიცოცხლე სხვათა სიცოცხლის შენარჩუნებისათვის. მრავალმა ჩვენმა თანამემამულემ ალექსანდრე ფლემინგის ვინაობაც კი არ იცის.

და სადაც მენსიერება არ არის, არც ზნეობაა.

დავუკვირდეთ, ფლემინგმა პენიცილინი აღმოაჩინა 1928 წელს. ის წარმოებაში ჩაეშვა, თუ არ ვცდები, ორმოცდაათიან წლებში, ანუ ოცი წლის შემდეგ. ოცი წელი – მილიონობით შეწირული

სიცოცხლე. . . რატომ იგვიანებს ამ აღმოჩენის შედეგი სასიკვდილოდ განწირულთათვის? იქნებ იმიტომ, რომ არსებობენ ადამიანები, რომელთა არსი მხოლოდ საკუთარი კმაყოფილებაა. ამ აღმოჩენამდე ტუბერკულოზით დაავადებულთათვის სიცოცხლის შენარჩუნების ერთადერთი საშუალება (ისიც, მხოლოდ რამდენიმე თვით) საკურორტო ზონაში არსებული სასტუმროს ტიპის პანსიონები იყო; და ეს საკმაოდ ძვირადღირებული ფუფუნება გახლდათ. ავადმყოფის გულშემატკივარნი უკანასკნელს გასცემდნენ, რათა ძვირფასი ადამიანისათვის ტანჯვა ოდნავ მაინც შეემსუბუქებინათ. ამით სარგებლობდნენ ე. წ. საქმიანი ადამიანები, პანსიონთა მფლობელები. ეს პანსიონები უდიდეს შემოსავალს იძლეოდა. ზოგადად, სწორედ ასეთი ადამიანები არიან მზად გაანადგურონ, ხელი შეუშალონ ყველაფერს, რაც მათ პირად კმაყოფილებას, ფულის შოვნის გზას ემუქრება. მათში ჩამქრალია ღვთის ის მადლი, ის ბუნებრიობა, რასაც მოყვასის სიყვარულსა და ღვაწლის გაღებას ვუწოდებთ. ისინი არა ბუნების უმაღლესი კანონზომიერებით, ათი მცნებით, არამედ მათ მიერ მოგონილი რაღაც „ხეირის კანონზომიერებით“ ცხოვრობენ. ისინი, თითქოს ცნობენ ათ მცნებას, კაბინეტში, საწერ მაგიდაზე თითქმის ყველა მათგანს უღევს ბიბლია; მაგრამ სწორედ ამ კომფორტულ კაბინეტში, საწერ მაგიდასთან მდგომი, ფულის ნიშნებით სავსე სეიფი აიძულებთ მათ დაამატონ **ათ მცნებას მეთერთმეტე, რომელიც წინა ათს აუქმებს.** ესენი, ჩვენი აზრით, არიან არაბუნებრივი, ანუ ხელოვნური ადამიანები. განაზოგადეთ ეს მარტივი მსჯელობა და ჩვენი უბედურების მთავარ მიზეზს მიხვდებით. უფრო დიდი უბედურებაა ხელოვნური საზოგადოების ის ნაწილი, რომელთა არსი გულგრილობაა.

„ვიცი შენი საქმენი: შენ არც ცივი ხარ, არც ცხელი. ო, ნეტა ან ცივი იყო, ან ცხელი! მაგრამ რაკი ნელ-თბილი ხარ შენ, არც ცივი და არც ცხელი, ამიტომ ამოგანთხევ ჩემი პირიდან“ (გამოცხადება. 4. 15 – 16).

აი, ასეთნი არიან განვითარების ყველაზე შემაფერხებელნი, ხელშემშლელნი, დამბარკოლებელნი. დიანს, ესაა ბარიერი ჩვენი საზოგადოების სიკეთისაკენ მიმავალ გზაზე. დაეფიქრეთ.

სიკეთეს აქვს საწყისი, საფუძველი – ეს არის ღმერთი – სამყაროს სამართლიანობის უღიაღესი კანონი.

ბოროტებას საწყისი არა აქვს. ის, უბრალოდ, სიკეთის უარყოფაა.

სიკეთის უარყოფის ერთ-ერთი გამოვლინებაა გულგრილობა.

და თუ გულგრილი ხარ – ხარ ბოროტიც.

გულგრილობა, ჩვენი აზრით, ბოროტების კვინტესენციაა, და შესაბამისად, მის არსზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად დროსა და ენერჯიას არ დავინანებთ.

სიკეთეს, როგორც სამართლიანობის უღიაღეს კანონს, ლოგიკის, აზროვნების გარეშე ვერ აღვიქვამთ.

ჩვენი ქვეყნის თანამედროვე საზოგადოებისა და ინტელიგენციის უმეტესი ნაწილის მიმართება ლოგიკურ აზროვნებასთან, ფილოსოფიასთან, ზრდილობიანად რომ ვთქვათ, უფრო რთულია, ვიდრე შესაძლოა ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს. ამ დამოკიდებულების ანალიზმა ის ძირითადი სულიერი მახასიათებლები უნდა დაგვანახოს, რომლებიც შეიძლება ჩვენი ტრაგედიის მთავარი მიზეზები აღმოჩნდნენ.

ინტელიგენციის ნაწილი საერთო ცხოვრებიდან ხელოვნურადაა გამოთიშული. მისი ფსიქიკა ორმაგ დატვირთვას განიცდის. ერთი მხრივ – გაუცნობიერებელი შიში, არ დაკარგოს ის მცირედი, რაც შემორჩა, და მეორე – ინერტულობა, კონსერვატიულობა, გულგრილობა, ცინიზმი, ირონია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი ფსევდოინტელიგენტის სულიერი წყობის კონსერვატიზმი ნებისმიერი სიანხლისადმი ზედაპირულ დაინტერესებას არ გამორიცხავს. მათ შორის ევროპული

აზროვნების მიმართაც, რომელიც, სამწუხაროდ, არასდროს გაუთავისებია. შესაბამისად, ეს დაინტერესება ხშირად აგრესიული ფორმით მჟღავნდება.

ზერელე მიდგომა, არა მარტო ფილოსოფიასთან, ლოგიკურ აზროვნებასთან, არამედ სხვა სულიერ ფასეულობასთანაც, თვალში საცემია. ფსევდონტელიგენციას არა მარტო ფილოსოფიური ცოდნის დაბალი დონე (ეს ადვილი გამოსასწორებელია) ახასიათებს, არამედ სულის წყობის ისეთი მოზაიკაც, რომ ფილოსოფიას წარმოსახვითი სამყაროს საიდუმლოებით მოცულ, იდუმალებად, და შესაბამისად, გამოუსადეგარ სულიერ ფასეულობად აღიქვამს.

რა თქმა უნდა, ის ხანდახან რაღაცას კითხულობს, ხანდახან ჩაფიქრდება კიდევ; თუმცა, ლოგიკური აზროვნების, ფილოსოფიის, ხელოვნების აღქმისა და ესთეტიკური სიამოვნების მიღების უნარი მასში უკვე მინიმუმამდეა დაყვანილი. ეს არა ინტელექტის დეფექტით, არამედ **ნებისყოფის, სურვილის ატროფიით** აიხსნება.

ფსევდონტელიგენციას უტილიტარული ფასეულობა უკვე ისეთი კონცენტრაციით აქვს გამჭვდარი სისხლსა და ხორცში, რომ მის სულში რაიმე ფასეულობისათვის ადგილი აღარ რჩება.

ის ამ უტილიტარულ აზროვნებას ეთავყვანება, რადგან მისგან, ასე ვთქვათ, რაღაც ხეირს ელის (რომელსაც ვერასდროს მიიღებს, თუმცა ეს მას არ ესმის). მუქთა ხეირი, როგორც მიუღწეველი რამ, მის სათაყვანებელ „ღმერთად“ იქცა. ეს „ღმერთი“ მისგან დაჩოქებას ითხოვს და ისიც იჩოქებს. ცხადია, ამ მდგომარეობაში მას შემოქმედებისა ან სიახლის ძიების რაიმე ინტერესი არ შეიძლება გააჩნდეს. ის ქვემოდან შესცქერის კრიმინალურ ჯგუფებს შორის ქვეყანაში ჯერ კიდევ შემორჩენილი მატერიალური ფასეულობების გადანაწილების პროცესს და დაჩოქილი ელის, იქნებ ვინმემ ისიც გაიხსენოს და რაიმე უწილადოს, ანუ აინტერესებს როდის წაართმევენ ვინმეს რამეს და მას მისცემენ. მისგან მატერიალური ფასეულობების (სულიერზე აღარაფერს ვამბობთ) შექმნაში მონაწილეობის მიღების მცდელობა გამორიცხულია, რადგან ამის განწყობაც კი არ გააჩნია.

აქ გავიხსენოთ კანტის სიტყვები: „**სუსტო ადამიანებო, თქვენ გგონიათ, რომ განვითარებისა და შემეცნებისაკენ მიისწრაფვით, რეალურად კი თქვენს არსს პატივმოყვარეობა შეადგენს.**“

ფსევდონტელექტუალს მხოლოდ რომელიმე პოლიტიკურ მიმართულებასთან ან ქვეყნის მმართველ სტრუქტურებთან მიტმანის უსუსური სურვილია შემორჩა.

მატერიალური ნეტარებისადმი ასეთმა სწრაფვამ ფსევდონტელიგენტში ჭეშმარიტების ძიებისადმი, ლოგიკისადმი ინტერესი გაანადგურა. შესაბამისად, მასში ამოტივტივდა ერთადერთი პრინციპი – „რაში მჭირდება ჭეშმარიტება, ლოგიკა, თუ მე დღესვე კმაყოფილი არ ვიქნები?!“ მას ბუნდოვნად ახსოვს, რომ კმაყოფილების მიღწევას პირადი აქტიურობა სჭირდება, მაგრამ ეს მისი ცხოვრების სტილი არ არის.

მისი (და არა მარტო მისი) კრახის ძირითადი მიზეზი იმ ყველაფრის პაროდიულობაა, რაც გარს გვახვევია, რასაც ვაკეთებდით და ვაკეთებთ.

ეს პაროდიულობა ფსევდონტელიგენტებთან კონტაქტში შესვლისას მჟღავნდება. პირველი პატრიოტის პაროდიას, მეორე – ინტელექტუალის, მესამე – ქრისტიანის და ეს სია უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს.

ამიტომ იყო ქვეყნის მთლიანობის აღდგენის მცდელობა პაროდია, პაროდიას არმიაც, პოლიციაც, სამართალიც, სახელმწიფოც და ვიღაც პაროდიული, არასერიოზული, ფსევდონტელიგენტი „პოლიტიკოსები“, პაროდიულ სახელმწიფოში პაროდიული „დემოკრატიის“ დამკვიდრებას ცდილობენ.

შედგეი რაღაც სუბფეოდალური (არ გვინდა ფეოდალიზმის ცნებას შეურაცხყოფა მივაყენოთ) წყობაა, სადაც ინტელიგენტის (და არა მარტო მისი) სულიერი ძარცვა მიმდინარეობს. ის მატერიალურად ღიბი ხანია გაძარცვულია. ასეთი ადამიანი არასდროს მოსთხოვს საკუთარ თავს ელემენტარ-

რული ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების აღიარებას და არც ამ იდეათა დამკვიდრებას შეეცლება. მისკენ მიმართული ყველა ამაღლებული მოწოდება, საბოლოოდ, მისი სულის სიცარიელეს ემსხვერვა.

ჩვენს ინტელიგენციაში ზნეობრივი პრინციპების ასეთი, რადიკალური ცვლილების ფაქტი სერიოზულ დაფიქრებას ითხოვს. როგორ ავხსნათ, რომ ქართული ინტელიგენციის ეს სუფთა, პატიოსანი ნაწილი, რომელიც ათასწუთასწლოვან საკუთარ ლიტერატურასა და ფილოსოფიაზე აღზრდილი, მარცვამდე და ცხოველურ ინსტინქტებამდე ასე სწრაფად დაეშვა?

როგორ მოხდა, რომ ფსევდოინტელიგენციის პოლიტიკური დანაშაული საკუთარი ხალხის მიმართ, სისხლის სამართლის დანაშაულს შეერწყა?

ზნეობის დროებითი მოშლა შესაძლებელია ყველგან და ყოველთვის. ეს გასაგებია.

გამაოგნებელია, საშინელებაა, როდესაც ზნეობის გაუფასურება ცხოვრების წესად მკვიდრდება, ფასეულობათა გადაფასება მიმდინარეობს და ახალი „იდეალი“ ყალიბდება.

როგორ მოხდა, რომ ინტელიგენციაში მყარმა მორალურმა ტრადიციებმა, რომელიც თავსდატენილ კომმარს ენერგიულ წინააღმდეგობას გაუწევდა, ფეხი ვერ მოიკიდა?

ზნეობის კრიზისი ჩვენი ინტელიგენციის სულიერი ცხოვრების გადასინჯვას მოითხოვს. საჭიროა ამ დაავადების გამომწვევ მიზეზებში გარკვევა. საჭიროა, აზრობრივი ანატომირება, რათა უფრო ახლოს მივიდეთ ამ კომმარის ფესვებთან. გასარკვევია მისი გონებრივი განვითარება და მორალური უტილიტარული ფერებით როგორ შეიღება.

რათა მათ შეიფარონ ან დაიჯერონ ის, რაც არ უყვართ და არ სწამთ, ისინი შინაგანად უნდა განახლდნენ.

შინაგანი განახლება ურთულესი პროცესია. აქ ცნობიერება თითქმის უძლურია. საჭიროა თავიდან შეიქმნას მისი სულიერი ქსოვილი. ეს ურთულესი ორგანული ცვლილება უნდა მოხდეს იმ სფეროში, რასაც ნებისყოფის სფერო ჰქვია.

ერთადერთი, რაც აუცილებელია და ჩვენ შეგვიძლია, არის ის, რომ ვურჩიოთ:

შეეცადე, გახლე ადამიანი.

თუ მან ეს შეძლო, მაშინ ის უჩვენოდ მიხვდება რა უნდა უყვარდეს და სწამდეს და როგორ, რათა განვითარების უნარი არ დაკარგოს.

უნდა მივეხმაროთ მას, რათა მასში ცნობიერება და ნებისყოფა ერთნაირად განვითარდეს. თუ ეს ვერ მოვახერხეთ, მაშინ აუცილებელია ჩვენი შესაძლებლობის ფორსირება.

რადგან, არსად ისე დესპოტურად არ ბატონობს ადამიანზე საზოგადოებრივი უტილიტარული აზრი, როგორც ჩვენთან.

ჩვენი საზოგადოებრივი აზრი უმფოთველად ფუძდება შემდეგი პრინციპის საფუძველზე: „იფიქრე მხოლოდ საკუთარ თავზე“ – და ისინიც უკვე სრულიად შეჩვივნენ ასეთ მდგომარეობას და აზრად არავის მოსდის, რომ

თუ რაიმე კარდინალურად, მკვეთრად არ შეიცვალა – ქვეყანა განწირულია.

ეს საზოგადოების, ინტელიგენციის ის სერიოზული დაავადებაა, რაც გადაგვარებულ სოციალურ ფენას – ბრბოს ქმნის.

ობტიმიზტური, კეთილი წინასწარმეტყველება მორალურ ჩარჩოებში ეტევა; სულ სხვაა ნეგატიური მოვლენის წინასწარმეტყველება. აქ, წინასწარმეტყველი ან თავხედი უნდა იყოს, ან მომავალი ისეთი ნეგატიური, ცხადი კომმარი, რომ ეთიკის ნორმების დაცვა უკვე ინფანტილიზმად ჩაითვალოს.

ჩვენი ყოფა, წარსული, ალოგიკურობასა და მისგან გამომდინარე ბოროტებას ისეთი ღრუბლი შეიცავს, რომ მომავლის განჭვრეტისათვის ნოსტრადამუსის გენია სულაც არ არის საჭირო. ვიმეორებთ – აქ უმნიშვნელოვანესია გვესმოდეს:

საკუთარ აპოკალიფსზე ჩვენვე ვართ პასუხისმგებელნი!

ჩვენი უპრინციპობით, სიჩუმით კრიმინალურ ჯგუფს ქვეყნის განადგურების საშუალება მივეცით, ეს ერთი, მეორე – უფრო საშინელი – თავის დროზე ვერ შევნიშნეთ რიცხოვრივად მცირე, ინერტული სოციალური ფენის წარმოქმნა.

სათანადოდ ვერ შევაფასეთ მათი ლოზუნგები: „ჩვენ ყველაფერზე თანახმა ვართ, ჩვენ ვიშმობილებთ, ძალიან მცირედ ცვეყოფა, გთხოვთ, ყველაფერს ნუ წაგვართმევთ!“ და „მოგცლია, ამ ქვეყანას შენ ვერ გამოასწორებ!“

ინერტულ ფენას არ აინტერესებს წარსული, აწმყო, მომავალი. მასში ჩამკვდარია შემოქმედებითი იმპულსი. ის მრავლდება, რადგან სხვა არაფერი შეუძლია. . . და უკვე მრავალრიცხოვან სოციალურ ფენად – ბრბოდ ჩამოყალიბდა. მათგან მოდის ბრძანება – „იყავი ისეთი, როგორც მე ვარ, აბა, გაბედე რაიმე! ნუ ისწრაფვი იმისაკენ, რაც არ იჭმება, არ ისმება . . . !“

ბრბოს ირონია, ცინიზმი აქტიური შემოქმედი ადამიანისაკენაა მიმართული. არნახულ მასშტაბებს აღწევს მათი სიჩუმით წაქეზებული ძალადობა.

შესაბამისად, ეცემა ხელოვნებისა და მეცნიერების დონე.

მათი უკვე კრიმინალურ მმართველ ბანდასაც კი ეშინია; ის ბრბოს ყოველ ნაბიჯს, გამოსვლას თვალს გაფაციცებით ადევნებს. მათი რაოდენობრივი ცვლილება თვისობრივში გადადის. და ეს უკვე „მორჩილთა“ აგრესიული ბანდაა. მათ რიგებში ერთი აქტიური ავანტიურისტის გამოჩენაც კი დეტონატორის როლს შეასრულებს და ბრბო დინამიტივით აფეთქდება.

აი, მაშინ იქნება გვიან, ძალიან გვიან!

განუსაზღვრელი იქნება მათი ძალადობა.

ქვეყანა კიდევ ერთხელ ძვლების მტვრევას ვეღარ გაუძლებს.

არნახულ მასშტაბებს მიაღწევს არა მარტო კორუფცია, არამედ ძარცვა და ძალადობაც.

ერთი დემონი შეცვლის მეორეს და აღსრულებდა ჩვენი სუსტი თუ ძლიერი მტრების ოცნება.

საშინელებაა დეგრადირებულ არაფრისმქონე, არაფრისმცოდნე და ყველაფრისმქონე, არაფრისმცოდნე დემონების ურთიერთდამოკიდებულება.

სამწუხაროდ, ზშირად არაფრისმქონე არაფრისმცოდნე დემონები თავს იწონებენ ყველაფრისმქონე არაფრისმცოდნე დემონებთან ნაცნობობით და ამით ცდილობენ თქვენზე უპირატესობის მტკიცებას. ეს უკვე ჩვენი დღევანდელი რეალობაა.

ამის ერთ-ერთი მკვეთრი მაგალითია ლათინური ამერიკა, რომლის მოსახლეობა ტემპერამენტით ჩვენს მოსახლეობასთან ახლოა. ტემპერამენტის მიუხედავად, იქაც ბევრია გულგრილი, **რომელიც საუკუნეების განმავლობაში იმედოვნებდა, რომ ყველაფერი თავისით გამოსწორდებოდა.** ჩვენ შორის ერთი ძირითადი განსხვავება ისაა, რომ ჩვენთან ასეთი დამოკიდებულების სისასტიკე ისტორიულად არ დაფიქსირებულა; ალბათ, ამას ჩვენს წინაპრებში გულგრილთა ფარდობითი კონცენტრაციის სიმცირეს უნდა ვუმადლოდეთ.

XII საუკუნეში შეიქმნა ატტეკების (ანაგუაკი), ინკების (ტახუანტინსუიუ) და მუისკოს (ჩიბჩა) სახელმწიფოები. ესპანელების გამოჩენამდე ამ სახელმწიფოებში არისტოკრატისა და დაბალ ფენებს შორის უცნაური დამოკიდებულება იყო.

განვიხილოთ მუისკები (თანამედროვე კოლუმბია). იქ არისტოკრატთან რაიმე საქმეზე მისული ჩვეულებრივი პიროვნების ქცევის წესი ასეთი იყო: ის აბსოლუტურად შიშველი, ზურგზე ხოხვით უახლოვდებოდა არისტოკრატს. შემდეგ ჩაკუზული, მუხლებში თავჩარგული ისმენდა ბრძანებას ან სთხოვდა რამეს. თვალბეჭდვით შეხედვაც კი საკმარისი იყო, რომ მისთვის ცოცხლად გაეძროთ ტყავი. უკეთეს შემთხვევაში, მას წყლით სავსე მღვიმეში ჩაგდება ელოდა, სადაც, აბსოლუტურ სიბნელებაში, მისი სიცოცხლე გრძელდებოდა მანამ, სანამ წყლის შხამიანი გველი არ მოუღებდა ბოლოს; არ იფიქროთ, რომ ეს ხალხი ველური იყო, მათი ცივილიზაცია დღესაც აკვირვებს მკვლევარებს.

კესადამ ეს ტერიტორია დაიპყრო და მას ახალი გრენადა უწოდა. იქაური არისტოკრატის შემოფოთება დამარცხებით კი არ იყო გამოწვეული, არამედ ესპანელის ხელქვეითებთან დამოკიდებულებით.

– რა უცნაურად იქცევი, კესადა?! როგორ ბედავენ ჯარისკაცები შენთან მოახლოებასა და საუბარს? იცინიან კიდევ?! – წუხდა დაპყრობილი არისტოკრატი.

ინკებს მკაცრი ადმინისტრაციული სისტემა ჰქონდათ (ზნეობის პოლიციის ჩათვლით). ერთი სოფლიდან მეორეში დაუკითხავად გადაადგილება და რიგითი მოქალაქეების განათლება აკრძალული იყო; უმკაცრესი იყო შრომითი ბეგარა. არისტოკრატის უბრალო ხალხთან ურთიერთობა სისასტიკის ელემენტებს ამჟამადაც შეიცავს. ურჩის დასჯის ასეთ პათოლოგიურ მეთოდს ჰქვია „კოლუმბიური ჰალსტუხი“, რომლის აღწერასაც, უბრალოდ, ვერც ვბედავთ.

აღბათ, ვინმე იფიქრებს, ამ ყოველივეს ჩვენი ქვეყნის მომავალთან რა კავშირი აქვს?

იქნებ ვაჭარბებთ?

– შესაძლოა –

მაგრამ, ჩვენ არ ვიცით, რა არის ადრე, ჩვენ ვიცით, რა არის გვიან!

ჩვენს ქვეყანაში ასეთი „არისტოკრატის“ ხელმძღვანელობით ბრბოს გაძლიერებას ჩვენი ნებისყოფა, ინტელექტი და ჩვენ ხელთ არსებული ყველა სხვა რეზერვი უნდა აღუდგეს წინ.

ჩვენი ძირითადი ამოცანაა – არსებული ბოროტება და გულგრილობა ძალადობის გარეშე აღმოფხვრათ.

ჩვენი სოციალური ყოფის ტრაგედიის ერთ-ერთი საფუძველი, ჩვენში გავრცელებული მომაკვდინებელი სენი – ნიჰილიზმი, სწორედ არსებული რეალობის შედეგია.

მიზნის მისაღწევად დახარჯული ენერგია, როგორც მოგეხსენებათ, პიროვნების შინაგანი სიცოცხლისუნარიანობის საზომია. ნიჰილიზმი ავტომატურად გამორიცხავს აქტიურობას და სურვილები არარეალურ, უტოპიურ სამყაროში გადააქვს.

გამოდის, რომ ჩვენი თანამოქალაქეების უმრავლესობისათვის სიცოცხლისუნარიანობის ეს საზომი ერთეული ნულს უახლოვდება.

ტრაგედია აქ რომ თავდებოდეს, კიდევ ეშველებოდა რაიმე. საშინელება ის არის, რომ ნიჰილიზმს გულგრილობისაკენ მივყავართ.

კიდევ ერთხელ გულგრილობის შესახებ:

“ნუ გეშინიათ მკვლევების, რადგან მათ, უკიდურეს შემთხვევაში, მხოლოდ მოკვლა შეუძლიათ. ნუ გეშინიათ მეგობრების, რადგან, უკიდურეს შემთხვევაში, მათ მხოლოდ დალატი შეუძლიათ. გეშინოდეთ გულგრილი ადამიანების, რადგან მათი ჩუმი თანხმობით ხდება ყველა ამაზრზენი დანაშაული დედამიწაზე!”

ამიტომ შევთანხმდეთ –

გულგრილობა ბოროტებაზე უფრო საშინელი სენია.

ვიმეორებთ, გულგრილობა, ინდიფერენტულობა – არავითარი წინააღმდეგობა პიროვნული და საზოგადო დაძვინების მექანიზმის შეცნობის მიმართ – უდიდეს ბოროტებას შეიცავს. მათი ლოზუნგია: „მოგცლიათ, მაინც არაფერი გამოვა“.

გულგრილს მშვენივრად ესმის, რომ:

ერი, რომელიც მატერიალურ ფასეულობებს არ აწარმოებს და სულიერ ფასეულობებს არ ავითარებს, არის მომხმარებელი, ანუ – სხვის ხარჯზე მცხოვრები.

იმასაც ხვდება, რომ მუქთად ვიტამინებს აღარ იძლევიან. გულგრილი იძულებულია სხვის ნებას, ჟინს, ვნებას დაემორჩილოს, ყველა ბრძანება შეასრულოს. რა ჰქვია ასეთ ცხოვრებას, მას ჩვენზე უკეთ მოეხსენება, მაგრამ, როგორც ჩანს, მისთვის ნეტარებაა წამოგორებულ მდგომარეობაში ყოფნა. მას არ აწუხებს ტერიტორიების დაკარგვა, არავის სთხოვს პასუხს იმ დამცირებისა და გამ-

წარებისათვის, რაც იმ ტერიტორიაზე მცხოვრებმა ხალხმა გადაიტანა. არა თუ სხვისი, საკუთარი უსუსურობაც ადარ აღლევებს. ის მხოლოდ ფულზე ოცნებობს; მან არ იცის, რომ რაც უკვე მოხდა, ეს მხოლოდ დასასრულის დასაწყისია; ვერ აცნობიერებს, რომ სანამ შემოქმედებითი მწარმოებელი – ლოგიკური და აქტიური – არ გახდება, ყოველთვის საკუთარ სხეულზე იგრძნობს, თუ როგორ ექცევა ძლიერი სუსტს.

გულგრილების ჯვრში დიდი ხანია გამოყვანილია.

II საუკუნე ჩვ.წალ-მდე. ინდიფერენტი გულგრილია ყველაფრის მიმართ, გარდა ფულისა. ვიშოვრებთ, ნუ გიკვირთ, ამ სენს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს.

რომი და კართაგენი.

რომი – ძლიერებისა და დაუმარცხებლობის სიმბოლო.

კართაგენი – ვაჭრობისა და უღარდელობის სიმბოლო. აი, აქ, კართაგენში, უღარდელი ხალხის გარემოში, იბადება უდიდესი მხედართმთავარი **ჰანიბალი**, წარმოშობით ფინიკიელი. სწორედ იქ, ფინიკიაში, ქალაქ ბიბლოსში იყო გაცხოველებული ვაჭრობა პაპირუსით, რომელიც მაშინ ქალაქს ცვლიდა. აქედან გაჩნდა სიტყვა „ბიბლია“ – წიგნი.

წარმატებულმა ვაჭრობამ კართაგენში ოქრო დააგროვა; ოქრომ მიიზიდა რომაელები. მოხდა საოცრება – **რომის უძლეველ, მრავალრიცხოვან არმიას ჰანიბალი დაუპირისპირდა. მან რომაული არმია მცირერიცხოვანი ჯარით დააჩოქა. რომის უძლეველობის მითი პირველად შეირყა.**

ჰანიბალი რომს მიადგა. ხანგრძლივი ბრძოლების შედეგად მისმა არმიამ დიდძალი დანაკარგი განიცადა. შესაბამისად, ცოცხალი ძალის შევსების გარეშე ის რომს ვერ აიღებდა. ჰანიბალმა საკუთარი სამშობლოს შესვეურთ, დახმარება სთხოვა; ამ საკითხის გადაწყვეტა კართაგენის უზუცესთა საბჭოს პრეროგატივა იყო. აღნიშნულ საბჭოზე გულგრილთა ლიდერი – ჰანონი – „უნიკალური“ სიტყვით გამოვიდა:

თუ მხედართმთავარი იმარჯვებს, მაშ რა საჭიროა დახმარება?! და თუ ის მარცხდება, რა საჭიროა ასეთი მხედართმთავარი?!

ეს იყო ცინიზმისა და გულგრილობის გაუგონარი ნაზავი.

გულგრილთა ამგვარი ქმედება გასაკვირი არ უნდა იყოს ჩვენი თანამედროვე ეგოისტური ვნებებითა და პატივმოყვარეობით „დაჯილდოვებულ“ ტვინფრატუნა „განათლებულთათვის“.

ჰანონი და მისი მსგავსნი ხვდებოდნენ, რომ თუ ჰანიბალი რომს აიღებდა და გამარჯვებული დაბრუნდებოდა, ის მათგან გამორჩეული, კართაგენის პირველი მოქალაქე გახდებოდა. მათ შურითა და ღვარძლით დაებინდათ გონება; პატივმოყვარეობით დაბრმავებულნი მხოლოდ ერთი პრინციპით ხელმძღვანელობდნენ: ოღონდ ჰანიბალი ნუ იქნება ჩვენგან გამორჩეული და ქვა ქვაზე ნუ დარჩენილაო“. ისინი ვერ ხვდებოდნენ, რომ ასეთი მიდგომით არა მარტო კართაგენის, არამედ საკუთარი, პირადი განადგურების სისხლიანი ვერდიქტიც გამოიტანეს.

ჰანიბალი დახმარების გარეშე დარჩა. რომმა ძალა მოიკრიბა და ახლა უკვე რომაელები მოადგნენ კართაგენს.

რომაელების პირველი მოთხოვნა – უნდა განადგურდეს კართაგენის უნიკალური ფლოტი! ბრძანება შესრულდა. უზუცესთა საბჭოს გადაწყვეტილებით დაიწვა ფლოტი. მეორე მოთხოვნა – კონტრიბუცია, უდიდესი ხარკი. აი, მაშინ ატირდა უზუცესთა საბჭო, როცა მიხვდნენ, თუ რა თანხას ითხოვდა რომი. მათი ცრემლების დანახვაზე ჰანიბალმა წარმოთქვა, – „თქვენ არ ტიროდით, როცა არმია განადგურდა და ფლოტი დაიწვა, თქვენ მაშინ ტირიხართ, როცა ფული უნდა გადაიხადოთ“.

რომი კი ითხოვდა და ითხოვდა.

ჯერ არმიის დაშლა უბრძანეს; მერე იარაღი ჩამოართვეს; მატერიკის სიღრმეში გადასახლეს, რათა ზღვაზე აღარ ევაჭრათ. მხოლოდ უკანასკნელი ბრძანებისას მიხვდა უხუცესთა საბჭო, თუ როგორ ელაპარაკება ძლიერი სუსტს. მიხვდნენ, რომ:

თუ ოქროს ყველაფრის ყიდვა შეუძლია, მაშინ ფოლადს შეუძლია ყველაფერი წაგართვას.

უკვე გვიან იყო წინააღმდეგობა. რომაელებმა შტურმით აიღეს კართაგენი. მოსახლეობა ტყვეებად გაყიდეს. ქალაქი გადაწვეს. ადგილი, სადაც ქალაქი იყო, თვით კართაგენელებს გადაათხრევენ და სიმბოლურად მარილი დაათესინეს, იმ ადგილას დასახლება საერთოდ აკრძალეს.

ასე გაქრა ჰანიბალის სამშობლო – კართაგენი.

დაეფიქრეთ!

იმ უამრავ პრობლემათა შორის, რომელიც ჩვენი და ჩვენი შვილების გადასაწყვეტია, უნდა შევძლოთ, და დავინახოთ, რა არის პირველადი და რა – მეორადი.

აზრს ვერავინ შეგვაცვლევინებს, მიგვაჩნია, რომ პირველადი პრობლემა გულგრილობა. ამიტომ ჩვენს ენერგიას, აზრს, გონებას, შეძლებისდაგვარად, გულგრილობის აღმოფხვრას შევწირავთ. მხოლოდ ამის შემდეგა გახდება შესაძლებელი ყველა იმ პრობლემის გადაჭრაზე ფიქრი, რომელიც ჩვენს ხალხს ანადგურებს.

განსაკუთრებული განათლება არ არის საჭირო, რათა მიხვდეთ, რომ ეს ავადმყოფობა ადამიანის თანდაყოლილი დეფექტი არ არის; ის შექმნილია.

საზოგადოება თვითონ ქმნის „მომაკვინებელ ვირუსს“ – გულგრილობას. ეს არის ჩვენი არაადამიანური ყოფის პირველი შესაძინევი სიმპტომი და ყველა შემდგომი უბედურების ძირითადი მიზეზიც.

კაცობრიობის ისტორია განათლების, განვითარების, ცხოვრების უკეთ მოწყობის იდეათა ნაკლებობას არ განიცდის; მრავალფეროვანია ამ იდეების დაფიქსირების ფორმა; ზოგჯერ, მათი მხატვრული დონე იმდენად მაღალია, რომ შესაძლებელია მასში ჩადებული არაკეთილშობილური აზრი შეინიღბოს; ასეთმა იდეებმა კაცობრიობას, ცივილიზებული ცხოვრების ნაცვლად, რამდენი სისხელი, ტანჯვა და განადგურება მოუტანა, ყველასათვის ნათელია. ამიტომ, როდესაც საზოგადოება იძულებულია მცირე დროის ინტერვალში განვითარების ფორმა შეცვალოს, ის უნდა ცდილობდეს, აირჩიოს დროში აპრობირებული იდეებიდან ისეთი, რომელიც საზოგადოებრივი აზრით, მის ინტელექტთან, განვითარების დონესთან ყველაზე ახლოს დგას. შემდეგ მან ამ იდეის დაცვისა და აღსრულების მექანიზმი უნდა მოძებნოს. აქედან გამომდინარე, ასეთი საზოგადოების უპირველესი ამოცანაა იდეის შერჩევა.

ჩვენი აზრით, იდეოლოგიის შერჩევის საფუძველი ადამიანია, უფრო ნათლად: **გამოთქმული აზრის, იდეის, ყველა მისგან გამომდინარე მოვლენის ძირითადი მიზანია ადამიანის კეთილდღეობა. თუ იდეამ ბავშვის ცრემლიც კი გამოიწვია, ის კაცობრიობისთვის, და რა თქმა უნდა ჩვენთვისაც, მიუღებელი უნდა იყოს.** ვიმეორებთ, მხოლოდ ის იდეა, რომლის ძირითადი აზრი ადამიანის კეთილდღეობაა, ანადგურებს ბოროტებას, იწვევს სულიერ განთავისუფლებას. ადამიანს შინაგანი პოტენციალის გამოვლენა-რეალიზაციის საშუალებას აძლევს, მას სამართლიანობის რწმენასა და, რაც მთავარია, ღირსებას ანიჭებს.

მხოლოდ ღირსების მქონე ადამიანი სცემს პატივს და იცავს თავის და სხვის უფლებებს. მხოლოდ ეს აძლევს მას სიმშვიდეს და აქედან გამომდინარე, იმ დიდებულ იერს, რომელიც მხოლოდ ნამდვილ ადამიანს ახასიათებს.

ის, ვისაც არა აქვს უნარი მისთვის ძვირფასი ადამიანი, შვილები, ოჯახი, პროფესია უყვარდეს, ვისთვისაც სამშობლოს გაღმერთების საფუძველი სიყვარული არ არის, განწი-

რულია. განწირულია ასეთი ადამიანების გვარი, ტომი, სახელმწიფო. მხოლოდ ზნეობრივი ადამიანია შინაგანად ყოველთვის მზად ნებისმიერ უხამსობას, ყოველგვარი მღელვარებისა და მოჩვენებითი ერთუზიანობის გარეშე, ეფექტური წინააღმდეგობა გაუწიოს. გაუაზრებლად, იმპულსურად, აღგზნებით, ადამიანმა, უმრავლეს შემთხვევაში, მხოლოდ დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს.

ღირსებას მოკლებულ ადამიანთა საზოგადოებას დაბალი ინტელექტი, განათლების დაბალი დონე ახასიათებს. ასეთი საზოგადოების ინდივიდი ვერ იაზრებს საკუთარი უსუსურობის სიღრმეს, თუნდაც თავზე გვირგვინი ედგას და ხელში კვერთხი ეჭიროს. ის შეიძლება კმაყოფილი იყოს (კმაყოფილი და არა ბედნიერი) თუნდაც იმიტომ, რომ დღეს ერთი კარტოფილით მეტის შოვნა შეძლო, ვიდრე გუშინ, ან იმიტომ, რომ თანამომხმეებმა დღეს მარტო პერანგი წაართვეს, ქუდი კი სამთხვოროდ შეინარჩუნა. ასეთ სუბიექტს ძირითად ფასეულობათა აღქმის უნარი დაკარგული აქვს.

აფრიკაში, კაპსკის პროვინციაში, ცხოვრობენ ჰოტენტოტები (ჰოლანდიელებმა ასეთი სახელი შეურჩიეს ამ ტომს). ჰოლანდიელების მოსვლამდე ისინი სახელგანთქმულნი იყვნენ, როგორც აღვირახსნილი ავაზაკები, მეგზურობას უწევდნენ ვაჭრებსა და მკვლევარებს, მაგრამ პირველი შესაძლებლობისთანავე მარცხავდნენ და ხოცავდნენ მათ.

იმ პერიოდში შეერთებული შტატების დოლარები ბრუნვაში არ იყო, ამიტომ მათ ოცნებას მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაგროვება წარმოადგენდა. ძროხისა და ხარის რაოდენობა განსაზღვრავდა მათ სტატუსს თანამომხმეთა შორის.

ჰოლანდიელი მისიონერები, ჰოტენტოტების აზროვნების დონის გასარკვევად, მათ კითხვას უსვამდნენ: **იცით, რა არის ბოროტება?** – როგორ არა, თუ ზულუსები (მათი მეზობელი ტომი) წაგვართმევენ ძროხას, ეს ბოროტებაა. ხოლო შეკითხვაზე – **რა არის სიკეთე?** პასუხი ასევე მარტივი იყო – სიკეთეა, თუ ჩვენ წაგვართმევენ ზულუსებს ძროხას.

ისინი ჰოლანდიელების ჩასვლამდე ასეთი პრინციპით ცხოვრობდნენ.

თუ თქვენს „სიმპათიურ“ ნაცნობებში ჰოტენტოტურის მსგავს აზროვნებას ვერ ხედავთ, მაშინ, კიდევ ერთხელ გთხოვთ, ნუ განაგრძობთ კითხვას, ჩვენ თქვენთვის არ ვწერთ.

გირჩევთ: დაელოდეთ ჰოლანდიელების მოსვლას!

უარესი ტრაგედია მაშინ იწყება, როდესაც ინტელექტი მეტ-ნაკლებად შემორჩენილია, მაგრამ ცივილიზებული ცხოვრების ნაშთიც კი აღარაა. საშინელებაა, როცა შენ შეგიძლია გაახარო უნიკალური ჯიშის ვაზი, აღზარდო შვილები, ახალი თაობა, ააშენო სახლი, კაშხალი, შექმნა ფუნდამენტური მეცნიერების ახალი თეორია, მაგრამ **შენ და შენი პროფესია ან არ სჭირდება შენს საზოგადოებას, ან არა აქვს საშუალება ის თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. მაშინ მოაზროვნე ადამიანის ფუნქციას ავტომატურად კარგავ, რაც ღირსების დაქვეითებას იწვევს.**

ასეთმა ყოფამ, უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში, თუ რა უბედურება მოგვიტანა, ჩვენზე უკეთ მოგეხსენებათ. ჩვენ მხოლოდ ერთ რეალობაზე გავამახვილებთ იმ ადამიანთა ყურადღებას, ვისაც ღირსება, ანუ ადამიანურობა ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს.

ადამიანთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ცივილიზებულ ქვეყნებში, ოთხმოცი წელია (სიცოცხლის და არა არსებობის ოთხმოცი წელი). იქ ოთხმოცი წლის ადამიანი თამაშობს გოლფს, მსოფლიოში მოგზაურობს, ოდესღაც დაწყებულ საქმეს ჯერ კიდევ უძღვება. . . ჩვენთან, ორმოც წელს გადაცილებული ადამიანი თავისი უპერსპექტივობითა და ღებრესიით უკვე განადგურებულია. ის ჯერ კიდევ არსებობს, მაგრამ ამ არსებობას, სიცოცხლეს ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვუწოდებთ. შესაბამისად, ჩვენი საზოგადოების უმრავლესობის სიცოცხლის ხანგრძლივობა ორმოცი წელია. სხვაობა, როგორც ვხედავთ, ორმოცი წელი გამოდის. სხვა სიტყვებით – თითოეული ჩვენგანი, საკუთარი გაუაზრებლობით, სიცოცხლის ორმოც წელს კარგავს. თუ ჩავთვლით, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა თხუთმეტი წლის წინ ხუთ მილიონამდე იყო, უმარტივესი არითმეტიკით – ორ მილიონამდე

ადამიანი დაგვაკლდა. ამას დაუმატოთ შიდა და გარე ომებში დაღუპულთა რიცხვი, შემცირებული და უშედეგო შობიარობა და შემზარავ რიცხვს მივიღებთ.

ამგვარად, ჩვენთან ქვენაგრძნობებით შეპყრობილ „ელიტარულ“-კრიმინალური ჯგუფის განდილების მანიას, სულ მცირე, ორ-ნახევარ მილიონამდე ადამიანი შეეწირა. ასეთი მსხვერპლშეწირვა ველური, კანიბალური ტომის ბელადებს კი არა, ნერონებსა და ფარაონებსაც კი არ დასიზმრებიათ.

გავერკვეთ, ვის და რატომ ვეწირებით? კითხვა არც ისეთი რიტორიკულია, როგორც ჩვენ გვგონია.

მსხვერპლთმიმღები გახლავთ არა მარტო კრიმინალური, მცირერიცხოვანი „ელიტარული“ ჯგუფი, არამედ ამ ჯგუფის ლიდერთა მიერ დაგებულ მარტივ ხაფანგში გაბმული, უფრო დაბალ კრიმინალურ საფეხურზე მდგომი ფენაც. ლიდერს, უსიტყვოდ მორჩილი არმია მუდმივად სჭირდება. ამისათვის, მორჩილთა დანაშაულში ჩათრევა ნებით, თუ უნებლიედ, აუცილებელია. ამ ფენის ცხოვრების ძირითადი მიზანია ლიდერისაგან ბიოლოგიური საკვების მოპოვება, შემდეგ კი ორგანიზმში ბეჯითად შეყვანა და მისი მონელება ძილის დროს. ამ ფენის ფსიქოლოგიის გარკვევაში ჯერ დროს ნუ დაგვარგავთ.

უმნიშვნელოვანესია გავერკვეთ იმ „ელიტარული“ ჯგუფის შესაძლებლობებში, ვისაც ვეწირებით, რათა ეფექტური წინააღმდეგობის გაწევა შევძლოთ. უნდა ვიცოდეთ მათი მისწრაფებები, აზროვნების ფორმა, თუ რა აერთიანებს ამ მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელიც დანარჩენი უმრავლესობის გაბრიყვებას, დამონებას უბრძოლველად ახერხებს. ერთი შეხედვით, მათი ინტელექტი, განათლება, ისეთი ღონის არაა, რომ ეს ამოცანა ასე მარტივად გადაწყვიტონ, ფანატიზმიც უცხოა მათთვის.

“ელიტარული“ ჯგუფის ჩამოყალიბება თავდაპირველად სპონტანურად ხდება. მათ თეორიულად გააზრებული გეგმა არ გააჩნიათ. ამის თავიც რომ ჰქონდეთ, ვერ შეძლებდნენ, რადგან ამისათვის დროს ვერ გამოიხატავდნენ, უბრალოდ, ვერ მოიცლიდნენ. მათ სხვა პრობლემები აქვთ, თუნდაც ის, რომ ჯერ მანამდე არსებული კრიმინალური ჯგუფები შეარყიონ და გაანადგურონ, მოქმედების არეალი გაითავისუფლონ, ანუ თავიანთი მსგავსნი გაყარონ, მათი ადგილი დაიკავონ და ისეთი წესები დაადგინონ, რომელიც მათ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. ეს საქმიანობა საკმაო რისკთანაა დაკავშირებული.

ერთი შეხედვით, თანამოაზრეთა შეკრება სერიოზულ პრობლემას უნდა წარმოადგენდეს, თუმცა, რატომღაც, სწორედ ეს, სწრაფად და მარტივად გამოსდით. არა, ისინი ერთმანეთს სოციალური პრინციპით არ ირჩევენ. მათ რიგებში ინტელექტუალურ ოჯახში გაზრდილი პირი საკმაოდ ბევრია. ასევე, ოჯახურ ტრადიციებს აბსოლუტურად მოკლებული პირიც მრავლადაა, არც ასაკობრივი პრინციპია გამოყენებული, არც – ნაციონალური. სქესსა და სექსუალურ ორიენტაციასაც არა აქვს მნიშვნელობა. არ იფიქროთ, რომ მათი ერთობის საფუძველი, როგორც მასონური ორგანიზაციისა, რაღაც იდუმალებითაა მოცული. უბრალოდ, ეს საფუძველი იმდენად ინსტიტუტურია, რომ ღიმილს იწვევს.

“ელიტას“ ე.წ. კომპლიმენტარული პრინციპი აერთიანებს. რას ნიშნავს ეს? – ვისაც ოდესმე სახლში ძალლი ჰყოლია, ერთ საინტერესო ეფექტს შეამჩნევდა. ძალლი არჩევანს აკეთებს თქვენთან სტუმრად მოსულ უცხო პირებს შორის. რატომღაც, ზოგიერთების მიმართ დადებით ემოციებს ამჟღავნებს და მისი კომპლიმენტი სტუმრის მიმართ კულის ქიცინით გამოიხატება, ზოგიერთის მიმართ კი ამკარა აგრესია ეწყება, ხანდახან იმდენად შემაწუნებელი, რომ აუცილებელია მისი იზოლირება. ეს გარეულ ცხოველებშიც შეინიშნება.

ნებისმიერი ბანდის შექმნას სწორედ კომპლიმენტარული პრინციპით გაერთიანება უდევს საფუძველად. სწორედ, ეს პრინციპია გაუცნობიერებელი სიმპათია ერთის მიმართ და ანტიპათია, სხვის მიმართ. ასეთი ჯგუფების შექმნის ინციტორები, ასე ვთქვათ, დანაშაულებრივი მოძრაობის ლიდერები, თანამოაზრეებს კომპლიმენტარობის პრინციპით ირჩევენ, იახლოებენ მხოლოდ იმათ, ვინც ისინი სიმპათიურებიათ. ამგვარად შექმნილ ჯგუფს სხვათა მიმართ ზიზღი ავტომატურად უჩნდება.

თითქოს, ეს მკაცრი, გაუაზრებელი განმარტებაა. ჩვენ ხომ მეგობრებსა თუ პარტნიორებს, სწორედ, კომპლიმენტარული პრინციპით, ინტუიციით ვირჩევთ. დიან, ერთი მხრივ, ეს ასეა; მეორე მხრივ – ეს კომპლიმენტარულობა თუ აზრით, ამაღლებულ ფასეულებებზე შეთანხმებით არ შეივსო, ჩვენ უცილობლად რეგრესისაკენ, უზნეობისკენ მივემართებით.

შევეცადოთ, უფრო დაწვრილებით გავაანალიზოთ ეს მოსაზრება. კომპლიმენტარულობისა და ზიზლის პრინციპი უხსოვარი დროიდან მოქმედებს. ეს ჯგუფური პრინციპი იმპერიების ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიაშიც ნათლად ჩანს.

ძველად, ეგვიპტელები ინფორმაციის გადასაცემად არა მარტო კრიპტოგრამებსა და იეროგლიფებს, არამედ ფერსაც იყენებდნენ. ლიბიელებს მოყავისფრო-მოწითალო ფერით ხატავდნენ, სემიტებს – თეთრად, შავკანიანებს, გასაგებია, შავად, საკუთარ თავს კი – ოქროსფერად, ყვითლად და ნათელი იყო, თუ ვინ ვინ არის. უკვე გასაგებია, ვის უნდა სცე პატივი და ვინ დაჩაგრო.

ძველი ბერძნებიც ასევე მარტივად წყვეტდნენ ამ პრობლემას. მათ ნაკლებად აინტერესებდათ, ვინ ვინ არის, მათთვის მხოლოდ ორი განმასხვავებელი ფერი არსებობდა – ჩვენ და ისინი – ელინელები და ველურები. მათგან შორს არც რომაელები წასულან. მათ მსოფლიო, უფრო სწორად, რაც მათ მსოფლიო ეგონათ, ორ ნაწილად დაყვეს – რომაელები და პროვინციელები, ანუ დაპყრობილი და ჯერ დაუპყრობელი ბარბაროსები. ასეთი დაყოფა მათ მორალისა და უზნეობისაგან ათავისუფლებდათ. თავისიანების მიმართ დისციპლინებული, თავაზიანი რომაელი ჯარისკაცები დაპყრობილ ტერიტორიაზე შემზარავ ცხოველებად გარდაიქმნებოდნენ. მათ შეეძლოთ კაცი, ქალი და ჩვილი ბავშვი ხმლით ერთნაირი სისასტიკით აეჩეხათ, ძალღებსაც კი არ ინდობდნენ. ეს მათთვის მარტივი გახლდათ, რადგან მსხვერპლი არარომელი იყო. ეს ისე ღრმად იყო ჩამჯდარი მათ ხასიათში, რომ რომაელობა ღვთისაგან გასხვიოსნებულ, ღვთიური კანონით მინიჭებულ ელიტარულ უფლებად ეჩვენებოდათ და მცირე ადამიანურობაც კი, სიმპათია არარომელის მიმართ, მათ პროფანაციად მიაჩნდათ.

ლათინებმა ორასი წელი იბრძოლეს რომაულ არმიაში, რომის იმპერიის ძლიერებისათვის მათ არც საკუთარი და არც სხვისი სისხლი დაიშურეს და როცა, რომაელებთან უფლებებით გათანაბრება მოითხოვეს, რომაელები ისე აღშფოთდნენ, თითქოს ეს გაუგონარი მკრეხელობა ყოფილიყო. ერთმა კონსულმა პირდაპირ განაცხადა, რომ თუ სენატის მამები ისეთი სულელები აღმოჩნდებიან, რომ განიხილავენ ამ წინადადებას, ის სენატში მოვა ხმლით და ყველა ლათინს, რომელიც სენატის მახლობლობაში შეხვდება, საკუთარი ხელით აჩეხავს. შემდგომში კომპლიმენტარულ-ზიზლის პრინციპმა ტრანსფორმაცია განიცადა.

ვიკინგები ამის ნათელი მაგალითია. ვიკინგებში (და არამარტო მათში) კომპლიმენტარულ-ზიზლის პრინციპის ტრანსფორმაცია მკვეთრად გამოიხატა. ძველ რომში სახელმწიფოც და კანონიც ყველა თავისუფალი მოქალაქის მიმართ მეტ-ნაკლებად კომპლიმენტარული იყო, ხოლო ზიზლი მიმართული იყო განურჩევლად ყველა დანარჩენისადმი. ვიკინგებში კი ამ მოვლენას ჩვენთვის საინტერესო განვითარება აქვს. ევროპაში, თითქმის ერთსა და იმავე დროს, ფრანგ და გერმანელ ხალხთა შორის კიდევ ორი ეთნოსი წარმოიშვა: ასტურიელები (ესპანელების წინაპრები) და ვიკინგები. იმ პერიოდში ამ უკანასკნელებს ნორმანებს, ანუ ჩრდილოეთის ხალხს უწოდებდნენ.

ვიკინგები, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იმ ხალხის ნაწილი იყო, რომლებიც ჩვენთვის სკანდინავიელების სახელითაა ცნობილი. მეცხრე საუკუნემდე ეს იყო უწყინარი ხალხი. ისინი განსაკუთრებული სიმამაცით არ გამოირჩეოდნენ და უცებ, ამ ხალხის ნაწილი, ვიკინგებად წოდებული ბანდიტები, ევროპის აწიოკებას იწყებენ. დაუნდობელი იყო მათი ტერორი.

რამ გამოიწვია სკანდინავიელებში ასეთი აგრესიის გაჩენა? – ბავშვობაში, ჩვენზე საზარელი შთაბეჭდილება დატოვა (თუ არ ვცდებით, ქრისტინი ანდერსენის) ერთმა ზღაპარმა: როდესაც თავს იჩენდა საკვების პრობლემა, გაჭირვებულ მშობლებს შვილები ტყეში გაჰყავდათ და იქ ტოვებდნენ. შემდგომში აღმოჩნდა, რომ ამ ზღაპარს ისტორიული საფუძველი აქვს. სწორედ სკანდინავიელები (და არა მარტო ისინი), რათა მათი ისედაც მცირე ქონება არ დაქუცმაცებულიყო, „ზედმეტ შვილებს“

(ასევე უახლოეს სრულწლოვან ნათესავებს) სახლიდან ყრიდნენ. ტყეში განდევნილი ადამიანები ქონებას აშენებდნენ, რომლებიც პრიმიტიულ ციხე-სიმაგრეებს ჰგავდა. ეს აუცილებლობა იყო, რადგან უახლოესი ნათესაობა ცოცხლად გადარჩენილებს მოსაკლავად დასდევდა. ასეთ გამაგრებულ საცხოვრებელს „ვიკ“-ი ეწოდებოდა (ამ სიტყვის სხვა მნიშვნელობაც არსებობს – უვარგისი, სალახანა). აქედან წარმოიშვა ამ ჯგუფის შემდგომი სახელი – „ვიკინგები“. როდესაც გაველუბრებული ბავშვები მიხვდნენ, რომ მათ ახლობლებისაგან ქონი ვერ დაიცავდა და თავდაცვის საუკეთესო საშუალება თავდასხმა – საპირისპირო პროცესი დაიწყო. ახლა მათ დაიწყეს ნათესაობის დევნა, ხოლო შემდეგ კი ჩრდილოეთის ზღვებში მეკობრეობა. ასე შეიქმნა კრიმინალური ხალხი.

ბანდების შექმნას ამჟამადაც ასეთივე ეკონომიკური საფუძველი აქვს. ჩვენმა საზოგადოებამ ხელი შეუწყო მათ ექსპორტს. ჯერჯერობით, ჩვენი უპირველესი ამოცანა აქ დარჩენილი, გაცილებით უფრო სამიში ბანდების ფსიქოლოგიაში გარკვევაა.

დაუბრუნდეთ ვიკინგების წარმოშობას: სკანდინავიელებს გამოეყო ჯგუფი, ასე ვთქვათ, ეთნოსი (ეთნოსის წარმოშობა, ჩვენი აზრით, შეიძლება შევადაროთ ლომების საერთო ჯგუფიდან ე.წ. პრაიდის გამოყოფას). ამ ეთნოსს (ვიკინგები) უკვე ზიზღი ჰქონდა არა მარტო ყველა სხვის მიმართ, არამედ საკუთარი ხალხის მიმართაც. ვიკინგებს მხოლოდ დაუნდობელი, მძვინვარე თანამემამულეების მიმართ ჰქონდათ სიმპათია და მათ გადმობირებას ცდილობდნენ.

ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ხვდებოდნენ, რომ სიმდიდრის მოსაპოვებლად ასეთი დაყოფა არა-ეფექტურია, ამიტომ მოწინააღმდეგეებშიც იწყება სიმპათიური ადამიანების აღმოჩენა.

მაგალითად, ჯვაროსნები თურქ ემირებს ბარონებად და გრაფებად მოიხსენიებდნენ. ეს უკანასკნელნი კი მათ – ემირებად. კონკისტადორები აცტეკებისა და ინკების მოსახლეობაში მათთვის სიმპათიურ ადამიანებს პოულობდნენ, მათ ილაღვებოდნენ და „ღონ“-ის ტიტულს უბოძებდნენ.

ცხადია, ასეთი მარტივი დაყოფის ძირითადი საფუძველია ინდივიდის მცდელობა, რაც შეიძლება ნაკლები ენერჯის დახარჯვით, სხვისი ძარცვით, იშვოვოს იმაზე მეტი, ვიდრე აქვს.

რა თქმა უნდა, ყველა ერში, დიდსა თუ პატარაში, ჯგუფური კომპლიმენტარულ-ზიზღის პრინციპი მეტ-ნაკლებად არსებობდა, თუნდაც არისტოკრატიასა და დაბალ ფენას შორის, მაგრამ ეს პრინციპი ერის გამანადგურებელ მასშტაბებს როდი აღწევდა.

როგორც აღვნიშნეთ, ანტიკურ და შემდგომ პერიოდში, მმართველი წრეების იმპერიულ-სახელმწიფოებრივი კომპლიმენტარული პრინციპი საკუთარი ხალხისაკენ იყო მიმართული. მათ ბარბაროსის მიმართ სიმპათია ვერც კი წარმოედგინათ. ეს ზღვარი მხოლოდ მოგვიანებით წაიშალა (ჯვაროსნებისა და თურქების მაგალითი). დღესდღეობით, ეს პრინციპი, ყოველ შემთხვევაში ფორმალურად მაინც, შემცირებულია. ცივილიზებულ ერებში სხვათა მიმართ ზიზღი მიუღებელია. სამაგიეროდ, კრიმინალურ ჯგუფებში კომპლიმენტარული პრინციპი უდიდეს მასშტაბებს აღწევს. აქ არ აინტერესებთ ერი, რელიგია, ისინი სიმპათიურ ხალხს პოულობენ ყველგან. მათთვის სულერთია, ღმერთი ერთია, თუ ათასი. ეს არის კრიმინალური კოსმოპოლიტიზმი.

დაუკვირდით, როგორ პოულობენ ერთმანეთს ჩვენი კრიმინალები და როგორ ჰარმონიულად ეთვისებიან ყველას, არა აქვს მნიშვნელობა ის ოსია, რუსი თუ აფხაზი. დაუკვირდით, ასეთი კრიმინალი შესაძლოა თქვენი მეზობელი ან შორეული ნათესავიც იყოს. როგორც მეზობელი, ის თქვენ გეკონტაქტებათ, შეიძლება ზრდილობიანადაც მოგესაღმოს, გთხოვთ ასანთი ან მოგიყვებოდნენ ანეკდოტით. თქვენმა ამგვარმა შორეულმა ნათესავმა შესაძლებელია თქვენი სადღეგრძელო კეთილი სიტყვებით გამოთქვას, თუმცა, თუ მისი მსგავსი არა ხართ, თქვენ მის კომპლიმენტარულ ინსტინქტს ვერ დაიმსახურებთ. მისთვის თქვენი ზრდილობა სიბრყველა, პატიოსნება – უსუსურობა. თქვენ ძარცვა არ შეგიძლიათ? ე.ი. თქვენ მისთვის, უბრალოდ, იდიოტი ხართ. მისი ჩვენდამი ზიზღი თავდაპირველად ქვეცნობიერია. ეს მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა; იმ უბრალო მიზეზით, რომ ნებისმიერი უმსგავსობის ჩადენა მასში მცირედით, მაგრამ მაინც დისკომფორტს იწვევს და ის ქვეცნობიერად ამ უხერხულობისაგან გათავისუფლებას ესწრაფვის.

ჩვენდამი ზიზღი, როგორც რომაელის ზიზღი ბარბაროსისადმი, მას საშუალებას აძლევს უმფოთველად, ყველას თვალიდან ესროლოს ტყვია ნებისმიერ ჩვენგანს, წაგვართვას ყველაფერი და არავითარი დისკომფორტი არ გაუჩნდეს. უკვირს კიდევ, რომ მის მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამენ. ამიტომ, ტყვილად ელოდებით, რომ ის „საქმეში მივიღებთ“ ან დაგინათესავლებათ. თქვენ არ გამოგყვებით ცოლად ამ ჯგუფის წარმომადგენელი, ვერ გათხოვებით ასეთზე. ძირითადად არა იმიტომ, რომ მზითვი არა გაქვთ (თუმცა ესეც მნიშვნელოვანია მისთვის), არამედ იმიტომ, რომ მასში თქვენი ზნეობრივი ნორმები გაუცნობიერებელ ზიზღს იწვევს. ანუ, მისი გაგებით, თქვენ განვითარების უმდაბლეს საფეხურზე იმყოფებით. „რასი მჭირდება ეს მათხოვარი?“ – ასეთია მისი შეფასება.

თქვენთან შეიძლება მხოლოდ დროებითი კონტაქტი, გართობა, მაგრამ გახდეს თქვენი შვილის მამა ან დედა, ეს იმას ნიშნავს, რომ დათანხმდეს, შექმნას შთამომავლობა, რომელსაც შეიძლება თქვენი ბრწყინვალე გენები განუვითარდეს. ეს მისთვის მიუღებელია.

ნუ ეცდებით თქვენი გენების შეცვლას, ვერც მოახერხებთ, რადგან მეცნიერება ჯერ არ მისულა იმ დონემდე, რომ გენური ინჟინერია საყოველთაო მონხარების პროდუქტად აქციოს.

ჩვენი თვალთახედვით ეს უაზრობაცაა, რადგან არსებობს მეორე – ეფექტური და კეთილშობილური გზა ისეთი სულიერი და მატერიალური დოვლათის შექმნისა, რომელიც მათ არც კი დასინჯობთ.

ჩვენ უნდა შეგვეძლოს ერთმანეთის გატანა. ჩვენ უნდა ვებლით ეგოიზმს, მაშინ ავიღებთ ძალაუფლებას საკუთარ თავზე, და ეს ძალაუფლება, ყველაზე დიდი ძალაა არსებულ ძალთა შორის.

მიზნის მისაღწევად ეს აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. საკმარისი პირობა კი ადამიანში ჩადებული შემოქმედებითი უნარის გააქტიურებაა. აუცილებელი პირობის შესრულებისათვის ჩვენ არ გჭირდებათ, მას ღმერთის მიერ სინას მთაზე მოსესადმი გადაცემულ ათ მცნებაში შეიძლება გაეცნოთ. საკმარისი პირობის შესრულების პოტენციალი კი ღმერთმა ყოველ ჩვენგანში ჩადო. გამოვიყენოთ ღვთის ეს საჩუქარი.

ასლა კი გავერკვეთ, როგორ გავთავისუფლდეთ იმ ჯგუფისაგან, რომელიც ჩვენი ბედნიერების ბარიერია.

ინსტინქტზე დამყარებული ბანდის გაუკნებელყოფა გადაუჭრელ პრობლემას არ წარმოადგენს; გაცილებით რთულია მათთვის იმ იმიჯის მოხსნა, რომელიც დაახლოებით ასე უღერს: კარგი ბიჭია; მეგობრებს თან ჰყვება; დიდებული მამაა; საქმიანია; მის მაგიერ სხვა რომ მოვიდეს, რა გვეშველება. ლიდერის იმიჯის შექმნას მის ნასუფრალს მისეული, ხშირად საკმაოდ განათლებულ ადამიანთა ჯგუფი ემსახურება. შესაძლოა მათ შორის პროფესორი, პედაგოგი, რეჟისორი თუ მსახიობიც იყოს. აი, სწორედ მათი იდეოლოგია წარმოადგენს იმ პირველ ბარიერს, რომლის გვერდის ავლა, შეუმჩნევლობა, გამოუსწორებელი შეცდომა იქნებოდა. ასეთები ყოველთვის იყვნენ, არიან და ალბათ, კიდევ დიდხანს იქნებიან. მათი ფორმირება ათასწლეულების განმავლობაში მიმდინარეობდა. თუმცა, ჩვენდა საბედნიეროდ, ასეთი „იდეოლოგიების“ რაფინირება, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, ვერ მოესწო, ამიტომ დაბალია მათი ეფექტურობა, შესაბამისად, დაბალია ის ბარიერიც, რომელიც ჩვენ უნდა გადავლახოთ.

ძველ რომში ასეთებზე ამბობდნენ – „გაიყიდა პროვინციაზე“. ასეთი ფსევდომეცნიერები, რომლებიც იმპერატორების, კეისრების, სენატის წევრების განდიდებაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, დაპყრობილი ტერიტორიის (პროვინციის) ნაწილით საჩუქრდებოდნენ. აქედან, ეს გამოთქმაც, სწორედ მათზე თქვა დიონისე უმცროსმა ცინიზმით, – „ამ ჭკვიანებს იმიტომ კი არ ვაჭმევ, რომ აღფრთოვანებული ვარ მათით, არამედ იმიტომ, რომ ისინი აღფრთოვანდნენ ჩემით“.

ასეთები, არც თუ ისე დიდი ხნის წინ, რამდენიმე ტომარა კარტოფილის ფასად ბოლშევიკ ლიდერებზე ლეგენდებს თხზავდნენ და ეს იმ დროს, როცა ვოლგისპირეთში ხალხი შიმშილით სი-

ვლებოდა და ზოგიერთ რაიონში კანიბალიზმის ნიშნებიც კი დაფიქსირდა. აი, ასეთ ფარისევლებზე იტყობდნენ – „გაიციდა სალაფავზე“.

მათ კოლეგებს საქართველოში პროვინციას ვინ მიაქვავებს, მაგრამ თვეში ერთი ტომარა კართოფლის ფასად მათი მუშაობა შეიძლება ეფექტური არ გამოდგეს. აი, ასი-ორასი დოლარი თვეში კი სწორედ ის თანხაა, რომლის საფასურადაც ისინი მზად არიან ნებისმიერს, რომლის აზროვნება ლიდერის მიერ დადგენილ ჩარჩოებს სცდება, თავგანწირული წინააღმდეგობა გაუწიონ. მათი ალოგიკურობის პირდაპირი მტკიცებაა ის, რომ ამ ვაი-მეცნიერებს ინტელექტთან, განათლებასთან არანაირი სულიერი კავშირი არა აქვთ, რადგან მათი ხელშეწყობით ნადგურდება განათლება, ხელოვნება, მეცნიერება . . .

როდესაც ბუდიზმმა საკმაო გავრცელებას მიაღწია ტიბეტში, ასე ვთქვათ, ორი პარტია წარმოიშვა, ერთი – მონარქისტული, მას მხარს უჭერდნენ ბუდისტები; მათი მიზანი იყო სახელმწიფო გადატრიალება. ეს გადატრიალება კარგს არაფერს უქადა ტრადიციულ, მანამდე არსებულ რელიგიას და, რა თქმა უნდა, არისტოკრატიას. ცხადია, ამიტომ მათ მოწინააღმდეგე მეორე პარტიას არისტოკრატები და ბუდიზმის მოწინააღმდეგენი შეადგენდნენ. თუ რომელი პარტია იყო მნიშვნელოვანი ტიბეტელი ხალხისათვის, ეს მათი გადასაწყვეტია და ჩვენი განსჯის საგანს არ წარმოადგენს. ჩვენ ეს მაგალითი მხოლოდ მათი ბრძოლის მეთოდების აღსაწერად გვჭირდება. სწორედ მეორე პარტიის ლიდერს – მმართველს – არაფრის ეშინოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დარწმუნებული იყო, ბუდისტები მას ვერ მოკლავდნენ. ის არცთუ ისე გულუბრყვილო ადამიანი გახლდათ.

მართლაც, ბუდისტებს არავის მოკვლის უფლება არა აქვთ, მაგრამ ისინი ამ გამოუვალი მდგომარეობიდანაც გამოძვრნენ: კარგი, თქვეს მათ, ამ არასასურველ მოწინააღმდეგეს ჩვენ არ მოვკლავთ, პირიქით, სტუმრად მოვიწვევთ, უფრო მეტიც, ჩვენს ტერიტორიაზე არსებულ მეფეთა აკლდამის დათვალიერების უფლებასაც კი მივცემთ.

მოწინააღმდეგე პარტიის ლიდერი აკლდამაში რომ შევიდა, მას გარედან კარი ურდულით გადაურაზეს. არა, ის არავის მოუკლავს, როგორ გეკადრებთ! ის იმ აკლდამაში თვითონ, სხვისი ჩარევის გარეშე, თავისთავად მოკვდა.

სწორედ ამგვარად, ხელოვნებას, ინტელექტს, მეცნიერებას არავინ კლავს საქართველოში, როგორ გეკადრებთ? ამას ვინ გაბედავს, რას იტყვის სამღვდელეობა, ჰუმანისტები. მას მხოლოდ კარი გადაურაზეს. ინტელექტი, მეცნიერება, განათლება თავისით კვდება და ეს იდეოლოგიები არაფერ შუაში არ არიან.

საკვირველი ეს არ არის.

საკვირველი ისაა, რომ ჩვენი საზოგადოების განათლებული ნაწილი შესამჩნევ შემფოთებას არ გამოთქვამს, მაშინაც კი, როცა ამ იდეოლოგიების შემოქმედების ნაყოფი საღ აზროვნებას, ცხოვრების რეალობას აშკარად ეწინააღმდეგება.

ტრაგედია ის კი არაა, რომ არსებობდა და არსებობს ნერონი, ჰიტლერი. . . ტრაგედიაა, რომ არსებობს საზოგადოების ნაწილი, რომელიც თანამოქალაქეებში ასეთი ლიდერებისადმი რწმენის ჩანერგვას ცდილობს. ის, რომ დამნაშავეთა ჯგუფი კვლავ არსებობს და ერი ტრაგედიამდე მიჰყავს, ამ იდეოლოგიების დამსახურებაა.

ჩვენ იმ აზრისაგან შორს ვართ, რომ მათ თვალები აგვიხვიეს და ველარაფერს ვხედავთ. არა, მათ უფრო დამლუპველი შედეგის მიღწევა მოახერხეს:

ჩვენში ჩანერგეს ნიჰილიზმი, იმისი რწმენა, რომ ჩვენ მანც აღარაფერი გვეშველება, რაც გინდა გააკეთე, ილაპარაკე, წერე და იკითხე, წინააღმდეგობას მანც აზრი არა აქვს. გვითიშავენ სინათლეს პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით და ჩვენც მორჩილად ვიძინებთ, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, იმ მკრთალი იმედით, რომ ალბათ, ოდესმე ყველაფერი თავისთავად გამოსწორდება. რას იზამ, იმედი ყველაზე ბოლოს კვდება და ეს

ძალიან სამწუხაროა, რადგან, ჩვენი აზრით, ასეთი იმედი რაც უფრო ადრე მოკვდება, მით უკეთესია, რადგან სწორედ მისი გაქრობაა უდიდესი სტიმული ადამიანში იმ უძლიერესი პოტენციალის ამუშავებისა, რასაც ნებისყოფა, თვითგადარჩენის მექანიზმი ჰქვია.

ცხოვრება აქტიურ მოქმედებას ითხოვს. უმოქმედობა სიკვდილია. უგუნური ადამიანი ვერ ხვდება, თუ რას ნიშნავს აბსოლუტურად ლოგიკას მოკლებული საზოგადოება, ეკონომიკური ქაოსი, რომელიც გარს გვაკრავს, ან რა შედეგამდე შეიძლება მიგვიყვანოს ამ ქაოსმა. ვერ ხვდება, რომ ის თავისნაირ იმედდაკარგულ, გაბოროტებულ თანამომძმეთა შორის იმყოფება.

ამრიგად, ყალიბდება საზოგადოება, სადაც კრიმინალის გარეშე, ვერავითარ საქმეს ბოლომდე ვერ მიიყვან. თუ ინდივიდმა ამ ძარცვის ორგანოში საკუთარი ადგილი ვერ მონახა, მას უჩნდება აზრი, რომ ის უხეიროა, რომ არაფერი შეუძლია. ეს აზრი არაცნობიერში დაბეჯითებით, მეთოდურად მყარდება.

არაცნობიერში ჩნდება ფრაზა:

ყველაფერი უაზრობაა! არავის ენდო! ქმედებას აზრი არა აქვს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არაცნობიერი გაცილებით ძლიერია ცნობიერზე, ამიტომ ჩნდება უარყოფითი ემოცია ყველა იმ პიროვნების მიმართ, რომელიც ცდილობს ამ ცხოვრებაში რაღაც მაინც გამოასწოროს. მისთვის ის არასრულყოფილი პიროვნებაა, დონ კინოტია. დეგრადირებული სუბიექტისაგან საკუთარი არასრულფასოვნების შეცნობა კომპენსაციას მოითხოვს. მას უჩნდება ცინიზმი მისგან განსხვავებულის მიმართ ე.ი. არის უთანხმოება არაცნობიერსა და ცნობიერს შორის, რაც მასში უდიდეს ფსიქოლოგიურ სტრესს იწვევს.

ამრიგად, წარმოშობილი ცინიზმი შოკირებულ ალოგიკურობას იწვევს. ამ პიროვნებას შეუძლია უბრალო მიზეზის გამო ცინიზმის ობიექტზე საჩხუბრად გაიწიოს, დასცინოს, მოკლას. იმავედროულად, ის აბსოლუტურად მორჩილი მონაა მათი, ვინც ღირსება აპყარა, ვისი მიზეზითაც მან ფუნქცია დაკარგა, ვინც გაძარცვა არა მარტო ის, არამედ მისი შვილები და არდაბადებული შვილიშვილებიც. დიანხ! მათ მიმართ წინააღმდეგობის გაწვევის სურვილიც აღარა აქვს, და ყველაზე საშინელი ის არის, რომ წინააღმდეგობას სხვასაც უკრძალავს.

ძალიან გთხოვთ, გაიაზრეთ ეს პარადოქსი!

მასში, როგორც აღვნიშნეთ, გამჯდარია არასრულფასოვნების კომპლექსი. ცნობიერში ჩნდება პრიმიტიული თვითრწმენა, რომ ის ძირითადი ფასეულობა, რაც აუცილებელია სიცოცხლისათვის – იდეა, მოქმედება, გამარჯვება – სისულელეა. უფრო მეტიც, ის აშკარად აგრესიულად, დემონსტრაციულად დასცინის ამ ფასეულობას და მის დამცველებს, ანუ მათ, ვინც სიცოცხლისათვის ჯერ კიდევ იბრძვის. ის ხედავს, რომ თქვენ ლოგიკურად აზროვნებთ; არ ხართ ზარმაცი, გაქვთ განათლება, პროფესია; თუმცა, პირადი ფინანსური პრობლემის გადაჭრის ნებისმიერი მცდელობა მაინც უშედეგოა; შესაბამისად, მის თვალში არარაობა ხართ; თანაც ჩვეულებრივი კი არა, მშვიერი არარაობა. აი, ესაა მისი ცინიზმის საფუძველი.

ცინიზმი აგრესიის გარეშე – ეს უკვე ნიჰილიზმია.

ნიჰილიზმი არის შეშინებული ადამიანის ცინიზმი და ეს მისი სამყაროს ილუზორული აღქმიდან მოდის. ეს ნათლად ჩანს, რადგან ნიჰილიზმის განმარტებიდან გამომდინარე, მას არაფერი უნდა სწამდეს; თუმცა, არა, მას მხოლოდ კეთილი წამოწყებისა არ სწამს. დაუკვირდით, როგორ იძაბება მისი ყურადღება, რა ინტერესით ისმენს ნებისმიერ ინფორმაციას უარყოფითი მოვლენების განვითარებაზე და ამით იმგვარ კმაყოფილებას განიცდის, რაც მხოლოდ სულთ ლაჩარს ახასიათებს.

სამწუხაროდ, პოლიტიკურ-კრიმინალურმა სისტემამ ლაჩართა პოპულაციის რიცხვის უსაშველოდ გაზრდა ეფექტურად შეძლო. სწორედ ამ სოციალურ ფენაში იბადება ტოტა-

ლური სახელმწიფოსადმი პათოლოგიური შიში, რომელიც საზოგადოების უდიდეს ნაწილში ვირუსივით ვრცელდება.

ადამიანის შესაძლებლობისადმი ნიჰილიზმი სკეპტიციზმს ბადებს.

სკეპტიკოსისთვის აქსიომაა ის, რომ ადამიანებს არაფრის შეცვლა არ შეუძლიათ; ეს უკვე მის ცნობიერში ჩაკვირული აზრია. ამის მტკიცებას იგი მთელ შემორჩენილ ინტელექტს ახმარს და როცა ესეც სწყინდება, უკვე გულგრილ ინდივიდად ყალიბდება!

როგორც აღნიშნეთ, საქართველოში გულგრილობასაც თავისი ელფერი აქვს. ის გულგრილია ყველაფრის მიმართ, გარდა ფულისა. მას ფული უნდა სწრაფად, რაც შეიძლება სწრაფად. ვერ ხვდება და ვერც ვერასოდეს მიხვდება, რომ

– მანამ, სანამ ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა გულგრილია, ეკონომიკური აღმაშენების მცდელობა, საღ აზრს მოკლებულია!

გამოდის, რომ საზოგადოება ურთულესი ფენომენია, რომელიც საკუთარ თავში ორ ურთიერთგამომრიცხავ, დაპირისპირებულ მხარეს მოიცავს – ბუნებრივ ადამიანებს, რომელთა არსი ღვაწლის გაღებაა და ხელოვნურ ადამიანებს, რომელთა არსი ან აქტიური, ან პასიური, გულგრილი ეგოიზმია. მათ ყველაფერი, საკუთარი თავის ჩათვლით, ფეხებზე ჰკიდიათ და ყოველივე ეს, არშემდგარ სახელმწიფოში, ყველაფრის დამანგრეველ ქაოსს წარმოშობს.

გამოსავალი ამ დამთრგუნველი მდგომარეობიდან ერთია – გავიხსენოთ:

„დაო ბადებს ერთს, ერთი შობს ორს, ორი კი – სამს, სამი – ყველაფერს.“ (ლაო ძი)

მისი განმარტებით: „ყველა არსებული, ბნელ და ნათელ საწყისს მოიცავს, ასხივებს „ცი“-ს და ქმნის ჰარმონიას.“ – ნათლად ჩანს, რომ „ერთში“ იგულისხმება პირველადი კოსმოგენიური ქაოსი, ანუ ის მდგომარეობა, როდესაც ბნელი და ნათელი ჯერ კიდევ არ განცალკევებულა. „ორში“ იგულისხმება ქაოსის გაყოფა, შედეგად წარმოიქმნება ბნელი და ნათელი საწყისი. „სამი“ ბადებს ყველა არსებას – „ორი საწყისის კავშირი შობს ჰარმონიას და ამის შემდეგ იბადება ყველაფერი არსებული“ სხვა სიტყვებით, ბნელისა და ნათელი საწყისების ურთიერთწინააღმდეგობით იბადება ახალი, მთელი.

სიცოცხლის განვითარებისათვის აუცილებელია საზოგადოებაში დაიბადოს „მესამე“, რომელიც მათ შორის ჰარმონიის დამყარებას შეძლებს. ამ სიბრძნემდე ძველი ელინელები 26 საუკუნის წინ მივიდნენ. გავიხსენოთ სოლონის სიტყვები მისი ელეგებიდან: **„მე, როგორც მგელი, ვტრიალებდი ძალღაპარს ზროვანში“**. აქ, თითქოს სიტყვათა წყობა – „ძალღაპარს ზროვანში“ სოციუმის მიმართ, შეურაცხყოფელია. თავდაპირველად, ზოგიერთს შეიძლება მოეჩვენოს, რომ საზოგადოების ბუნებრივი ნაწილი ასეთ მკაცრ შეფასებას არ იმსახურებს.

ობიექტურად შევხედოთ ცხოვრებას. მართლაც, ერთი მხრივ, ალბერტ აინშტაინის, მარია სკლადოვსკაია-კიურის . . . არსში, თითქოს ღვაწლის გაღების ფენომენია გამოკვეთილი, თუმცა, მეორე მხრივ, მათი ღვაწლის შედეგია ჰიროსიმა და ნაგასაკი . . . და შემდეგ, ალბერტ აინშტაინის დაგვიანებული მონანიება, მილიონი გრადუსის სიმშურვალისაგან ათასობით დაფერფლილ ადამიანს, ათეული წლების განმავლობაში ტანჯულ, რადიაციით დაავადებულ, გამწარებულ ბავშვს ველარაფერს შევლის.

შესაბამისად, ადამიანთა დაყოფა აბსოლუტურ ბუნებრივ და ხელოვნურ ადამიანებად, ზრდილობიანად რომ ვთქვათ, ინფანტილიზმია. აბსოლუტურად ბუნებრივი და ხელოვნური ადამიანები არ არსებობენ. არსებობენ მეტ-ნაკლებად ხელოვნური და ბუნებრივი ადამიანები. ბუნებრივი ადამიანების უმრავლესობა ისეა ჩართული თავისი მიზნის მიღწევის პრობლემაში, რომ საზოგადოების განვითარების ფენომენი, პოლიტიკა არ აინტერესებს.

არისტოტელეს აზრით კი, თუ ინდივიდს არ აინტერესებს პოლიტიკა (თუნდაც ის, როგორ იქნება გამოყენებული მისი აზროვნების ნაყოფი), ის უკვე მონაა – არშემდგარი მოქალაქეა. არსებობს

პრობლემის ხედვის მეორე მხარეც, დიახ, ერთი მხრივ, ზნეობრივი ადამიანის გონებაში არ ეტევა, მაგალითად, ალექსანდრე ფლემინგის მიერ აღმოჩენილი პენიცილინის წარმოებაში ჩაშვების დაგვიანება. მაგრამ, მეორე მხრივ, ფლემინგმა რამდენიმე მილიგრამი პენიცილინის მიღების შემდეგ უფრო ეფექტური ანტიბიოტიკების მიღების ძიება გააგრძელა; და მას ფარმაცევტული ქარხნების ასაშენებლად და პენიცილინის საწარმოებლად არც დრო და არც შესაძლებლობა არ ჰქონდა. პენიცილინის აღმოჩენას კი იმ შემთხვევაში აქვს აზრი, თუ ის ხელმისაწვდომია მილიარდობით ადამიანისათვის.

მართალია, ხელოვნური ადამიანების გულგრილობის გამო პენიცილინის წარმოებამ დაიგვიანა, მაგრამ ისინი ხვდებიან, რომ ამ აღმოჩენაში მათთვის საინტერესო ელემენტი – მილიარდობით დოლარის მოხვეჭის საშუალებაც არის. იწყება გააფთრებული ბრძოლა პატენტის ხელში ჩასაგდებად. რამდენიმე მილიგრამი პენიცილინი, მართლაც, ათასობით ტონა ფართო მოხმარების საქონლად გარდაიქმნება. ამრიგად, საზოგადოებისათვის ეფექტური შედეგის მისაღებად აუცილებელია საზოგადოების ხელოვნურ და ბუნებრივ წევრთა შორის რაციონალური ჰარმონიის დამყარება. შესაბამისად, იმ „მესამის“ შექმნა, რომელიც მათ შორის ეფექტურ თანაფარდობას დამყარებს, პროგრესის საფუძველია.

დღევანდელ რეალობაში ურთულესია „მესამის“, მატრიცის მისია – საზოგადოებაში ჰარმონიის დამკვიდრება; და რაც მთავარია, „მესამე“ არა მარტო საქართველოს არსის, იდეის გააზრება და მისი რეალიზება უნდა შეძლოს, არამედ სახელმწიფოს იდეის მცველი საზოგადოებრივი სისტემა – პალადიუმიც უნდა ჩამოაყალიბოს. ამ სისტემის წევრებს პალადინები ვუწოდოთ.

ბერძნულად სიტყვა „პალადიონ“, ხოლო ლათინურად „პალადიუმი“ ქალაქის მცველ ღვთაებას აღნიშნავს. შუა საუკუნოებრივ ფრანგულ ლიტერატურაში ამ სიტყვამ ჩვენთვის საინტერესო დატვირთვა მიიღო – პალადინი ნიშნავდა სახელმწიფოს იდეის მცველ რაინდს.

პალადიუმი

კაცობრიობის ისტორია სამყაროს გააზრებისა და შემეცნების მცდელობის ისტორიაა. ამ უდიდესი მიზნისკენ სვლა მოაზროვნე ადამიანის დაბადებისთანავე დაიწყო. შეიქმნა უძველესი ინსტრუმენტი, რასაც დღეს მეცნიერებას ვუწოდებთ. მან ისეთი სიმძლავრე განავითარა, რომელიც ყველაზე პრეტენზიულ გონებასაც კი აღაფრთოვანებს. თუმცა, ამ საერთო აღფრთოვანების ფონზე, მუდმივად არსებობს ნაღვლიანი შეგრძნება, რომ ჩვენი ცხოვრება მაინც უგუნურებითა და შესაბამისად, ბოროტებითაა გაჟღერებული.

ამ მდგომარეობას გაორებად მივყავართ. ერთი მხრივ, თანდათანობით ვრწმუნდებით, რომ ამ საკითხის ლოგიკით გადაჭრა შეუძლებელია. მეორე მხრივ, ლოგიკური აზროვნების, მეცნიერების იმდენად გვწამს, რომ მისი მეშვეობით მიმდინარე მოვლენების წინასწარმეტყველებასა და რაციონალურად მართვას ვცდილობთ.

გარე და შიგა სამყაროს კანონზომიერების სრული გააზრებისა და ჭეშმარიტებისგან მაინც შორს ვართ.

შედეგიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ამ მოვლენათა განვითარება არაა დამოკიდებული იმ პირობებებზე, რომელნიც სამყაროს კანონზომიერების, ჭეშმარიტების შეცნობას ცდილობენ.

მართლაც, რა გვიშლის ხელს სიკეთისაკენ მიმავალ გზაზე?

ამ მხრივ საინტერესოა ის ფაქტი, რომელიც უკვე დისკუსიას არ ექვემდებარება. მეცნიერების ყველა ის დარგი, რომელიც ბუნების კანონებს ეყრდნობოდა, შედარებით უფრო ეფექტური აღმოჩნდა, ვიდრე ის დარგები, რომელნიც ბუნების კანონებს უგულვებელყოფდნენ.

მართლაც, ადამიანს შეიძლება ეჭვი შეეპაროს მისთვის გაუგებარი, ბოლცმანის თუ შრედინგერის განტოლებებით სოციალური პრობლემის გადაჭრის, ან კონსტიტუციის რომელიმე მუხლის გა-

მოყენებით კომპიუტერის პროცესორის სწრაფქმედების გაზრდის ეფექტურობაში. და იმის მიხედვით, თუ ვინ როგორ მიიკვლევს გზას ჭეშმარიტებისკენ ეს ეჭვი ძლიერდება ან სუსტდება.

აღადიანი მოაზროვნე არსებაა, და შესაბამისად, ყოველ ჩვენგანს აქვს უფლება ბუნების დადგენილ კანონებსა თუ სოციალური წყობის სტრუქტურის გააზრების თეორიებში ეჭვი შეიტანოს.

ბუნების კანონები უნივერსალურია. მაგალითად, გრავიტაცია (მიზიდულობის კანონი) თქვენს ოთახშიც, იუპიტერზეც და სხვა გალაქტიკაშიც ერთნაირად მოქმედებს.

ამაზე უკვე აღარაფერია დავობს.

ეჭვი მაშინ ჩნდება, როდესაც ცალკეულ ფაქტებზე დაყრდნობით, ერთიანი, არაწინააღმდეგობრივი სამყაროს სურათს გვთავაზობენ; და ის ჩვენთვის მისაწვდომ ყველა სხვა ფაქტებთან, მოვლენებთან და რაც მთავარია, ადამიანის ბუნებასთან, მის შემეცნებასთან „სრულ თანხმობაშია“.

მნიშვნელოვანია კიდევ ერთი საკითხი: ჩვენ უამრავი კანონი შევქმენით, რომელსაც დაუნდობლად ვიტენით თავში და ესეც არ ვიკმარეთ, ამ კანონების ათვისებას მომავალ თაობასაც ნებისმიერი ხერხით ვაძიულებთ. იმავდროულად, გვაიწყვდება, დაფიქრდეთ, თუ რამდენად მისაღებია იმ კანონების ფორმა და არსი, რომლითაც ცოდნის გამომჟღავნებას ვცდილობთ.

ამ საკითხზე კატეგორიული პასუხი არ არსებობს.

ყველა, ვინც მეცნიერების ისტორიით ოდნავ მაინც დაინტერესებულა, დაგვეთანხმება, რომ სხვადასხვა დროსა და სივრცეში, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ერთი და იგივე მოვლენასა თუ პრობლემაზე, ორი, ან მეტი განსხვავებული თეორია არსებობდა. თითოეული თეორიის ავტორი, ან მისი აქტიური თანამოაზრე, საკუთარ პრობლემას უტყუარ ჭეშმარიტებად მიიჩნევდა. არც საკუთარ, არც სხვის ნერვებსა და ენერგიას არ ინანებდა, რათა სხვათა თეორია აეკრძალა, ან უსაფუძვლო სისულელედ გამოეცხადებინა; მაშინაც კი, თუ მისი თეორიისაგან განსხვავებული თეორია სამყაროში მიმდინარე მოვლენებს მშვენივრად ხსნიდა. საოცარია არა მარტო თეორიათა სიმრავლე, არამედ დახვეწილი მანერებისა და ბრწყინვალე გონების მქონე ადამიანთა დაუნდობლობა ოდნავ განსხვავებული აზრის მქონე თანამოღვაწეთა მიმართაც კი. მაგ., დიდი ხანია სინათლის ბუნებასთან დაკავშირებით ორი თეორია არსებობს – კორპუსკულარული და ტალღური. ერთი შეხედვით, სინათლის ქმედება-გავრცელების სხვადასხვა ფაქტებს ორივე მშვენივრად ხსნის. მრავალწლიანი დაპირისპირების შედეგად ეს ორი მოსაზრება გაერთიანდა.

მეცნიერების ყველა დარგში შოკს იწვევს თეორიათა სიმრავლე. სოციალური ფილოსოფიის გააზრებაც მრავალმხრივია. ეს პროცესი უძველესი ბაბილონის მეფის – ჰამურაბის, ინდოეთში – მანუს კანონებისა და არისტოტელეს შრომებიდან იწყება. არ ყოფილა მეტ-ნაკლებად ცნობილი პიროვნება, რომელსაც ეთნოსის, საზოგადოების, სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ ან აზრი არ გამოეთქვას, ან თეორია არ შეექმნას.

რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ ინტერესს და ხშირად ურთიერთგამომრიცხავ შეფასებებს იმსახურებდნენ თომა აქვინელი, ჰუგო გროციუსი, სპინოზა, თომას ჰობსი, ჯონ ლოკი, ქრისტოფორ ვოლფი, ვოლტერი, მონტესკიე, ჟან ჟაკ რუსო, ვაჟა-ფშაველა და ეს სია უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს.

შედეგი კი ისაა, რასაც გარშემო ვხედავთ.

არა, აქ ირონია არაფერ შუაშია, უბრალოდ, პრობლემაა ურთულესი.

იმედის მომცემი კი ისევე მეცნიერების ისტორიაა, რომლის თანახმად, ყოველი შემდგომი პერიოდი მრავალი თეორიიდან ან ერთს ირჩევს, ან რამოდენიმეს აერთიანებს. ერთი მხრივ, სამწუხაროა, რომ დროს, ამ უნიკალურ ფენომენს არაფეფექტურად ვიყენებთ. მეორე მხრივ, კი ის, რომ არსებული თეორიების ავტორთა უმრავლესობა იმ პოლიტიკური ელიტის ზეგავლენას განიცდიდა, ვისი მფარველობის ქვეშაც თავს კომფორტულად გრძნობდა. იყვნენ და არიან ისეთებიც, რომლებიც სუბიექტურ აზრს უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე იმ კანონზომიერებას, რაც სამყაროსა და საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს მართავს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტების, მეცნიერული ცნებების, კანონების აღმოჩენა-დაფიქსირება შემთხვევითია, თუნდაც იმიტომ, რომ ისინი დადგენილია შემთხვევითი ადამიანების მიერ, შემთხვევით მდგომარეობაში.

მაგალითად, 1896 წელს ბატონ ბეკერელს ქალბატონებმა პიენიკის მოწყობა და სურათების გადაღება „შემთხვევით“ სთხოვეს; მან, „შემთხვევით“, ის ფოტოფირი მინერალების კოლექციის უჯრაში იპოვა, სადაც, „შემთხვევით“, ურანის მარილი იდო; მას, ფოტოფირის ვარგისიანობაში დასარწმუნებლად, ერთი ფოტოფირი რომ არ გაემჟღავნებინა და ფირზე, ურანის გამოსხივებით გამოწვეული ნათელი კვალი, „შემთხვევით“, არ აღმოეჩინა, არავინ იცის კაცობრიობის ისტორიაში ბირთვული ერა როლის დაიბადებოდა.

სამწუხაროდ, ეს აღმოჩენა უფრო სწრაფად დავიდა მეცნიერთა გონებადღე, ვიდრე ათი მცნება.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ასეთ „შემთხვევითობათ“ ერთობლიობა ერთიან კანონზომიერ სისტემას ქმნის და მასში ყველაფერი ურთირთკავშირშია. ამ რთულ სისტემაში ერთი პატარა კვანძის შეცვლა კი ყველაფრის შეცვლას იწვევს. შესაბამისად, ჩნდება ახალი ფაქტები, ე.ი. სისტემა იხვეწება, მუდმივ ცვალებადობაშია და, ღვთის მადლით, ამ ცვალებადობით ერთიანობა არ იკარგება.

მეცნიერული ცნებების დღევანდელი სისტემა ხანგრძლივი ევოლუციის ნაყოფია. მისი კვანძები მეტ-ნაკლებად იცვლება. დასკვნა კი ერთია:

ვიმეორებთ, არ არსებობს ახალი აღმოჩენა, ახალი შემეცნება, ახალი ცოდნა, რომელიც ძველ ცოდნას არ ეყრდნობა.

ამითაა საინტერესო მეცნიერება. ის გაქვავებული მკვდარი სისტემა როდია, ის ცოცხალი ორგანიზმია, სადაც აზროვნებისა და ქმედების უფლება ყველას აქვს.

ერთი მხრივ, ჩვენი მეცნიერული ცოდნა სოციალურ მეცნიერებაში (და არა მარტო სოციალურში), რეალური სოციალური მოვლენების ჩრდილის გააზრების მცდელობაა და მეორე მხრივ, გვაწვიწყდება, რომ ამ ჩრდილის ზომა იმისდა მიხედვით იცვლება, თუ რა კუთხით არის განათებული ეს მოვლენა.

მეცნიერული ცნებების სისტემათა ევოლუცია, სამწუხაროდ, კონტროლს არ ექვემდებარება. მართალია, ის ისეთივე კანონზომიერი პროცესია, როგორც ცოცხალი სამყაროს ევოლუცია, მაგრამ მაინც მოგვიწევს ვაღიაროთ, რომ მეცნიერული შემეცნება ადამიანის გონების ნაყოფია; და მისი თავისუფლება „შემთხვევით“ აზრის წარმოქმნის თავისუფლების ხარისხის ტოლფასია.

შესაძლებელია, მეცნიერული შემეცნების განვითარება სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევებში სხვადასხვაგვარად გავიზაროთ. მან თავისი უცნაური თავისებურებებით შეიძლება გაგვაოცოს და აღგვაფრთოვანოს, მაგრამ თუ როგორმე მთლიანად მივალთ, ალბათ, ცხადად დავინახავთ, რომ ან აზრთა, თეორიათა განსხვავებას აღარ ექნება ადგილი, ან განსხვავება მინიმუმამდე დავა.

ჩვენ არ ვიცით როგორ წარმოიქმნა პირველი ორგანიზმი, პირველი აზრი, ან რა მოხდებოდა ეს პროცესი სხვაგვარად რომ წარმართულიყო; თუმცა, ვიცით, რომ ევოლუციის ყოველი ახალი ნაბიჯი წინამორბედზეა დამოკიდებული.

ამიტომ, შეგვიძლია საღვადლო დალივით სპილო კოლოს ფეხებით, ან ატომი ქიმიშიან ფუნთუშად წარმოვიდგინოთ; თუმცა, ცოცხალი სამყაროსა და მეცნიერული სისტემის სხვადასხვაგვარად წარმოდგენა დღეს უკვე აღარ გამოგვადგება.

სოციალური თუ ბიოლოგიური ევოლუცია, მეცნიერული ცოდნის ფორმირება ბუნების სხვადასხვა კანონებს ექვემდებარება და ჩვენ მათი შეცვლა არ ხელგვეწიფება; და ნურც ვინმე დაიტრახავს, რომ მთლიანობის კანონზომიერების გააზრებას შეძლებს.

ჩვენ ვიბადებით ფორმირებულ სახეობათა შორის, ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ წყობაში, უკვე დამკვიდრებულ მეცნიერულ ცნებებში. შეიძლება კლონირება განვახორციელოთ, ან ცხენის ახალი ჯიში გამოვიყვანოთ; ერთი შეხედულება, ან ერთი აზრი, ახლით შევცვალოთ; თუმცა, ადა-

მიანთა ზოგადი შექმნების სისტემაში ჭეშმარიტებისა თუ სიცრუის დადგენა ურთულესი საქმეა და ჯერ კიდევ ჩვენი შექმნების მიღმაა.

ღიან, ჩვენ სამყაროს კანონზომიერების გააზრებისგან ჯერ კიდევ შორს ვართ, მაგრამ უკვე აღმოჩენილია ამ კანონზომიერების ისეთი კვანძები, რომლებიც დახვეწისა და ცვალებადობის მიმართ მდებარეობს ამჟღავნებენ; და ეს ფაქტი ჩვენი გონების მიერ ფუნდამენტური კანონების წვდომის შესაძლებლობაზე მიგვანიშნებს.

ადამიანმა მეცნიერება ადამიანისათვის შექმნა, ამიტომ ის ადამიანის შექმნების ბუნებას უნდა შეესაბამებოდეს.

სწორედ ამ ფუნდამენტურ კანონებზე დაყრდნობით იქნება შესაძლებელი იმ მდგრადი სოციალური სისტემის შექმნა, რაც ჩვენს ცხოვრებას უკეთესობისაკენ შეცვლის.

ჩვენი აზრით, საზოგადოებაში ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივი იდეალების დამკვიდრების მიზნით, საზოგადოების ნებისმიერი წევრი შემდეგი ძირითადი პრინციპებით უნდა ხელმძღვანელობდეს:

პირველი – სოციალურ-პოლიტიკური იდეალი, მთელი თავისი კონკრეტულობით, საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგად, მუდმივ პრინციპებს უნდა ეყრდნობოდეს.

მეორე – გათვალისწინებულ იქნას ის ემპირიული მასალა, რისგანაც შედგება საზოგადოება, ანუ ცხოვრების, მატერიალური პირობების, ზნეობის, ინტელექტუალურ-რელიგიური დონის ობიექტურ გააზრებას უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს.

მესამე – გათვალისწინებულ იქნას სოციალურ ფენათა შორის თანაფარდობა და ურთიერთდამოკიდებულება.

მეოთხე, და ძირითადი – გააზრებულ იქნას ის ისტორიული ამოცანა, რაც დროის მოცემულ მომენტში, კონკრეტული საზოგადოების წინაშე დგას.

მართლაც, პედაგოგი, სასწავლო პროგრამების შედგენისას, არა მარტო ფსიქოლოგიისა და ეთიკის ზოგად პრინციპებს ეყრდნობა, არამედ აღსაზრდელის გონებრივ, ფიზიკურ და ზნეობრივ მდგომარეობასაც ითვალისწინებს.

ასევე, როდესაც ექიმი ავადმყოფის მკურნალობას იწყებს, ის არა მარტო პათოლოგიური ფიზიოლოგიის ზოგად კანონებს, არამედ პაციენტის კონკრეტულ მდგომარეობასაც ითვალისწინებს. ის აბსოლუტური ობიექტურობით იაზრებს მისთვის ხელმისაწვდომი კვლევის შედეგებს (სისხლის ანალიზის, ფლუოროგრაფიის, ექოსკოპიის . . .) და დიაგნოზს მხოლოდ ამის შემდეგ სვამს.

შესაბამისად, საზოგადოების მართვის ხელოვნება – პოლიტიკა – მკურნალობას ჰგავს; და განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ეფექტური თერაპიული მეთოდების შერჩევას, რათა იმ გამოუვალ მდგომარეობაზე არ მივიდეთ, როდესაც ქირურგიული ჩარევა აუცილებელი გახდება (ქირურგია ხომ სასოწარკვეთილი, გზაბნეული თერაპიაა).

საჭიროა ყველა ჰუმანური მეთოდის გამოყენება, რათა საზოგადოებაში შინაგანი შემოქმედებითი ძალები განვითარდეს; და თუ, ზემოხსენებულ მოსაზრებაზე შევთანხმდებით, მაშინ არ გავვიჭირდება იმ მარტივი დასკვნის გაკეთება, რომელიც, დემაგოგთა არმიის გარდა, ყველასთვის მისაღები უნდა იყოს.

შესაბამისად, ცხადია:

– კარგია მმართველობის ის ფორმა, რომელიც მოცემულ კონკრეტულ პირობებში საზოგადოებაში სხვადასხვა ფენებს შორის ჰარმონიის დამამკვიდრებელ სისტემას შექმნის, სადაც საზოგადოების ყველა წევრს შინაგანი პოტენციალის მაქსიმალურად წარმოჩენის საშუალება ექნება.

– კარგია ის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ქვეყნის პოტენციალს რაციონალურად გამოიყენებს და შრომის ნაყოფიერებას აამაღლებს.

– კარგია ის კანონმდებლობა, რომელიც რწმენას, ზნეობას, განათლებას განავითარებს, ანუ, საბოლოო ჯამში, სოციალურ სამართლიანობას აამაღლებს.

და ყველაზე მნიშვნელოვანი – ეს ყველაფერი ერთმანეთთან ჰარმონიულ დამოკიდებულებაში უნდა იყოს, რათა საზოგადოების ორგანულ გამოთლიანებას ჩაეყაროს საფუძველი.

ყოველივე ამის გათვალისწინებით ადამიანთა რაციონალური ურთიერთობის განმსაზღვრელი იდეოლოგია, სოციალური იდეალები უნდა შემუშავდეს, რაც ჩვენთვის საერთო ამოცანის გადაწყვეტას დააჩქარებს, ანუ მარტივად რომ ვთქვათ:

ნათლად უნდა გვქონდეს წარმოდგენილი რა გვინდა, როგორ მოვახერხებთ დასახულ მიზანამდე მისვლას, და რაც მთავარია, გააზრებული უნდა გვქონდეს ის სულიერი და ზნეობრივი საფუძვლები, რასაც უნდა დავეყრდნოთ.

ცხადია, ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით, იდეოლოგიის შემუშავებაში მკაცრად შერჩეული, ფართო საზოგადოების მონაწილეობა აუცილებლობას წარმოადგენს. ეს პროცესიც, როგორც ნებისმიერი იდეის დამკვიდრება, ფარდობით მიდგომას მოითხოვს, რადგან იგი ემპირიულ პირობებზე, ანუ გარემომცველ სამყაროზე, დროსა და სივრცეზეა დამოკიდებული.

აქედან გამომდინარე, ერთი მხრივ, იდეა აღსრულებადი უნდა იყოს, და მეორე მხრივ, აბსოლუტურ ჭეშმარიტებას მაქსიმალურად უნდა უახლოვდებოდეს.

ისტორია გვასწავლის, რომ ადამიანის არასრულფასოვნების, ცდუნების, ცოდვის გათვალისწინების გარეშე, „სამოთხის“ დამკვიდრებაზე ადამიანთა გულუბრყვილო წარმოდგენა, განუხორციელებელ ოცნებად დარჩება.

საზოგადოებაში ასეთი გაუაზრებელი იდეალების აქტიურად დამკვიდრების მცდელობას არა თუ სასურველ შედეგამდე, არამედ პირიქით, არსებული პრობლემების კიდევ უფრო დამძიმებამდე მივყავართ.

იაკობინელების აბსოლუტური სახალხო მმართველობისა და ბოლშევიკების საყოველთაო სამართლიანობის დამკვიდრების ოცნებებიც სწორედ ასეთი უსაფუძვლო იყო.

იაკობინელებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ბოლშევიკების „სამართლიანობა“ ჩვენმა მამა-პაპამ, და ჩვენც, საკუთარ სულსა და სხეულზე გამოვცადეთ. ამიტომ, აუცილებელია, ყველა კონკრეტულ მდგომარეობასა და გარემოში, აბსოლუტურად იდეალურ და მიწიერ ადამიანს შორის განსხვავება გავითვალისწინოთ.

შესაბამისად, საზოგადოებისთვის სახიფათოა ისეთი აღგზნებული რეფორმატორი, რომელიც ვერ ხვდება, რომ ზოგიერთი სოციალური ავადმყოფობისა და დეფექტის მკურნალობას უდიდესი ენერგია, გარკვეული დრო, სიმძლავრე და სივრცე სჭირდება.

შიშველი ლოზუნგები – „გადავარჩინოთ საქართველო“, „დავამარცხოთ ბოროტება“, „მოვსპოთ კორუფცია“, რა ლამაზი და ამაღლებულიც უნდა მოგეჩვენოთ, უმრავლეს შემთხვევაში, სულსწრაფი, რადიკალური, გაუაზრებელი ქმედებისაკენ მოწოდებას ნიშნავს; ან კიდევ უფრო მეტ ბოროტებას ფუთავს, რაც ინტერესთა სფეროს გადანაწილების სურვილში გამოიხატება; და ზემოთ ნახსენები ლოზუნგები მხოლოდ ლოზუნგებად რჩება, როგორც პირადი მიზნების მიღწევის საშუალება და არა უმთავრესი იდეალები. ეს კი ერთი ბოროტების მეორეთი შეცვლის პირდაპირი გზაა, და რა სამწუხაროც უნდა იყოს, ხშირ შემთხვევაში, უფრო სასტიკითაც. შესაბამისად, ახალი, უფრო რადიკალური ლოზუნგების შეთხზვის პირობები იქმნება.

ამიტომაც ადამიანთა ისტორია დრამატული პროცესი. ხალხთა ტანჯვის ხარჯზე ცეცხლითა და მახვილით დამკვიდრებულ იდეალებს მცირე დროში განსიბღვა და გაუცხოება ელის. ეს კი „რეფორმატორებს“ რაღაც ახალი იდეების გამოგონების იმპულსს აძლევს, რომლებიც, ხშირად, თავდაპირველი იდეების საწინააღმდეგო და გამომრიცხავია.